

ზურაბ ადგიშვილი, გერდ ვინტერი, დიმიტრი ქიტოშვილი

საქართველოს გლობალი
ადმინისტრაციული კოდექსის
კო მ ე ნ ტ ა რ ი

თბილისი
2002

ზურაბ ადგიმეილი, ბარდ ვინტერი, დიმიტრი ქიტომეილი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი

რედაქტორი: ბარდ ვინტერი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნატო ლოლიძე

კორექტორები: მზია რამიშვილი

მარინა კიკვიძე

მანანა გურაბანიძე

შორენა შირვაძე

ნინო ნოზაძე

ყველა უფლება დაცულია

ISBN 99928 95 136

© ზურაბ ადგიმეილი 2002

© ბარდ ვინტერი 2002

© დიმიტრი ქიტომეილი 2002

შინააარსი

წინათქმა	8
ავტორებისაგან	7
შესავალი	11
თავი I. ძირითადი ღებულებანი	29
თავი II. აღმინისტრაციულ ორბანოთა საქმიანოზის გოზადი ღებულებანი	64
თავი III. ინჟოზრმატიის თავინსუზლება	76
თავი IV. აღმინისტრაციულ-საგაროთლებოზი აქტი	141
თავი V. აღმინისტრაციული ბარიზება	176
თავი VI. აღმინისტრაციული წარგოზის გოზადი ღებულებანი. გარტივი აღმინისტრაციული წარგოზა	189
თავი VII. აღმინისტრაციული წარგოზა კოლგოზურ აღმინისტრაციულ ორბანოზი	268
თავი VIII. ჟოზგალური აღმინისტრაციული წარგოზა	270
თავი IX. საჯარო აღმინისტრაციული წარგოზა	280
თავი X. (ამოღებულა)	289
თავი XI. აღმინისტრაციული აქტის ბაგოცემის წესი ღაგოუკიღებელი ორბანოს გიერ	290
თავი XII. აღმინისტრაციული აქტის აღსრულება	298
თავი XIII. აღმინისტრაციული წარგოზა აღმინისტრაციულ საქივართან ღაკავშირგოზით	323

თავი XIV. აღმინისტრაციული ორბანოს პასუხისმგებლობა	360
თავი XV. აღმინისტრაციული წარმონება ნორმატიული აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსემასთან ღაკავშირებით	369
თავი XVI. გარღამავალი ღებულებანი	380
თავი XVII. ღასკენითი ღებულებანი	381

წინათქმა

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარის პირველი გამოცემისათვის

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღებით დაიწყო ახალი ეპოქა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში. საქართველოს კონსტიტუციით განმტკიცებული ძირითადი უფლებების განხორციელება შეუძლებელია სახელმწიფოსთან, მის მრავალრიცხოვან აპარატთან ინდივიდების ურთიერთობათა მომწესრიგებელი ნორმების მწყობრი და გამჭვირვალე სისტემის გარეშე.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანებს მრავალრიცხოვან სახელმწიფო უწყებებთან უხდებათ ურთიერთობა. ამ ურთიერთობათა უდიდესი ნაწილი სუბორდინაციის პრინციპებზეა დამყარებული და საჯარო სამართლის რეგულირების საგანს წარმოადგენს. საჯარო სამართალში კი, მოკულობითა და მნიშვნელობით, საკონსტიტუციო სამართლის შემდეგ, წამყვანი ადვილი ადმინისტრაციულ სამართალს უკავია.

ადმინისტრაციული სამართლის ნორმები მრავალ კანონშია მიმობნეული. ამის მიზეზი სახელმწიფოსთან ინდივიდების ურთიერთობის მრავალფეროვნება და მათი განცალკევებულად მოწესრიგების აუცილებლობაა. მაგრამ კანონი, რომელიც ზოგადად ვანსაზღვრავდა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული გარიგების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღებამდე საქართველოში არ არსებობდა.

ახალი კანონის დანერგვა ცხოვრებაში მრავალ პრობლემასთან არის დაკავშირებული. კანონის განხორციელება ვარჯევულწილად ცხოვრების წესის შეცვლასაც ნიშნავს, რაც ურთიერთობათა ახალი ნორმების დამკვიდრებას იწვევს. ახალი კანონის მიღება მოკემულ დარგში სამართლის მეცნიერების განვითარების წინაპირობაცაა. კანონთა სამეცნიერო-პრაქტიკული კომენტარები ამის ნათელი დადასტურებაა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კომენტარი. რომელსაც ქართველი მკითხველი წინამდებარე გამოცემაში ვაეცნობა. ქართული ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებისათვის უდავოდ დიდი მენაძენია. ავტორთა ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ მათ შეძლეს არა მხოლოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ცალკეული მუხლების კომენტირება, არამედ ღრმა შედარებითი სამართლებრივი კვლევების საფუძველზე წარმოადგინეს უაღრესად საინტერესო ანალიზი განვითარებული ქვეყნების ადმინისტრაციული სამართლისა. ეს კი იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, თუ რამდენად თანამედროვე და პროგრესულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

კანონთა კომენტარების მომზადებას საქართველოში არა აქვს დიდი ხნის ტრადიცია. ამიტომ კომენტარების პირველ გამოცემათა ძირითადი მიზანი კანონის ცალკეული ნორმების შინაარსის გადმოცემა იურისტებისა თუ სხვა დაინტერესებულ პირთათვის გასაგები ფორმით. კანონის წინადადებები წესრიგის წინადადებებია, რომელთაც საფუძვლად დოგმატურ-სამართლებრივი და პოლიტიკურ-სამართლებრივი მოტივაცია უდევთ. ავტორთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ კოდექსის ყოველი მუხლის საფუძვლიანი ანალიზი და განმარტება შეძლეს. კონკრეტული მავალითების მოშეღიებით კანონის აბსტრაქტული ნორმები მკითხველისათვის ფრიად ხელმისაწვდომი და გასაგები ხდება.

წინამდებარე კომენტარის მნიშვნელობა დიდია არა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებისათვის. იგი დიდ სამსახურს გაუწევს საჯარო მოხელეებსა და სასამართლოებს. ადმინისტრაციული მართლმსაჯულების ჩამოყალიბებასა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის შექმნაში ეს კომენტარი უდავოდ შეასრულებს სასარგებლო ფუნქციას.

დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით მიიღებს ამ კომენტარს. ასევე არ მეპარება ეჭვი იმაში, რომ სასამართლო პრაქტიკის განვითარების კვალობაზე იგი მომავალშიც მრავალ გამოცემას გაუძლებს. უდავოა, იგი ქართველი იურისტების სამავილო წიგნი გახდება უახლოეს მომავალში.

ლადო ჭანტურია

ავტორებისაგან

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღებით საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ ადმინისტრაციულ სამართალს. კომუნისტური რეჟიმის დროს, სახელმწიფო მანქანის ტოტალური ბატონობის პირობებში ხელისუფლება არ თვლიდა საჭიროდ თავისი უფლებამოსილებების განხორციელებისათვის რაიმე პირობები ან შეზღუდვები დაეწესებინა. ახალი საკანონმდებლო აქტის მიღების შემდეგ კი შეიქმნა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადმინისტრაციულ ორგანოთა აბსოლუტური დისკრეციის შეზღუდვას, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებების დაცვის რეალური გარანტიების არსებობას.

ეს წიგნი ახალი ადმინისტრაციული სამართლის განმარტების ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს. ამიტომაც ჩვენ შორს ვართ იმ ამრისაგან, რომ იგი სრულყოფილი და ამომწურავია. ლოქტრინალური ბაზის არარსებობამ, ერთი მხრივ, და მწირმა გამოყენების პრაქტიკამ, მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად შეგვიშალა ხელი კომენტარებზე მუშაობისას. ცხადია, ეს ნაშრომი სპეციალისტთა ბევრ კითხვას პასუხს ვერ გასცემს, მაგრამ, თუ იგი ოდნავ მაინც ხელს შეუწყობს საქართველოში ამ ახალი მიდგომების დამკვიდრებას, ჩვენ მიერ გაწეულ შრომას გამართლებულად ჩავთვლით.

ესარგებლობთ შემთხვევით და მაღლობას ეუხდით ყველა იმ საერთაშორისო და ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს (IRIS/Georgia, თავისუფლების ინსტიტუტი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თავისუფალ ჟურნალისტთა კლუბი და სხვ.), რომელთაც უდიდესი წვლილი შეიტანეს საქართველოში ახალი ქართული ადმინისტრაციული სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ასევე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სამართლის სკოლის ორი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის — პროფ. ვ. ლორიას და აწ გარდაცვლილ პროფ. ა. აბესაძის დედაწლი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შექმნასა და მის ცხოვრებაში გატარებისას.

განსაკუთრებულ მადლობას ეუხდით გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასა (GTZ) და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის ცენტრს (CILC) ამ წიგნის გამოცემის ფინანსური მხარდაჭერისათვის. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (GTZ) საშუალებითვე მოგვეცა ავტორებს შესაძლებლობა გვემუშავა ბრემენის უნივერსიტეტში ამ წიგნის მოსამზადებლად.

იმედი გვაქვს, რომ მკითხველი ინტერესით გაეცნობა წარმოდგენილ ნაშრომს.

ზურაბ ადეიშვილი
დიმიტრი ქიტოშვილი

Georgia can be proud of being the first transition country to have adopted a comprehensive code of general administrative law. The code had to break new land. During the times of democratic centralism administrative law basically consisted of administrative infringement law, i.e. law commanding people and sanctioning them in case of disobedience. By contrast, administrative law in a state of individual freedom makes the administration step down from its command post allowing the public to have access to information, participate in the proceedings, enter into contracts with the administrative bodies, ask for compensation in cases of administrative misbehaviour, appeal against unlawful acts, etc.

In the code various strands of thought can be found amalgamated. Concepts of Western administrative law were borrowed notably from German, Dutch and US American traditions and adapted to the political and economic conditions and requirements of the modern Georgia. The result is not just a melting pot but rather a genuine structure which may well serve as a model for other countries.

The very nature of a code – that it is a codification and therefore not law emerging from a long history of autochthon judge-made law – requires special attention and measures for its transposition into legal practice. Judges, attorneys, administrators, teachers and students of law, and not least the public at large must be made familiar with their new rights and duties. It is the aim of this commentary to help understand the code the language of which must be somewhat abstract for reasons of preciseness and brevity. In the absence of a rich body of court decisions the comments made had often to be based on imagination rather than experience. Nevertheless, I firmly believe that the book will serve its goal, and be it as a first attempt which will hopefully see many more editions following the unfolding of more and more administrative law jurisprudence in Georgia.

Professor Gerd Winter,
UNIVERSITY OF BREMEN

შესავალი

1. რას ნიშნავს ადმინისტრაციული სამართალი?

ადმინისტრაციული სამართალი არეგულირებს მოქალაქეებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ურთიერთობებს, როგორებიცაა, მაგალითად, პოლიცია, ტრანსპორტის დეპარტამენტი, მშენებლობის სამინისტრო, საგადასახადო სამსახური და სხვ. როდესაც მოქალაქეს უნდა მიიღოს მართვის მოწმობა ან სამშენებლო ლიცენზია, ან კიდევ, როდესაც მას აცისრებენ გარკვეული რაოდენობის მოგების გადასახადის გადახდას, ყველა ეს ურთიერთობა წესრიგდება ადმინისტრაციული სამართალით. თუ საგზაო პოლიცია უარს ეტყვის მოქალაქეს მართვის უფლების გაცემაზე რაიმე კანონიერი საფუძელის გარეშე (მაგალითად, ქრთამის გამოძალვის მოტივით), კანონი განსაზღვრავს, რომ საგზაო პოლიციის მოქმედება უკანონოა და მოქალაქეს ჰქონდა მართვის მოწმობის მიღების უფლება. ასეთ შემთხვევებში, ანუ იმ დროს, როდესაც სახელმწიფო ორგანო არასწორად განმარტავს, ან არღვევს მასზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს, მოქალაქეს შეუძლია თავისი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სასამართლოსათვის მიმართვის ფორმები და პროცედურა განისაზღვრება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით.

ადმინისტრაციული სამართალი არეგულირებს ვერტიკალურ ურთიერთობებს სახელმწიფო ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის და სწორედ ამით განსხვავდება კერძო სამართლისაგან. კერძო სამართალი არეგულირებს მოქალაქეებსა თუ სხვა კერძო

პირებს შორის წარმოშობილ, პირთა თანასწორობაზე დამყარებულ, ე.წ. პორიზონტალურ ურთიერთობებს. ამაგალითად, თუ თქვენ მაღამიაში შეიძენთ კომპიუტერს, რომელიც დამიანებული აღმოჩნდება, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით უფლება გექნებათ უკან მიიღოთ თქვენ მიერ გადახდილი საფასური და დააბრუნოთ დამიანებული კომპიუტერი. ასევე, აღნიშნული უფლების დასაცავად შეგეძლებათ მიმართოთ სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

ადმინისტრაციული სამართალი ასევე განსხვავდება სისხლის სამართლისგანაც. განსაზღვრავს რა იმ შემთხვევებს, თუ როდის უნდა იქნეს სახელმწიფოს მხრიდან გამოყენებული სისხლის-სამართლებრივი სანქციები კონკრეტული პირის მიმართ, სისხლის სამართალიც ვერტიკალური ურთიერთობების მარეგულირებელ სამართლის დარგად გვევლინება. თუმცა კი ადმინისტრაციული სამართალი (ადმინისტრაციული სანქციების ჩათვლით) აწესრიგებს მოქალაქის შედარებით ნორმალურ საქციელს, ხოლო სისხლის სამართალი — ყოველგვარ ნორმალურ ბღვარს გადასულ, ამორალურ და აშკარა კანონსაწინააღმდეგო საქციელს. ამიტომაც არის, რომ სისხლისსამართლებრივი სანქციების შეფარდების უფლება აქვთ მხოლოდ მოსამართლეებს, ხოლო ადმინისტრაციულსა კი — ჩვეულებრივ სახელმწიფო ორგანოებს. 1

დაბოლოს, ადმინისტრაციული სამართალი განსხვავდება საკონსტიტუციო სამართლისგანაც. საკონსტიტუციო სამართალი წარმოადგენს საფუძველს ყველა სხვა სამართლის დარგისათვის, ადმინისტრაციული სამართლის ჩათვლით. იგი ადგენს ადამინის ძირითად უფლებებსა და მოვალეობებს როგორც ერთმანეთთან, ისე სახელმწიფოსთან ურთიერთობაში. 1 შემდგომში სხვადასხვა კანონები ახდენენ ამ უფლება-მოვალეობათა დაკონკრეტებას და ადგენენ მათი რეალიზების კონკრეტულ მექანიზმებს. მაგალითად, კონსტიტუციით დადგენილი თანასწორობის პრინციპი ასახულია კანონში “საჯარო სამსახურის შესახებ”. იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნული კანონი დაარღვევს, მაგალითად, სქესთა თანასწორობის პრინციპს, იქნება არაკონსტიტუციური და, შესაბამისად, ძალადაკარგული. გარდა ამისა, კონსტიტუციური სამართალი ადგენს ძირითად სახელმწიფო ორგანოთა მოწყობის წესსა და, ასევე, განსაზღვრავს კანონების შექმნის პროცედურას. ყველა კანონი, მიღებული დადგენილი წესის დარღვევით, იქნება ბათილი

და იურიდიული ძალის არმქონე.

2. რა საჭიროა ადმინისტრაციული სამართალი? რატომ არ შეიძლება, რომ ურთიერთობა სახელმწიფო ორგანოებსა და მოქალაქეებს შორის მოწესრიგდეს კერძო სამართლის ნორმებით, ისევე როგორც ურთიერთობები ორ კერძო პირს შორის?

ხანგრძლივი ვადის განმავლობაში, სწორედ ასეთი იყო საკითხის "ინგლისური გადაწყვეტა", რომლის გადმონამუშებიც ჯერ კიდევ არსებობს ბრიტანულ და ამერიკულ სამართალში, რაც თავის მხრივ, ინგლისური "საერთო სამართლის" ბაზაზე შეიქმნა.

დაეუშვათ, რომ მოქალაქე "ა" არის ისეთი რესტორნის მე-პატრონე, რომელშიც ანტისანიტარია სუფევს და სახელმწიფო სანიტარიულ სამსახურს სურს აღნიშნული რესტორნის დაექვეა. კერძო სამართლის მიხედვით, ამისათვის სახელმწიფომ უნდა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილება რესტორნის დაექვეის შესახებ. ეს არის პრობლემის გადაწყვეტის რთული და ხანგრძლივი გზა, რომელიც ეწინააღმდეგება სამოგადოების ჯანმრთელობის დაუყოვნებლივ დაცვის მოთხოვნას. ამიტომ გაცილებით მოსახერხებელი და ეფექტურია ადმინისტრაციულ ორგანოს რესტორნის დაექვეის უფლება მიეცეს საკუთარი ბრძანების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში აშკარაა, რომ გარკვეულწილად ილახება მოქალაქის უფლებები, რომელიც მოულოდნელად აღმოჩნდება სახელმწიფო ორგანოს მიერ მის წინააღმდეგ გამოცემული ბრძანების წინაშე. თანაც ამ ბრძანების აღსრულების უფლებაც იმავე სახელმწიფო ორგანოს გააჩნია. სამოქალაქო სამართლის მიხედვით კი, მას ექნებოდა საშუალება წარმდგარიყო მოპასუხის როლში სასამართლოს წინაშე და გამოეთქვა საკუთარი არგუმენტები მანამ, სანამ მისი უფლებრივი მდგომარეობა გაუარესდებოდა. ასეთ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ კერძო ინტერესების გარკვეულწილად შეზღუდვა ხდება საჯარო ინტერესების სასარგებლოდ, მოქმედებას იწყებს სპეციალური ადმინისტრაციული ნორმები, რომლებიც ადგენენ კერძო ინტერესების დაცვის ცალკეულ საშუალებებსა და მექანიზმებს. ასეთი დაცვის მექანიზმია ადმინისტრაციული ორგანოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, გადაწყვეტილების მიღებამდე მისცეს კერძო პირს საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება. ამასთან, ამ კონკრეტულ შემთხვევაში წინასწარ უნდა

იყოს დადგენილი საკვების ხარისხისა და რესტორნის სანიტარიული მდგომარეობის კრიტერიუმები, რომელთა შესაბამისადაც უნდა იქნეს მიღებული გადაწყვეტილება. ასევე, მოქალაქეს უნდა მიეცეს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება. ზოგადად რომ ვთქვათ, ადმინისტრაციული სამართალი, ერთი მხრივ, ქმნის საჯარო ინტერესების დაცვის უფლებამოსილებას და, მეორე მხრივ, ადგენს საჯარო ინტერესების რეალიზების პროცესში კერძო ინტერესების დაცვის მექანიზმებსაც. აღნიშნული პრინციპი, ცნობილი როგორც “ადმინისტრაციული რაციონალე”, პირველად დამკვიდრდა ფრანგულ სამართალში, საიდანაც შემდგომში გავრცელდა გერმანულ სამართალშიც, სადაც კიდევ უფრო გაიზარდა კერძო ინტერესების დაცვის მექანიზმები საეკიპალური ადმინისტრაციული სასამართლოების შექმნის გზით. შემდგომში გერმანული ადმინისტრაციული სამართლის ბაზაზე შეიქმნა პოლანდიური და კიდევ რამდენიმე ევროპული ქვეყნის ადმინისტრაციული სამართალი.

3. უკვე აღვნიშნეთ, რომ ადმინისტრაციული სამართალი არეგულირებს ვერტიკალურ ურთიერთობებს მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის, მაშინ როდესაც სამოქალაქო სამართალი კერძო პირთა შორის თანასწორი, პორიზონტალური ურთიერთობების მარეგულირებელ სამართლის დარგად გვევლინება. სინამდვილეში, სამართლის ამ ორი დარგის მკვეთარი გამიჯვნა დღესდღეობით შეუძლებელია. არსებობს მრავალი სამართლებრივი დოქტრინა ამ ორი დარგის გამიჯვნის შესახებ, თუმცა, არც ერთი მათგანი არ არის სრულყოფილი. პრობლემის ძირითადი არსი მდგომარეობს სფეროების – “კერძოსა” და “საჯაროს” ამჟამად გამიჯვნის შეუძლებლობაში. თითქოს ამჟამად, რომ პატარა კერძო რესტორანი კერძოსამართლებრივი ურთიერთობის სფეროა, ხოლო პოლიცია საჯარო, მაგრამ, თუკი ავიღებთ კავშირგაბმულობის გიგანტ კომპანიასა და, ვთქვათ, მუნიციპალურ საბინაო სამსახურს, მაშინვე ვიგრძნობთ განსხვავებას. უნდა იყოს თუ არა მობილური კომუნიკაციების განმახორციელებელი კერძო კომპანია შეზღუდული თავის საქმიანობაში საჯარო სამართლის წესებით, ანდა უნდა იყავდეს თუ არა ბინების გაქირავების მუნიციპალური სამსახური ქირაავნობისათვის კერძო კანონმდებლობით დადგენილ წესებს?

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად დასავლურ სამართალში რამდენიმე კრიტერიუმი იქნა შემოღებული:

ა) საჯარო ინტერესი. ამ კრიტერიუმის საფუძველი გახდა გაიუსის ფორმულა “*Jus publicum est quod ad rem publicam spectat*”. ამ პრინციპის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალი იცავს საჯარო ინტერესს, ხოლო კერძო სამართალი — კერძო პირთა ინტერესებს. აღნიშნული პრინციპი არ გამოდგება ყველა შემთხვევაში, რამეთუ ხშირად კერძო სამართალი საჯარო ინტერესებს ემსახურება და პირიქით. მაგალითად, “ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ” კანონი, რომელიც კერძო სამართლის სფეროს განეკუთვნება, იცავს არა მარტო ცალკეული მომხმარებლის, როგორც გარიგების ერთ-ერთი მხარის, არამედ ყველა პოტენციური მომხმარებლის, ანუ საზოგადოების ყველა წევრის ინტერესებს. შესაბამისად, აღნიშნული კანონი როგორც კერძო, ისე საჯარო ფუნქციას ემსახურება. გარდა ამისა, კერძო სამართლით დადგენილი საკუთრების უფლებისა და ხელშეკრულების თავისუფლების გარანტიები, ფართო გაგებით ასევე შეიძლება მიჩნეულ იქნეს ეკონომიკისა და ბაზრის განვითარების გზით საზოგადოებრივი ინტერესის დამაყოფილების ერთ-ერთ მექანიზმად (ა. სმიტი);

ბ) საჯარო ხელისუფლება. ამ კრიტერიუმის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალი განიმარტება როგორც დარგი, რომელიც აწესრიგებს მხარეთა უთანასწორობასა და დაქვემდებარებაზე დამყარებულ ურთიერთობებს. აღნიშნული კრიტერიუმიც არ არის უნივერსალური. თუმცა იგი მიესადაგება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობათა უმეტეს ნაწილს, მაგრამ ამავე დროს, კლასიკურ სამოქალაქო სამართალშიც მოიძებნება დაქვემდებარების პრინციპზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობები (მაგ.: ურთიერთობები მშობლებსა და შვილებს შორის, შრომითი ურთიერთობები და სხვ.). მეორე მხრივ კი, ადმინისტრაციულ სამართალშიც მოიძებნება შემთხვევები, როდესაც სახელმწიფო ორგანოსა და კერძო პირის ურთიერთობა თანასწორობის პრინციპებზეა დამყარებული. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოებს საცხოვრებელი ფართის ქირავენობის ხელშეკრულებას ჩვეულებრივ მოქალაქესთან;

გ) კონკრეტული წესები. აღნიშნული მიდგომის შესაბამისად, იმისათვის, რომ დაეადგინოთ განეკუთვნება თუ არა ცალკეული საკანონმდებლო აქტი ადმინისტრაციულ სამართალს, უნდა გავარკვიოთ შეიცავს თუ არა ესა თუ ის კანონი ადმინისტრაციული კონტროლის განხორციელების "განსხვავებულ და სპეციალურ ნორმებს". ასეთი მიდგომაც ძირითადად ესადაგება ადმინისტრაციული საკანონმდებლო აქტების უმეტესობას, სამაგიეროდ, ღიად ტოვებს საკითხს, თუ რა უნდა მიეკუთვნოს "განსაკუთრებულ და სპეციალურ ნორმებს".

სამივე ზემოაღნიშნული კრიტერიუმში აშკარას ხდის ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს: მის მიზნებს (საჯარო ინტერესი), საშუალებებს (ძალაუფლება და დაქვემდებარება) და კონტროლის საშუალებებს (სპეციალური წესები).

საქართველოს ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა არ გამოიყენა არც ერთი ზემოაღნიშნული მიდგომათაგანი და შემოგვთავაზა საკითხის გადაწყვეტის შედარებით მარტივი გზა, რომელიც ფორმალურ კრიტერიუმებზეა დამყარებული და, შესაბამისად, გაცილებით მარტივია პრაქტიკაში გამოსაყენებლად. კოდექსის შესაბამისად, ყველა სამართლებრივი ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის რეგულირების სფეროს, ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ღიდ მნიშვნელობას იძენს ადმინისტრაციული ორგანოს დეფინიციის საკითხი, რასაც კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ა" ქვეპუნქტი ახდენს. აქ, აქცენტი გაკეთებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო ხელისუფლების განხორციელებაზე. ჩვენ შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კოდექსი იყენებს საჯარო ხელისუფლების კრიტერიუმს (ზემოაღნიშნული "ბ" ქვეპუნქტი, თუმცა ეს პრინციპი გამოიყენება მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს და არა ადმინისტრაციული სამართლის დეფინიციისას). სახელმწიფო დაწესებულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს იმ შემთხვევაში, როდესაც ახორციელებს საჯარო ხელისუფლებას. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მონაწილეობს კერძო სამართლით მოწესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობებში, უპირატესად ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული. ყოველივე ზემოაღნიშნული

აღარ წარმოშობს გერმანული სამართლის დოქტრინაში არსებული ადმინისტრაციული კერძო სამართლის ცნების შემოტანის საჭიროებას, რომელიც, როგორც თავად მისი ავტორებიც აღნიშნავენ, საკმაოდ ბუნდოვანი და რთულია.

საჯითხისადმი ქართული კანონმდებლობის მიდგომის თანახმად, სამართლებრივი ურთიერთობა, რომელშიც მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, რეგულირდება ადმინისტრაციული კანონმდებლობით. ასეთი მიდგომის შემთხვევაში, ადმინისტრაციულ საკანონმდებლო აქტებად უნდა მივიჩნიოთ ის კონკრეტული ნორმებიც, რომლებიც თუმცა კერძო სამართალშია განთავსებული, მაგრამ ძირითადად სწორედ სახელმწიფოს ან სახელმწიფო ორგანოებს ეხება. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო მოხელის პასუხისმგებლობას სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევისათვის. კერძო სამართლის იმ ნორმებთან დაკავშირებით, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენება კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, მაგრამ შესაძლებელია მათი ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმართებაში გამოყენებაც, კოდექსი რაიმე ცალსახა განმარტებას არ იძლევა. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ სამოქალაქო სამართლის ნორმები ქირავნობის შესახებ, რომელიც ხშირად გამოიყენება მუნიციპალურ-საბინაო (ადმინისტრაციული) ურთიერთობებში. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ კანონის შეფარდების კონკრეტულ შემთხვევებში კერძო სამართლის კანონის ნორმას მიენიჭოს ადმინისტრაციული სამართლის სტატუსი და მისი განმარტება მოხდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამისად. ალტერნატიულ ვარიანტს წარმოადგენს ის, რომ კერძო სამართლის ნორმა რჩება კერძო სამართლად და მხოლოდ ანალოგიით ხდება მისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებზე გავრცელება სხვა ადმინისტრაციული კანონმდებლობის გვერდით. ჩვენი აზრით, უპირატესობა სწორედ ამ მეორე ვარიანტს უნდა მიენიჭოს, რამეთუ იგი თავიდან აგვაცილებს სამართლის ნორმის ორმაგი ბუნების შესახებ თეორიების მოშველიების აუცილებლობას. ასევე, ანალოგიის მეთოდის გამოყენება კიდევ უფრო აშკარად განსაზღვრავს, რომ კერძო სამართლის ნორმების ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებზე გავრცელებისას, მათი ინტერპრეტაცია უნდა მოხდეს აღნიშნული

ტიპის ურთიერთობათა სპეციფიკურობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე, ყველა გარიგება, დადებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, იწოდება ადმინისტრაციულ გარიგებად მხოლოდ ერთი ფაქტის — მასში სახელმწიფო ორგანოს მონაწილეობის გამო და არა გარიგებით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსის გამო.

4. სოციალისტური კანონმდებლობიდან ახალ ადმინისტრაციულ სამართლებრივ

კომუნისტურ პერიოდში აღიარებული “იდენტურობის თეორიის” შესაბამისად, არ არსებობდა უფლებებსა და მოვალეობებზე დამყარებული სამართლებრივი ურთიერთობები ადამიანსა და სახელმწიფოს შორის, რამეთუ სახელმწიფო იყო მოქალაქე და მოქალაქე იყო სახელმწიფო. ადმინისტრაციული ორგანოები წარმოადგენდნენ მხოლოდ ხალხის ნების გამოხატვისა და აღსრულების ინსტრუმენტს. ასეთი კონცეფცია არ წარმოშობდა ადმინისტრაციულ ორგანოებთან მიმართებაში მოქალაქეთა დაცვის მექანიზმების არსებობის აუცილებლობას. კომუნისტური იდეების პრაქტიკაში განხორციელების მცდელობამ დაგეიანახა ამგვარი თეორიების მცდარობა. ადამიანები თავს გრძნობდნენ ადმინისტრაციის დაქვემდებარებაში მყოფ არსებებად და არა მათ ხელმძღვანელებად.

ადმინისტრაციული სამართლის კომუნისტური დოქტრინა იმდენად ძლიერი იყო, რომ მან, ერთი მხრივ, ხელი შეუშალა ადმინისტრაციასთან მიმართებაში მოქალაქეთა უფლებებზე დაფუძნებული ადმინისტრაციული კანონმდებლობის შექმნას, ხოლო მეორე მხრივ, ხელი შეუწყო ადმინისტრაციული სამართლის ისეთი ტიპის ნორმათა ჩამოყალიბებას, რომლებიც დამყარებული იყო ადამიანთა მოვალეობების დაწერილებით აღწერასა და კონტროლზე. სწორედ ასეთ საკანონმდებლო აქტს წარმოადგენდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელშიც როგორც საქართველოში, ისე სხვა პოსტ-საბჭოურ ქვეყნებში მრავალი შესწორება შევიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც კვლავ საბჭოურ კონცეფციას ეფუძნება და სერიოზულ გადახედვას მოითხოვს. ასეთი საკანონმდებლო აქტები ადგენდნენ მრავალ შემზღუდავ წესებს და განსაზღვრავდნენ სანქციებს აღნიშნული წესების დარღვევისათვის. ამით, სხვა ადმინისტრაციულ კანონებ-

თან ერთად. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსები აწესებდნენ პრინციპს, რომ ყველაფერი, რაც სპეციალურად არ არის დაშვებული, აკრძალულია და იყენებდნენ მრავალგვარ სანქციებს ამ პრინციპის გასატარებლად. ამის საწინააღმდეგოდ სამართლებრივ სახელმწიფოში ადმინისტრაციული სამართალი ატარებს პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ყველაფერი, რაც სპეციალურად არ არის აკრძალული, დაშვებულია. გარდა ამისა, ადმინისტრაციის ხელშია პირდაპირი სანქციების გატარებაზე ბევრად უფრო მრავალფეროვანი, ცივილური და უფრო ეფექტური ინსტრუმენტები. მაგალითად, საჯარო მოხელეები თავდაპირველად ცდილობენ ზეპირად დაარწმუნონ მოქალაქეები გარკვეული ქმედების შესრულების აუცილებლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ გამოსცემენ შესაბამის აქტს, რასაც თავის მხრივ, მესამე ეტაპად მოსდევს გამოცემული ადმინისტრაციული აქტის აღსრულება. გარდა ამისა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე მოუსმინოს ნებისმიერ პირს, რომელსაც ეს აქტი უნდა შეეხოს. ამასთან, დადგენილია მთელი რიგი მოთხოვნები სახელმწიფო მოხელეთა მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, მოქალაქეებს აქვთ ნებისმიერი ოფიციალური ინფორმაციის მიღების უფლება. შედარებით რთულ შემთხვევებში ხდება საქმეში მესამე პირების ჩართვა და ა.შ. ასევე, იმ შემთხვევებში, თუკი სახელმწიფო ორგანო დაარღვევს კანონს, პირს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საკუთარი უფლებების დასაცავად. ცხადია, რომ აღნიშნული პრინციპების ჩვენს სამართალში დამკვიდრება შეუძლებელი იქნებოდა მხოლოდ რეპრესიული ტიპის საკანონმდებლო აქტში — ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების შეტანის გზით. საჭირო გახდა ახალი კანონი — ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი მთლიანად დაფუძნებულია როგორც მოქალაქის, ისე სახელმწიფო ორგანოს ახალ, თანამედროვე ფასეულობებზე. სახელმწიფო მოხელეთა სტატუსი იცვლება იმგვარად, რომ მათთვის აშკარა გახდეს — ისინი კი არ ხელმძღვანელობენ საზოგადოებას, არამედ ემსახურებიან მას. ისინი იმყოფებიან საზოგადოების მუდმივი კონტროლის ქვეშ და მათი მოვალეობაა ამ მოქალაქეთა მიერ მიწოდებული ინფორმაციისა და მოქალაქეთა სურვილების მოსმენა. თავის მხრივ, მოქალა-

ქეებმა, განსაკუთრებით მისმა ნაკლებად შეძლებულმა და ნაკლებად გავლენიანმა ნაწილმა უნდა იგრძნოს კანონის მხარდაჭერა და თანდათანობით ისწავლოს მათთვის მინიჭებული უფლებების ეფექტურად გამოყენება. ჩვენ გვესმის, რომ ყოველივე ეს ბევრად უფრო ძნელი განსახორციელებელია ცხოვრებაში, მაგრამ თუ არ მოსდება აღნიშნული წესების დადგენა და თუკი საზოგადოება არ შეეცდება თანდათანობით ეს დაწერილი ნორმები ცხოვრებაში განახორციელოს, სახელმწიფო ხელისუფლებას მუდმივად ექნება მიდრეკილება და მცდელობა გადაიქცეს უფრო და უფრო ტოტალიტარულ ინსტიტუტად.

5. აღმინისტრაციული სამართალი და კორუფცია

კორუფცია ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის ახალი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. მან შეაღწია ყველა სახელმწიფო სტრუქტურაში და, ფაქტობრივად, პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. ასეთ სიტუაციაში კანონმდებელს სჭირდება სრულიად განსაკუთრებული მიდგომები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ეფექტური მმართველობა და ადამიანის უფლებების დაცვა.

სახელმწიფო მექანიზმში ისეა მოწყობილი, რომ სახელმწიფო მოხელისათვის არარაციონალურია იყოს არაკორუმპირებული. მიუხედავად კორუფციის მასშტაბებისა, უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე თითქმის არც ერთი მაღალჩინოსანი არ მიცემულა პასუხისმგებაში. სახელმწიფო მოხელები, როგორც წესი, ძალზე მცირე ხნით ინიშნებიან საპასუხისმგებლო “შემოსავლიან” თანამდებობებზე, ამავე დროს არავითარი ამრი არ აქვს პატიოსანი მუშაის იმიჯის შექმნას კარიერის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ თანამდებობის პირთა უმეტესობა ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს თანამდებობით მინიჭებული უპირატესობები საკუთარი საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. სახელმწიფო არაფრით ახალისებს მოხელეს იყოს პატიოსანი, პირიქით, ყველა პირობაა შექმნილი, რომ საკუთარი თანამდებობა ბოროტად იქნეს გამოყენებული. კორუმპირებულობა სახელმწიფო მოხელეს შესაძლებლობას აძლევს უფრო ძლიერად იგრძნოს თავი სახელმწიფო სისტემაში, ჰქონდეს მეტი ფინანსური შესაძლებლობები სახელმწიფოს სასიცოცხლო ფუნქციების შესას-

რულებლად. კორუმპირებულობა აძლევს სახელმწიფო მოხელეს შესაძლებლობას უფრო აქტიურად გამოჩნდეს საზოგადოებრივ ასპარეზზე მასმედიის კომერციალიზაციის ფონზე და შექმნას კარგი საზოგადოებრივი ურთიერთობების ქსელი. ყველაფერი ეს კი ნიშნავს იმას, რომ კორუმპირებულობა აძლევს სახელმწიფო მოხელეს შესაძლებლობას უფრო დიდხანს დარჩეს საკუთარ თანამდებობაზე.

ჩვენი კანონმდებლობა, ამასთანავე, არ შეიცავს რეალურ სამართლებრივ ალტერნატივას უბრალო მოქალაქისათვის, რათა იგი იძულებული არ იყოს მოისყიდოს სახელმწიფო მოხელე. მოქალაქეს უმეტეს შემთხვევაში არ რჩება პრობლემის გადაწყვეტის სხვა რაიმე გზა ქრთამის მიცემის გარდა.

მიუხედავად მრავალი კონსტიტუციური თუ საკანონმდებლო გარანტიისა, ქვეყანაში არ არსებობს სივრცე თავისუფალი მეწარმეობისათვის. რეალურად, წარმატებული ბიზნესის წარმოება საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ ხელისუფლებასთან დაახლოებულ პირთათვის. საწარმო; რომელიც პატიოსნად იხდის ყველა გადასახადს, ძალზე ძნელად თუ იქნება კონკურენტუნარიანი იმ სიტუაციაში, როდესაც მისი კონკურენტები თითქმის არავითარ გადასახადს არ იხდიან და, აქედან გამომდინარე, თავის საქონელს ან მომსახურებას გაცილებით ნაკლებ ფასში სთავაზობენ მყიდველს. ამას ემატება ის გარემოება, რომ კანონმდებლობა ავალდებულებს მეწარმეს იქონიოს უამრავი დასახელებისა და სახის ლიცენზია, ნებართვა, სერტიფიკატი, რომელთა მისაღებად არ არსებობს მუსტად განსაზღვრული პროცედურა და მოთხოვნები. ამ სიტუაციაში ძალზე ძნელი წარმოსადგენია თავისუფალი ბიზნესის არსებობა და ბიზნესმენიც იძულებული ხდება თავისი საქმის გადასარჩენად ეძებოს თანამდებობა, “კრიშა” ან იხადოს თითქმის დაკანონებული “გადასახადები” ჩინოვნიკების ჯიბეში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი გემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით კორუფციის დაძლევის ოთხ ძირითად მექანიზმს გეთავაზობს:

ა) დისკრეციული უფლებამოსილებების შემღუღვა — საბჭოთა და შემდგომში პოსტ-საბჭოური ქართული სამართლისათვის დამახასიათებელია ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ფართო დისკრეციული უფლებამოსილებების არსებობა. ხშირად ეს უფლება-

მოსილებები არაფრით არ არის შემღვდული, მაგ., “სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ” საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად “დაბადების რეგისტრაციისათვის აუცილებელი საბუთების ნუსხას ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის, განსაზღვრავს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოს ხელმძღვანელი ან მისი მოვალეობის შემსრულებელი”. ასეთი საკანონმდებლო ნორმები ნოყიერ ნიადაგს ქმნის კორუფციისათვის, რადგანაც ადმინისტრაციული უწყებები შეუმღვდავ და კონტროლს გარეშე დარჩენილ ძალაუფლებას ყოველთვის ბოროტად იყენებენ.

კოდექსი დისკრეციული უფლებამოსილების (უფლებას, კანონით გათვალისწინებული რამდენიმე შესაძლო გადაწყვეტილებიდან მიღებულ იქნეს ერთ-ერთი) შემღვდვას რამდენიმე გზით ახორციელებს. ადმინისტრაციული კოდექსი, ერთი მხრივ, ცდილობს ზუსტად განსაზღვროს საჯარო მოსამსახურის უფლებები და ვალდებულებები. მაგალითად, კოდექსის მე-60 მუხლით ზუსტად დადგენილია, თუ რა შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს კანონის დარღვევით გამოცემული ადმინისტრაციული აქტი ბათილად. ასევე, კოდექსის 37-ე მუხლი ზუსტად ადგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის წესსა და ვადებს. სწორედ ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო მოსამსახურე მოკლებულია შესაძლებლობას თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს საკითხი, რამდენ იგი არცთუ იშვიათად ქრთამს სძალავს მოქალაქეებს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოგადი ადმინისტრაციული კოდექსი საერთოდ აუქმებს ადმინისტრაციის დისკრეციულ უფლებამოსილებებს და მოხელე დაჰყავს კანონის ავტომატურ ამსრულებლად. მრავალ სფეროში შეუძლებელია ადმინისტრაციული ორგანოსათვის დისკრეციული უფლებამოსილებების მინიჭების თავიდან აცილება. მაგალითად, კოდექსის 61-ე მუხლით განსაზღვრულია შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება მისი მოძველებულობისა და პრაქტიკული მნიშვნელობის დაკარგვის გამო. ადმინისტრაციულ ორგანოებს განსაკუთრებით დიდი ოდენობით დისკრეციული უფლებამოსილებები მინიჭებული აქვთ საეკონომიკური კანონებით, რომლებიც სახელმწიფო ადმინისტრაციის სხვადასხვა სფეროებს (მაგ., მშენებლობა, ჯანდაცვა, იუსტიცია და ა. შ.) არეგულირებენ. ასეთ შემთხვევაში კოდექსი ცდილობს დააწესოს დისკრეციული

უფლებამოსილების გამოყენების ფარგლები. გარდა სპეციალურად დაწესებული შემლუდებისა, კოდექსი, ასევე, განსაზღვრავს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ზოგად პრინციპებსაც: მიღებული გადაწყვეტილების კანონის მიზნებთან შესაბამისობას, პროპორციულობისა და თანასწორობის პრინციპებს და სხვ. ყოველივე ამას მინიმუმამდე დაჰყავს საჯარო მოსამსახურეთათვის დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების კორუფციის წყაროდ გადაქცევის შესაძლებლობა;

ბ) კორუფციასთან ბრძოლის მეორე მექანიზმს წარმოადგენს დერეგულაცია. ტრადიციულად, ჩვენს ქვეყანაში სამოგადოებრივი აქტივობის ყველა სფერო სახელმწიფოს მიერ იყო მკაცრად რეგლამენტირებული. სახელმწიფო ერევა მოქალაქეთა ცხოვრების ყველა სფეროში და თითქმის არ ტოვებს სივრცეს თავისუფალი საქმიანობისათვის. ეს ტრადიცია კომუნისტური რეჟიმიდან იღებს სათავეს. მოქალაქე ვერ დაიწყებს ვერანაირ ბიზნესს, თუ სახელმწიფოსგან უამრავი ნებართვა არ მიიღო. აკრძალვებისა და ნებართვების სისტემა სუსტი სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობის პირობებში თავის პირდაპირ ამოცანებს ვერ ასრულებს, ვერ ქმნის შესაბამის პირობებს მოსახლეობისათვის და რეალურად მხოლოდ ჩინოვნიეთა პირად კეთილდღეობას ემსახურება.

სწორედ ამიტომ კოდექსის ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მთელ რიგ მარეგულირებელ ფუნქციებზე უარის თქმა. ეს კი, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეამცირებს სახელმწიფო მოსამსახურეთათვის ქრთამის აღების შესაძლებლობას;

გ) გადაწყვეტილებების მიღების წესების მუსტი განსაზღვრა კორუფციასთან ბრძოლის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია. მაგ., ისეთი პროცედურული წესები, როგორცაა საქმის წარმოებაში იმ პირთა დაუშვებლობა, რომელთაც გააჩნიათ აღნიშნულ საქმეში პირადი დაინტერესება, ისევე როგორც გადაწყვეტილებათა მიღებისათვის კონკრეტული ვადების დაწესება. ასეთ შემთხვევაში კორუმპირებული ჩინოვნიცი მოცლებულია შესაძლებლობას ქრთამის მოლოდინში გააჭიანუროს საქმის გადაწყვეტა. ასევე, ადმინისტრაციული წარმოების ღიაობისა და ადმინისტრაციული ინფორმაციის საჯაროობის პრინციპები მაქსიმალურად გაართულებს ფარული გარიგებების დადების შესაძლებლობას;

დ) კორუფციასთან ბრძოლის კიდეც ერთ მექანიზმს წარმოადგენს სახელმწიფო ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის დაწესება. მაგალითად, კანონით დადგენილია, რომ ადმინისტრაციული აქტი, რომელიც გამოიყენებს კორუფციული სამართალდარღვევის შედეგად, თავისთავად ბათილია. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ, უფრო სწორად კი, ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელმა თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს ინფორმაცია, რომ მის დაქვემდებარებაში მყოფმა მოხელემ აიღო ქრთამი, სავალდებულო წესით ბათილად უნდა გამოაცხადოს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი. იმ შემთხვევაში, თუკი პირი არ შეასრულებს აღნიშნულ ვალდებულებას, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს როგორც აქტის ბათილობის, ისე ორგანოს პასუხისმგებლობისა (რაც დეტალურად შემდეგში გვექნება განხილული). და მიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

დაბოლოს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ყველაფერი თავისთავად ვერ შეძლებს კორუფციის დამარცხებას, თუ იგი არ იქნა დამატებით გამყარებული სხვა საშუალებებითაც, რომელთა შორის ერთ-ერთი უმთავრესია საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციისა და მათი შრომის ანაზღაურების საკითხები.

6. ადმინისტრაციული სამართლის წყაროები

ადმინისტრაციული სამართალი, უპირველეს ყოვლისა, პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებში აისახება. ძირითად საკანონმდებლო წყაროს წარმოადგენს თავად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. მასში შეტანილია ყველა ის საკითხი, რომელიც საერთო ადმინისტრაციული სამართლის დარგის ყველა ინსტიტუტისათვის კოდექსის გარდა, არსებობს უამრავი სხვა კანონი ადმინისტრაციული სამართლის სფეროში, როგორცაა მაგალითად: კანონი "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ", კანონი "გარემოს დაცვითი ნებართვების შესახებ", კანონი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", საგადასახადო კოდექსი და სხვა. სპეციალური კანონები შეიცავს დებულებებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მოცემულია კოდექსებში „lex specialis“ პრინციპის მიხედვით: მაგალითად, კანონი „გარემოს დაცვითი ნებართვების შესახებ“ მოიცავს დეტალურ დებულებებს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. მეორე მაგალითია კანონი

“სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ”, რომელიც მე-13 მუხლში განსაზღვრავს ლიცენზიის გაუქმების სპეციალურ წესს. მე-13 მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ. თუ ლიცენზიის მქონე პირი ხელმეორედ დაარღვევს კანონს, გადაწყვეტილება კანონის ძალის დაკარგვასთან დაკავშირებით მოხდება სასამართლოსათვის კომპეტენტური ორგანოს მიმართვის შემდეგ. და პირიქით, კოდექსის მე-16 მუხლი სამუალებას აძლევს ორგანოს თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის გაუქმების შესახებ. ასეთ შემთხვევაში სპეციალური კანონი ამუსტებს და ავსებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებებს. კონკრეტული საკითხის გადაწყვეტისას.

ადმინისტრაციული ორგანოები შეზღუდულნი არიან არა მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული კანონებით, არამედ. აგრეთვე, იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით (მაგ., საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება ან მინისტრის ბრძანება), რომლებიც გამოცემულია “ნორმატიული აქტების შესახებ” კანონის შესაბამისად. თუ ასეთი ნორმატიული აქტები არ შეესაბამება ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსს, მაშინ ისინი ითვლება ბათილად („per se“) და ადმინისტრაციული ორგანოები ვალდებული არიან არ გამოიყენონ ისინი (იხ. “ნორმატიული აქტების შესახებ” კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი). ამ იერარქიიდან გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ პრეზიდენტის დეკრეტები, რომლებიც მხოლოდ საომარ და საგანგებო ვითარების დროს გამოიყენება და მათ კანონის ძალა გააჩნიათ (მუხლი 22, პუნქტი 3). წინააღმდეგობის შემთხვევაში გამოიყენება „Lex posterior“ წესები.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა იხელმძღვანელონ საქართველოს კონსტიტუციითა და სახელმწიფოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო კონვენციებითა და ხელშეკრულებებით, რომლებსაც გააჩნიათ უპირატესობა ყველა სხვა ნორმატიულ აქტთან მიმართებაში. უმეტეს შემთხვევაში კონსტიტუცია და კონვენციები უკვე განხორციელებულ და გათვალისწინებულ იქნა იმ კანონმდებლობასა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, რომლებითაც ხელმძღვანელობენ აღნიშნული ორგანოები. შემდგომში კონსტიტუციური და საერთაშორისო სამართალი უშუალო გავლენას მოახდენს მხოლოდ იმ ორგანოზე, რომელშიც უნდა მოხდეს გაურყვეველ საკითხთა სრულყოფა ან, სადაც იური-

დიული ფორმულირება იმდენად ვრცელია, რომ შესაძლებელია მისი სხვადასხვაგვარი განმარტება. აღნიშნულ შემთხვევებში ეს ის ძირითადი უფლებებია, რომლებიც მითითებულია კონსტიტუციასა და ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპის კონვენციაში, რომელიც უნდა გაითვალისწინოს ორგანომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითად, საკუთრების უფლება გათვალისწინებულ უნდა იქნეს მაშინ, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს სასამართლოს შესეღულებისამებრ გააჩნია უფლება ძალადაკარგულად გამოაცხადოს ადმინისტრაციული აქტი კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად. დამატებით, განსაკუთრებულ საერთაშორისო კონვენციებში შეიძლება ასახულ იქნეს უფრო სპეციფიკური მოთხოვნები. მაგალითად, ორპუსის 1998 წლის კონვენცია „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ ადმინისტრაციულ წარმოებაში. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს ტერმინის – „დაინტერესებული მხარე“ – განმარტება იმგვარად, რომ იგი გულისხმობდეს იმ ორგანიზაციებსაც, რომელთა არა მარტო კანონიერ ინტერესებზე, არამედ კანონიერ მიზანზეც გავლენას ახდენს ადმინისტრაციული აქტი (იხ. მე-2 მუხლის კომენტარი).

7. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის საფუძველი

« კოდექსი ემყარება როგორც ქართული ადმინისტრაციული სისტემის, ასევე დასავლეთ ევროპისა და აშშ-ის ადმინისტრაციული სამართლის ტრადიციებს. »

ადმინისტრაციული სამართლის კოდიფიცირების ძირითადი მიმართულებები უკავშირდება გერმანიის, ამერიკისა და, ყველაზე მეტად, ჰოლანდიის მაგალითებს. მაგრამ, მაშინ, როცა ამ ქვეყნების უპირატესობას წარმოადგენდა საპრეცედენტო სამართლის მყარ ფუნდამენტზე მშენებლობა, კოდიფიცირება საქართველოში ნიშნავს ძველ საფუძველზე ახლის აღმოცენებას. პირველი თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი პრინციპების დადგენა განხორციელდა ევროსაბჭოს მოთხოვნების შესაბამისად. მე-6-11 თავების ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, დაკავში-

რებული ადმინისტრაციული აქტების გამოცემის სამართლიანი და გონივრული პროცედურების დადგენასთან, ემყარება ანგლო-ამერიკულ ტრადიციებს, რომელიც დროთა განმავლობაში დასაველეთ ევროპის ადმინისტრაციული სამართლის სისტემების საფუძვლად იქცა. ამ უკანასკნელის საქართველოს მოთხოვნების შესაბამისად ადაპტირებისათვის საჭიროა იმ სხვადასხვა პროცედურების შერჩევა, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სათანადო შემთხვევებში. ამის გათვალისწინებით შემოღებულ იქნა მარტივი, ფორმალური და საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პროცედურა.

მე-3 თავი, ადმინისტრაციული ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, წარმოადგენს ამერიკული მოდელის რეკუფიციას. კონტინენტური ევროპის სამართლის შესაბამისია კოდექსის მე-4 თავი, ასევე დებულებები ადმინისტრაციული აქტის, ადმინისტრაციული გარიგების, ადმინისტრაციული ორგანოს მოქმედებისა და ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების განსაზღვრებათა შესახებ. მაგალითად, ადმინისტრაციული აქტების (მე-60 და 61-ე მუხლები) ბათილობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების წესები უკავშირდება გერმანულ მოდელს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ პროცედურა გარკვეულწილად შეცვლილია.

გერმანული მოდელი ასევე გამოყენებულ იქნა ადმინისტრაციული აქტების აღსრულების საკითხთან (მე-12 თავი) დაკავშირებით, რადგანაც მასში გათვალისწინებულია უფრო ქმედითი და ეფექტური საშუალებები, ვიდრე ანგლო-ამერიკულ სამართალში.

ფრანგული და გერმანული სამართლის ტრადიციები იქნა გამოყენებული ადმინისტრაციული გარიგებების შესახებ დებულებებში. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 თავის დებულებები ადმინისტრაციულ ორგანოთა ურთიერთდახმარების შესახებ, ძირითადად გერმანული სამართლიდან მომდინარეობს.

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრინციპის ჩამოყალიბების რთული ამოცანა გადაიჭრა ისევე ფრანგულ და გერმანულ მოდელებზე დაფუძნებული კონცეფციის შექმნით, რაც, მიუხედავად ამისა, უნდა განხორციელდეს ნაყლები სიმყაყრით, რათა მოერგოს საქართველოს ბიუჯეტის რეალურ მდგომარეობას (მე-14 თავი). ინგლისის ადმინისტრაციული სამართლის იდეები გამოყენებულ იქნა დამოუკიდებელი ორგანოების მიერ ადმინისტრაციული

აქტის გამოცემის შესახებ დებულებებში (მე-11 თავი). აშშ-ის მოდელი გამოყენებულია ნორმატიული აქტების მომზადებისა და გამოცემის პროცედურების განმსაზღვრელ დებულებებში, თუმცა თავიდან იქნა აცილებული მრავალი ის სირთულე, რომლებიც ჩვეულებრივ აღნიშნული მოდელის გამოყენებას მოჰყვება ხოლმე (მე-15 თავი).

დაბოლოს, ადმინისტრაციული საჩივრის შესახებ არსებული თავი უბრუნდება პოლანდიურ მოდელს, თუმცა საქართველოში სახელმწიფო მართვის ხარისხის მიმართ ცნობილი უნდობლობის გათვალისწინებით გადაწყდა, რომ მოქალაქეს შეუძლია ადმინისტრაციული აქტის წინააღმდეგ შეიტანოს სარჩელი უშუალოდ სასამართლოებში იმ შემთხვევაშიც კი, თუ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული პროცედურა მხოლოდ პირველი საფეხურია, რომლის გასაჩივრებაც შემდგომში კანონით არის გათვალისწინებული (მე-13 თავი).

ახალი ქართული ადმინისტრაციული კანონმდებლობა არ არის ერთად შეკრებილი განსხვავებული პრინციპების კომპილაცია, არამედ ადმინისტრაციული სამართლის თანამედროვე კონცეფციებისა და სხვა ქვეყნების გამოცდილებისა და ქართული სინამდვილისა და სამართლებრივი ტრადიციების შეხამებისა და შეჯერების ნიმუშს წარმოადგენს. არავის აქვს იმის ილუზია, რომ კოდექსი სრულყოფილია. ეს არის პირველი მცდელობა, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ სპეციალური კანონმდებლობის სრულყოფისა და ლოქტრინული კვლევის საშუალებით ქართული ადმინისტრაციული სამართალი დაიხვეწება და ის შესაძლოა, გარკვეულწილად, სამაგალითო აღმოჩნდეს არა მარტო ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისათვის, არამედ ხანგრძლივი ტრადიციების მქონე დასავლეთის ქვეყნებისთვისაც კი, რომელთა ადმინისტრაციული სამართლის სისტემებს, შესაძლოა, ახლად დამწყებთაგან გარკვეული საკითხების სწავლაც ესაჭიროებოდეს.

მუხლი 1. კოდექსის მიზანი

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის და აღსრულების, ადმინისტრაციული საჩივრის და განცხადების განხილვის, ადმინისტრაციული ვარიეტების მომზადების, დადებისა და შესრულების წესს.

2. კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა.

1. კოდექსის პირველი მუხლი განსაზღვრავს მოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შინაარსსა და მიზანს. კოდექსის მიზანია განსაზღვროს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საჩივრის განხილვის, ადმინისტრაციული ვარიეტების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისა და აღსრულების, ადმინისტრაციული მომზადების, დადებისა და შესრულების წესი. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად პირდაპირი მითითებისა, კოდექსი ასევე არეგულირებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების შესრულება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ასეთ მოქმედებას ძირითადად წინ უძღვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აქტის გამოცემა, რომლის საფუძველზეც ხდება ამ მოქმედების განხორციელება. გარდა ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება შეიძლება უმოქმედობაშიც გამოიხატოს..

2. ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კოდექსის მიზანია უზრუნველყოს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა. საჯარო ინტერესები, ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობა წარმოადგენს იმ სამ ძირითად პრინციპს, რომლებზედაც დაფუძნებულია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა. ადმინისტრაციული ორგანო არათუ იცავს, არამედ წარმოადგენს და ახორციელებს საჯარო ინტერესს, რომელიც თავისი შინაარსით შესაძლოა დაუპირისპირ-

დეს კერძო ინტერესს, თუმცა ამ პროცესში ადმინისტრაციული ორგანო ხელმძღვანელობს იმ პრინციპით, რომ არ იქნეს დარღვეული კანონის მოთხოვნები და ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. რადგანაც საჯარო ინტერესი არის ცალკეული კერძო ინტერესების დაბალანსებული და ურთიერთმეთანასწორობული კრებითი გამოხატულება.⁴

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ამ კოდექსში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;

ბ) დაინტერესებული მხარე – ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;

დ) ადმინისტრაციული აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შემდგომი წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ადმინისტრაციულ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ; აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი;

ვ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს;

ვ) აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს;

ზ) ადმინისტრაციული გარიგება – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი გარიგება;

თ) განცხადება – უფლების მოპოვებაზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემით დაინტერესებული მხარის მიერ ამ კოდექსით დადგენილი წესით შეტანილი წერილობითი მოთხოვნა;

ი) ადმინისტრაციული საჩივარი – დაინტერესებული მხარის მიერ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ამ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი წერილობითი მოთხოვნა დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით იმავე ან ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ, რომელიც არ გულისხმობს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას;

კ) ადმინისტრაციული წარმოება – ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების, აგრეთვე ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტის მიზნით;

ლ) დისკრეციული უფლებამოსილება – უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება;

მ) საჯარო ინფორმაცია – ოფიციალური დოკუმენტი (მათ

ზორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაკული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დაბუღავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია;

ბ) საიდუმლო ინფორმაცია – საჯარო დაწესებულებაში დაკული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დაბუღავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ ტერმინებს სხვა სამართლებრივი აქტით არ შეიძლება მიეცეს სხვა მნიშვნელობა.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

(საქართველოს 2001 წლის 26 ოქტომბრის კანონი №1138 – სსმ I, №33, მუხ. 134)

ამ კანონმა მრავალი ახალი ინსტიტუტის დამკვიდრების პარალელურად შემოიტანა მრავალი ახალი ცნება, რომელიც განმარტებას საჭიროებდა. ამავე დროს კოდექსმა ახლებურად განსაზღვრა და განსხვავებული ინტერპრეტაცია მიანიჭა ბევრ იმ ტერმინს, რომელსაც წარსულ პერიოდში არ გააჩნდა ასეთი შინაარსი. ამან გამოიწვია ის, რომ კანონშივე მოხდა ამ დეფინიციათა განმარტება, რათა უკეთესად და სრული მოცულობით ყოფილიყო ის გაგებული.

ა) ყველა ის ორგანო, რომელიც საჯაროსამართლებრივ ფუნქციებს ასრულებს, კოდექსის მიხედვით ჩაითვლება ადმინისტრაციულ ორგანოდ. საჯაროსამართლებრივი ფუნქციის განხორციელებაში იგულისხმება ხელისუფლებითი ფუნქციების განხორციელება, ანუ ისეთი ფუნქციის განხორციელება, რომელიც არ საჭიროებს მეორე მხარის თანხმობას და რომლის უკანაც სახელმწიფო იძულების მექანიზმი დგას. ადმინისტრაციული ორგანოს განმარტებისას ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ორგანოები, რომლებიც კანონის მიხედვით არიან სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტები, ანუ გააჩნიათ საკუთარი იურიდიული პერსონალობა (legal personality), მაგ., ეროვნული ბანკი, უნივერსიტეტი, კონტროლის პალატა და ა.შ. ამ ორგანოთათვის ასეთი სტატუსის

მინიჭება შეიძლება გამოწვეულ იქნეს იმ ფაქტით, რომ მათი საქმიანობა არ ჯდება ხელისუფლების რომელიმე შტოს საქმიანობაში, ან იმით, რომ მათი საქმიანობის მნიშვნელობისა და თავისებურების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ მათთვის კანონით იქნა მინიჭებული სპეციალური სტატუსი, ან იმით, რომ სახელმწიფო ხელისუფლების რომელიმე ნაწილის დაქვემდებარებაში არიან და მოქმედებენ მათი სახელით. ადმინისტრაციული ორგანოს ძირითადი ფუნქცია არ არის მხოლოდ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა და აღსრულება, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, ადმინისტრაციული გარიგების მომზადება, დადება და შესრულება. არანაყოფიერებელი მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელმწიფოს სასამართლოში წარმოდგენის ფუნქცია. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან რაიმე იურიდიული მნიშვნელობის მოქმედების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს მხარეს სასამართლოში. ამავე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ორგანოებისა და სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილი პირების აქტებსა და მოქმედებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციის განხორციელება შეიძლება მიენიჭოს კერძო (ფიზიკურ ან იურიდიულ) პირსაც. ეს პრინციპი ძირითადად ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე საქმიანობის განხორციელება მოითხოვს სპეციალურ (მაგ., ტექნიკური, სამეცნიერო და ა.შ.) ცოდნას და მისი შესრულება კერძო პირის მიერ შესაძლებელია უფრო მაღალი ხარისხით და მოითხოვს ნაკლებ ხარჯებს. ამის მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო ავტოტრანსპორტის სავალდებულო ტექნიკური დათვალიერების უფლებას გადასცემს კერძო ფირმას, რომელსაც გააჩნია როგორც საამისო ტექნიკური ცოდნა, ისე შესაბამისი ტექნიკური საშუალებანი. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ნაკლებად ეხება ისეთ საკითხს, როგორიცაა ცალკეული ადმინისტრაციულ ორგანოთა უფლებამოსილებები. მხოლოდ კოდექსის მე-2 თავშია განსაზღვრული ადმინისტრაციულ ორგანოთა ურთიერთდახმარების ვალდებულება, ხოლო ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ადმინისტრაციულ ორგანოთა იერარქია, რეგულირდება სხვა აქტებით („აღმასრულებელი ხელისუფლების

სტრუქტურის და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონი, „ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის შესახებ“ კანონი და ა.შ.). ასეთი დაქვემდებარება გულისხმობს იმას, რომ ქვემდგომი ორგანო ვალდებულია იმოქმედოს გემდგომი ორგანოს ბრძანების საფუძველზე. ანუ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ასეთ ორგანოს მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, გემდგომ ორგანოს შეუძლია მიუთითოს, თუ როგორ იქნეს ეს უფლება გამოყენებული;

ბ) დაინტერესებული მხარის ცნება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ადმინისტრაციულ სამართალში, რამეთუ იგი უკავშირდება პირის უფლებას მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, ისევე როგორც უფლებას – წარმოდგენილ იქნეს მხარედ სასამართლოში. კოდექსის მიხედვით, დაინტერესებულ მხარედ ითვლება ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ გავლენას ახდენს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება. პირის დაინტერესებულ მხარედ ცნობისათვის საჭიროა სათითაოდ დავახასიათოთ ის პირობები, რომლებიც კანონშია მოცემული. ერთ შემთხვევაში, თუკი პირი მოხსენიებულია ადმინისტრაციულ აქტში, ყველაფერი ნათელია, ვინაიდან, თუ გამოიყა ადმინისტრაციული აქტი ვანო პაველიაშვილის მედლით დაჯილდოების შესახებ, ვანო პაველიაშვილი ავტომატურად წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს, რადგანაც ეს ადმინისტრაციული აქტი უშუალოდ მას ეხება. ხოლო, რაც შეეხება მეორე შემთხვევას, აქ კანონი გამოყოფს სამ მოთხოვნას:

– ინტერესის არსებობა გულისხმობს მხოლოდ მხარის რეალურ, ფაქტობრივ ინტერესს და გამორიცხავს მორალურ ან თეორიულ ინტერესს. მაგალითად, დაინტერესებულ მხარედ ვერ ჩაითვლება პირი, რომელსაც შეეყოდა უმუშევარი მათხოვარი და ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართა განცხადებით, რათა გამოეყოთ კანონით კუთვნილი დახმარება, რომლის არსებობის შესახებაც მათხოვარს წარმოდგენა არ ჰქონდა. აღნიშნული საკითხი ევროპული სამართლისაგან განსხვავებით სხვანაირად არის რეგულირებული ინდურ სამართალში, სადაც მორალური ან თეორიული ინტერესიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარედ ყოფნის საფუძველს. მაგა-

ლითად, ინდოეთში სასამართლომ მიიღო პირის სარჩელი, რომლითაც იგი მოითხოვდა ლიცენზიის ჩამორთმევას ქარხნისათვის, რომელიც აბინძურებდა მდინარე განგს. მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენდა ის, რომ პირი შეწუხებული იყო განგის ნაპირზე მცხოვრებ თანამემამულეთა ბედით;

— მეორე პირობას წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული ინტერესი კანონიერი უნდა იყოს, ანუ კანონით უნდა იქნეს დაცული. აღნიშნულ შემთხვევაში სიტყვა კანონი გულისხმობს როგორც კანონს, ისე კანონქვემდებარე აქტს. კანონიერების პრინციპის არსი იმაში მდგომარეობს, რომ არ შეიძლება დაინტერესებულ მხარედ ჩაითვალოს და დაინტერესებული მხარის უფლებები მიენიჭოს მას, ვის არაკანონიერ ინტერესებსაც ეხება აღმინისტრაციული წარმოება. მაგალითად, მსს-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ორგანიზაციულ დანაშაულთან ბრძოლის გაძლიერების თაობაზე შეიძლება უშუალო გავლენას ახდენს რომელიმე მაფიოზური ჯგუფის ან დამნაშავის ინტერესებზე, მაგრამ ეს ინტერესი არ არის დაცული კანონით;

— მესამე ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ აღმინისტრაციული აქტით გამოწვეული გავლენა უნდა იყოს პირდაპირი, ანუ ფაქტობრივ და უშუალო გავლენას უნდა ახდენდეს პირის ინტერესებზე. მაგალითად, აქტი „თელასისათვის“ ელექტროენერჯის დისტრიბუციის ლიცენზიის ჩამორთმევის შესახებ პირდაპირ გავლენას ახდენს კომპანიის ინტერესებზე. თუმცა, ეს არ გამოირიცხავს იმას, რომ დაინტერესებულ მხარედ მიჩნეულ იქნეს პირი, რომლის ინტერესებსაც არაპირდაპირ ეხება აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან აღმინისტრაციული ორგანოს ქმედება. აღნიშნული პირები შეიძლება დაინტერესებულ მხარედ იქნენ ცნობილი იმ შემთხვევაში, თუ აქტი ან ქმედება მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ კანონიერ ინტერესზე. მაგალითად, გადაწყვეტილება სარემონტო სამუშაოების მიზნით ქუჩის გადაყეტვის შესახებ, თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ ქუჩაზე არსებული რესტორნის მეპატრონის ინტერესზე, ვინაიდან შეუძლებელი ხდება რესტორანთან მისვლა და, შესაბამისად, რესტორნის ფუნქციონირება. ამავე დროს, დაინტერესებულ მხარედ არ ჩაითვლება მემობელ ქუჩაზე არსებული საპარიემახეროს მესაყუთრე, თუმცა კი აღნიშნული ქუჩის გადაყეტვა ართულებს

საპარკმახეროსთან მიდგომას, ვინაიდან მის ინტერესებზე ქუჩის გადაყეტვის შესახებ აქტის მეგავლენას მნიშვნელოვანი ხასიათი არ გააჩნია.

აღნიშნული კრიტიკიუმებიდან ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს გარემოსდაცვითი აქტები. 2000 წლის 9 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა ორპუსის 1998 წლის კონვენციას „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“, რომლის მიხედვითაც არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლის საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს გარემოსდაცვითი საქმიანობა, უფლება მიეცათ შესაბამისად განცხადება ან სარჩელი წარადგინონ სახელმწიფო ადმინისტრაციულ ორგანოებსა ან სასამართლოში;

გ) ტერმინი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ახალია ქართული კანონმდებლობისათვის. იგი აღნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ყოველგვარ აქტს, როგორც ნორმატიულს, ისე ინდივიდუალურს. ღლეანდლამდე, ამის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი „ადმინისტრაციული აქტი“ მაგრამ იმის გამო, რომ ტერმინს „ადმინისტრაციული აქტი“ კოდექსმა მიანიჭა ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის მნიშვნელობა, კოდექსის აუტორების მიერ შემოღებული იქნა ახალი ტერმინი – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

დ-ე) ადმინისტრაციული აქტის, ანუ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დეფინიცია და ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან მისი განსხვავების დადგენა წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რამეთუ კოდექსის ძირითადი ნაწილი არეგულირებს სწორედ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებულ საკითხებს. ასეთი აქტის მომზადების, გამოცემისა და აღსრულების პროცედურა მნიშვნელოვნად განსხვავდება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის საჭირო პროცედურისაგან. კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული აქტი არის „ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შემზღვეული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ადმინისტრაციულ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებაში შემავალი საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ხოლო ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად კი — „უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს“.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორ აქტს ბევრი რამ აქვთ საერთო. კერძოდ, ორივე გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, ორივე მათგანს გააჩნია გამოცემის კანონიერი საფუძველი, მაგრამ თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში ეს გულისხმობს იმას, რომ აქტი გამოცემულ უნდა იქნეს საკანონმდებლო აქტის საფუძველზე, რაც „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონითაც არის განსაზღვრული, ადმინისტრაციული აქტის შემთხვევაში ფრაზა „ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული“ გულისხმობს იმას, რომ აქტი ზოგადად უნდა ჯდებოდეს ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებში და იგი შეიძლება ეყრდნობოდეს აგრეთვე კანონქვემდებარე აქტს. მაგალითად, ადმინისტრაციულ აქტად ვერ ჩაითვლება ქუთაისის მერიის განცხადება იმის შესახებ, რომ აქირავებს საცხოვრებელ ფართს, რადგანაც იგი კერძოსამართლებრივი კანონმდებლობის (კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის) საფუძველზეა მიღებული.

ძირითადი ფაქტორი, რაც განასხვავებს ნორმატიულ და ინდივიდუალურ აქტს, არის მათი გავრცელება სამართლის სუბიექტებზე. ადმინისტრაციული აქტი (იხ. წინა შენიშვნა ადმინისტრაციული აქტის განმარტებასთან დაკავშირებით) აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირთა ან პირთა შემზღვეული წრის უფლებებსა და მოვალეობებს, ხოლო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადგენს ქცევის ზოგად წესს. სწორედ აქ ღებება პრობლემა იმისა, თუ რას გულისხმობს პირთა შემზღვეული წრე. ამ შემთხვევაში პირთა შემზღვეული წრე გაგებულ

უნდა იქნეს როგორც ერთი პირი, ისევე პირთა ჯგუფი, რომელთა განსაზღვრაც შესაძლებელია. მაგალითად, აქტი იმის შესახებ, რომ ახელედიანის ქუჩის ყველა მცხოვრები ვალდებულია შეღებოს სახლი თეთრად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, ხოლო აქტი იმის თაობაზე, რომ საქართველოში შემოსული ყველა უცხოელი ვალდებულია გაიაროს რეგისტრაცია – ნორმატიულია მიუხედავად იმისა, რომ პირთა შეზღუდულ რაოდენობას ესება, რადგანაც ამ შემთხვევაში, აქტის გამოყენებისას. იმ პირთა კონკრეტული განსაზღვრა, ვისზეც ვრცელდება აქტის მოქმედება, შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, როგორც დასავლეთის ქვეყნების სამართლებრივი პრაქტიკა გვიჩვენებს, ხშირად, მაინც რთული ხდება იმის განსაზღვრა, აქტი მიმართულია პირთა განსაზღვრული თუ განუსაზღვრელი წრისაკენ. მაგალითად, ინდივიდუალურია თუ ნორმატიულია აქტი, რომელიც ჭაუჭავაძის ქუჩის ყველა მცხოვრებს ავალებულებს 2001 წლის 26 მაისს არ იმოძრაონ ამ ქუჩაზე ავტომობილით საღამოს 8 საათის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, გერმანული სამართლისგან განსხვავებით, რომელიც აღიარებს სამართლებრივი აქტების ინდივიდუალურად და ნორმატიულად დაყოფას მხოლოდ იმ კრიტერიუმით, თუ პირთა როგორ წრეზე ვრცელდება იგი, გამოყენებულ უნდა იქნეს სამართლებრივი აქტების ნორმატიულად და ინდივიდუალურად დაყოფის დამატებითი კრიტერიუმი, როგორცაა აქტის გამოყენების სიხშირე – ერთჯერადი გამოყენებისაა აქტი, თუ მრავალჯერადის. იმ შემთხვევაში, თუ აქტი მრავალჯერადი გამოყენებისაა, იგი მიჩნეულ უნდა იქნეს, ნორმატიულად, ხოლო თუ ერთჯერადი გამოყენებისაა – ინდივიდუალურად. კიდევ ერთხელ გვსურს გავიმეოროთ, რომ აღნიშნული კრიტერიუმი გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც რთულია იმის განსაზღვრა, აქტი მიმართულია თუ არა პირთა შეზღუდული წრისაკენ. მიუხედავად ამისა, ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამიჯვნა საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს და აღნიშნულ საქმეში მნიშვნელოვანი როლი მიენიჭება პრაქტიკას. რომელიც დამკვიდრდება ჩვენს ქვეყანაში ახალი კოდექსების ამუშავების შემდეგ. ასევე მნიშვნელოვანია განვმარტოთ, თუ რას ნიშნავს ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის გამოყენებული პირთა უფლებებისა და მოვალეობების დადასტურების ცნება.

დადასტურება ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს უბრალო გამოცემას იმისა, რაც რაიმე აქტით უკვე განსაზღვრულია. დადასტურება წარმოადგენს განმარტებას იმის შესახებ, თუ კონკრეტული უფლება ან მოვალეობა როგორ უნდა იქნეს გაგებული. მაგალითად, როდესაც ინვესტორი, რომელსაც სურს სასტუმროს აშენება მთაწმინდის პარკში, მიმართავს ქალაქის მერიას შეკითხვით, შესაძლებელია თუ არა ამის გაკეთება. ამ შემთხვევაში მერიის მიერ ამ განცხადების პასუხად გამოცემული აქტი წარმოადგენს უფლების ან მოვალეობის დადასტურებას.

2001 წლის 26 ოქტომბრის შესწორების შესაბამისად ადმინისტრაციულ აქტად ასევე ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელსაც სამართლებრივი შედეგი მოჰყვება. ადმინისტრაციული ორგანოები ძალიან ხშირ შემთხვევაში გამოსცემენ არა სამართლებრივ აქტებს ამ ცნების ტრადიციული გაგებით, არამედ ადასტურებენ ან ქმნიან გარკვეულ დოკუმენტებს (მაგ., ერთი სამინისტრო იძლევა თანხმობას/ვიზირებას, რათა მეორე სამინისტრომ გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, საბაჟო ორგანო ადასტურებს საბაჟო დეკლარაციას, საზღვრის დაცვის შესაბამისი უწყება მოქალაქის პასპორტში აუეთებს შესაბამის ჩანაწერს, რომელიც ადასტურებს მოქალაქის მიერ საზღვრის გადაკვეთის ფაქტს და ა.შ.). თუკი ეს დოკუმენტები ადმინისტრაციულ აქტებად არ ჩაითვლება, მოქალაქეები მოკლებულნი იქნებიან ბევრ ისეთ სამართლებრივ გარანტიებს, რაც ამ კოდექსით და სხვა კანონმდებლობითაა დადგენილი. სწორედ ამიტომ ასეთი დოკუმენტები კოდექსმა ჩათვალა ადმინისტრაციულ აქტებად, მაგრამ ერთი დათქმის გათვალისწინებით ეს ადმინისტრაციული აქტები სამართლებრივ შედეგებს უნდა იწვევდეს.

სამართლებრივი შედეგის მქონედ განხილულ უნდა იქნეს ნებისმიერი შემთხვევა, თუკი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული/დადასტურებული დოკუმენტის საფუძველზე მოხდება ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა (ან უარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე), ან მოხდება პირის უფლებების შეზღუდვა, ანდა სხვაგვარად მოახდენს ზეგავლენას საკითხის გადაწყვეტისას. უმეტესწილად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული თუ დადასტურებული დოკუმენტები არ შეიცავენ ადმინისტრაციული აქტისათვის დადგენილ რეკვიზიტებს (მაგ., საბაჟო ორგანოს მიერ დადასტურებული საბაჟო დეკლარაცია) ან მათ გავლილი არა აქვთ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის დადგენილი

პროცედურა. მიუხედავად ამისა, ეს არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ ისინი განხილულ არ უნდა იქნენ ადმინისტრაციულ აქტებად. ისინი, ჩვენი აზრით, ამ გარემოებათა მიუხედავად, ადმინისტრაციულ აქტებს წარმოადგენენ;

ვ) აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის განსხვავებულ სახეს. იგი შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალური. მისი თავისებურება ისაა, რომ დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს რაიმე უფლებას ან სარგებელს. მაგ., უცხოური ინვესტიციების სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზია მას "ლეონიდესათვის" უცხოური ინვესტორის სტატუსის მინიჭებისა და მასზე საგანგებო საგადასახადო შეღავათების გავრცელების შესახებ. ამ კოდექსში ეს ტერმინი ძირითადად გამოიყენება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების საკითხის გადასაწყვეტად, რადგანაც აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის გაუქმება უფრო გართულებული წესით უნდა მოხდეს;

ზ) გერმანულ სამართალში გარიგებები იყოფა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ და კერძოსამართლებრივ გარიგებად. მაგრამ როგორც პრაქტიკამ აჩვენა, აღნიშნულმა პრინციპმა არ გაამართლა, რადგანაც მეტისმეტად რთული შეიქმნა მათი ერთმანეთისაგან გარჩევა და, შესაბამისად, გამოსაყენებელი კანონმდებლობის (ადმინისტრაციულია თუ სამოქალაქოს) შერჩევა. ამიტომ, ქართველმა კანონმდებელმა სხვა გზა აირჩია. კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციული გარიგება არის როგორც სამოქალაქოსამართლებრივი. ისე ყველა სხვა გარიგება, რომელშიც ადმინისტრაციული ორგანო მხარედ არის წარმოდგენილი, მიუხედავად კონტრაგენტის ვინაობისა ან სტატუსისა. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად უნდა იქნეს გამოყენებული აღნიშნულ ხელშეკრულებებთან დკავშირებით კერძო სამართლის ნორმები, შემდგომში გვექნება საუბარი;

თ) განცხადება – აღნიშნული ტერმინი ამ მუხლში ჩართულ იქნა იმ მიზნით, რომ კიდევ ერთხელ გასმოდა ხაზი პირთა უფლებას, მოითხოვონ ადმინისტრაციული ორგანოსაგან აქტის გამოცემა და ამ გზით მიაღწიონ თავისი უფლების დაკავას, ან რაიმე უფლების მოპოვებას ან დადასტურებას. მაგ., იმისათვის რომ პირმა მიიღოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა, მან

განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს პირადობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით. განცხადების არსებობა არის ასეთ შემთხვევებში აუცილებელი პირობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისა და ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის;

ი) ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული აქტის გადასინჯვის პირველი ეტაპია. მისი მიზანია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს მისცეს შესაძლებლობა კიდევ ერთხელ შეაფასოს ადმინისტრაციული აქტი. ხოლო შემდგომ ორგანოს ეძლევა შესაძლებლობა განასორციელოს ქვემდგომი ორგანოს კონტროლი. ამ საკითხზე უფრო დაწერილებით საუბარი შემდგომში გვექნება. ადმინისტრაციული საჩივარი ყოველთვის გულისხმობს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში (და არა სასამართლოში) ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს, სტრუქტურისა თუ თანამდებობის პირის ადმინისტრაციული აქტის ან ქმედების გასაჩივრებას. ადმინისტრაციული საჩივარი შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს) წარედგინება მას შემდეგ, რაც ადგილი ჰქონდა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ან რაიმე მოქმედების განხორციელებას ან უმოქმედობას. ადმინისტრაციული საჩივარი შიძლება წარედგინილ იქნეს არა მარტო ადმინისტრაციული აქტის გაუქმების, შეცვლის ან ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის, არამედ, აგრეთვე, რაიმე მოქმედების განხორციელების ან რაიმე მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით;

კ) ადმინისტრაციული წარმოება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მიმართულია ადმინისტრაციული აქტის გამოსაქმედად. ადმინისტრაციული ორგანოს ყველა ეს ქმედება უნდა იყოს ფორმალისტული. ზოგადად ადმინისტრაციულმა კოდექსმა საქართველოში პირველად დაამყვიდრა ადმინისტრაციულ ორგანოში საქმის საფუძვრებრივი წარმოების პრინციპი, რითაც მნიშვნელოვნად შეცვალა კომუნისტური დოქტრინა საქმის წარმოების შესახებ. ამ ცვლილების ამრიგ ისაა, რომ გაიზარდოს როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ხარისხი, ისე მათი გამოცემის პროცესის გამჭვირვალობა;

ლ) ადმინისტრაციულ ორგანოთა უფლებამოსილებათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია დისკრეციული უფლებამოსილება — შეარჩიოს მისაღები გადაწყვეტილება რამდენიმე შესაძლებელ გადაწყვეტილებათა შორის. ადმინისტრაციული ორგანო ყოველთვის ინსტრუქციით ბუსტად დადგენილი წესით კი არ მოქმედებს, არამედ საკუთარი მიხედვლებით იღებს მთელ რიგ გადაწყვეტილებებს. თუმცა ამ გადაწყვეტილებების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება შემზღუდულია 2 ფაქტორით:

— ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეარჩიოს გადაწყვეტილება იმ გადაწყვეტილებათაგან, რომელთა მიღების უფლებაც მას კანონმდებლობით აქვს მინიჭებული. მაგალითად, თუ კანონის შესაბამისად, ელექტროენერჯის დისტრიბუციის ლიცენზიის მისაღები განცხადების განხილვის შემდეგ, ენერჯეტიკის სექტორის მარეგულირებელმა ადმინისტრაციულმა ორგანომ ან უნდა გასცეს ლიცენზია, ან უარი განაცხადოს მის გაცემაზე, მას არა აქვს უფლება გასცეს მშენებლობის ნებართვა ან სანიტარიული შემოწმების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ასევე სჭირდება ელექტროენერჯის დისტრიბუტორ საწარმოს;

— მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს და ახორციელებს საჯარო ინტერესებს, მას არა აქვს გადაწყვეტილების ცალმხრივად მიღების უფლება. გადაწყვეტილების მიღებისას დაკული უნდა იქნეს როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესები და ამ ინტერესების შეფასებისა და დაბალანსების საფუძველზე უნდა იქნეს მიღებული ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ყველაზე უკეთესად პასუხობს როგორც საჯარო, ისე კერძო პირების ინტერესებს.

დისკრეციული უფლებამოსილების შემზღუდვა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია. კომუნისტური მმართველობის პერიოდში ადმინისტრაციულ ორგანოთა დისკრეცია არაფრით არ იყო შემზღუდული. სწორედ ეს განაპირობებდა ადამიანის უფლებების დარღვევის უამრავ ფაქტს და ადმინისტრაციულ ორგანოს, რიგ შემთხვევაში, სამართალზე მაღლა აყენებდა, ანუ ადმინისტრაციული ორგანო რიგი გადაწყვეტილების მიღებისას სამართლის ნორმებით არ იყო შებოჭილი. ეს კი დაუშვებელია სამართლებრივ სახელმწიფოში;

მ) საჯარო ინფორმაცია — კოდექსი საჯარო ინფორმაციას და

ოფიციალურ დოკუმენტს იდენტურ ცნებებად მიიჩნევს. ოფიციალურ დოკუმენტად კი უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო ან თვითმმართველობის, აგრეთვე სხვა საჯარო ორგანოში არსებული, აგრეთვე მათ მიერ მიღებული, შექმნილი ან გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით არსებობს ეს ინფორმაცია. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო ინფორმაციად ჩაითვლება ყველა ინფორმაცია, რაც შექმნილია ან დაკულია საჯარო დაწესებულებებში, ყველა მათგანი არ არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის. საჯარო ინფორმაციის ნაწილი საიდუმლოა, რადგანაც იგი დახურულია კანონის შესაბამისად.

2. კოდექსის მიხედვით შემდგომში მიღებულ ყველა სხვა სამართლებრივ აქტში, გარდა სპეციალური კანონისა, ამ ტერმინებს არ შეიძლება მიეცეთ სხვა მნიშვნელობა. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი რომელიმე სხვა კანონში ან კანონქვემდებარე აქტში შეგვხვდება იგივე ცნებები, ისინი გაგებულ და განმარტებულ უნდა იქნენ ზუსტად ისევე, როგორც კოდექსშია მოცემული. მაგ., კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ იყენებს ცნებას “ადმინისტრაციული ორგანო”, რომელსაც ზუსტად იგივე დატვირთვა გააჩნია, რაც ადმინისტრაციულ კოდექსში. უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა კანონმა პირდაპირ შეიძლება მიანიჭოს კოდექსში განმარტებულ ცნებებს სხვა მნიშვნელობა, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სპეციალურ კანონში გამოყენებულ ცნებას მხოლოდ იმ კონკრეტული კანონისათვის ექნება მნიშვნელობა და არა ყველა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტისათვის.

მუხლი 3. კოდექსის მოქმედების სფერო

1. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება სახელმწიფო, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების და დაწესებულებების, აგრეთვე იმ პირების საქმიანობაზე, რომლებიც ამ კოდექსის შესაბამისად ითვლებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად.

2. ამ კოდექსის მოქმედება, გარდა III თავისა, არ ვრცელდება შემდეგი სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაზე:

ა) საქართველოს პარლამენტი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები;

- ბ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო;
- გ) საქართველოს სახალხო დამცველი;
- დ) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოები.

3. ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ორგანოების და ამ ორგანოთა თანამდებობის პირების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან.

4. ამ კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:

ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;

ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან;

დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს;

ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირთა საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ თანამდებობებზე დანიშნისა და გათავისუფლების, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციის 73-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „დ“, „ე“, „მ“, „თ“, „ო“ ქვეპუნქტებით, ასევე მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელებასთან;

ვ) საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების შესრულებასა და საგარეო პოლიტიკის განხორციელებასთან.

(საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 – სსმ I, №43(50), მუხ. 216)

1. მოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმების სწორად შეფასებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რომელი ორგანოების მიმართ ვრცელდება ამ კოდექსის მოქმედება. მოგადად უნდა აღინიშნოს, რომ თუ კანონი რაიმე გამონაკლისს არ ადგენს, კოდექსის მოქმედება ვრცელდება ყველა იმ დაწესებუ-

ლებამე. რომელსაც კოდექსი განიხილავს ადმინისტრაციულ ორგანოდ.

2. მიუხედავად მოგადი წესისა, მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება ყველა სახელმწიფო ორგანოზე არ ვრცელდება. კერძოდ, კოდექსი ჩამოთვლის იმ ორგანოებს, რომელთა მიმართაც არ ვრცელდება მისი ნორმები. ესენია:

ა) საქართველოს პარლამენტი; აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები, რადგანაც ისინი არიან ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო პოლიტიკური ორგანოები, რომელთა საქმიანობა ძირითადად განსაზღვრულია საქართველოს ან, შესაბამისად, ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით;

ბ) საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო — აქ იგულისხმება საქართველოს უშიშროების საბჭო, საქართველოს იუსტიციის საბჭო, აგრეთვე მრავალი სხვა საბჭო თუ კომისია, რომლებიც შექმნილია კანონით ან პრეზიდენტის ბრძანებულებით. ასეთი ორგანოების მიერ უშუალოდ ადმინისტრაციული აქტების გამოცემა არ ხდება და ამ ორგანოებში განხილვის შემდეგ ყველა საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პრეზიდენტი. ამ ორგანოთა მთავარი დანიშნულებაა ყოველგვარი ფორმალური დაბრკოლებების გარეშე მისცენ პრეზიდენტს რჩევა. სწორედ ამიტომაც არის მათთვის გამონაკლისი დაწესებული;

გ) საქართველოს სახალხო დამცველი — სახალხო დამცველი საკუთარ უფლებამოსილებათა განხორციელებისას არავითარ ადმინისტრაციულ აქტებს არ გამოსცემს. მას არა აქვს უფლება გააუქმოს რომელიმე სახელმწიფო ორგანოს აქტი, თუნდაც ისინი კონსტიტუციასა და კანონს ეწინააღმდეგებოდეს. მისი ძირითადი ამოცანაა ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობის შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, მისი უფლებამოსილება განსაზღვრულია კონსტიტუციით და, აქედან გამომდინარე, იგი ადმინისტრაციულ ორგანოდ არ განიხილება;

დ) საქართველოს სასამართლო ხელისუფლების ორგანოები — აქ იგულისხმება საერთო სასამართლოები, საკონსტიტუციო სასამართლო, საქართველოს პროკურატურა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ ორგანოთა საქმიანობისა და მათ მიერ გადაწყვეტილებათა

მიღების წესი სპეციალური კანონებით, რიგ შემთხვევებში კი ორგანული კანონებითაა რეგულირებული. მართლმადჯულების განხორციელებას თავისი სპეციფიკა აქვს, რაც ძალზე შორსაა მმართველობითი, ადმინისტრაციული უფლებამოსილებისაგან და ამიტომაც სასამართლო არ შეიძლება განხილულ იქნეს ადმინისტრაციული ფუნქციების ისეთივე მატარებლად, როგორცაა, მაგ., რომელიმე სამინისტრო.

გემოჩამოთვლილ გამონაკლისებს თუ გადაეხედავთ, ნათელი გახდება, რომ ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება ძირითადად ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოებზე და ეს ბუნებრივიცაა. ადმინისტრაციულ ფუნქციებს ხომ ძირითადად აღმასრულებელი ხელისუფლება ახორციელებს.

3. თუმცა უნდა აღინიშნოს, გამონაკლისების არსებობა არ ნიშნავს, რომ მე-2 პუნქტში ჩამოთვლილ ორგანოებზე ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება საერთოდ არ ვრცელდება. კოდექსი გამოყოფს ორ შემთხვევას, როცა მათზე ამ კოდექსის რიგი დებულებები ვრცელდება, კერძოდ:

ა) გემოჩამოთვლილი ყველა ორგანოს მიმართ ვრცელდება კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნები, რომელიც შეეხება ინფორმაციის თავისუფლებას. ანუ ყველა სახელმწიფო ორგანო, მათ შორის პარლამენტი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოებიც ვალდებული არიან მოქალაქეებს მოთხოვნის შემთხვევაში მისცენ მათთან დაცული ინფორმაცია;

ბ) კოდექსი ვრცელდება აგრეთვე გემოაღნიშნულ ორგანოთა და ამ ორგანოების თანამდებობის პირთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციული ფუნქციის განხორციელებასთან. მაგალითად, უფლებამოსილი პირის სასამართლოს შენობაში არშემვება ჩაითვლება ადმინისტრაციული უფლებამოსილების განხორციელებად და, შესაბამისად, შესაძლებელი ხდება მისი გასაჩივრება ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით. სამსახურებრივი ურთიერთობა საჯარო მოსამსახურესა და გემოაღნიშნულ გამონაკლისებში მითითებულ სახელმწიფო ორგანოს შორის ასევე ადმინისტრაციული სამართლის სფეროშია მოქცეული. მაგალითად, პარლამენტში აპარატის თანამშრომლის მიღების, თანამდებობიდან გათავისუფლებისა თუ სხვა სამსახურებ-

რივი ურთიერთობებისას „საჯარო სამსახურის შესახებ“ სპეციალურ ადმინისტრაციულ კანონთან ერთად გამოიყენება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.

4. თუ კოდექსის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი გამონაკლისის წესით ითვალისწინებდა სახელმწიფო ორგანოებს, რომლებმაც კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება, მე-4 პუნქტი ითვალისწინებს გამონაკლისებს აღმასრულებელი ხელისუფლების იმ ორგანოთა გარკვეულ საქმიანობებზე, რომლებმაც ზოგადად ვრცელდება კოდექსის მოქმედება. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ აღნიშნული საქმიანობანი სპეციალური კანონითაა რეგლამენტირებული. კერძოდ, კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოების შემდეგ საქმიანობებზე:

ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასა და სისხლის სამართლის საქმის წარმოებაზე. ეს მთლიანად დარეგულირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით და ამ ურთიერთობებზე ადმინისტრაციული კოდექსის დებულებების გავრცელება არ შეიძლება. მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროზე ზოგადად ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება ვრცელდება, შს ორგანოების მიერ წინასწარი გამოძიების წარმოებისას ისინი მოქმედებენ მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად და შეზღუდულნი არ არიან ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნებით;

ბ) ანალოგიურად, კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე, რადგანაც ეს საქმიანობაც მიმართულია დანაშაულის აღმოჩენისაკენ;

გ) სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებების (განაჩენების) აღსრულებაზე ასევე არ ვრცელდება კოდექსის მოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო გადაწყვეტილებების (განაჩენების) აღსრულებას ახორციელებენ აღმასრულებელი ხელისუფლების (კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს) დაწესებულებები, ეს საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მართლმსაჯულებასთან და სპეციალური კანონებითაა მოწესრიგებული;

დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღება – სახელმწიფო თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული რეგულირების სფეროს განეკუთვნება

და უმეტეს შემთხვევაში ასეთ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები გასაიდუმლოებულია. გადაწყვეტილება დავით გარეჯის სამხედრო ნაწილის გაუქმებისა და ამ ნაწილში მყოფი სამხედრო შენაერთების ოზურგეთში განლაგების შესახებ არ შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციულ აქტად და მისი გამოცემისას ბოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები არ გამოიყენება.

გამონაკლისის სახით, გადაწყვეტილება სამხედრო ან სამხედრო დისციპლინის საკითხებზე ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, თუკი ეს ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამის მაგალითია შემთხვევა, როდესაც უფროსი უბრძანებს სამხედრო მოსამსახურეს შეიცვალოს რელიგიური მრწამსი. ასეთი ბრძანება ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად და შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით. ასეთივეა შემთხვევა, როდესაც წვევამდელს უარს ეუბნებიან ალტერნატიულ სამსახურში ჩარიცხვაზე და სთხოვენ სამხედრო სავალდებულო სამსახურის გავლას;

ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციით გათვალისწინებული წესით თანამდებობებზე დანიშნისა და მთელი რიგი სხვა პოლიტიკური ფუნქციების განხორციელება. საქართველოს პრეზიდენტი მთელი ხალხის წარმომადგენელი, სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურია. იგი მთელ რიგ ისეთ პოლიტიკურ ფუნქციებს ახორციელებს, რომ აუცილებელია ფართო დისკრეციის არსებობა. ბუნებრივია, მინისტრის თანამდებობიდან გადაყენებისას პრეზიდენტი კანონით ისევე შეზღუდული ვერ იქნება, როგორც ჩვეულებრივი სახელმწიფო მოხელის გათავისუფლებისას;

ვ) რაც შეეხება საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობას, იგი ასევე არ შედის ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფეროში. მაგ., საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა რომელიმე უცხოეთის სახელმწიფოსადმი არ შეიძლება განხილულ იქნეს ადმინისტრაციულ აქტად. სახელმწიფოს საგარეო ურთიერთობები მოწესრიგებულია საერთაშორისო სამართლით. შიდანორმატიული აქტები ასეთ ურთიერთობებში არ თამაშობს გადამწყვეტ როლს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გემოჩამოთვლილი უფლე-

ბამოსილების განხორციელებისას შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები ვალდებული არიან მაინც გამოიყენონ კოდექსის მე-3 თავის დებულებები. ასეთ შემთხვევაში თითოეული მათგანი ვალდებულია სამოგადობისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ყველა ინფორმაცია. გარდა კანონის შესაბამისად საიდუმლოდ გამოცხადებული ინფორმაციისა.

ადმინისტრაციული სამართლის პრინციპები

კოდექსის მე-4-13 მუხლები განსაზღვრავენ იმ ძირითად პრინციპებს, რომლებზედაც ადმინისტრაციული სამართალია დაფუძნებული. სწორედ ამ პრინციპების შემოღება წარმოადგენს ქართული ადმინისტრაციული სამართლის უმნიშვნელოვანეს ნოვაციას. ფაქტობრივად ეს არის ის ნორმები, რაზეც დამყარებულია მთლიანად ადმინისტრაციული რეფორმა საქართველოში. კოდექსის ძირითად დებულებებში მოცემულ პრინციპთა უმრავლესობა ზოგადი ნორმაა, დეკლარაციაა, რომელიც შემდეგ უკვე დაზუსტებულია კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით (მაგ., მე-9 მუხლში კანონიერი ნდობის უფლება, რომელიც შემდგომ კოდექსში დაზუსტებულია, თუ კონკრეტულ შემთხვევაში რას იწვევს), ხოლო ზოგ შემთხვევაში კი უკვე ჩამოყალიბებულია როგორც კონკრეტული ქცევის წესი (მუხლი 5. უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე). მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით არის განსაზღვრული, ეს პრინციპები წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების ფუძემდებლურ ნორმებს და მათი დარღვევა იწვევს კანონით გათვალისწინებული წესით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობას.

მუხლი 4. კანონის წინაშე თანასწორობა

1. ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე.

2. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება.

3. საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას.

ეს პრინციპი გამომდინარეობს კონსტიტუციური ნორმიდან და გულისხმობს, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლების და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შემლუღვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა თანასწორობის პრინციპის საპირისპიროდ, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება, ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. რადგანაც ეს არის ზოგადი პრინციპი საჯარო სამართალში, ჩვენ მის ყველა დეტალზე აღარ ვისაუბრებთ.

მეტისმეტად მნიშვნელოვანია ამ მუხლის მესამე ნაწილში მოცემული დებულება, რომლის თანახმადაც, დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება საქმის გარემოების იგივეობის შემთხვევებში, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას. ეს ნიშნავს იმას, რომ თუკი ადმინისტრაციულმა ორგანომ რაიმე კონკრეტულ გარემოებათა არსებობისას თავისი დისკრეციული უფლებამოსილებებიდან გამოიყენა ერთ-ერთი, მაშინ იგი ვალდებულია ყველა სხვა ანალოგიური საქმის გარემოებების არსებობის შემთხვევაში მიიღოს იგივე გადაწყვეტილება. მაგალითად, თუკი ერთ პირს მიეცა ლიცენზია, მაშინ იგი უნდა გაიყოს ყველა იმ პირზე, რომლებიც ამაყოფილებენ იგივე მოთხოვნებს. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია კანონი ერთნაირად გამოიყენოს ყველას მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება დემოკრატიის ყველაზე ფუნდამენტური უფლების დარღვევა. ამასთან, მოქალაქისათვის ადმინისტრაციული ორგანოს წინა პრაქტიკის გათვალისწინებით უკვე განსაზღვრადი ხდება მისი უფლებების და მოვალეობის მოცულობა ამა თუ იმ სიტუაციაში. ამ პრინციპის უგულებელყოფა შეიძლება მხოლოდ კანონით განსაზღვრული საფუძვლის არსებობისას. მაგალითად, როდესაც კანონით განსაზღვრულია 5 ლიცენზიის გაცემა და ისინი უკვე გაცემულია, ადმინისტრაციული ორგანო აღარაა ვალდებული გასცეს იგი მეექვსე პირზე,

რომელიც აკმაყოფილებს ყველა იმ პირობას, რის საფუძველზეც წინა ლიცენზიატებს მიეცათ ლიცენზია. ასევე, ასეთი გარემოება შეიძლება იყოს კანონის ცვლილება, როდესაც აღნიშნული გარემოებები აღარაა საქმარისი იდენტური გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად, თუკი კანონი შეიცვალა იმგვარად, რომ ავტომობილის მართვის მოწმობა გაიცემა 21 წლის ასაკიდან, არ შეიძლება იგი გაიყოს 19 წლის პირზე, მიუხედავად იმისა, რომ ანალოგიური გარემოების არსებობისას ადმინისტრაციული ორგანო იღებდა მართვის უფლების გაცემის გადაწყვეტილებას. ასევე, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ პრინციპი, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალში ცნობილია გამოთქმით – „არ არსებობს თანასწორობა უკანონობაში“. ეს გულისხმობს იმას, რომ დაინტერესებული მხარის მიერ კანონის დარღვევისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღება არ ავალდებულებს ორგანოს იგივე გადაწყვეტილება მიიღოს სხვა პირის მიერ იგივე კანონდარღვევის ჩადენის შემთხვევაში. მაგალითად, როდესაც საგზაო პოლიციელი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის არ აჯარიმებს სამთაერობო ავტომანქანას, მოქალაქეს არ წარმოემოხება უფლება გათავისუფლებულ იქნეს პასუხისმგებლობისაგან იგივე სამართალდარღვევის ჩადენისათვის. კერძო რესტორნის მეპატრონეს არ შეუძლია უარი განაცხადოს ანტისანიტარიისათვის დაწესებული ჯარიმის გადასდაზე მხოლოდ იმ მოტივით, რომ მისთვის ცნობილია სამი სხვა რესტორანი, რომელიც ვაცილებით მეტად არღვევს სანიტარიულ ნორმებს.

ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ თანასწორობის პრინციპიდან გამომდინარეობს საწინააღმდეგოც – განსხვავებული საქმეები განსხვავებულად უნდა იქნეს გადაწყვეტილი, ანუ ნებისმიერი შემთხვევა ინდივიდუალურად უნდა იქნეს შესწავლილი და გადაწყვეტილი.

მუხლი 5. უფლებამოსილების განხორციელება კანონის საფუძველზე

1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ან სხვა სახის ქმედება, რომელიც იწვევს ადამიანის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების ან თავისუფლებების შეზღუდვას, დაიშვება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავის შესაბამისად, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

3. უფლებამოსილების გადაშეცემით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებას არა აქვს იურიდიული ძალა და ბათილად უნდა გამოცხადდეს.

4. ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ჯეროვნად შეუსრულებლობა ან სამსახურებრივი უფლებამოსილების გადაშეცემა იწვევს კანონით დადგენილ პასუხისმგებლობას.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. კოდექსის მე-5 მუხლი, რომლითაც კანონიერების პრინციპია განმტკიცებული, უფრო ზოგადი ხასიათის დეკლარაციაა, რაც კანონის უმენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია. თითქოს ყველაფერი ცხადზე უცხადესია, მაგრამ, სამწუხაროდ, პრაქტიკაში არის აღნიშნული პრინციპის დარღვევის ფაქტები. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად ყველა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაიცვას კანონის მოთხოვნები და არ დაუშვას მისი დარღვევა. როგორც მეცნიერებს შორის, ისე პრაქტიკაში, ძალიან ხშირად დავობენ, თუ რა უფლებამოსილებები გააჩნია სახელმწიფო ორგანოებს და რა მოცულობით უნდა შესრულდეს ისინი. ყველაზე გავრცელებულია ლოქტრინა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ორგანოებს (კერძო სამართლის სუბიექტებისაგან განსხვავებით) ეკრძალებათ იმ უფლებამოსილებების განხორციელება, რომლებსაც კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს, ანუ მოქმედებს პრინციპი – რაც ნებადართული არ არის, აკრძალულია. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ძალიან ბევრ საკანონმდებლო აქტში ეს გაზიარებული და პირდაპირ გათვალისწინებულია (მაგ., კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებს უკრძალავს

გამოსცეს ნორმატიული აქტები კანონით პირდაპირ და ზუსტად გათვალისწინებული შემთხვევების გარდა).

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ამ მოსაზრებას მთლიანად არ იზიარებს. პრაქტიკაში არის ძალიან ბევრი შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე დგება აუცილებლობა შეასრულოს კანონით მისთვის გაუთვალისწინებელი უფლებამოსილებები (მაგ., როდესაც ეს თავიდან აგეაცილებს სახელმწიფო სახსრების ზედმეტ დანახარჯებს). ასეთ შემთხვევაში მმართველობა უფრო ეფექტური და მოქნილი ხდება. სწორედ ამიტომაც კოდექსი არ კრძალავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით გაუთვალისწინებელი ფუნქციების შესრულებას, მაგრამ აქვე წარმოიშობა ადმინისტრაციული ორგანოს ორი ვალდებულება — ერთი მხრივ, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება ან სამართლებრივი აქტი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონს და, მეორე მხრივ, ადმინისტრაციული ორგანო არ უნდა გასცილდეს ზოგადი უფლებამოსილების საზღვრებს, რომელიც მას კანონის საფუძველზე აქვს განსაზღვრული.

2. რაც შეეხება ამ მუხლის მე-2 ნაწილს, იგი კიდევ ერთ გარანტიას ქმნის ადმინისტრაციულ სამართალში ადამიანის უფლებათა დაცვისას, აწესებს რა შემზღვევას კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების შემზღვეველ ადმინისტრაციულ აქტებზე და ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებაზე. ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია შემზღვეველი სამართლებრივი აქტების გამოცემა მხოლოდ კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე. მაგ., არ შეიძლება პირის მიმოსვლის თავისუფლების შემზღვევა (მაგ., ჩაწერის ინსტიტუტის აღდგენა), თუ ამას არ ითვალისწინებს კონსტიტუციის შესაბამისად მიღებული კანონი.

3. მესამე პუნქტთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრაციული აქტის ბათილობა ყველაზე რადიკალური ზომაა, რომელიც აქტის მიმართ შეიძლება იქნეს მიღებული, ამიტომ ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც უფლებამოსილება მნიშვნელოვნადაა გადამეტებული. მაგალითად, ბათილად გამოცხადებას ექვემდებარება ქ. ქუთაისის მერის ადმინისტრაციული აქტი, რომლის თანახმადაც აკრძალულია ქ. ქუთაისში 18 საათის შემდეგ ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

4. კანონმა უნდა გაითვალისწინოს პასუხისმგებლობა იმ თანამდებობის პირის მიმართ, რომელიც უფლებამოსილებას განახორციელებს კანონის მოთხოვნათა დარღვევით. განსხვავებით წინა პუნქტისაგან, ეს ნორმა ვრცელდება უფლების ნებისმიერ გადამეტებაზე და არა მარტო ისეთზე, რომელმაც ადმინისტრაციული აქტის ბათილობა გამოიწვია. პასუხისმგებლობის კონკრეტული ზომა გათვალისწინებულია შესაბამისად სისხლის ან ადმინისტრაციულ-სამართალდარღვევათა კოდექსებში ან დისციპლინური კანონმდებლობით.

მუხლი 6. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი

1. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება.

1. ადმინისტრაციული ორგანოებისათვის დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვა რეფორმის კიდევ ერთი მონაპოვარია. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება არ გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანო ამ დროს არაფრით არ არის შეზღუდული. ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება, რომლის მიღების უფლებაც კანონით არა აქვს მინიჭებული. მაგალითად, თუკი კანონის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გასცეს ლიცენზია ან უარი განაცხადოს მის გაყვამაზე, მას არა აქვს უფლება მოსთხოვოს დაინტერესებულ მხარეს ისეთი დოკუმენტების წარდგენა, რომელიც არ არის გათვალისწინებული კანონით (იხ. მე-2 მუხლის შენიშვნა ამ საკითხზე). დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არ გასცდეს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებს. ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელს უფლება აქვს სახელმწიფო მოხელედ მის უწყებაში თანამდებობაზე დანიშნოს რამდენიმე კანდიდატთაგან ნებისმიერი ასაკის მოქალაქე, მაგრამ ის ვერ დანიშნავს არასრულწლოვანს ან საპენსიო ასაკს მიღწეულ პირს.

2. დისკრეციული უფლებამოსილება უნდა ექსახურებოდეს იმ მიზანს, რომლის მისაღწევადაც ამ ადმინისტრაციულ ორგანოს მიენიჭა ეს უფლებამოსილება. მაგალითად, ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც მინიჭებული აქვს უფლებამოსილება გასცეს შეღავათიანი კრედიტები სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით, არა აქვს უფლება ეს კრედიტი მისცეს მეტალურგიულ ქარხანას თუჯის დასამზადებლად, რამეთუ ეს ეწინააღმდეგება ორგანოსათვის ამ უფლებამოსილების მინიჭების მიზანს.

მუხლი 7. საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა

1. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაკული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა.

2. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოყენებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

ჩვენი აზრით, უკეთესი იქნებოდა ამ მუხლს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის ნაცვლად პროპორციულობის პრინციპი დარქმეოდა. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ადმინისტრაციული ორგანო, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს და ახორციელებს საჯარო ინტერესებს, თავის საქმიანობაში უნდა აბალანსებდეს საჯარო და კერძო ინტერესებს და რომელიმე მათგანს გაუმართლებელ პრივილეგიას არ ანიჭებდეს. თითოეული მოქალაქის ინტერესი არანაყოფიერება ფასეულია, ვიდრე სახელმწიფოსი. უფრო მეტიც, საჯარო ინტერესი ხომ კერძო ინტერესთა ჯამს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ ეს პრინციპი შეეხება მხოლოდ დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების პროცესში მიღებულ გადაწყვეტილებებს (რადგანაც სხვა შემთხვევებში სახელმწიფო მოხელეს არჩევანი არ აქვს და კანონით მუსტად დადგენილი წესის შესაბამისად უნდა იმოქმედოს).

პროპორციულობის პრინციპში შესაძლებელია ორი ქვეპრინციპის გამოყოფა:

— პირველი ქვეპრინციპის თანახმად, მიზანი, რომლის მისაღწევადაც გამოიყენება აქტი, უნდა შეესაბამებოდეს ამ მიზნის მისაღწევად აქტით გათვალისწინებულ სამუქალეებას, ანუ დისკრეციული უფლებამოსილებების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციული აქტი, თუ პირის კანონით დაკუთმული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიყვეთეს ან მიზანს, რომლის შესასრულებლადაც გამოიყენება ეს ადმინისტრაციული აქტი. მაგალითად, დაუშვებელია გამოიყენოს აქტი, რომლის თანახმადაც თბილისში სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების და მღრღნელების დახოცვის მიზნით დაიწყება ყველა სადარბაზოში და ეზოებში ციანის შხამის დაყრა, რამეთუ აღნიშნული ღონისძიება მეტ ზიანს მიაყენებს მოსახლეობის კანონით დაკუთმულ ინტერესებს, ვიდრე მოიტანს სიყვეთეს (სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება);

— მეორე ქვეპრინციპის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილებების განხორციელებისას გამოყენებული ადმინისტრაციული აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებების და ინტერესების დაუსაბუთებელი შემლუღვა. ეს გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აუცილებლობის შემთხვევაში მის ხელთ არსებული რამდენიმე სამუქალეებიდან გამოიყენოს ის, რომელიც ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანია პირის კანონიერი ინტერესებისა და უფლებებისათვის. თუ დედაქალაქში იმატა რაიონებიდან ჩამოსულ მოქალაქეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა რიცხვმა, ეს არ აძლევს ქალაქის მერიას იმის საფუძველს, რომ აუკრძალოს არადედაქალაქელებს დედაქალაქში ცხოვრება ან ყოფნა. ადმინისტრაციული ორგანო ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად უფლებამოსილია შემლუღოს რომელიმე პირის უფლებები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სხვა ხერხით ან სამუქალეებით ამ ლეგიტიმური მიზნის მიღწევა შეუძლებელია.

მუხლი 8. საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტა

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი უფლებამოსილება განახორციელოს მიუკერძოებლად.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს თანამდებობის პირმა, რომელსაც აქვს პირადი ინ-

ტერესი, ანდა არსებობს სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.

1. სამართლის უძველეს პრინციპს წარმოადგენს, რომ არავინ შეიძლება იყოს მოსამართლე თავის საქმეში (nemo iudex in causa sua). ეს პრინციპი უნივერსალურია და სამართლის ყველა დარგში გამოიყენება.

2. ამ პრინციპთან დაკავშირებით, საინტერესოა გამოვარკვიოთ რას ნიშნავს მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მოცემული „პირადი ინტერესი“ და რას წარმოადგენს „სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე“. პირად ინტერესს წარმოადგენს შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს სარგებლის მოტანა შეუძლია თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავეებისათვის, ხოლო „სხვა გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე“, გულისხმობს იმ შემთხვევას, როდესაც ამკარაა თანამდებობის პირის დაინტერესებული მხარისადმი დადებითი ან უარყოფითი დამოკიდებულება მეგობრობის, ან რასისტულ, რელიგიურ, ეთნიკურ და სხვა მიზეზთა გამო.

მიუკერძოებლობის პრინციპზე ქვემოთ დაწვრილებით გვექნება საუბარი 92-ე მუხლის განხილვისას.

მუხლი 9. კანონიერი ნდობის უფლება

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაიცვას პირის კანონიერი ნდობის უფლება.

2. პირის კანონიერი ნდობის საფუძველია ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) წერილობითი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მოცემული ქმედება განხორციელდება, რისთვისაც საჭირო არ არის ადმინისტრაციული ორგანოს შემდგომი თანხმობა. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტის შეცვლის გამო პირი ვეღარ აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნებს.

3. კანონიერი ნდობა არ შეიძლება არსებობდეს, თუ მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედება.

4. ადმინისტრაციული ორგანოს კანონსაწინააღმდეგო დაპირება არ შეიძლება იყოს კანონიერი ნდობის საფუძველი.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I. №6, მუხ. 8)

კანონიერი ნდობის უფლება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია იმ სიახლეთაგან, რომელიც ახალმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა დაამყვიდრა. აღნიშნული ცნება ქართულ სამართალში დღემდე არ არსებობდა, ამიტომ საჭიროა მისი დაწერილებითი ანალიზი, რათა მუსტად იქნეს გაგებული მისი შინაარსი. ამ მუხლში მხოლოდ კანონიერი ნდობის უფლების ზოგადი განმარტებაა მოცემული, ხოლო მისი დეტალიზაცია კოდექსის სხვადასხვა დებულებებში ხდება. მაგ., მუხ. 60-61, რომლებიც აწესრიგებს ადმინისტრაციული აქტის ბათილობისა და ძალადაკარგულად გამოცხადებას.

2. პირის კანონიერი ნდობის უფლების წარმოშობის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ან ამ ორგანოს თანამდებობის პირის დაპირება რაიმე ქმედების შესასრულებლად. აღსანიშნავია, რომ ყოველგვარი დაპირება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კანონიერი ნდობის საფუძველად. ასეთად მიიჩნევა მხოლოდ წერილობითი ფორმით შესრულებული დაპირება, რომლის შინაარსიდანაც აშკარად გამომდინარეობს, რომ ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია იღებს შეასრულოს რაიმე ქმედება. ზეპირმა დაპირებებმა არ შეიძლება წარმოშვას კანონიერი ნდობა, რადგანაც ასეთ შემთხვევაში ამ ფაქტის არსებობის დამტკიცება შეუძლებელია (თანამდებობის პირი რომელმაც დაპირება გასცა, შეიძლება უწყებაში აღარ მუშაობდეს). ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ქმედების შესრულება გულისხმობს რაიმე მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებასაც, ანუ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია იღებს, რომ არ განახორციელებს მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილებებიდან ერთ-ერთს. ასევე, აღსანიშნავია, რომ კანონიერი ნდობის უფლება ისაობა იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციული ორგანოს დაპირების შესრულება შეუძლებელი გახდება იმის გამო, რომ ეს გამოიწვევს დაპირების გაცემის შემდეგ გამოცემული იმ ნორმატიული აქტის დარღვევას, რომელიც კანონსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა დაპირებული ქმედების განხორციელებას. ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონიერი ნდობის უფლება ძალას კარგავს იმ შემთხვევაში, თუ კანონი ან გარემოებანი ისე შეიცვალა, რომ შეუძლებელი ან უკანონო ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაპირებული ვალდებულების შესრულება. მაგალითად, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო პირდება

18 წლის ასაკს მიღწეულ პირს, რომ მისცემს ავტომანქანის მართვის უფლებას, თუ იგი ჩააბარებს სპეციალურ გამოცდას, მაგრამ გამოცდის ჩაბარებამდე კანონის მოთხოვნა იცელება და ავტომობილის მართვის უფლების მისაღებად საჭირო ასაკი იზრდება 21 წლამდე. ასევე, თუკი დაინტერესებული მხარე, პირი, რომელმაც მოითხოვა მართვის უფლება, ტრავმის შედეგად დაკარგავს ორივე ხელს, ეს შეუძლებელს ხდის მის მიერ ავტომობილის მართვას და, შესაბამისად, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მისთვის მართვის უფლების მინიჭება კანონით აკრძალულია.

3. კანონიერი ნდობის უფლება არ წარმოიშობა იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს დაპირება გამოწვეული იყო დაინტერესებული მხარის უკანონო მოქმედებით. მაგალითად, პირს, რომელმაც საგზაო პოლიციაში წარადგინა ყალბი ცნობა, რომ იყო თერამეტი წლის და მიიღო დაპირება, რომ გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში მიიღებდა მართვის მოწმობას, კანონიერი ნდობის უფლება არ წარმოეშობა, ანუ მის მიერ გამოცდის ჩაბარება არ ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო ამ შემთხვევაშიც ვალდებულია გასცეს მართვის მოწმობა. კანონიერი ნდობის უფლება კიდევ ერთი პრინციპია, რომლის შემდგომი სრულყოფა და განვითარება დიდადაა დამოკიდებული მისი გამოყენების პრაქტიკაზე.

4. ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) კანონსაწინააღმდეგო დაპირება არ შეიძლება გახდეს კანონიერი ნდობის საფუძველი, თუ აშკარაა დაპირების კანონსაწინააღმდეგობა. მაგალითად, პირს, რომელმაც აკრძალულ ადგილას გააჩერა ავტომობილი და საგზაო პოლიციელისგან მოლაპარაკების შედეგად მიიღო დაპირება, რომ ამისთვის არ იქნებოდა დაჯარიმებული, კანონიერი ნდობის უფლება არ წარმოეშობა. ეს დაპირება კანონსაწინააღმდეგოა, რადგან კანონი პირდაპირ ადგენს აკრძალულ ადგილზე გაჩერებული მანქანის დაჯარიმებას და ამ საკითხის გადაწყვეტა არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონსაწინააღმდეგობის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ობიექტურ მხარეს, ანუ იმას, ფაქტობრივად ეწინააღმდეგება თუ არა დაპირება კანონს და არა იმას, იცოდ-

ნენ თუ არა დაპირების მიმცემმა ან დაინტერესებულმა მხარემ ამ დაპირების კანონსაწინააღმდეგობის შესახებ, ან ის ფაქტორი, თუ რამდენად უფლებამოსილი იყო დაპირების მიმცემი პირი.

იმ შემთხვევაში, თუ კანონი ბუნდოვანია და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს წერილობითი დაპირება (თუნდაც შემდგომში გაირკვეს, რომ კანონის ინტერპრეტაცია არასწორი იყო) წარმოშობს კანონიერ ნდობას. მაგ. უცხოურ კერძო კომპანიას სურს განახორციელოს სავაჭრო ოპერაცია საქართველოს ტერიტორიაზე და მას აინტერესებს დაიბეგრება თუ არა 12%-იანი საბაჟო განაკვეთით ამ ოპერაციისათვის. ამ საკითხის დასამუხტებლად მან წერილობით მიმართა საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტს, საიდანაც მიიღო პასუხი, რომ წერილში მითითებული ოპერაციის განხორციელებისას მასზე გავრცელდებოდა 5%-იანი საბაჟო განაკვეთი. შემდგომში, როდესაც ეს ოპერაცია კომპანიამ უკვე განახორციელა, საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის ახალმა ხელმძღვანელობამ მას მოსთხოვა 12% საბაჟო განაკვეთის გადახდა. ასეთ შემთხვევაში უცხოურ კომპანიას კანონიერი ნდობის უფლება წარმოეშობა.

მუხლი 10. საქვეყნობა

1. ყველას აქვს უფლება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მათი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

2. ადმინისტრაციულ ორგანოში არსებული საჯარო ინფორმაციის გაცნობის, აგრეთვე მათი ასლების მიღების წესი განისაზღვრება ამ კოდექსის III თავით.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს საკითხის საჯაროდ განხილვა, თუ ამას ითვალისწინებს კანონი.

საქვეყნობის პრინციპი დაწერილებითაა განხილული კოდექსის მე-3 თავში. აქედან გამომდინარე, ამ პრინციპზე შემდგომში გვექნება საუბარი. კოდექსის ძირითად დებულებებში ეს მუხლი, პრინციპის ზოგადი არსი და დეფინიცია იმისთვისაა მოყვანილი, რომ კიდევ ერთხელ გავსვას ხაზი რეფორმის ამ დიდ მონაპოვარს.

მუხლი 11. საიდუმლოობა

ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე საჯარო მოსამსახურეს უფლება არა აქვს გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნით გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული ან შექმნილი საიდუმლო ინფორმაცია. პასუხისმგებლობა ასეთი სახის ინფორმაციის გამჟღავნების ან გამოყენებისათვის დეგება კანონით განსაზღვრული წესით. ეს არ შეიძლება გახდეს ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

ამ მუხლთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია შევეხოთ მის კავშირს მე-10 მუხლთან და კოდექსის მე-3 თავთან. ამასთან დაკავშირებით, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ეს მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო მოსამსახურის ვალდებულებას არ გაამჟღავნოს ან არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების დროს მიღებული საიდუმლო ან კონფიდენციალური ინფორმაცია. ეს უფლებამოსილება არ შეიძლება გახდეს ამ კანონის მე-10 მუხლში გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმის საფუძველი. კანონის მე-11 მუხლი, რომელიც საიდუმლოების დაცვის მოთხოვნას შეიცავს, აწესრიგებს ურთიერთობას ადმინისტრაციულ ორგანოსა და მის თანამშრომელს შორის, ხოლო მე-3 თავის დებულებანი არეგულირებენ ინფორმაციის საქვეყნოობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს ადმინისტრაციულ ორგანოსა და მესამე პირებს შორის.

მუხლი 12. ადმინისტრაციული ორგანოსათვის მიმართვის უფლება

1. ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხზე შეტანილი განცხადება და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

ეს მუხლიც ზოგადი ხასიათისაა, რომლის დაკონკრეტებაც შემდეგ ხდება, ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ დებულებებში. იგი უბრალოდ გამეორებულია, რათა კიდევ ერთხელ წაახალისოს ხალხი გამოიყენოს კანონით მინიჭებული ეს მნიშვნელოვანი უფლება.

მუხლი 13. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლებამოსილება

1. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს განიხილოს და გადაწყვიტოს საკითხი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებულ მხარეს, რომლის უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, მიეცა საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. გამონაკლისს აღგენს კანონი.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული წარმოების შესახებ და უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მისი მონაწილეობა საქმეში.

ეს პრინციპი ადმინისტრაციული რეფორმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია, თუმცა იგი ადმინისტრაციულ სამართალში ოდითგანვე ცნობილი იყო როგორც Audi Alterem Partem-ის პრინციპი. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მოუსმენს ყველას, ვისი უფლება ან კანონიერი ინტერესიც ამ აქტით იზღუდება. ყველა, ვისი უფლებაც შეიძლება შეიზღუდოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემით (ეს ეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებასაც, რამეთუ იგი ძირითადად ხორციელდება ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე). უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ამ აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში და თავისი გაელენა მოახდინოს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებაზე (მათ შორის დააყენოს შუამდგომლობები, წარადგინოს მტკიცებულებები და ა.შ.). ეს ხელს შეუწყობს არა მარტო მხარეთა უფლებების დაცვას ადმინისტრაციული წარმოებისას, არამედ უფრო კვალიფიციური და სწორი გადაწყვეტი-

ლებების გამოტანასაც, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო უფრო უკეთაა ინფორმირებული საქმის ყველა გარემოების შესახებ.

აღნიშნული მუხლიც მოგად ნორმას წარმოადგენს და ამ პრინციპის პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა კოდექსის შემდეგ მუხლებშია მოცემული.

მუხლი 14. ადმინისტრაციული წარმოების ენა

ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზური.

კოდექსის მიხედვით ადმინისტრაციული წარმოების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთში – ასევე აფხაზური. ეს დებულება პირდაპირ გამომდინარეობს სახელმწიფო ენის შესახებ კონსტიტუციური დებულებებიდან და ნიშნავს არა მარტო იმას, რომ გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე, არამედ იმასაც, რომ ყველა დოკუმენტი, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა წარედგინოს, სახელმწიფო ენაზე უნდა იყოს შესრულებული. 73-ე მუხლში მუსტად არის განსაზღვრული არასახელმწიფო ენაზე დოკუმენტების წარდგენის შედეგები და მხარეთა უფლებები ამ დროს.

მუხლი 15. ვადების ათვლა

ამ კოდექსში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით ამ კოდექსში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება.

კანონმდებელმა ადმინისტრაციულ სამართალშიც დაამკვიდრა ვადების ათვლის საყოველთაოდ მიღებული მეთოდი, რომელიც პირველად გამოყენებულ იქნა “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონში, ანუ, თუ კოდექსით დადგენილია რაიმე ვადა (მაგ., ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა), ამ ვადაში არ უნდა ჩაითვალოს უქმე (საღვთისაწაულო) და დასვენების დღეები.

თავი II

ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის გობალი დებულებანი

შესავალი

მეორე თავი ეხება ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს, რომლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარება. ამგვარ ურთიერთდახმარებაში იგულისხმება ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის ყოველდღიური ურთიერთობის პრაქტიკა: ეკონომიკის სამინისტრო საგადასახადო ორგანოს სთხოვს ინფორმაციას საწარმოს შესახებ, გარემოს დაცვის სამინისტროს სურს იყოს ინფორმირებული მშენებლობის სამინისტროსაგან ახალი ინფრასტრუქტურის პროექტის შესახებ, ქუთაისის მერი საჭიროებს თბილისის მერის კონსულტაციას ბიუჯეტის მართვის საკითხებში, სოფლის გამგებელი ითხოვს ინფორმაციას ყურძნით ვაჭრობისა და ფასების შესახებ სოფლის მეურნეობის სამინისტროში.

პირველადი მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს ის, რომ ყველა სამთავრობო და ადგილობრივმა თვითმმართველობის ორგანომ გაათვითცნობიეროს, რომ ისინი არ არიან იზოლირებული ორგანოები, მიუხედავად მათი პირადი და უშუალო მიზნებისა, არამედ, ისინი ვალდებული არიან დაეხმარონ ერთმანეთს საერთო საჯარო (სახელმწიფოებრივი) ინტერესების განხორციელებაში (მე-16 მუხლი). მეორე მხრივ, არსებობს კომპეტენციისა და ფინანსური ხარჯების ლიმიტი, რომელიც იძლევა თანამშრომლობაზე უარის თქმის ან ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის საშუალებას (მე-18-19 მუხლები).

ორმხრივი ურთიერთდახმარების საკითხებისა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ოფიციალური დოკუმენტების დამოწმების შესახებ დებულებების გარდა, რომელიც მოცემულია მე-20 მუხლში, მე-2 თავი ეხება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საზოგადოებრივი ექსპერტის როლსა და ფუნქციებს. ამგვარი ექსპერტების არსებობა აუცილებელია იქ, სადაც ადმინისტრაციული ორგანოების ტექნიკური ცოდნა არ არის სავმარისი ქვეყნის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული აქტების გამოსაყენებლად.

აღნიშნულთან დაკავშირებულ დებულებებში (21-26-ე მუხლები) მითითებულია, რომ ამგვარი ექსპერტი მოქმედებს დამოუკიდებლად და საკუთარი ცოდნის საფუძველზე.

მუხლი 16. ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულება

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თავისი კომპეტენციის ფარგლებში და მის ხელთ არსებული საშუალებებით აღმოუჩინოს აუცილებელი სამართლებრივი დახმარება სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

2. სამართლებრივ დახმარებად არ ჩაითვლება:

ა) გემდგომი ან ქვემდგომი ორგანოს რაიმე თხოვნის შესრულება;

ბ) ნებისმიერი მოქმედება, რომლის შესრულების ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით აქვს დაკისრებული.

1. წინამდებარე მუხლის პირველ ნაწილში დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულება დაეხმარონ ერთმანეთს. ასეთი დახმარების მისაღებად, კანონი ითვალისწინებს წერილობითი მოთხოვნის წარდგენას, თუმცა, ჩვეულებრივ, აღნიშნული მხოლოდ იმ შემთხვევებში გამოიყენება, როდესაც შესაძლებელია, საქმის სირთულიდან გამომდინარე, კომპეტენციისა თუ უფლებათა მოცულობის საკითხებზე ორგანოთა შორის უთანხმოება წარმოიქმნას. ყოველდღიურ ურთიერთობაში, სადაც ადმინისტრაციულ ორგანოთა შორის არაერთი დავის ან უთანხმოების საფუძველი არ არსებობს, შესაძლოა ურთიერთდახმარების საფუძველი ზეპირი მოთხოვნაც იყოს.

დახმარება სათანადოდ მიიჩნევა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის ფარგლებში. მაგალითად, თუ ფინანსთა სამინისტროში შემავალ სახელმწიფო ხაზინას სურს შეიტყოს ქუთაისში არსებული საწარმოების შესახებ, მას შეუძლია აღნიშნული ინფორმაცია მოსთხოვოს ქუთაისში მდებარე საოლქო საგადასახადო ინსპექციას, მაგრამ არა თბილისის საოლქო საგადასახადო სამსახურს, რამეთუ ამ უკანასკნელს არ გააჩნია ქუთაისში მოქმედების კომპეტენცია.

2. მუხლის მე-2 ნაწილი ამკარას ხდის, რომ ადმინისტრაციულ ორგანოთა ურთიერთდახმარების სამართლებრივი რეეიმი მთლიანად განსხვავდება ერთ იერარქიულ სისტემაში მყოფი ორგანოების დამოიდებულებისაგან. მაგალითად, თბილისში განთავსებულ სამინისტროსა და ქვემო ქართლში მდებარე მის ადგილობრივ სტრუქტურულ ერთეულს შორის ურთიერთობა იერარქიის პრინციპზე დაფუძნებული და მოწესრიგებულია სამინისტროს დებულებით. ურთიერთდახმარების სამართლებრივი რეეიმი ასევე უნდა გაიმიჯნოს კანონის საფუძველზე დამყარებული სამართლებრივი რეეიმისაგან. მაგალითად, ისეთ შემთხვევას, როდესაც კანონი განსაზღვრავს, რომ მშენებლობის სამინისტროს ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის საჭიროა დედაქალაქის საკრებულოს თანხმობა, არ შეიძლება ეწოდოს ურთიერთდახმარება.

მუხლი 17. სამართლებრივი დახმარების პირობა და ფარგლები

ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიმართოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თხოვნით, თუ:

ა) არ შეუძლია თვითონ განახორციელოს მოქმედება სამართლებრივი ან ფაქტობრივი მიზეზების გამო;

ბ) არ გააჩნია მოქმედების შესასრულებლად აუცილებელი ფაქტების საკმარისი ცოდნა, ხოლო ამ ცოდნას ფლობს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო;

გ) დოკუმენტები ან სხვა რაიმე მტკიცებულება, რომელიც აუცილებელია საკითხის გადასაწყვეტად, იმყოფება შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში;

დ) მოქმედების საკუთარი საშუალებით შესრულებისათვის აუცილებელი ხარჯები არსებითად აღემატება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების აღმოჩენისათვის გასაწევ ხარჯებს.

აღნიშნული მუხლი ჩამოთვლის დახმარებისათვის მოთხოვნის საფუძვლებს. მოთხოვნისათვის უნდა არსებობდეს დასაბუთება, თუ რატომ შეუძლია სხვა ორგანოს მოთხოვნილი მოქმედების უფრო ადვილად შესრულება. ასეთი მიზეზები შეიძლება იყოს, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო

მოკლებულია შესაძლებლობას აღასრულოს ადმინისტრაციული აქტი, როდესაც აქტის აღრესატი ცხოვრობს ამ ორგანოს იურისდიქციის ფარგლებს გარეთ, იმ ინფორმაციის ნაკლებობა, რომელიც აუცილებელია გადაწყვეტილების მიღებისათვის და ასეთი ინფორმაცია გააჩნია სხვა ორგანოს. ასევე შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს მოთხოვნილი ქმედების შესრულების შესაძლებლობა, მაგრამ აშკარაა, რომ ეს გაცილებით მეტ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული, ვიდრე აღნიშნული ქმედების სხვა ორგანოს მიერ შესრულება.

იმ ორგანოებს, რომლებიც ხშირად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, როგორც წესი, არ სჭირდებათ ყოველი კონკრეტული მოთხოვნის დასაბუთება. იმ შემთხვევებში კი, როდესაც მოთხოვნა სცილდება ყოველდღიური თანამშრომლობის ფარგლებს, ორგანო ვალდებულია მიუთითოს ამ მუხლით გათვალისწინებული ერთ-ერთი მიზეზი, ისევე როგორც ამ მიზეზის წარმოშობის საფუძველი.

მუხლი 18. უარის თქმა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია არ აღმოუჩინოს სამართლებრივი დახმარება, თუ:

ა) ეს სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს;

ბ) სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ინტერესებს, ანდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას.

2. თუ ადმინისტრაციული ორგანო უარს აცხადებს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე, იგი ვალდებულია 3 დღის ვადაში წერილობით აცნობოს ამის შესახებ იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელმაც თხოვნით მიმართა მას.

3. ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის დავას სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ წყვეტს საერთო ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო ასეთის არარსებობისას – სასამართლო.

4. სარჩელი სასამართლოს წარედგინება მხოლოდ შესაბა-

მისი ადმინისტრაციული ორგანოს შემდგომი ორგანოსაგან სამართლებრივი დახმარების აღმოჩენაზე წერილობითი უარის მიღების შემდეგ.

მე-17 მუხლისგან განსხვავებით, რომელიც განსაზღვრავს დახმარებისათვის მოთხოვნის საფუძველს, ეს მუხლი შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ორგანოს, რომლისგანაც მოთხოვნილი იქნა დახმარება, შეუძლია უარი თქვას დახმარების გაწევაზე. ასეთი უარი დასაშვებია, თუ მოთხოვნილი დახმარება სცილდება ამ ორგანოს უფლებამოსილების ფარგლებს, მიანის მომტანია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ინტერესებისათვის, ან ეწინააღმდეგება ამ ორგანოზე კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულებას. კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა საწინააღმდეგო მოთხოვნის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ შემთხვევა, როდესაც ერთი ორგანო მეორისაგან ითხოვს ისეთი ინფორმაციის გადაცემას, რომელიც კანონის თანახმად, ამ ორგანოს მიერ საიდუმლოდ უნდა იქნეს დაცული შიდაადმინისტრაციულ ურთიერთობებშიც კი (მაგალითად, საგადასახადო და საბანკო საიდუმლოებანი).

მე-3 და მე-4 პუნქტები განსაზღვრავენ დაეთა გადაწყვეტის საკითხს. იმ შემთხვევაში, თუ სხვა ორგანო არ მიიჩნევს მოთხოვნას დასაბუთებულად, უფლება აქვს უარი განაცხადოს მის შესრულებაზე, რის თაობაზეც შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს წერილობით უნდა შეატყობინოს. თუკი ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც მოითხოვა სამართლებრივი დახმარების გაწევა, არ გაიზიარებს დახმარებაზე უარის თქმის არგუმენტებს, დაეა მათ შორის შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს: იმ შემთხვევაში, თუ არსებობს საერთო ხელმძღვანელი ორგანო, სწორედ მას ენიჭება დავის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლება, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევებში, დავებს გადაჭრის სასამართლო. დავები სამინისტროებს შორის გადაწყდება "აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 19. სამართლებრივ დახმარებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება

1. ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ითხოვს სამართლებრივ დახმარებას, ვალდებულია აანაზღაუროს სამართლებ-

რივი დახმარების გაწევისათვის აუცილებელი ხარჯები, თუ ისინი აღემატება 50 ლარს.

2. თუ სავარაუდოა ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ოდენობაზე მეტი ხარჯები, ამის შესახებ ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ უნდა ეცნობოს.

ამ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელსაც მიმართეს თხოვნით სამართლებრივი დახმარების თაობაზე, შეუძლია მოითხოვის სამართლებრივ დახმარებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება, თუკი მათი ოდენობა აღემატება 50 ლარს. ეს ხარჯები არ შეიძლება შეიცავდეს თანამშრომელთა ხელფასებს და სხვა ნებისმიერ დანახარჯს, რომლის გაღებაც ორგანოს მოუწევდა მისი ჩვეულებრივი საქმიანობის დროსაც. მოთხოვნის უფლება წარმოიშობა მხოლოდ დამატებით ხარჯებზე, როგორცაა მაგალითად, ასლის გადაღების, ექსპერტიზის ჩატარების, ბენზინის და სხვა ხარჯები. მოსალოდნელი ხარჯების დაანგარიშება უნდა მოხდეს წინასწარ, რათა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილი გახდეს, თუ რა თანხების გაღება მოუწევს მას სამართლებრივი დახმარების მიღებისათვის. თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი დამტკიცდება, რომ ხარჯები გაიზარდა იმ გარემოებათა გამო, რომელთა თავიდან განსაზღვრაც შეუძლებელი იყო, შესაძლებელია გაზრდილი თანხის მოთხოვნაც.

მუხლი 20. დოკუმენტის ოფიციალური დამოწმების უფლება

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაამოწმოს მის მიერ ან მისი ქვემდგომი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტების ან სხვა დოკუმენტების ასლები, თუ დედნისა და ასლის შინაარსი შეესაბამება ერთმანეთს.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სათანადო წესით დამოწმებული და გამოცემული დოკუმენტების ასლებს აქვთ ოფიციალური ძალა და ადასტურებენ დედანთან იგივეობას.

3. არ შეიძლება დამოწმდეს დოკუმენტი, რომლის შინაარსი შეცვლილია ან დარღვეულია მისი მთლიანობა.

4. დოკუმენტის დამოწმების დროს შედგება დამოწმების ფურცელი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დოკუმენტის ზუსტ დასახელებას;

- ბ) ასლის დედანთან შესაბამისობის დადასტურებას;
- გ) დამოწმების დროსა და ადგილს;
- დ) პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერას, სამსახურებრივ ბეჭედს.

5. დამოწმებული ასლის ყოველ გვერდს უნდა დაესვას სამსახურებრივი ბეჭედი და პქონდეს პასუხისმგებელი თანამდებობის პირის ხელმოწერა.

6. ადმინისტრაციული აქტის ან სხვა დოკუმენტის დამოწმება დადგენილი წესით რეგისტრირებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოში.

1. ეს მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ დოკუმენტების ოფიციალურად დამოწმების უფლების ფარგლებსა და პროცედურას. ოფიციალური დამოწმება გულისხმობს იმის დადასტურებას, რომ ასლი შეესაბამება ორიგინალს, ანუ ასლის შინაარსი დედნის იდენტურია. აღნიშნული დადასტურება არ უნდა აყეთებდეს არავითარ განცხადებას იმის შესახებ, რომ დოკუმენტის შინაარსი შეესაბამება (ან არ შეესაბამება) კანონს ან რეალურ ცხოვრებაში მომხდარ მოვლენას თუ ფაქტს. ადმინისტრაციული ორგანოებისათვის დამოწმების უფლებამოსილების მინიჭება მნიშვნელოვნად გაუადვილებთ მოქალაქეებს მათთვის საინტერესო ადმინისტრაციული აქტების ოფიციალური ძალის მქონე დუბლიკატის მიღებას. ამასთან, სანოტარო დადასტურებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის დადასტურება რაიმე ხარჯთან არ არის დაკავშირებული.

2. ოფიციალური დამოწმების უფლება ვრცელდება მხოლოდ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც გამოცემულ იქნა თავად ამ ორგანოს ან მისი დაქვემდებარებული ორგანოს მიერ. სხვა სახის დოკუმენტების (როგორც საჯარო, ისე კერძო) დამოწმების უფლებამოსილებას სჭირდება ნორმატიული აქტის საფუძველზე მინიჭებული სპეციალური კომპეტენცია, რაც დღეს არსებული კანონმდებლობით არც ერთ სახელმწიფო ორგანოს არ გააჩნია და მხოლოდ ნოტარიუსთა კომპეტენციას განეკუთვნება.

3. იქიდან გამომდინარე, რომ დადასტურების არსს დედნისა და ასლის იდენტურობის დადგენა წარმოადგენს, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არ დაადასტუროს ისეთი ასლები, რომლის შინაარსი დედანს არ ემთხვევა.

არის შემთხვევები, როდესაც პირი დოკუმენტს ამიანებს ან შეგნებულად არღვევს კანონმდებლობით დადგენილი წესით აუნიტული დოკუმენტის მთლიანობას. ამ შემთხვევაშიც ადმინისტრაციული ორგანო ასლის დადასტურებას არ ახდენს.

4. იმისათვის რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებულ დოკუმენტს ოფიციალური ძალა მიენიჭოს, მთელი რიგი ფორმალური მოთხოვნები უნდა იქნეს დაკული. კერძოდ, დოკუმენტის ყოველ გვერდზე დასმულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს ბეჭედი და უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა, ასევე მითითებულ იქნეს დამოწმების დრო და ადგილი. დამოწმების გაყალბების თავიდან ასაცილებლად დამოწმების ფაქტი რეგისტრირებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ ორგანოში.

მუხლი 21. საზოგადოებრივი ექსპერტი

1. საზოგადოებრივ ექსპერტად ჩაითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნილი სამეცნიერო-საკონსულტაციო (საექსპერტო) ორგანოები. ექსპერტად ჩაითვლება აგრეთვე საზოგადოებრივი საექსპერტო დაწესებულების წევრი.

2. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს საექსპერტო დაწესებულებას ან საზოგადოებრივ ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარუდგინოს ექსპერტს საექსპერტო დასკვნისათვის აუცილებელი ინფორმაცია.

4. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია თავისი დასკვნა წარადგინოს კანონის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში.

5. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ ვადის გაშვებამ არ შეიძლება დააბრკოლოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

6. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე დასკვნის წარმდგენი ექსპერტის ვინაობა აღინიშნება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთებაში.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

ამ კოდექსის 21-26-ე მუხლები განსაზღვრავენ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მომზადებისა და გამოცემის პროცესში საზოგადოებრივ ექსპერტთა მონაწილეობის წესს. ამ მუხლის თანახმად, საზოგადოებრივი ექსპერტის ფუნქციაა ინდივიდუალური ან ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის პროექტზე საკუთარი საექსპერტო დასკვნის წარდგენა. აღნიშნული მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან შესაბამისი მითითებების არსებობის შემთხვევაში, ექსპერტის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადების შესაძლებლობასაც. რაც შეეხება "საექსპერტო დასკვნას", იგი შეიძლება მოიცავდეს როგორც ფაქტობრივ (მაგ., სამეცნიერო) ინფორმაციას, ისე ინფორმაციას აქტის კანონიერების, მიზანშეწონილობის ან ეკონომიკური რენტაბელობის შესახებ. არ არის სავალდებულო, რომ საზოგადოებრივი ექსპერტი წარმოადგენდეს რაიმე საეციალურ საექსპერტო დაწესებულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თვითონ შექმნას საკონსულტაციო ან სათათბირო ორგანო, რომელიც ისარგებლებს საზოგადოებრივი ექსპერტის სტატუსით. გარდა საექსპერტო დაწესებულების თანამშრომლის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შექმნილი საექსპერტო-საკონსულტაციო ორგანოსი, ექსპერტის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია თუ გამოცდილება.

როგორც წესი, ადმინისტრაციული აქტის გამოცემისთვის საექსპერტო დასკვნის არსებობა კანონით სავალდებულო არ არის და ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს საკითხის გადაწყვეტაში საზოგადოებრივი ექსპერტის მონაწილეობის აუცილებლობა. თუმცა შესაძლოა კანონმა დაადგინოს საზოგადოებრივი ექსპერტის მონაწილეობის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ექსპერტის მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში და გადასცემს მას ყველა იმ ინფორმაციას, რაც აუცილებელია დასკვნის წარდგენისათვის.

საზოგადოებრივი ექსპერტს დასკვნის წარმოდგენისათვის გარკვეული ვადა უწესდება. ამ ვადის გაშვება ვერ დააბრკოლებს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი დასკვნის არსებობის გარეშე. თუმცა კანონით პირდაპირ შეიძლება იქნეს დადგენილი, რომ დასკვნის არსებობის გარეშე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული ვერ იქნება.

მუხლი 22. საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარდგენა

1. საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია მიუკერძოებლად და კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა.

2. საზოგადოებრივი ექსპერტი თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ეს მუხლი ადგენს ექსპერტის მიერ მისი ვალდებულებების კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შესრულების ვალდებულებებს და აწესებს ექსპერტის პასუხისმგებლობას ამ ვალდებულებათა დარღვევისათვის.

მუხლი 23. საიდუმლო ინფორმაციის დაცვა

საზოგადოებრივი ექსპერტი ვალდებულია არ გაამჟღავნოს საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მოვალეობის შესრულებისას. ეს ვალდებულება ძალაშია საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ თავისი მოვალეობის შესრულების შეწყვეტის შემდეგაც.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

ამ მუხლით განსაზღვრულია საზოგადოებრივი ექსპერტის ვალდებულება კონფიდენციალურად შეინახოს მის მიერ აღმინისტრაციული ორგანოსათვის საექსპერტო მომსახურების გაწევის პროცესში მიღებული საიდუმლო ინფორმაცია. ასეთ შემთხვევაში საზოგადოებრივ ექსპერტს გააჩნია კონფიდენციალურობის დაცვის ისეთივე ვალდებულება, რაც დადგენილია საჯარო მოხელისათვის. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისათვის საზოგადოებრივი ექსპერტი პასუხს აგებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. ხარჯების ანაზღაურება

საზოგადოებრივ ექსპერტს აუნაზღაურდება ყველა ის აუცილებელი დანახარჯი, რომელიც მან გასწია თავისი მოვალეობის შესასრულებლად. ასეთი დანახარჯის გაწევის აუცილებლობის შესახებ აღმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ უნდა ეცნობოს.

ამ მუხლის თანახმად, ექსპერტს აქვს საექსპერტო დანახარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ხარჯები მოიცავს მხოლოდ იმ დანახარჯებს, რომლებიც ექსპერტმა გასწია დასკვნის მომზადებისათვის. რაც შეეხება ექსპერტის შრომის ანაზღაურებას, მისი დარეგულირება მხოლოდ კანონმდებლობით ან ექსპერტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის დადებული ხელშეკრულებითაა შესაძლებელი. როგორც წესი, სამოგადოებრივი ექსპერტი თავის მოვალეობას სამოგადოებრივ საწყისებზე ანაზღაურების გარეშე ასრულებს.

მუხლი 25. საექსპერტო დასკვნის იურიდიული ძალა

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სამოგადოებრივი ექსპერტის დასკვნა არ არის სავალდებულო ადმინისტრაციული ორგანოსათვის. უარი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებაზე უნდა დასაბუთდეს.

ეს მუხლი, ერთი მხრივ, ადგენს გარკვეულ გარანტიებს იმისათვის, რომ ექსპერტის დასკვნამ სრულყოფილი ეფექტი გამოიღოს და უზრუნველყოფილ იქნეს მისი მაქსიმალური გამოყენება ადმინისტრაციული წარმოების პროცესში. გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანო, რა თქმა უნდა, არ არის შეზღუდული სამოგადოებრივი ექსპერტის რეკომენდაციებით. თუმცა, შესაძლოა, ზოგმა კანონმა გაითვალისწინოს დასკვნის სავალდებულო ხასიათი.

მეორე მხრივ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო სამოგადოებრივი ექსპერტის დასკვნის საპირისპირო გადაწყვეტილებას იღებს, ის ვალდებულია დაასაბუთოს, თუ რატომ არ გაითვალისწინა ექსპერტის დასკვნა და რა საწინააღმდეგო მოსაზრებები თუ მტკიცებულებები არსებობდა.

მუხლი 26. სამოგადოებრივი ექსპერტის მოვალეობის შეწყვეტა

სამოგადოებრივ ექსპერტს მოვალეობის შესრულებისაგან ვადაძლე ათავისუფლებს ის ორგანო, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება მისი დანიშნვის შესახებ, თუ იგი:

- ა) უხეზად არღვევს დაყისრებულ მოვალეობას;

ბ) არ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რომლებიც წაყენებულია ამ თანამდებობის დასაკავებლად;

გ) პირადი განცხადებით უარს ამბობს დასკვნის მიცემაზე.

აღნიშნული მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას განსამდგომელ შემთხვევებში შეწყვიტოს ექსპერტის მომსახურებით სარგებლობა. ადმინისტრაციული ორგანო საზოგადოებრივი ექსპერტის გათავისუფლებისას აბსოლუტური დისკრეციით არ სარგებლობს. მას არ შეუძლია გაათავისუფლოს ექსპერტი მხოლოდ იმის გამო, რომ მან არასასურველი დასკვნა წარმოადგინა. ადმინისტრაციულ ორგანოს საზოგადოებრივი ექსპერტის დათხოვნა მხოლოდ ორ შემთხვევაში შეუძლია: როდესაც ექსპერტი არ ასრულებს თავის მოვალეობას ან იგი კანონმდებლობით ექსპერტისათვის დადგენილ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ამასთანავე, ექსპერტს ნებისმიერ შემთხვევაში შეუძლია პირადი განცხადებით უარი თქვას დაკავებულ თანამდებობაზე.

თავი III ინფორმაციის თავისუფლება

შესავალი

ამ კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი ღირსება მესამე თავში მოცემული ინფორმაციის თავისუფლების შესახებ დებულებებია, რომლებიც სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის გამჭვირვალობას უზრუნველყოფენ. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლით კანონით დადგენილი წესით გარანტირებულია სახელმწიფო ორგანოებში არსებული ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობა. ეს თავი კონსტიტუციის ამ მუხლის დეტალიზაციას წარმოადგენს.

სახელმწიფო გადასახადის გადამხდელთა – ჩვენი მოქალაქეთა მიერ გადახდილი გადასახადების ხარჯზე ფინანსდება, ამიტომაც საზოგადოებას აქვს სრული უფლება იცოდეს, რაში იხარჯება მათ მიერ გაღებული ფული. აქ საუბარი არ არის მხოლოდ სახელმწიფო უწყებათა ფინანსების გამჭვირვალობაზე. სახელმწიფო ორგანოებში არსებული ინფორმაციის შექმნა, გადამუშავება ან შენახვა ასევე საზოგადოების მიერ გადახდილი გადასახადებით ხორციელდება. ამიტომ საზოგადოებას მასზეც უნდა მიუწვდებოდეს ხელი.

ხელისუფლება ხალხის მიერაა შექმნილი და, აქედან გამომდინარე, ანგარიშვალდებულია მის წინაშე. ხალხის მიერ ხელისუფლების კონტროლი ვერ განხორციელდება, თუკი საზოგადოების სრულყოფილი ინფორმირება არ მოხდება სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობის თაობაზე. ასეთი საზოგადოების მიერ ინფორმაციის ცოდნის გარეშე დემოკრატია ფარსად გადაიქცევაო, აღნიშნავდა ამერიკის კონსტიტუციის ერთ-ერთი დამფუძნებელი მამა. ამიტომაც დემოკრატიული სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია საზოგადოებას ხელი მიუწვდებოდეს სახელისუფლებო დაწესებულებებში დაცულ ინფორმაციაზე.

მთავრობის გამჭვირვალობის იდეის ჩამოყალიბება გასული საუკუნის 60-იან წლებს უკავშირდება, როდესაც ამერიკის შეერთებულ შტატებში მიღებულ იქნა კანონი, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების აქტის სახელითაა ცნობილი. მას შემდეგ ძალიან ბევრმა როგორც განვითარებულმა, ისე განვითარებადმა ქვეყანამ ანალოგიური კანონმდებლობა აამოქმედა. სახელმწიფო ორგანოების

დაკული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპი, უმეტეს ქვეყანაში, ამერიკული კანონის დასახელების მსგავსად, ინფორმაციის თავისუფლების სახელით დამკვიდრდა. სწორედ აქედან გამომდინარეობს ქართული მოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის დასახელება.

კომუნისტური რეჟიმისათვის, ისევე როგორც ყველა სხვა ტოტალიტარული სახელმწიფოსათვის, დამახასიათებელი იყო ინფორმაციის დახურულობა და გაუმჭვირვალე საქმიანობა. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ადამიანი განიხილებოდა არა როგორც მიზანი, არამედ როგორც საშუალება და საზოგადოების გამრდილ ინტერესს სახელმწიფო ორგანოების საქმიანობისადმი მხოლოდ დამატებითი პრობლემებისა და დისკომფორტის შექმნა შეეძლო. ნებისმიერი ტოტალიტარული რეჟიმი წარმატებულად ფუნქციონირებს მაშინ, როდესაც საზოგადოება მოკლებულია სრულყოფილ, ზუსტ და დროულ ინფორმაციას და მხოლოდ ხელისუფლების მიერ შექმნილი მითითებით იცვება. თუ ქართულ საზოგადოებას სურს გათავისუფლდეს ტოტალიტარული წარსულის შედეგებისაგან, მან სახელმწიფო ორგანოთა რაც შეიძლება გამჭვირვალე სისტემა უნდა შექმნას.

აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით გამოცემულ ინფორმაციის თავისუფლების გზამკვლევაში აღნიშნულია: “სახელმწიფო დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას დღევანდელ საქართველოში საფრთხეს ის კი არ უქმნის, რომ გამჭვირვალობის შემთხვევაში მოქალაქეთა მომღვაებელი ინტერესის შედეგად მათი პარალიზება მოხდება, არამედ უფრო პირიქით, საზოგადოების თითქმის სრული სამოქალაქო ნიპილიზმი და პოლიტიკური ინდიფერენტულობა.

მხოლოდ მთავრობის გამჭვირვალეობა ადადგენს ხალხის ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი. მხოლოდ სრული გამჭვირვალეობის პირობებში გაიფანტება საზოგადოების ეჭვები და გაქრება თანამდებობის პირთა ტოტალური არაყეთილსინდისიერების სტერეოტიპი. მხოლოდ ინფორმაციის თავისუფლების პირობებშია შესაძლებელი განხორციელდეს დემოკრატიის იდეალი – ხალხის ძალაუფლება, ხალხის მიერ და ხალხისათვის.”

კოდექსის მიხედვით საქართველოს ყველა მოქალაქეს, უცხოელს, იურიდიულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ინფორმაცია, თუ იგი არ განეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან პირად საიდუმლოებას. ინფორმაცია უნდა გაიყოს დაუყოვნებლივ, ან გამონაკლისის სახით, კანონით გათვალისწინებულ გარემოებების არსებობისას. ათი დღის ვადაში

ინფორმაციის გაცემის ვალდებულება აკისრია არა მხოლოდ ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის/მმართველობის ორგანოს (მათ შორის იმ უწყებებსაც, რომლებმაც ადმინისტრაციული კოდექსის სხვა თავების მოქმედება არ ვრცელდება), არამედ აგრეთვე ყველა საჯარო სამართლის იურიდიულ პირს და იმ კერძო დაწესებულებას, რომლებიც დელეგირების საფუძველზე ახორციელებენ სახელისუფლებო ფუნქციას ან იყენებენ საბიუჯეტო სახსრებს.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა ზუსტად აღწერს ინფორმაციის გაცემის სავალდებულობას, გაცემის წესსა და ვადებს, საჯარო მოხელეთა პასუხისმგებლობას ინფორმაციის გაცემაზე უკანონო უარისათვის, ძალიან ბევრი სახელმწიფო უწყება ინფორმაციის თავისუფლების შესახებ დებულებების იგნორირებას ახდენს. მაგალითისთვის მოვიყვანთ ციტატას მოგიერთი პირველი რიგის ანტიკორუფციული ღონისძიების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 15 მარტის №95 ბრძანებულების სამოქალაქო მონიტორინგის ანგარიშიდან: “ბრძანებულების მე-13 პუნქტის მოთხოვნათა შესრულებაზე მონიტორინგი ჩატარდა საქართველოს რაიონების 158 დაწესებულებაში. მათგან გამოთხოვილი იყო ორი სახის ინფორმაცია: შემოწმების კალენდარული გეგმა და შემოწმების პროცესში მხარეთა უფლება-მოვალეობების ამომწურავი ჩამონათვალი. ინფორმაცია მოგვაწოდა მხოლოდ 38 უწყებამ. კალენდარული გეგმის შესახებ ინფორმაცია არ მოუწოდებია ორგანოთა 70%-ს, ხოლო უფლება-მოვალეობათა ჩამონათვალი არ გადმოგვცა 77%-მა.

შენიშვნა: მონიტორინგის მიერ დაფიქსირებული დაწესებულების თანამშრომლების მიერ მიცემული გეპირი განმარტების ტიპური მაგალითებია:

– უფროსი არ იმყოფება სამსახურში;

– არ მიუღიათ მითითება ხელმძღვანელისაგან;
– ეს ინფორმაცია საიდუმლოა;
– უნდა ვკითხო ჩემს უფროსს ქუთაისში, ამ განცხადებას უნდა გაეცეს თუ არა პასუხი;

– ჩვენს სამსახურს არ ევალება მსგავსი ინფორმაციის წარდგენა;

– სხვა შენობაში გადასვლისა და რემონტის გამო ინფორმაციის გაცემის საშუალება არ გვაქვს;

– იცის თუ არა ამის შესახებ გამგებელმა?”

ძნელია, ამაზე ბუსტად აღიწეროს დღეს ჩვენი უწყებების უმრავლესობაში ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა. პასუხებიდან ჩანს, რომ უმეტესი მათგანი ისევ ძველი სტერეოტიპებით მუშაობს და არ იცნობს ან არ სურს იცოდეს კონსტიტუციის და კოდექსის მოთხოვნები. იგივე მდგომარეობის დადასტურებას წარმოადგენს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მონიტორინგის ანგარიში, რომელშიც ინფორმაციის გაცემაზე უარის მრავალი ფაქტია მოტანილი.

მიუხედავად ამისა, არის იმედისმომცემი პრეცედენტები. ბევრი უწყება, განსაკუთრებით, უმაღლესი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები ინფორმაციას გასცემენ კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით. სასამართლოებმა სასამართლო დავების უმეტესობა ინფორმაციის გაცემის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ჩვენ შორს ვართ იმ ამრისაგან, რომ ცხოვრების წესის შეცვლა ერთი ხელის დაკერით, კანონის მიღებით, შესაძლებელია, ეს პრეცედენტები არასაკმარისია კანონისათვის, რომელიც ორ წელზე მეტია, რაც მოქმედებს. აუცილებელია, საზოგადოების და სახელმწიფო ორგანოთა ძალისხმევა, რათა კოდექსის მოთხოვნები ქალაქებში არ დარჩეს. ნებისმიერი უფლების რეალიზაციის ყველაზე საუკეთესო საშუალება ამ უფლებისათვის მუდმივი ბრძოლაა. მხოლოდ ასეთი ბრძოლით თუ გახდება ბევრი უწყება იძულებული, უარყოს ძველი სტერეოტიპები და დაიცვას ახალი კანონმდებლობის მოთხოვნები.

მუხლი 27. ტერმინთა განმარტება

ამ თავში გამოყენებულ ტერმინებს ამ თავის მიზნებისათვის აქვე შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საჯარო დაწესებულება – ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში;

ბ) კოლეგიური საჯარო დაწესებულება – საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებებს ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს;

გ) კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრი – საჯარო მოსამსახურე, რომელიც ხმის უფლებით მონაწილეობს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღებაში ან მომზადებაში;

დ) თანამდებობის პირი – “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირი;

ე) სხდომა – საჯარო დაწესებულების სახელით გადაწყვეტილების მიღების ან ამ გადაწყვეტილების მომზადების მიზნით დაწესებულების წევრთა მიერ საკითხის განხილვა;

ვ) გამოქვეყნება – კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში საჯარო ინფორმაციის შეტანა და საჯარო ინფორმაციის სამოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ზ) საჯარო მონაცემთა ბაზა – საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ სისტემურად შეგროვებული, დამუშავებული და შენახული მონაცემები;

თ) პერსონალური მონაცემები – საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა;

ი) აღმასრულებელი პრივილეგია – საჯარო დაწესებულებებისა და საჯარო მოსამსახურეების გათავისუფლება ამ თავით გათვალისწინებული მოვალეობებისაგან;

კ) გადაუღებელი აუცილებლობა – კანონმდებლობის დარღვევის საშიშროება ან ვითარება, როდესაც დემოკრატიულ სამოგადოებაში რეალური საფრთხე ექმნება საჯარო დაწესებულებების ფუნქციონირებას.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6. მუხ. 8)

მიუხედავად იმისა, რომ ცნებების განმარტება უკვე გადმოცემულია კოდექსის მე-2 მუხლში, აღნიშნული თავით შემოტანილია ახალი ცნებების განმარტებები. ამის მიზეზი კი ისაა, რომ კოდექსის მეორე მუხლში მითითებულ ცნებებს მნიშვნელობა აქვს არა მარტო ამ კოდექსისათვის, არამედ ყველა სხვა სამართლებრივი აქტისათვის. კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად “თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლის პირველ ნაწილში მოცემულ ტერმინებს სხვა სამართლებრივი აქტით არ შეიძლება მიეცეთ სხვა მნიშვნელობა.” ხოლო 27-ე მუხლში მოცემულ ცნებებს მხოლოდ კოდექსის მე-3 თავისთვის აქვს მნიშვნელობა და კოდექსის სხვა თავებში ან სხვა საკანონმდებლო აქტებში მას იგივე მნიშვნელობა ავტომატურად არ შეიძლება მიენიჭოს. ამ თავში მოცემული მოგიერთი ცნება სხვა საკანონმდებლო აქტში სხვა მნიშვნელობით გამოიყენება (მაგ., თანამდებობის პირი) და ამიტომ ერთიანი უნივერსალური ცნებების შემოტანა შეუძლებელი აღმოჩნდა.

მე-3 თავი ინფორმაციის გაყვამასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს. ინფორმაციის გაყვამის ვალდებულება მხოლოდ აღმინისტრაციულ ორგანოებს კი არა, არამედ ყველა სხვა საჯარო უწყებას ეხება. სწორედ ამან განაპირობა მე-3 თავში ცნებათა განმარტებების ცალკე ჩამოყალიბება.

ა) საჯარო დაწესებულების ცნების გასამდგრა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც სწორედ ეს განსაზღვრავს ამ თავის მოქმედების არეალს. საჯარო დაწესებულებად ჩაითვლება ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა).

საჯარო დაწესებულებად ჩაითვლება აგრეთვე ნებისმიერი პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო უფლებამოსილებებს ამ უფლებამოსილებების განხორციელებისას. მაგ., შპს “სსჯ-აუდიტს” ამ კოდექსის XI თავის შესაბამისად დაევალა სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილება. ამავე დროს ეს კერძო კომპანია ახორციელებს კერძო საწარმოების აუდიტსაც. საჯარო დაწესებულებად “სსჯ-აუდიტი” ჩაითვლება მხოლოდ სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილებისას და მან

ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა ინფორმაციის საჯაროობა უნდა უზრუნველყოს. სხვა ყველა საქმიანობისას იგი განიხილება როგორც ჩვეულებრივი კერძო კომპანია და ვალდებული არ არის ამ საქმიანობებთან დაკავშირებული რაიმე დოკუმენტის გამჭვირვალობა უზრუნველყოს.

საჯარო დაწესებულებად ასევე ჩაითვლება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში. მაგ., ჟურნალი "ალამი" ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან იღებს 25 000 ლარს. ჟურნალის საერთო წლიური ბიუჯეტი შეადგენს 120 000 ლარს. ჟურნალის გამომცემელი საჯარო დაწესებულებად ითვლება მხოლოდ სახელმწიფოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების განკარგვის ნაწილში და ვალდებულია საბოგადობისათვის ხელმისაწვდომი გახადოს ყველა ინფორმაცია ამ თანხების განკარგვისა და ამით მიღებული შედეგის შესახებ. ხოლო სხვა წყაროებიდან მიღებული თანხების განკარგვის შესახებ ინფორმაცია დახურულია და ჟურნალი ვალდებული არ არის უზრუნველყოს მათი საჯაროობა;

ბ) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებად ჩაითვლება ისეთი დაწესებულება, რომელშიც გადაწყვეტილების მიღება ხდება კოლეგიურად ორი ან მეტი პირის მიერ ერთხმად, დამსწრეთა უმრავლესობით ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესით. მაგ., ქალაქ თბილისის საკრებულო.

კოლეგიურ საჯარო დაწესებულებად ჩაითვლება აგრეთვე ისეთი დაწესებულება, რომელშიც გადაწყვეტილების მომზადება ხდება კოლეგიურად ორი ან მეტი პირის მიერ. ძალიან ბევრი სახელმწიფო კოლეგიური დაწესებულება უშუალოდ თვითონ კი არ იღებს გადაწყვეტილებას, არამედ მას მხოლოდ ამზადებს. ამის საუკეთესო მაგალითია საქართველოს მთავრობა, რომელიც უშუალოდ არ იღებს დამოუკიდებლად რაიმე სამართლებრივ აქტს და წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს. მის სხლომაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება ფორმდება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით. ანალოგიური სათათბირო სტატუსი გააჩნია საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და ოუსტიციის საბჭოებს, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შექმნილ საუწყებათაშორისო კომისიებს

და ა.შ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს კოლეგია ასევე წარმოადგენს სათათბირო ორგანოს იუსტიციის მინისტრისათვის.

იმისათვის, რომ ესა თუ ის დაწესებულება ჩაითვალოს კოლეგიურ საჯარო დაწესებულებად, გემოაღნიშნულთან ერთად, კიდეც ორ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს. პირველი, საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილების მიღების მოსამზადებლად აუცილებელია დაწესებულების წევრთა ერთად შეკრება, ანუ უნდა გაიმართოს დაწესებულების სხდომა. მეორე, სხდომაზე საბოლოო გადაწყვეტილების ფორმირება სხომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობის ამრის გათვალისწინებით უნდა მოხდეს, კენჭისყრით ან კანონმდებლობით დადგენილი სხვა წესით, ანუ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს განხილვაში მონაწილე წევრთა უმეტესობის ამრს;

გ) კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრად ჩაითვლება ის პირი, რომელსაც გააჩნია ხმის უფლება კოლეგიური დაწესებულების სხდომაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისმა ხმამ გეგავლენა უნდა მოახდინოს კოლეგიური საჯარო დაწესებულების კენჭისყრის შედეგებზე/საბოლოო გადაწყვეტილებაზე. მას შეუძლია კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომაზე დააფიქსიროს თავისი პოზიცია და მოითხოვოს საკითხის კენჭისყრაზე დაყენება;

დ) საქართველოს კანონმდებლობაში თანამდებობის პირის რამდენიმე განმარტება არსებობს. ამ კოდექსში მოცემული თანამდებობის პირის ცნების მნიშვნელობა განსხვავებულია როგორც საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის, ისე სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული ამ ცნების მნიშვნელობისაგან. კოდექსის ამ მუხლში მოცემული თანამდებობის პირის ცნება საკმაოდ ვიწრო გაგებით იხმარება. თანამდებობის პირებად ჩაითვლება მხოლოდ ის პირი, რომელიც გათვალისწინებულია “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლით. ამ მუხლში მითითებულია ის თანამდებობის პირები; რომლებიც ეალდებულნი არიან შეავსონ ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარაციები. ესენი არიან საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის წევრი, მინისტრი და მისი მოადგილეები, სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, მოსამართლე, პროკურორი, საქართველოს პრეზიდენტის რწმუ-

ნებული, რაიონის გამგებელი და ა.შ. დღეს არსებული მდგომარეობით სულ დაახლოებით ოთხი ათასი ასეთი თანამდებობის პირია, ანუ აქ საუბარია მაღალი თანამდებობის პირებზე, რომელთაც მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ ქვეყანაში არსებულ მდგომარეობაზე. ამ თავში გამოყენებული ტერმინი — თანამდებობის პირი მხოლოდ ამ მნიშვნელობით უნდა იქნეს გაგებული;

ე) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კოლეგიური საჯარო დაწესებულება გადაწყვეტილებას იღებს/ამზადებს მხოლოდ ამ დაწესებულების წევრთა ერთად შეკრების შემთხვევაში, ანუ კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილებები მიიღება სხდომებზე. ამასთან, არ არის აუცილებელი, რომ სხდომას ოფიციალური სახე ჰქონდეს. თუკი კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრები იყრიებიან გადაწყვეტილების მომზადების/მიღების მიზნით, ეს ამ თავში გათვალისწინებული მიზნებისათვის ჩაითვლება სხდომად და, შესაბამისად, იგი ღია უნდა იყოს სამოგადოებისათვის. ამგვარი განმარტება კოდექსში იმიტომაა მოცემული, რათა სამოგადოების დასწრების თავიდან აცილების მიზნით კოლეგიურ საჯარო დაწესებულებებს საკითხები სხდომების ნაცუვლად არაფორმალურ შეხვედრებზე არ განეხილათ;

ვ) ამ თავში მოცემული “გამოქვეყნების” ცნების განმარტება მნიშვნელოვნად განსხვავდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონში, ასევე ამ კოდექსის 55-56-ე მუხლებში მოცემული “გამოქვეყნების” ცნების გაგებისაგან. 56-ე მუხლის მიხედვით გამოქვეყნების ქვეშ იგულისხმება ოფიციალურ, ხოლო მისი არარსებობის შემთხვევაში, პერიოდულ ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნება.

ამ თავში მოცემული გამოქვეყნება კი ნიშნავს ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფას. ინფორმაციის საჯაროობა კი მიღწეულ უნდა იქნეს მისი საჯარო რეესტრში შეტანით. 35-ე მუხლის მიხედვით კი საჯარო რეესტრის ყველა მონაცემი ხელმისაწვდომია სამოგადოებისათვის;

ზ) საჯარო დაწესებულებები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათში არსებული ინფორმაციის დამუშავება და სისტემატიზაცია. სწორედ ინფორმაციების სისტემატიზაციის საფუძველზე იქმნება საჯარო მონაცემთა ბაზა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია

იყოლეს რომელ ადგილას და რა ფორმით ინახება ესა თუ ის ინფორმაცია. საჯარო მონაცემთა ბაზის მოწესრიგება ამას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს;

თ) პერსონალურ მონაცემად ჩაითვლება ნებისმიერი ინფორმაცია რომელიმე კონკრეტული პირის შესახებ, რომელიც ამ პირის ვინაობის დადგენის შესაძლებლობას იძლევა. პერსონალური მონაცემები, ფაქტობრივად, პირის შესახებ მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციაა (მაგ.: სახელი, გვარი, მისამართი, ასაკი, განათლება, სამუშაო ადგილი, ჯანმრთელობის მდგომარეობა და ა.შ). ასეთი ინფორმაცია მრავალ საჯარო დაწესებულებაში ინახება. მათ განსაკუთრებული დამოკიდებულება სჭირდებათ, რადგანაც მათი დიდი უმეტესობა პირად საიდუმლოებას წარმოადგენს და დახურულია საზოგადოებისათვის. პერსონალური მონაცემების დამუშავების, შენახვის და გაცემის წესზე 43-46-ე მუხლებში გვექნება საუბარი;

ი) აღმასრულებელი პრივილეგიის ცნებას ქართულ კანონმდებლობაში პირველად ეს კოდექსი, კერძოდ მისი მესამე თავი ამკვიდრებს. ეს ინსტიტუტი საემაოდ ცნობილია სხვა ქვეყნების საჯარო სამართალისათვის, განსაკუთრებით ანგლო-საქსურ სამართლის ქვეყნებში. ამ ინსტიტუტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ უმრუნველყოფილ იქნეს საჯარო მოხელეების მიერ წამყვანი სახელმწიფო თანამდებობის პირებისათვის მიცემული რჩევების კონფიდენციალურობა, ანუ საჯარო მოხელეთა მიერ მიცემული რჩევების მიმართ ინფორმაციის საჯაროობის პრინციპი არ ვრცელდება და ეს ინფორმაცია დახურული უნდა იყოს. ამავე დროს ეს ინფორმაცია არ წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას, რადგანაც სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის ცნობას განსაზღვრული პროცედურები სჭირდება, რაც აღმასრულებელი პრივილეგიისათვის სავალდებულო არ არის. აღმასრულებელი პრივილეგიის შინაარსზე და ამ დროს შექმნილი ინფორმაციის კონფიდენციალობაზე დაწერილებით 29-ე მუხლში გვექნება საუბარი;

კ) ეს თავი გადაუდებელი აუცილებლობის ცნების განსხვავებულ ინტერპრეტაციას გეთავაზობს. გადაუდებელ აუცილებლობად, ერთი მხრივ, ჩაითვლება ვითარება, თუკი დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების, მათ

შორის, ვადების დარღვევა. მეორე მხრივ, გადაუდებელ აუცილებლობად ითვლება ისეთი ვითარება, როდესაც საფრთხე ექმნება საჯარო დაწესებულების ფუნქციონირებას. ამასთან, საფრთხე უნდა იყოს რეალური, ანუ მას რეალურად უნდა შეეძლოს საჯარო დაწესებულების მუშაობის ჩაშლა. ამავე დროს, ეს საფრთხე დემოკრატიული საზოგადოების წინააღმდეგაც უნდა იყოს მიმართული, ანუ საჯარო დაწესებულების საქმიანობის შეფერხებას უნდა შეეძლოს დემოკრატიული პრინციპებისა და დემოკრატიული სისტემის ეროვნის გამოწვევა.

მუხლი 27¹. პირადი საიდუმლოება

პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

საჯარო დაწესებულების შესახებ არსებული ყველა ინფორმაცია a priori ღიაა. თუკი იგი არ გასაიდუმლოვდება კანონით ბუსტად დადგენილი წესითა და შემთხვევებში. კერძო პირების მიმართ კი ეს პირიქითაა, მათ შესახებ საჯარო დაწესებულებაში დაცული ყველა ინფორმაცია დახურულია, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც პირად ცხოვრებაში ჩაურევლობა კონსტიტუციითაა გარანტირებული. კონსტიტუციის მე-20 მუხლის თანახმად ადამიანის პირადი ცხოვრება ხელშეუხებელია, ხოლო 41-ე მუხლის შესაბამისად საჯარო დაწესებულება, რომელიც აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე, კანონით დადგენილი წესით, აგროვებს ან ინახავს ამა თუ იმ პირის შესახებ ინფორმაციას, ვალდებულია უზრუნველყოს ამ ინფორმაციის დაცულობა.

პირადი საიდუმლოების ცნება საქართველოს კანონმდებლობაში ცალკე არსად განმარტებული არ არის. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის შესაბამისად “ოფიციალურ ჩანაწერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებთან ან სხვა კერძო საკითხებთან, არაუვისათვის არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ პირის თანხმობის გარეშე, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადო-

ებრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად.” აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა ის ინფორმაცია, რაც დაკავშირებულია ფინანსებთან ან ჯანმრთელობასთან, შეიძლება ჩაითვალოს პირად საიდუმლოებად. ხოლო, რაც შეეხება “სხვა კერძო საკითხებს”, იგი არც კონსტიტუციაში, არც სხვა საკანონმდებლო აქტში დაზუსტებული არ არის.

კოდექსის მიხედვით ყველა პერსონალური მონაცემი ჩაითვლება პირად საიდუმლოებად, ანუ საჯარო დაწესებულებაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა, ავტომატურად უნდა ჩაითვალოს პირად საიდუმლოებად ამ საჯარო დაწესებულების მიერ და ეს ინფორმაცია ხელმიუწვდომელი უნდა იყოს სხვა საჯარო დაწესებულებისა და კერძო პირებისათვის. ამ ინფორმაციის განსაიდუმლოება შეიძლება მხოლოდ თვით ამ პირის თანხმობით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში. კანონით პირად საიდუმლოებას მიუთვინებელი ინფორმაციის განსაიდუმლოება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების ან სამოგადობრივი უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, სხვათა უფლებების და თავისუფლებების დასაცავად და სხვა საშუალებით ასეთი საჯარო ინტერესის დაცვის შესაძლებლობა არ არსებობს.

მუხლი 27². კომერციული საიდუმლოება

1. კომერციული საიდუმლოება – ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა მიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.

2. ინფორმაცია აღმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

3. ინფორმაციის წარდგენისას პირი ვალდებულია მიუთითოს, რომ ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა. საჯარო დაწესებულება ვალდებულია 10 დღის ვადაში კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალის-

წინებული ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ინფორმაციის ღიაობის ვალდებულება დადგენილია კანონით. თუ ინფორმაციის წარდგენისას საჯარო დაწესებულება არ ცნობს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად, იგი იღებს გადაწყვეტილებას მისი ღიაობის თაობაზე, რასაც დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის პირს. გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია, თუ პირმა, რომლის საკუთრებასაც წარმოადგენს ეს ინფორმაცია, ამ ვადის გასვლამდე შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში არ გაასაჩივრა ინფორმაციის ღიაობის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება, რაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საჯარო დაწესებულებას.

4. ნებისმიერ პირს უფლება აქვს შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი.

5. საჯარო დაწესებულება ვალდებულია საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6. მუხ. 8)

1. კომერციულ საიდუმლოებად ჩაითვლება ნებისმიერი ის ინფორმაცია, რომელსაც გააჩნია კომერციული ღირებულება, ანუ ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი უნდა იყოს მოგების მიღება საწარმოს/ფიზიკური პირის მიერ. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს გეგმის, პროცესის, ფორმულის სახის (მაგ., გამაგრილებელი სასმელის ნაყენის ფორმულა, პოლიეთილენის პარკების წარმოების პროცესი და ა.შ.) და უნდა ეხებოდეს საქონლის წარმოებას, გადამუშავებას, მომზადებას ან მომსახურების გაწევას (მაგ., ნაყინის მწარმოებელი დანადგარი). ეს ინფორმაცია შეიძლება წარმოადგენდეს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს (მაგ., ახალი სამკურნალო პრეპარატის შემადგენლობა).

კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს აგრეთვე ნებისმიერი ის ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა მიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე (მაგ., რა უჯდება ერთი ბოთლი ღვინის წარმოება შპს “შიოს მარანს”, რომელ რეგიონში

ყიდის ის ყველაზე უკეთ ან ყველაზე ცუდად თავის პროდუქციას. რა რაოდენობის პროდუქციას აწარმოებს და რა მოგება აქვს მას წლის განმავლობაში). ასეთი ინფორმაციის ცოდნა პირის კონკურენტს საშუალებას მისცემს, გამოიყენოს მისი სუსტი მხარეები საკუთარი პროდუქციის ბაზრის გაფართოებისათვის. სიძნელებები შეუქმნას მას, დაგეგმოს თავისი საქმიანობა სხვაგვარად და ა.შ.

2. ადმინისტრაციულ ორგანოსთან დაკავშირებული არც ერთი ინფორმაცია არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კომერციულ საიდუმლოებად. ადმინისტრაციულ ორგანოებში სხვა პირთა კომერციული საიდუმლოება შეიძლება ინახებოდეს, მაგრამ თვით ამ ორგანოს საკუთარი კომერციული საიდუმლოება არ გააჩნია. ადმინისტრაციული ორგანოები საჯარო უფლებამოსილებებს ახორციელებენ და კომერციული საქმიანობის უფლება არ შეიძლება დაეკისროთ. დაუშვებელია ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის ძირითად მიზანს მოგების მიღება წარმოადგენდეს. შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეიძლება ისეთი ინფორმაცია გააჩნდეს, რომელიც მისთვის კომერციულ ფასეულობას წარმოადგენს ან მის კონკურენტუნარიანობას შეასუსტებს. ამიტომ, კოდექსი კრძალავს რაიმე ინფორმაციას მიენიჭოს ადმინისტრაციული ორგანოს კომერციული საიდუმლოს სტატუსი.

3. მოგჯერ კანონი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ ინფორმაცია პირის კომერციულ საიდუმლოებას განეკუთვნება (მაგ., ინფორმაცია გადახდილი გადასახადების შესახებ). ასეთ შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება, რომელიც ამ ინფორმაციას მიიღებს, ვალდებულია ავტომატურად ცნოს იგი კომერციულ საიდუმლოებად.

სხვა შემთხვევაში ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი პირის მოთხოვნის საფუძველზე. როდესაც პირი გადასცემს ინფორმაციას საჯარო დაწესებულებას, მან იქვე უნდა მიუთითოს სურს თუ არა ამ ინფორმაციის შინაარსის კონფიდენციალობის უზრუნველყოფა. თუ პირი ინფორმაციის წარდგენისას არ მიუთითებს, რომ მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია მის კომერციულ საიდუმლოებას განეკუთვნება, ეს ინფორმაცია ღია გახდება ნებისმიერი მსურველისათვის. მაგ., თუ შპს “ვარანი” სტატისტიკის დეპარტამენტისათვის საკუთარი შემოსავლების შესახებ ინფორმაციის გადაცემისას არ მიუთითებს

ამ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობის აუცილებლობაზე, ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება (თუნდაც ფორმალურად ასეთი ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებას შეიძლება მიეკუთვნებოდეს). საჯარო დაწესებულება ვალდებულია ინფორმაციის მიღებისას განუმარტოს პირს ამ უფლებისა და მისი გამოუყენებლობის შედეგების შესახებ. თუ საჯარო დაწესებულება უშუალოდ ამ პირისაგან არ მიიღებს ინფორმაციას, იგი ვალდებულია მისცეს მას შესაძლებლობა გამოთქვას თავისი ამრიგე ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე.

ინფორმაციის მიღებიდან ათი დღის განმავლობაში საჯარო დაწესებულება აცხადებს ამ ინფორმაციას კომერციულ საიდუმლოებად ან იღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევაზე უარის შესახებ. ზოგ შემთხვევაში ინფორმაციის ღიაობის მოთხოვნა დადგენილია თვით კანონით. მაგ., სასამართლოში საწარმოს რეგისტრაციისას მონაცემები საწარმოს მეწილეების, სამეთვალყურეო საბჭოს წევრების და დირექტორების შესახებ ღიაა. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად ცნობაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის პირს.

თუ გადაწყვეტილება თხუტმეტი დღის განმავლობაში არ იქნა შესაბამისი პირის მიერ გასაჩივრებული ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში, ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება ნებისმიერი პირისათვის. თხუტმეტლიანი ვადის მიმდინარეობა შეჩერდება, თუკი პირი გადაწყვეტილებას არ გაცნობია კანონით დადგენილი წესით.

4. პირს, რომელიც უარს მიიღებს რაიმე ინფორმაციის მისთვის გადაცემაზე იმის გამო, რომ ეს ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებადაა მიჩნეული, უფლება აქვს ზემდგომ ორგანოში ან სასამართლოში გაასაჩივროს ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის კანონიერება. ეს დებულება სრულიად ზედმეტად მიგვაჩნია, რადგანაც პირი ასეთი უფლებით ისედაც სარგებლობს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. კომერციული ინფორმაციის მოთხოვნის ყველა შემთხვევა, მოთხოვნის თარიღის, მოთხოვნის ვინაობისა და მისამართის

მითითებით. შეიტანება საჯარო რეესტრში და ყველასათვის ხელმისაწვდომია.

მუხლი 27³. პროფესიული საიდუმლოება

პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

იმისათვის რომ ესა თუ ის ინფორმაცია ჩაითვალოს პროფესიულ საიდუმლოებად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ორ უმთავრეს კრიტერიუმს:

ა) ეს ინფორმაცია პირისათვის ცნობილი უნდა გახდეს მის პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით. მაგ., ექიმის მიერ პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიღება მისი პროფესიული მოვალეობის შესრულებასთანაა დაკავშირებული და, აქედან გამომდინარე, მან ეს ინფორმაცია არ უნდა გაამჟღავნოს. ადვოკატი თავისი კლიენტის შესახებ ინფორმაციას სწორედ საადვოკატო საქმიანობის გამო იღებს და ეს ინფორმაცია კონფიდენციალურია და ა.შ.

ბ) პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული ინფორმაცია თავისთავად სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას უნდა წარმოადგენდეს. თუ მიღებული ინფორმაცია თავისთავად საიდუმლო არ არის (ანუ არ ითვლება კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებად), მაშინ იგი არც პროფესიულ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რადგანაც მისი პროფესიულ საიდუმლოდ ცნობა უკვე არაავითარი ღირებულების დაკვას აღარ ემსახურება.

პროფესიული საიდუმლოებისათვის დაცვის ასეთი გარანტიების შექმნა გამომდინარეობს თვით ამ პროფესიათა ბუნებიდან. როგორც წესი, ყველა ეს პროფესია განეკუთვნება ე.წ. თავისუფალი პროფესიების კატეგორიას, რომლებსაც თვითრეგულირების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გააჩნია. სახელმწიფო მათი

საქმიანობის მოწესრიგებაში ნაყლებად ერევა. მაგ., თუ ადვოკატის სტატუსს პირს ანიჭებს არა სახელმწიფო, არამედ ადვოკატთა ასოციაცია, რომელიც სახელმწიფო სტრუქტურა არ არის და ყველა ადვოკატის თავისუფალ გაერთიანებას წარმოადგენს.

ამ პროფესიათა წარმატება მათსა და მათ კლიენტს შორის ნდობაზეა დამყარებული. ამიტომ როგორც თვით იმ პირისაგან, რომლისთვისაც ესა თუ ის ინფორმაცია ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობიდან, აგრეთვე სახელმწიფოსაგან აუცილებელია გარკვეული გარანტიების არსებობა. ამ კოდექსის მიღებამდე ეს გარანტიები სხვადასხვა საყანონმდებლო აქტით იყო დადგენილი. მაგ., სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 95-ე მუხლის შესაბამისად, არ შეიძლება მოწმედ დაიკითხოს დამკველი იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ამ საქმეში დამკველის მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით; აგრეთვე სასულიერო პირი – იმ გარემოებათა შესახებ. რომელიც მისთვის ცნობილი გახდა აღსარების ან სხვაგვარად განდობის შედეგად. “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ინფორმაცია.

პროფესიულ საიდუმლოებას მიეუთვნებული ინფორმაცია, როგორც წესი, საჯარო დაწესებულებებში არ ინახება, რადგან ის უშუალოდ იმ პირთანაა დაცული, რომელსაც ეს ინფორმაცია პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებით გაანდეს. მაგრამ შესაძლებელია რაიმე გარემოების წყალობით ეს ინფორმაცია საჯარო ორგანოებში აღმოჩნდეს. მაგ., ცნობილმა ადვოკატმა მთელი თავისი ქონება, მათ შორის პირადი არქივი, სახელმწიფოს დაუტოვა. სახელმწიფო საცავებში მოხვედრილი ადვოკატის მიერ სახელმწიფოსათვის გადაცემული მთელი ინფორმაცია ღიად უნდა გამოცხადდეს, რადგან საჯარო ორგანოებზე ამ კოდექსის მოქმედება ვრცელდება. მაგრამ მის პროფესიულ საიდუმლოებას მიეუთვნებული ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ვერ იქნება, თუკი ის სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას განეკუთვნება. საჯარო დაწესებულებაში ყველა ეს ინფორმაცია გასაიდუმლოვდება არა პროფესიული საიდუმლოს გრიფით, არამედ, შესაბამისად, კომერციული ან პირადი საიდუმლოს გრიფით.

მუხლი 27⁴. სახელმწიფო საიდუმლოება

სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია განისაზღვრება სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონმდებლობით.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

საქართველოს პარლამენტმა 1996 წლის 29 ოქტომბერს მიიღო “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონი, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მომწესრიგებელ ძირითად საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს. ამ კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო საიდუმლოებად ჩაითვლება ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაბვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას. ამ განმარტებიდან გამომდინარე, კანონის მე-7 მუხლი აკონკრეტებს რა ინფორმაცია შეიძლება იქნეს მიჩნეული სახელმწიფო საიდუმლოდ თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობათა, დაბვერვის, სახელმწიფო უშიშროებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროებში. ეს კანონი ასევე განსაზღვრავს სახელმწიფო საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევის წესს, ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადას, საიდუმლო ინფორმაციის დაცვისა და კონტროლის წესს.

ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ამისათვის სათანადოდ უფლებამოსილი პირი. სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაციის დასაიდუმლოება ხორციელდება შესაბამისი დოკუმენტისთვის საიდუმლოობის გრიფის მინიჭებით. გრიფი უნდა აღნიშნავდეს ამ ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხის (“განსაუთრებული მნიშვნელობის”, “სრულიად საიდუმლო”, “საიდუმლო”), ინფორმაციის დასაიდუმლოების ვადასა და თანამდებობის პირს, რომელმაც ეს ინფორმაცია გრიფით აღნიშნა.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღების შემდეგ აუცილებელი გახდა “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებები, რადგანაც ამ ორ საკანონმდებლო აქტს შორის გარეკეული კოლიზიაა. სამწუხაროდ, კანონში ცვლილებები ჯერ არ შესულა. თუ კოდექსი და გემოაღნიშნული კანონი სხვადასხვაგვარად აწესრიგებს ერთსა და იმავე სამართლებრივ ურთიერთობას, უპირატესი იურიდიული ძალა უნდა მიენიჭოს კოდექსს, როგორც უფრო გვიან მიღებულ საკანონმდებლო აქტს.

მუხლი 28. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აწესებს ინფორმაციის ღიაობის პრემუმფიციას. საჯარო დაწესებულებაში დაკული ინფორმაცია არის ღია და ხელმისაწვდომი ყველასათვის მანამ, სანამ საპირისპირო არ იქნება დადგენილი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაკვეთით. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს ინფორმაციის გაკემამე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს ინფორმაცია კანონით დადგენილი წესით გასაიდუმლოებულია, ანუ ცნობილია სახელმწიფო კომერციული ან პირადი საიდუმლოება და ადევს შესაბამისი გრიფი.

თუ ინფორმაციას საიდუმლოს გრიფი არ ადევს, საჯარო დაწესებულება ვალდებული არ არის კიდევ ერთხელ შეამოწმოს მისი ღიაობის მართლბომიერება.

როგორც ეს არის აღნიშნული ინფორმაციის თავისუფლების გამძველემში (გამოცემულია აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) და მერილენდის უნივერსიტეტის IRIS Center-ის ფინანსური მხარდაჭერით) “ჩვენი უფლების განსახორციელებლად საჭირო არ არის შესაბამის სახელისუფლებო დაწესებულებას დაუუმტკიცოთ, რომ ჩვენი მოთხოვნა კანონიერია ან ინტერესი – საფუძელიანი. ყველა ჩვენი მოთხოვნა კანონიერად და საფუძელი-

ანად ითვლება, სანამ შესაბამისი სახელმწიფო ორგანო საპირისპიროს არ დაასაბუთებს. თუ სახელმწიფო დაწესებულება უარს გვეტყვის რაიმე ინფორმაციის მიღებას ან რომელიმე სხლომაზე დასწრებაზე, უართან ერთად მან უნდა დაასაბუთოს საკუთარი გადაწყვეტილების კანონიერება და საფუძვლიანობა.”

მუხლი 29. აღმასრულებელი პრივილეგია

თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა (გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა) ვინაობა დაკულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

აუცილებელია, რომ მაღალი თანამდებობის პირების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები სათანადოდ იქნეს მომზადებული. ამისათვის ამ გადაწყვეტილების მომზადების პროცესში შესაძლოა მრავალი საჯარო მოსამსახურე მონაწილეობდეს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ საჯარო მოსამსახურეს შეეძლოს პირუთვნელი და მიუკერძოებელი რჩევის მიცემა. ზოგიერთი გადაწყვეტილების მიღებისას შეიძლება არსებობდეს დაინტერესებული პირების მხრიდან მნიშვნელოვანი გეწოლა. ხშირად ეს გეწოლა ხორციელდება არა უშუალოდ თანამდებობის პირზე, რამეთუ იგი დაცვის მნიშვნელოვანი გარანტიებით სარგებლობს, არამედ ნაკლებად დაკულ იმ საჯარო მოსამსახურეებზე, რომლებიც გადაწყვეტილების მომზადებაში იღებენ მონაწილეობას. ამიტომ აუცილებელია მათი რჩევის ობიექტურობის და თავისუფლებისათვის გარკვეული გარანტიების დაწესება.

ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებში, ასეთ მოხელეთა მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების შინაარსი კონფიდენციალურადაა აღიარებული. ქართულმა კანონმდებლობამ სხვა გზა აირჩია და კონფიდენციალურად აღიარა არა მოხელის მიერ გამოთქმული მოსაზრების შინაარსი, არამედ თვით ამ მოსამსახურის ვინაობა. ეს შესაძლებლობას იძლევა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილ იქნეს მოსაზრების ავტორის უსაფრთხოება, ხოლო, მეორე მხრივ, საზოგადოებამ შეაფასოს საკითხის გადაწყვეტის რამდენი შესაძლო ვარიანტი იქნა განხილული, სრულყო-

ფილად იქნა თუ არა საკითხი შესწავლილი გადაწყვეტილების მიღებამდე, რა არჩევანი ჰქონდა თანამდებობის პირს და რით იყო განპირობებული მის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

აღმასრულებელი პრივილეგიით სარგებლობენ მხოლოდ ის საჯარო მოხელეები, რომლებიც მონაწილეობენ ამ კოდექსის 27-ე მუხლის ქვეპუნქტში მითითებული თანამდებობის პირისათვის (ანუ მაღალი თანამდებობის პირისათვის) გადაწყვეტილების მომზადების პროცესში. მათი ვინაობა არ შეიძლება გამელაზნდეს. ინფორმაცია მათი ვინაობის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის, თუ ისინი თავად წარმოადგენენ სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს. მაგ., თუ ოუსტიციის მინისტრის ბრძანების მომზადებაში მონაწილეობას იღებდა ამავე სამინისტროს წამყვანი სპეციალისტი, მაშინ მისი ვინაობა არ შეიძლება გამელაზნდეს, ხოლო, თუ ასეთი გადაწყვეტილების მომზადებაში პარლამენტის წევრი ან საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე მონაწილეობდა, მაშინ მათი ვინაობა ყველასათვის ცნობილი უნდა გახდეს, რადგან მათ იმდენად მაღალი თანამდებობები უკავიათ, რომ დამატებითი დაცვა არ არის აუცილებელი.

სამწუხაროდ, ძალიან ბევრ უწყებაში თანამდებობის პირის ხელმოწერის შემდეგ მითითებულია იმ საჯარო მოსამსახურის (მოსამსახურეთა) ვინაობა, რომელიც უშუალოდ ამზადებს გადაწყვეტილებას. ეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევას წარმოადგენს.

მუხლი 30. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ

გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ შეიძლება მიღებულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოითხოვნას, ადგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს და შეიყავს საიდუმლოდ დასაცავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს.

ინფორმაციის გასაიდუმლოება შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. იმისათვის, რომ ესა

თუ ის ინფორმაცია გასაიდუმლოვდეს (აქ საუბარია როგორც სახელმწიფო, ისე კომერციულ, პროფესიულ და პირად საიდუმლოებად ინფორმაციის მიჩნევაზე). აუცილებელია იგი შემდეგ პუნქტებს პასუხობდეს:

ა) კანონი აწესებს მისი გამხელისაგან დაცვის პირდაპირ მოთხოვნას;

ბ) აღგენს ინფორმაციის გამხელისაგან დაცვის კონკრეტულ კრიტერიუმებს;

გ) შეიყავს დასაყავი ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს (ეს მოთხოვნა არ ვრცელდება პირად საიდუმლოებაზე, რადგანაც ნებისმიერი პერსონალური მონაცემი საიდუმლოა, თუკი კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი).

მუხლი 31. საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა

1. კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, პროფესიული და კომერციული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უვადოდ. კომერციული საიდუმლოება ღიად უნდა გამოყვადდეს, თუ მას აღარ გააჩნია ის ღირებულება, რის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული. პირადი საიდუმლოება დახურულია პირის სიცოცხლის მანძილზე, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოების და მისი ვადის გაგრძელების შესახებ შეაქვთ საჯარო რეესტრში.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. საჯარო ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის წესისა და ვადების საკითხი მოწესრიგებულია “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონით. ამიტომ ეს მუხლი ამ საკითხს არ ეხება და აწესრიგებს ინფორმაციის მხოლოდ კომერციულ, პროფესიულ ან პირად საიდუმლოდ მიჩნევის ვადებს.

პროფესიულ და კომერციულ საიდუმლოებას მიყუთვებული ინფორმაცია გასაიდუმლოვდება უვადოდ, თუმცა ამ ზოგადი წესისაგან სამი გამონაკლისი არსებობს:

ა) კანონით შეიძლება დადგინდეს გასაიდუმლოების სხვა ვადა. ეს ძირითადად კომერციულ საიდუმლოებას ეხება. შესაძლოა რომელიმე კანონმა დაადგინოს, რომ ესა თუ ის ინფორმაცია

მხოლოდ განსაზღვრული ვადით შეიძლება იქნეს გასაიდუმლოებული. მაგ., შეიძლება კანონის თანახმად შესაბამისმა სახელმწიფო უწყებამ დაადგინოს, რომ პოლიეთილენის პარკის წარმოების ტექნოლოგიის კომერციულ საიდუმლოდ ცნობის ვადაა 50 წელი, რომლის გასვლის შემდეგ საჯარო დაწესებულებაში დაკული ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს;

ბ) კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაცია ღიად უნდა გამოცხადდეს, თუ მას აღარ გააჩნია ის ღირებულება, რის გამოც ასეთად იქნა მიჩნეული. თუ ამ ინფორმაციას არაერთი კომერციული ღირებულება არ გააჩნია და არანაირად არ შეასუსტებს ამ პირის კონკურენტუნარიანობას ბაზარზე, იგი უნდა განსაიდუმლოვდეს;

გ) პროფესიულ საიდუმლოებას მიუთენებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა გახდეს, თუკი იგი აღარ წარმოადგენს სხვა პირის კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. რომელიმე პირის კომერციულ საიდუმლოებას მიუთენებული ინფორმაცია თვით ამ პირის სურვილით შეიძლება ღიად გამოცხადდეს.

პირად საიდუმლოებას მიუთენებული ინფორმაცია გასაიდუმლოებულია პირის სიცოცხლის მანძილზე. კანონით, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება პირად საიდუმლოებას მიუთენებული ინფორმაციის გასაიდუმლოების სხვა ვადა იქნეს დადგენილი. პირად საიდუმლოებას მიუთენებული ინფორმაცია თვით ამ პირის სურვილის შემთხვევაში შეიძლება ღიად გამოცხადდეს.

2. ინფორმაცია გასაიდუმლოების ვადების ან მათში ცვლილებების შეტანის შესახებ ხელმისაწვდომი უნდა იქნეს საზოგადოებისათვის და ამიტომ, იგი შეტანილ უნდა იქნეს საჯარო რეესტრში. თუ ინფორმაცია განსაიდუმლდა, ამის შესახებ ცნობა ასევე უნდა აღინიშნოს საჯარო რეესტრში.

მუხლი 32. სხდომათა საჯაროობა

თითოეული კოლექტიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ღიად და საჯაროდ წარმართოს თავისი სხდომები, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საჯარო ინფორმაციის შექმნა და დამუშავება მხოლოდ ოფიციალური დოკუმენტების მეშვეობით არ ხორციელდება. საჯარო დაწესებულების სხდომების დროს ხდება საკმაოდ მნიშვნელოვანი

ინფორმაციის წარმოდგენა და შეფასება.

სამოგადოებას აქვს უფლება იცოდეს, რა პოზიცია გამოხატა კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრმა სხდომის დროს, რა სახის საკითხები იხილება სხდომაზე, მოხდა თუ არა საკითხის ყოველმხრივი განხილვა სხდომის დროს და როგორ მივიდა კოლეგიური საჯარო დაწესებულება საბოლოო გადაწყვეტილებამდე. ამ ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია კოლეგიური საჯარო დაწესებულების წევრის და მთლიანად დაწესებულების მუშაობის შეფასება. შესაბამისად, კოდექსი მოითხოვს, რომ ყველა საჯარო დაწესებულების სხდომა ღიად უნდა წარიმართოს. ნებისმიერ პირს უფლება აქვს დაესწროს კოლეგიური საჯარო დაწესებულებების სხდომებს. რაიმე სავანგებო მოსაწვევის მოთხოვნა სხდომაზე დასასწრებად დაუშვებელია. სხდომაზე დასწრების მსურველთა შემლუღვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მსურველის სხდომის დარბაზში მოთავსება ფიზიკურად შეუძლებელია. ასეთ დროს შეიძლება დაწესდეს სხდომაზე დასწრების სპეციალური წესი. მაგ., სხდომაზე დასასწრებად დაიშვებიან ის პირები, რომლებმაც უფრო ადრე გამოთქვეს სხდომაზე დასწრების სურვილი ან სხდომაზე დასასწრებად პრიორიტეტი მიეცემათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს და ა.შ. ისეთმა საჯარო დაწესებულებებმა, რომელთა სხდომებისადმი სამოგადოების ინტერესი მუდმივად მაღალია, უნდა შექმნან ფართო სამოგადოებისათვის სხდომათა ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა (მაგ., სხდომის პირდაპირი ტელე ან რადიოტრანსლაცია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას).

საჯარო დაწესებულების სხდომებზე შესაძლოა ისეთი ინფორმაცია იქნეს განხილული, რომელიც სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას განეკუთვნება. სხდომათა საჯაროობის პირობებში შეიქმნება ამ საიდუმლოებათა გამჟღავნების საფრთხე. სწორედ ამიტომ კოდექსი ითვალისწინებს სხდომის დახურვის შესაძლებლობას, თუკი ეს აუცილებელია სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას მიეკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად. თუ სხდომის დღის წესრიგში შეტანილია რამდენიმე საკითხი, რომელთაგან მხოლოდ ნაწილი შეიცავს საიდუმლო ინფორმაციას, ასეთ შემთხვევაში უნდა

დაიხუროს არა მთლიანად სხლომა, არამედ მისი მხოლოდ ის ნაწილი. რომლის დროსაც საიდუმლო ინფორმაცია განიხილება. მაგ., თუ უშიშროების საბჭოს სხლომაზე განიხილება ორი საკითხი – საგადასახადო შემოსავლების გეგმის მიმდინარეობისა და კონფლიქტის მონაში თავდაცვის სამინისტროს დანაყოფების გადაადგილების შესახებ, უშიშროების საბჭოს სხლომა უნდა დაიხუროს მხოლოდ მეორე საკითხის განხილვისას.

მუხლი 33. საიდუმლო ინფორმაციის გამოქვეყნების წესი

საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაციის ამოღების შემდეგ საიდუმლო საჯარო ინფორმაციის, აგრეთვე კოლექტიური საჯარო დაწესებულების დახურული სხლომის ოქმის ცონივრულ ფარგლებში გამოყალკეებადი ნებისმიერი ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის გამოქვეყნებისას მიეთითება პირი, რომელმაც გაასაიდუმლოვა ინფორმაცია, ინფორმაციის საიდუმლოდ მიჩნევის საფუძველი და გასაიდუმლოების ვადა.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

რიგ შემთხვევებში დოკუმენტი მთლიანად კი არ მიეკუთვნება საიდუმლოებას, არამედ მისი მხოლოდ ნაწილი. ასევე დახურული სხლომის დროს შეიძლება ისეთი საკითხები იქნეს დასმული, რომელიც არ განეკუთვნება სახელმწიფო კომერციულ თუ პირად საიდუმლოებას. ასეთ შემთხვევაში კოდექსი საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი გახადოს დახურულ სხლომაზე განხილული ის ინფორმაცია, რომელიც თავისთავად არ წარმოადგენს საიდუმლოს, აგრეთვე გასაიდუმლოებულად ცნობილი დოკუმენტის ის ნაწილი, რომელიც თავისთავად საიდუმლოს არ წარმოადგენს. მაგ., თუ უშიშროების საბჭოს დახურულ სხლომაზე ასევე დაისვა მინისტრის პასუხისმგებლობის და მისი დეკავებულ თანამდებობასთან შესაბამისობის საკითხი, ეს ინფორმაცია, ამ სხლომაზე განხილულ სხვა ინფორმაციებისაგან განსხვავებით, საზოგადოებას უნდა მიეწოდოს. ზოგჯერ არასაიდუმლო და საიდუმლო ინფორმაციის გამოყალკეება ვერ ხერხდება, რადგანაც ამან შეიძლება ლოგიკურად გამოიწვიოს საიდუმლოდ ცნობილი ნაწილის გამქდავნიება, ან დამოუკიდებლად ამ ინფორმაციის არსებობა ამრსმოყლებულია და მისგან რაიმე დასკვნის

გაცეობა შეუძლებელია.

სწორედ ამიტომ კოდექსი მოითხოვს, რომ საიღუმლოს მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ დოკუმენტი ან საჯარო სხდომის ოქმის გონივრულად გამოცალკევებადი ნაწილი ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს გამოქვეყნებით, ანუ საჯარო რეესტრში მისი მოთავსებით. საჯარო რეესტრში ამ ინფორმაციის გამოქვეყნებისას უნდა მიეთითოს იმ პირის გვარი, რომელმაც გაასაიდუმლოვა ინფორმაცია, გასაიდუმლოების საფუძველი და გასაიდუმლოების ვადა.

მუხლი 34. კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომა

1. კოლეგიური საჯარო დაწესებულება ვალდებულია ერთი კვირით ადრე საჯაროდ გამოაცხადოს მომავალი სხდომის, მისი ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

2. გადაუდებელი აუცილებლობისას კოლეგიური საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული წესების დაუკველად. ამ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაცხადოს სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებისას – აგრეთვე მისი დახურვის შესახებ.

3. კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაუდებელი აუცილებლობისას სხდომის ჩატარების ან სხდომის დახურვის შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი. კოლეგიურმა საჯარო დაწესებულებამ რეესტრში უნდა შეიტანოს სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გამართული სახელობითი კენჭისყრის შედეგები, აგრეთვე სხდომის ოქმის მონაცემები 33-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

4. სარჩელი გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული სხდომის, ასევე სხდომის დახურვის კანონიერების შესახებ

სასამართლოს უნდა წარედგინოს კოლექტიური საჯარო დაწესებულების სხდომის ჩატარებიდან ერთი თვის ვადაში. კოლექტიური საჯარო დაწესებულების სხდომის კანონით დადგენილი წესის დარღვევით ჩატარება იწვევს ამ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად გამოცხადებას სასამართლოს მიერ.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I. №6, მუხ. 8)

1. იმისათვის, რომ საზოგადოებამ შეძლოს მისთვის საინტერესო სხდომაზე დასწრება, ამ სხდომათა გამართვისა და განსახილველი საკითხების თაობაზე წინასწარ უნდა ეცნობოს. ამიტომაც ყოველი სხდომის გამართვის შესახებ წინასწარ უნდა გამოცხადდეს. ყველა საჯარო დაწესებულებამ სხდომის ჩატარებამდე ერთი კვირით ადრე უნდა გამოაცხადოს სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე, ხოლო, თუკი სხდომაზე განზრახულია საიდუმლო საკითხების განხილვა, აგრეთვე სხდომის დახურვის შესახებ.

2. შესაძლებელია წარმოიშეას სხდომის დაუყოვნებლივი გამართვის აუცილებლობა. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, ერთევი-რიანი ვადის დაკვა ვერ მოხერხდება. ამიტომ კოდექსი გადაუდებელი აუცილებლობისას (გადაუდებელი აუცილებლობის განმარტებისათვის იხ. 27-ე მუხლის კომენტარი) ითვალისწინების სხდომის გამართვას ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნების დაკვის გარეშე. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ საუბარია ამ მუხლის პირველი პუნქტის არა ყველა მოთხოვნის იგნორირებაზე, არამედ მხოლოდ ერთევი-რიანი ვადის დაუკველობის შესაძლებლობაზე. როგორც კი წარმოიშეება სხდომის ერთ კვირაზე უფრო ადრე გამართვის აუცილებლობა და შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოაცხადოს გადაუდებელი სხდომის ჩატარების ადგილის, დროისა და დღის წესრიგის თაობაზე. ანუ კოდექსი არ უშვებს სხდომის შესახებ ინფორმაციის საზოგადოებისათვის გაცნობის გარეშე სხდომის გამართვის შესაძლებლობას. თუ გადაუდებელ სხდომაზე საიდუმლო ინფორმაციები უნდა იქნეს განხილული, მან წინასწარ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება სხდომის დახურვის თაობაზე, რის შესახებაც ასევე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საზოგადოებას. მაგ., უშიშროების საბჭომ მიიღო ინფორმაცია

აფხაზეთში სიტუაციის გამწვავების შესახებ, რაც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში, პრემიერდენტი უფლებამოსილია სამი საათის განმავლობაში დანიშნოს უშიშროების საბჭოს დახურული სხდომა, მაგრამ ინფორმაცია სხდომის ადგილის, დროის, დღის წესრიგის და სხდომის დახურვის შესახებ სამოგადოებას დაუყოვნებლივ ეცნობებება.

3. თუ საჯარო დაწესებულების სხდომა დაიხურა ან იგი ჩატარდა ერთევიანი ვადის დაუცველად, ეს საჯარო დაწესებულება ვალდებულია სხდომის გამართვიდან 3 დღის ვადაში განმარტოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი (სარჩელი/საჩივარი რომელ ორგანოში უნდა იქნეს წარდგენილი, რა ვადაში, ვის მიერ და ა.შ.). სხდომის დახურვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს სახელობით კენჭისყრაზე, ანუ თითოეული წევრის ხმა დაფიქსირებული და ოქმში შეტანილი უნდა იყოს. ამ კენჭისყრის შედეგები სამოგადოებისათვის ხელმისაწვდომია, რადგანაც კოდექსი მოითხოვს მათ საჯარო რეესტრში გამოქვეყნების აუცილებლობას.

4. კოდექსი საკმაოდ მძიმე “სასჯელს” ითვალისწინებს იმ საჯარო დაწესებულებისათვის, რომელსაც კანონის დარღვევით დახურავს სხდომას ან დაარღვევს სხდომის ჩატარების ამ კანონის 32-ე და 34-ე მუხლებით დადგენილ წესს. მე-60 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამმართველოებრივი აქტი ბათილად არ გამოცხადდება მისი მომზადების ან გამოცემის დადგენილი მოთხოვნების დარღვევის გამო, თუკი ეს დარღვევა არსებითი არ არის. კოდექსის 32-ე და 34-ე მუხლების მოთხოვნების დარღვევა ყოველთვის არსებითად ითვლება, მიუხედავად იმისა, ამ დარღვევამ რაიმე ზეგავლენა მოახდინა თუ არა ადმინისტრაციული აქტის შინაარსზე. თუ სხდომის ჩატარების კანონით დადგენილი რაიმე მოთხოვნა დაირღვა, სხდომაზე მიღებული ყველა გადაწყვეტილება ბათილად უნდა გამოცხადდეს. ეს საჯარო დაწესებულებას აიძულებს მაქსიმალურად სერიოზული ყურადღება მიაქციოს ამ კოდექსით დადგენილ სხდომათა ღიაობის პრინციპს.

სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს სხდომის გამართვიდან ერთი თვის ვადაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გასაჩივრების ვადა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლით ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ზოგადი ექსთუიანი ვადისაგან განსხვავებულია. დაინტერესებულმა პირმა ეს აუცილებ-

ლად უნდა მიიღოს მხედველობაში, რათა გასაჩივრების ერთ-თვიანი ვადა გაშვებულ არ იქნეს.

მუხლი 35. საჯარო რეესტრი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეიტანოს ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შეტანილ უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციაზე მითითება მისი მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან ან ცამოცემიდან 2 დღის ვადაში საჯარო ინფორმაციის დასახელების, მიღების, შექმნის, დამუშავების ან გამოცემის თარიღის, იმ ფიზიკური ან იურიდიული პირის, საჯარო მოსამსახურის, საჯარო დაწესებულების დასახელების მითითებით, რომლისგანაც შემოვიდა ან/და რომელსაც გაეგზავნა ეს ინფორმაცია.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

იმისათვის, რომ საზოგადოებისათვის ცნობილი გახდეს, თუ რა ინფორმაცია ინახება ამა თუ იმ დაწესებულებაში, აუცილებელია საჯარო დაწესებულებებში არსებული ინფორმაციის აღრიცხვა. საჯარო დაწესებულებებში აღრიცხვის მოწესრიგებით მოქალაქეებისათვის წინასწარ იქნება ცნობილი, თუ რა ინფორმაციაა დაცული ამ თუ იმ საჯარო დაწესებულებაში. ეს კი არასათანადო საჯარო დაწესებულებისადმი მოქალაქეთა მიმართვის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა. ამავ დროს ეს იძლევა დროისა და ხარჯების დაზოგვის შესაძლებლობასაც.

სწორედ ამიტომ კოდექსი საჯარო დაწესებულებისაგან მოითხოვს, რომ აღრიცხულ იქნეს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც ამ დაწესებულებაში შეიქმნა, გადამუშავდა, გამოიყა, გაიგზავნა ან მიღებულ იქნა. ამ ინფორმაციების აღრიცხვა უნდა მოხდეს საჯარო რეესტრის მეშვეობით. ამ კოდექსის შექმნამდე, საჯარო დაწესებულებებში მათი შინაგანაწესების შესაბამისად, ყველა კორესპონდენცია რეგისტრირდებოდა და აღირიცხებოდა კანცელარიის მეშვეობით. კოდექსი ამ ვალდებულებას საკანონმდებლო ფორმას აძლევს.

საჯარო დაწესებულება თავისი კანცელარიის ან სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფის მეშვეობით საჯარო ინფორმაციის მიღებიდან, შექმნიდან, დამუშავებიდან, გაგზავნიდან ან ცამოცემიდან

მაქსიმუმ 2 დღის ვადაში ახდენს მის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში ინფორმაციის რეგისტრაციისას უნდა მიეთითოს:

– ამ ინფორმაციის დასახელება/სათაური;

– მიღების, შექმნის, დამუშავების, გაგზავნის ან გამოცემის თარიღი, ვისგან შემოვიდა/ვის გაეგზავნა ეს ინფორმაცია ან ამ საჯარო დაწესებულების რომელი ქვედანაყოფის მიერ იქნა შექმნილი ან დამუშავებული.

აღნიშნული სახით საჯარო ინფორმაციაზე საჯარო რეესტრში მონაცემების შეტანა უზრუნველყოფს ამ ინფორმაციის სწრაფ იდენტიფიცირებას. საჯარო რეესტრში შეტანილი მონაცემები ღია ინფორმაციას წარმოადგენს და ნებისმიერ პირს შეუძლია მოითხოვოს როგორც საჯარო რეესტრის გაცნობა, ისე მისი (ან მისი ნაწილის) ასლის გადაღება. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების პირობებში შესაძლებელია მოხდეს კორესპონდენციების და სხვა ინფორმაციების მოძრაობის ელექტრონული აღრიცხვა, რაც გაცილებით გააადვილებს მისი მეშვეობით სასურველი ინფორმაციის მოძიებას.

მუხლი 36. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურე.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

საჯარო დაწესებულებებში გადაწყვეტილებების უმეტესობა, როგორც წესი, მიიღება ამ დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ. ხელმძღვანელ თანამდებობის პირს კი უამრავი ვალდებულება გააჩნია. თუკი ინფორმაციის გაცემის ვალდებულებაც მას დაეკისრება, ძნელი დასაჯერებელია, რომ მან ამ ვალდებულების შესრულება კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით შეძლოს. სხვა უფლებამოსილებების ფონზე, მან ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღება (არადა კოდექსი ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემას მოითხოვს) შეიძლება ფიზიკურად ვეღარ მოასწროს. ამ კანონის ამოქმედ-

ბამდე, სშირ შემთხვევაში, მის მიერ ინფორმაციის არგაცემას მისი მოუცლელობით ამართლებდნენ. სწორედ ამიტომ კანონმდებელმა აუცილებლად ჩათვალა, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ცალკე განსაზღვრულიყო. კოდექსი მოითხოვს, რომ ყველა დაწესებულებამ დანიშნოს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

შეიძლება ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს საჯარო დაწესებულებაში მხოლოდ ეს უფლებამოსილება დაეკისროს და სხვა ყველა დავალებისაგან თავისუფალი იყოს, ანუ შესაძლებელია საჯარო დაწესებულებაში ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ცალკე შტატი არსებობდეს. უფრო მეტიც, დიდ საჯარო დაწესებულებაში, საიდანაც ინფორმაციის მიღების მოთხოვნა დიდი, შეიძლება შეიქმნას ცალკე სტრუქტურული ქვედანაყოფი. ზოგიერთ საჯარო დაწესებულებაში შესაძლოა ცალკე შტატის არსებობის შესაძლებლობა არ იყოს ან არც ამის აუცილებლობა არსებობდეს. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის უფლებამოსილებები შეიძლება დაევალოს ამ საჯარო დაწესებულების ნებისმიერ მოხელეს. ასეთი უფლებამოსილებას, როგორც წესი, ითავსებს კანცელარიის ან კადრების სამსახურის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი ინფორმაციის გაცემაზე გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებს. ასეთი გადაწყვეტილებების მისაღებად გემდგომი თანამდებობის პირის თანხმობა ან მასთან კონსულტაცია არ არის აუცილებელი. დაუშვებელია ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელმა პირმა უარი განაცხადოს ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემაზე იმ მოტივით, რომ მან ვერ მოასწრო ხელმძღვანელობასთან ამ საკითხის შეთანხმება. მისი თანამდებობის შემოღების არსი იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს სწრაფად და ოპერატიულად გადაწყვიტოს საკითხი.

მუხლი 37. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

1. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა, თუ იგი სხვადასხვა სახით არსებობს, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას

დედანი. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

2. საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი წარადგენს წერილობით განცხადებას. განცხადებაში აუცილებელი არ არის მიეთითოს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი. სხვისი პერსონალური მონაცემების ან კომერციული საიდუმლოების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან აღმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. საჯარო დაწესებულებაში საჯარო ინფორმაცია შეიძლება ინახებოდეს დოკუმენტის, ნახაზის, ნახატის, მაკეტის, ელექტრონული სახით და ა.შ. შესაბამისად ნებისმიერ პირს ხელი უნდა მიუწვდებოდეს ყველა ამ ფორმით არსებულ ინფორმაციაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინფორმაციის გარკვეული ნაწილი საზოგადოებისათვის ხელმიუწვდომელი გახდებოდა.

თუ საჯარო ინფორმაცია რამდენიმე ფორმით არსებობს, პირს უფლება აქვს თვითონ აირჩიოს რა სახით სურს ინფორმაციის მიღება. მაგ., საქართველოს იუსტიციის მინისტრის №45 ბრძანება, რომლის გაცნობასაც მოქ. ჯინჯიხაძე მოითხოვს, არსებობს როგორც ოფიციალურად ხელმოწერილი დოკუმენტის, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით. მოქალაქე თვითონ აირჩევს ამ ბრძანების მიღების ფორმას. მას შეუძლია მოითხოვოს დოკუმენტის ასლი ან ელექტრონული ვერსია, აგრეთვე ინფორმაციის გადმოცემა ორივე ფორმით. პირს უფლება აქვს დედანში გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში არსებულ დოკუმენტებს. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ დოკუმენტების დედანში გაცნობა უნდა მოხდეს უშუალოდ ამ საჯარო დაწესებულებაში. ზოგიერთი დოკუმენტის დედანი იმდენად ძველია ან ხშირადაა გამოყენებაში, რომ იქმნება მისი განადგურების ან დაზიანების საფრთხე. ზოგიერთ დოკუმენტს უზარმაზარი ისტორიული ან მხატვრული ღირებულება გააჩნია, რაც მისი დაცვის განსაკუთრებულ რეჟიმს მოითხოვს. სწორედ ამიტომ, საჯარო დაწესებუ-

ლების გადაწყვეტილებით, პირი დედანს გაეცნობა სათანადო მედამხედველობის ქვეშ ან დედნის ნაცულად პირს გადაეცემა სათანადო წესით დამოწმებული ღოკუმენტის ზუსტი ასლი.

პირს აგრეთვე უფლება აქვს ამ საჯარო დაწესებულებაში დაწესებულების ტექნიკური სამუშაოების გამოყენებით გაეცნოს საჯარო ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას.

2. იმისათვის, რომ პირმა სასურველი საჯარო ინფორმაცია მიიღოს, უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება შესაბამის საჯარო დაწესებულებაში. საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია გასცეს ინფორმაცია მეპირი მოთხოვნის საფუძველზე, მაგრამ ეს ამ დაწესებულების უფლებაა და არა მოვალეობა. თუ საჯარო ინფორმაცია რამდენიმე ფორმით არსებობს, განცხადებაში პირს შეუძლია მიუთითოს, თუ რა ფორმით სურს ინფორმაციის მიღება. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს, აგრეთვე რა წესით გაეცნობა პირი ინფორმაციას – საჯარო დაწესებულებაში თუ სურს ინფორმაციის ასლის მიღება. განცხადება უნდა პასუხობდეს ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს. ამავე დროს, პირს უფლება აქვს განცხადებაში არ მიუთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივსა და მიზანზე.

თუ მოქალაქეს სურს სხვა პირის კომერციული ან პირადი საიდუმლოების გაცნობა, მას ამის უფლება მხოლოდ შესაბამისი პირის თანხმობით შეუძლია. ამიტომაც კანონი ასეთ შემთხვევაში მოითხოვს, რომ ინფორმაციის მომთხოვნმა მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს იმ პირის წერილობითი თანხმობა, რომლის კომერციული ან პირადი საიდუმლოების მიღებაც ამ მოქალაქეს სურს. ეს წერილობითი თანხმობა დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით ან უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებად ჩაითვლება ის ორგანოები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ პირის იდენტიფიკაციის უფლებამოსილება (შინაგან საქმეთა ორგანოები) ან მათ მიერ დამოწმებას აქვს სანოტარო დამოწმების იდენტური იურიდიული ძალა. შესაძლოა პირი, რომლის კომერციული ან პირადი საიდუმლოებაცაა მოთხოვნილი, პირადად გამოცხადდეს საჯარო დაწესებულებაში და წარადგინოს საკუთარი წერილობითი თანხმობა. ასეთ შემთხვევაში, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში ან სანოტარო წესით, მისი თანხმობის დამოწმება აუცილებელი არ არის.

მუხლი 38. საჯარო ინფორმაციის ასლის ხელმისაწვდომობა

საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ასლების ხელმისაწვდომობა. დაუშვებელია დაწესდეს რაიმე სახის საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის, გარდა ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურებისა.

როგორც უკვე გემოთ აღენიშნეთ, პირს აქვს არა მარტო დოკუმენტის დედანში გაცნობის, არამედ ამ დოკუმენტის ასლის მიღების უფლება. თუ დოკუმენტი არ წარმოადგენს გასაიდუმლოებულ ინფორმაციას, მისი ასლი დაუბრკოლებლივ უნდა იქნეს გაცემული.

დოკუმენტის ასლის გაცემისათვის რაიმე გადასახადის თუ სხვა სახის გადასახდელის დაწესება დაუშვებელია. ასევე ანაზღაურებას არ ექვემდებარება საჯარო დაწესებულების მიერ გაწეული მომსახურება. ერთადერთი, რისი ანაზღაურების ვალდებულებაც ასლის მიღებ პირს გააჩნია, არის დოკუმენტის ასლის გადაღებისათვის აუცილებელი დანახარჯი. აქ საუბარია ქალაქის და ტექნიკურ საშუალებათა დანახარჯზე და მასში არ შედის საჯარო მოხელის შრომის ანაზღაურება.

ასლის გადაღებისათვის აუცილებელი დანახარჯის ოფიციალური კალკულაცია დღეისათვის გაცემებული არ არის. ამიტომაც მანამ, სანამ მიღებულ იქნება შესაბამისი გადაწყვეტილება, საჯარო ინფორმაციის ასლის გაცემა უსასყიდლოდ უნდა განხორციელდეს.

მუხლი 39. პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

პირს არ შეიძლება უარი ეთქვას იმ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რომელიც იძლევა ამ პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას და ამ კოდექსის თანახმად სხვა პირებისათვის ხელმისაწვდომი არ უნდა იყოს. პირს აქვს უფლება გაეცნოს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები.

პერსონალური ინფორმაცია, რომელიც პირად საიდუმლოებას შეიცავს, დახურულია საზოგადოებისათვის, მაგრამ ეს იმას არ

ნიშნავს, რომ აღნიშნული ინფორმაცია ასევე დახურულია იმ პირისათვის რომელსაც იგი ეხება. პირის უფლება, დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში მის შესახებ არსებულ ინფორმაციას, გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით. კერძოდ, კონსტიტუციის 41-ე მუხლის მიხედვით “საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას”. თუ პირს სურს საჯარო დაწესებულებაში მასზე არსებული ინფორმაციის მიღება, იგი წერილობით მიმართავს შესაბამის დაწესებულებას. ამავ დროს, კოდექსის 45-ე მუხლის შესაბამისად, თუ რომელიმე საჯარო დაწესებულება აგროვებს პირის შესახებ რაიმე ინფორმაციას, მან აუცილებლად უნდა აცნობოს შესაბამის პირს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების და სამართლებრივი საფუძვლების შესახებ.

პირს უფლება აქვს, მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს გაეცნოს დედანში ან მოითხოვოს მისი ასლი. 38-ე მუხლში მოცემული სხვა ინფორმაციის მიღების წესისაგან განსხვავებით ამ მონაცემების ასლების მიღება მას უსასყიდლოდ შეუძლია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მას არც ასლის გადაღებისათვის აუცილებელი დანახარჯის ანაზღაურებაც არ უნდა მოეთხოვოს. ამ უფლების შესახებ პირს უნდა ეცნობოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

მუხლი 40. საჯარო ინფორმაციის გაცემა

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნამე პასუხის გაცემა მოითხოვს:

ა) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;

ბ) მნიშვნელოვანი მოკულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;

გ) სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

2. თუ საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭიროა 10-დღი-

ანი ვადა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია მოთხოვნის-
თანავე აცნობოს ამის შესახებ განმცხადებელს.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ინფორმაციის სწრაფი გაცემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. ბევრი ინფორმაცია კონკრეტული პირებისათვის ღირებულია მხოლოდ დროის ხანმოკლე მონაკვეთში. ამიტომაც მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია, ამ ინფორმაციაზე რაც შეიძლება სწრაფად მიუწვდებოდეთ ხელი. ინფორმაციის სწრაფი მიღება განსაუთრებით მასმედის წარმომადგენლებს სჭირდებათ, თუმცა, ბევრ შემთხვევაში, მოქალაქეებსაც შეიძლება დასჭირდეთ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიღება. კორუფცია არსებობს იქ, სადაც ადმინისტრაციულ ორგანოებს გააჩნიათ დისკრეციული უფლებამოსილებები თავიანთი გადაწყვეტილების ვადასთან დაკავშირებით. რაც უფრო ხანგრძლივია გადაწყვეტილების მიღების ვადა, კორუფციის რისკი მით უფრო იზრდება. მითუმეტეს, როდესაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ინფორმაცია ინახება საჯარო დაწესებულებაში, განსაზღვრულია მისი სტატუსი (ღია/დახურული) და საუბარია ამ ინფორმაციის პირისათვის ფიზიკურ გადაცემაზე. ბუნებრივია, ამისათვის ადმინისტრაციულ ორგანოს დიდი დრო არ სჭირდება. მითუმეტეს, როდესაც კანონის 36-ე მუხლი ყველა საჯარო დაწესებულებას ავალდებულებს დაადგინოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი კონკრეტული პირი.

შესაბამისად, კოლექსი მოითხოვს, რომ ინფორმაციის გამცემმა დაუყოვნებლივ, ინფორმაციის მოთხოვნისთანავე გასცეს ინფორმაცია. სიტყვა “დაუყოვნებლივ” ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების რეგისტრაციისთანავე ეს განცხადება უნდა მოხდეს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან, რომელიც ვალდებულია დაუბრკოლებლად შეუდგეს ამ განცხადების განხილვას და მიიღოს გადაწყვეტილება იმავე დღეს. თუ ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს ამ საჯარო დაწესებულებაში სხვა დაეალებები გააჩნია, მან ჯერ ინფორმაციის გაცემის შესახებ უნდა მიიღოს გადაწყვეტილებები და შემდეგ დაუბრუნდეს სხვა უფლებამოსილებების შესრულებას. თუ ერთი და იმავე დღეს რამდენიმე განცხადება იქნა შემოსული, ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი მათ განიხილავს

ადმინისტრაციულ ორგანოში შემოსულის რიგითობის მიხედვით.

რიგ შემთხვევებში ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემა შეუძლებელია. ამისათვის კოდექსი, გამონაკლისის სახით, ითვალისწინებს ინფორმაციის გაცემის ათდღიან ვადას. ინფორმაციის გაცემის ათდღიანი ვადა გამოყენებულ იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) მოთხოვნის სრულყოფილად დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული სტრუქტურული ქვედანაყოფიდან (მაგ., მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის სამსახურის ცენტრალურ არქივში შესულია მოქალაქის მოთხოვნა. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის კი აუცილებელია ომურგეთის მოქალაქეთა რეგისტრაციის განყოფილებიდან დამატებითი ინფორმაციის მიღება);

ბ) მოთხოვნის სრულყოფილად დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება სხვა საჯარო დაწესებულებიდან (მაგ., იუსტიციის სამინისტროში შესულია მოთხოვნა რომელიმე ლიცენზიის თაობაზე. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის კი აუცილებელია სოფლის მეურნეობის სამინისტროში არსებული უწყებრივი სალიცენზიო საჯარო რეესტრიდან დამატებითი ინფორმაციის მიღება);

გ) აუცილებელია ერთმანეთთან დაუკავშირებელი დოკუმენტების მოძიება და დამუშავება (მაგ., მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაციის სამსახურში შემოვიდა მოთხოვნა 2001 წელს ქორწინებათა და განქორწინებათა საერთო რაოდენობის დაქორწინებულთა საშუალო ასაკის შესახებ ინფორმაციის გაცემის თაობაზე. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის შესაბამისმა სამსახურმა უნდა შეისწავლოს საკმაო მოცულობის დოკუმენტები, რაც გარკვეულ დროსთან არის დაკავშირებული);

დ) მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ჩატარდეს კონსულტაციები სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან.

2. თუ არსებობს ათდღიანი ვადის გამოყენების ზემოაღნიშნული გარემოებები, ინფორმაციის მომთხოვნს ამის შესახებ უნდა ეცნობოს ინფორმაციის მოთხოვნის პირველსავე დღეს. მას ასევე

უნდა ეცნობოს, თუ ზუსტად რამდენი დღე დასჭირდება ინფორმაციის გაცემას.

მუხლი 41. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა

1. საჯარო დაწესებულების უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

2. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში პირს წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი, ასევე მიუთითოს ის სტრუქტურული ქვედანაყოფი ან საჯარო დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაცია ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღებისას.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. ისევე როგორც ინფორმაციის გაცემა, გადაწყვეტილება ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული. მოქალაქეს, რომელიც ინფორმაციას მოითხოვს, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეატყობინონ ინფორმაციის გაცემის შესაძლებლობის შესახებ. გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, და შესაბამისად, წერილობითია.

2. იმის გამო, რომ გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული, ადმინისტრაციული აქტის მიმართ კოდექსით დადგენილი ყველა მოთხოვნის დაცვა შესაძლოა ვერ მოხერხდეს, განსაკუთრებით კი ადმინისტრაციული აქტის სრულყოფილი დასაბუთება. ამიტომაც კოდექსი ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს სამდღიან ვადას უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან, რათა მან განუმარტოს ინფორმაციის მომთხოვნს მისი უფლებები, მათ შორის გასაჩივრების უფლება და გასაჩივრების წესი (რომელ შემდგომ ორგანოში/სასამართლოშია შესაძლებელი გასაჩივრება, რა ვადაში და რა სახის სარჩელი შეიძლება იქნეს წარდგენილი.) თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას მიიღო კონსულტაციები სტრუქტურული ქვედანაყოფისაგან ან სხვა საჯარო დაწესებულებისაგან, იგი ვალდებულია თავის განმარტებაში მიუთითოს ამ

ორგანოს/სტრუქტურული ქვედანაყოფის დასახელება და მათი პოზიცია.

განმარტება წერილობითი ფორმისაა და დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ აქტს არ წარმოადგენს, ის ძირითადი გადაწყვეტილების ნაწილი ხდება. განმარტებისათვის სამი დღის ვადის მიცემა არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება გადაწყვეტილების მიღების პირველსავე დღეს გააცეთოს ამგვარი განმარტება. მას აქვს უფლება ასეთი განმარტება თვით ძირითად გადაწყვეტილებაში ასახოს, რის შემდეგაც ცალკე ახალი განმარტების გაცემების ვალდებულება აღარ წარმოეშევა.

განმარტებისათვის სამდღიანი ვადის მიცემა ასევე არ ნიშნავს იმას, რომ ძირითადი გადაწყვეტილება საერთოდ დასაბუთებული არ უნდა იყოს. ძირითად გადაწყვეტილებაში აუცილებლად უნდა იქნეს მითითებული, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის რომელ დებულებას დაეყრდნო ადმინისტრაციული ორგანო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას და იგი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კოდექსის 53-ე მუხლის მოთხოვნებს.

მუხლი 41¹. გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ

ამ კოდექსის 27² მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საჯარო დაწესებულება საჯარო ინფორმაციის გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ამ მუხლში მითითებული ვადების გასვლისთანავე.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

272-ე მუხლი კომერციული ინფორმაციის დამუშავების და კომერციულ საიდუმლოებად აღიარების საკმაოდ დეტალურ პროცედურას ითვალისწინებს. ამ პროცედურის ყველა ეტაპის გავლას გარკვეული დრო სჭირდება (მინიმუმ 16 დღე). შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ სტადიაზე მესამე პირის მიერ შემოტანილ იქნეს მოთხოვნა ინფორმაციის გაცემის შესახებ. მე-40 მუხლში მითითებული მოგადი წესის მიხედვით, გადაწყვეტილება ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის

თქმის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიღებული, ანუ პოტენციური კომერციული საიდუმლოების გაცემის აუცილებლობა შესაძლოა მანამ დადგეს, სანამ ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ გადაწყვეტილება არ არის მიღებული. სწორედ ამიტომ ეს მუხლი ადგენს, რომ სანამ დადგენილი პროცედურის ყველა ეტაპი არ იქნება გავლილი და საბოლოო გადაწყვეტილება არ იქნება გამოტანილი, მანამდე საჯარო დაწესებულება ასეთ ინფორმაციას არ გასცემს. იგი ვალდებულია აცნობოს მომთხოვნ პირს, თუ რა სტადიაში იმყოფება საკითხი ინფორმაციის კომერციული საიდუმლოდ ცნობის შესახებ.

მუხლი 42. ინფორმაცია, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია

ყველას აქვს უფლება იცოდეს:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;

ბ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები;

გ) საჯარო დაწესებულების სტრუქტურის აღწერა, მოსამსახურეთა ფუნქციების განსაზღვრისა და განაწილების, აგრეთვე გადაწყვეტილებათა მიღების წესი;

დ) საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი, რომელთაც უკავიათ თანამდებობა ან ვეალებათ საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოება ან საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეთათვის ინფორმაციის მიწოდება;

ე) კოლეგიურ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მისაღებად გამართული დია კენჭისყრის შედეგები;

ვ) არჩევით თანამდებობაზე პირის არჩევასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია;

ზ) საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიების შედეგები, აგრეთვე სასამართლოს მასალები იმ საქმეებზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ) საჯარო დაწესებულების გამგებლობაში არსებული საჯარო

მონაცემთა ბაზის სახელწოდება და ადგილსამყოფელი, აგრეთვე საჯარო მონაცემთა ბაზისათვის პასუხისმგებელი პირის ვინაობა და სამსახურებრივი მისამართი;

ი) საჯარო დაწესებულების მიერ მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელების მიზნები, გამოყენების სფეროები და სამართლებრივი საფუძველი;

კ) საჯარო მონაცემთა ბაზაში მისი პერსონალური მონაცემების არსებობა ან არარსებობა, აგრეთვე მათი გაცნობის წესი, მათ შორის იმ პროცედურისა, რომლითაც მოხდება პირის იდენტიფიკაცია, თუ პირმა (მისმა წარმომადგენელმა) შეიტანა მოთხოვნა თავის შესახებ მონაცემების გაცნობის ან მათში ცვლილების თაობაზე;

ლ) იმ პირთა კატეგორია, რომელთაც კანონით უფლება აქვთ გაეცნონ საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ პერსონალურ მონაცემებს;

მ) საჯარო მონაცემთა ბაზაში არსებულ მონაცემთა შემადგენლობა, წყაროები და იმ პირთა კატეგორია, რომელთა შესახებ გროვდება, მუშავდება და ინახება ინფორმაცია;

ნ) ყველა სხვა ინფორმაცია, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

საჯარო ინფორმაცია შეიძლება გასაიდუმლოვდეს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. ზოგიერთი ინფორმაცია შეიძლება აკმაყოფილებდეს ინფორმაციის გასაიდუმლოების ფორმალურ მოთხოვნებს, მაგრამ ის არ შეიძლება საიდუმლოდ იქნეს მიჩნეული, რადგანაც ამ ინფორმაციების მიმართ ძალზე დიდი საჯარო ინტერესი არსებობს. ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის ღიაობის საჯარო ინტერესი აღემატება ინფორმაციის გასაიდუმლოების ინტერესს. სწორედ ამიტომ კოდექსი შეიცავს იმ ინფორმაციათა ჩამონათვალს, რომელიც არ შეიძლება გასაიდუმლოებულ იქნეს. ასეთ ინფორმაციას წარმოადგენს:

ა) ინფორმაცია გარემოს შესახებ. საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის შესაბამისად, ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. ამიტომ არ

შეიძლება რაიმე კანონით შეიქმნას დაბრკოლება გარემოს შესახებ ინფორმაციის მიღებასთან დაკავშირებით, თუნდაც ეს სახელმწიფო უშიშროების ან კერძო პირის მნიშვნელოვან ინტერესებს უქმნიდეს საფრთხეს. კომუნისტური რეჟიმის პირობებში ასეთი ინფორმაცია მკაცრად გასაიდუმლოებული იყო და მოქალაქეები ეკოლოგიური კატასტროფების შესახებ პოსტ-ფაქტუმ, გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ იგებდნენ. თუ წარმოიქმნება რაიმე საშიშროება, რომელიც ემუქრება მოსახლეობის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დროულად აცნობოს საფრთხის შესახებ მოქალაქეებს. მაგ., თუ საჯარო დაწესებულებისათვის ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში მკვეთრად მომატებული რადიოაქტიური ფონია, იგი ვალდებულია სამოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია დასახიების კერის, არეალის, ინტენსივობის, მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზეგავლენის თაობაზე. თუ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შესახებ, მოსახლეობას უნდა ეცნობოს ეკოლოგიური სისტემის ცვლილების მასშტაბების შესახებ, რათა სამოგადოებამ თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება, რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი ჰიდროელექტროსადგურის არსებობა:

ბ) ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ძირითადი პრინციპებისა და მიმართულებების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დაბეერვის სახელმწიფო დეპარტამენტი მნიშვნელოვან საიდუმლო ოპერაციებს ახორციელებს, სამოგადოებას ზოგადად უნდა მიეწოდოს ინფორმაცია რით არის ეს უწყება დაკავებული. დაუშვებელია, რომ მოქალაქეებმა არაფერი იცოდნენ ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოს საქმიანობაზე;

გ) ინფორმაცია საჯარო დაწესებულების სტრუქტურის შესახებ. ყველას აქვს უფლება იცოდეს საჯარო დაწესებულების სტრუქტურა (ანუ რამდენი განაყოფისაგან შედგება ესა თუ ის უწყება); როგორაა განაწილებული ფუნქციები საჯარო მოსამსახურეთა შორის, რომელი მათგანი რითია დაკავებული; აგრეთვე ინფორმაცია ამ საჯარო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მიღების წესის შესახებ (ანუ ვინ იღებს ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, რა ვადაში, რის საფუძველზე და როგორი პროცედურით);

დ) ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ყველა მოსამსახურის ვინაობის და სამსახურებრივი მისამართის შესახებ ღიაა სამოგა-

დოებისათვის. ასევე ღიაა და წინასწარ გამოცხადებას ექვემდებარება ინფორმაცია იმ მოსამსახურეთა შესახებ, რომელთაც სამსახურებრივად ევალებათ საზოგადოებასთან ურთიერთობა და მოქალაქეებისათვის ინფორმაციის მიწოდება;

ე) ინფორმაცია კოლექტიურ საჯარო დაწესებულებაში გამართული ღია კენჭისყრის შედეგების შესახებ. ყველას აქვს უფლება იცოდეს როგორ განაწილდა ხმები ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტისას, ხოლო თუ კენჭისყრა სახელობითია, ვინ რა პოზიცია გამოხატა კენჭისყრის დროს. მაგ., მოქ. ს. ზამთარაძემ პარლამენტიდან მოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, მონაწილეობდა თუ არა პარლამენტის წევრი ს. პეიტრიშვილი 1997 წლის ბიუჯეტის პროექტის კენჭისყრისას და თუ მონაწილეობდა, მომხრე იყო თუ წინააღმდეგი. პარლამენტის აპარატი ვალდებულია ეს ინფორმაცია დაუბრუნებლად გასცეს;

ვ) ინფორმაცია პირის თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით. აქ იგულისხმება ნებისმიერ არჩევით თანამდებობაზე არჩევა (საქართველოს პრეზიდენტად, საქართველოს პარლამენტის წევრად, პარლამენტის დროებითი კომისიის თავმჯდომარედ, საყრებულოს წევრად, ქალაქის მერად და ა.შ.). ნებისმიერ პირს აქვს უფლება მოითხოვოს ინფორმაცია რამდენი ამომრჩეველი მონაწილეობდა საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის არჩევისას, რამდენია მათი საერთო რაოდენობა, როგორ განაწილდა ხმები თითოეულ კანდიდატს შორის, როგორი იყო არჩევნების შედეგი ცალკეული უბნების მიხედვით, რა თანხა დახარჯა გამარჯვებულმა კანდიდატმა, ვინ იყო მისი ნდობით აღჭურვილი პირი ან წარმომადგენელი და ა.შ.

ზ) ინფორმაცია საჯარო უწყებების მიერ სახსრების განყარგვის შესახებ. ყველა საბიუჯეტო დაწესებულება გადასახადების გადამხდელთა მიერ გადახდილი გადასახადების გამოყენებას ახორციელებს. შესაბამისად, თითოეულ გადასახადის გადამხდელს აქვს უფლება იცოდეს როგორ იხარჯება მის მიერ გადახდილი გადასახადები. ამასთანავე, საბიუჯეტო დაწესებულების ყველა ფინანსური დოკუმენტაცია ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის (გარდა სახელმწიფო საიდუმლოდ მიჩნეული ინფორმაციისა). ასევე ღიაა საჯარო დაწესებულებების საქმიანობის შესახებ აუდიტორული დასკვნებისა და რევიზიის შედეგები. სამოქალაქო გარიგება.

რომელშიც ერთ მხარეს საჯარო დაწესებულება წარმოადგენს, არ შეიძლება კომერციულ საიდუმლოდ იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, ასეთ ვარიანტებთან დაკავშირებული დავის სასამართლოში განხილვა ღიად უნდა მოხდეს. დაუშვებელია საიდუმლოდ გამოცხადდეს სასამართლოს რაიმე მასალა ყველა იმ საქმეზე, რომელშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს;

თ-მ) ეს პუნქტები ძირითადად ადგენს პერსონალურ მონაცემთა წესის, მიზნების და გამოყენების სამართლებრივი საფუძვლის შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოების აკრძალვას. პირს დაუბრუნებლად უნდა მიეწოდოს საჯარო მონაცემთა ბაზაში მასზე არსებული ინფორმაცია, აგრეთვე უნდა ეცნობოს მისი გაცნობის წესის შესახებ;

ნ) დაუშვებელია ნებისმიერი იმ ინფორმაციის გასაიდუმლოება, რომელიც არ შეიძლება კანონმდებლობის შესაბამისად მიჩნეულ იქნეს სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ ან პირად საიდუმლოებად. ამ პუნქტით კიდევ ერთხელაა დადგენილი ინფორმაციის ღიაობის პრინციპი.

მუხლი 43. პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი

საჯარო დაწესებულება ვალდებულია:

ა) შეაგროვოს, დაამუშაოს და შეინახოს მხოლოდ ის მონაცემები, რომელთა შეგროვების უფლებას მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს კანონი და რომლებიც აუცილებელია ამ საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარ უფლებამოსილებათა განსახორციელებლად;

ბ) არ დაუშვას საჯარო დაწესებულების მიერ ისეთი სახის პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა ან გაცემა, რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, სექსუალურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობრივ შეხედულებებთან;

გ) შეიმუშაოს და დანერგოს მონაცემთა შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და შემადგენლობის კანონით განსაზღვრულ მიზნებთან და ვალდებთან შესაბამისობის კონტროლის პროგრამა;

დ) პირის მოთხოვნით ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გაანადგუროს კანონით განსაზღვრული მიზნებით

გაუთვალისწინებელი, აგრეთვე არამუსტი, არასარწმუნო, არასრული და საქმესთან დაუკავშირებელი მონაცემები და შეცვალოს ისინი მუსტი, სარწმუნო, დროული და სრული მონაცემებით;

ე) შეინახოს შესწორებული მონაცემები მათი გამოყენების დროის მითითებით, შესაბამის მონაცემებთან ერთად მათი არსებობის მანძილზე, მაგრამ არანაკლებ 5 წლის განმავლობაში;

ვ) პერსონალური მონაცემების შეგროვებისას მიმართოს იმ პირს, რომელზედაც ეროვნება ინფორმაცია, აგრეთვე სხვა წყაროებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ამოიწურა პირველწყაროდან პერსონალური მონაცემების მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და მხოლოდ მაშინ, როდესაც კანონი მას პირდაპირ და უშუალოდ ანიჭებს განსაზღვრული კატეგორიის პირების შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვის უფლებას;

ზ) საჯარო რეესტრში შეიტანოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების, აგრეთვე შესაძენ პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების მოთხოვნის, მოთხოვნის თარიღის, მომთხოვნის ვინაობისა და მისამართის შესახებ;

თ) დაუყოვნებლივ აცნობოს შესაბამის პირს მის უკანასკნელ ცნობილ მისამართზე შესაძენ პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ მისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის შესახებ, გარდა ამ კოდექსის 28-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

ი) პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემაზე კიდევ ერთხელ მიიღოს ყველა გონივრული ზომა იმის გადასამოწმებლად, არის თუ არა ისინი მუსტი, საქმესთან კავშირში მყოფი, დროული და სრული;

კ) პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისას აცნობოს შესაბამის პირს პერსონალურ მონაცემთა დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები; სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი მისთვის პერსონალური მონაცემების მიცემა; პერსონალურ მონაცემთა წყაროები და შემადგენლობა; აგრეთვე იმ შესაძენ პირების შესახებ, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ პერსონალური მონაცემები.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6. მუხ. 8)

პერსონალური მონაცემების შეგროვება გარკვეულწილად პირის კერძო ცხოვრებაში ჩარევას წარმოადგენს. პირის კერძო ცხოვრებაში ჩაურევლობა კი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა. სწორედ ამიტომ საჯარო დაწესებულება, შეუზღუდავად, პირის შესახებ ნებისმიერ ინფორმაციას ვერ შეაგროვებს. ამიტომაც აუცილებელია ამ მიმართულებით საჯარო დაწესებულებათა საქმიანობის მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოებში ჩასმა. კოდექსის ეს მუხლი ასეთ ზოგად რეგლამენტაციას იძლევა.

უპირველეს ყოვლისა საჯარო დაწესებულება უფლებამოსილია შეაგროვოს მონაცემები რომელიმე პირის შესახებ მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევაში. ამავე დროს, კანონით საჯარო დაწესებულებას არ შეიძლება მიენიჭოს პერსონალური მონაცემების შეგროვების უფლება, თუ ეს არ არის აუცილებელი ამ საჯარო დაწესებულებისათვის დაკისრებული უფლებამოსილებების განხორციელებისათვის. მაგ., შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს მოსახლეობის სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება. ბუნებრივია, ეს უწყება ამ ფუნქციის შესრულებას ვერ შეძლებს, თუკი მას არ ექნება მონაცემები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შესახებ.

აღამიანის უფლებათაგან ზოგიერთ მათგანს აბსოლუტური დაცვა გააჩნია. ამ უფლებების განხორციელებაში ნებისმიერი ჩარევა არა მარტო დაარღვევს კონკრეტულ პირთა უფლებებს, არამედ, საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფოს დემოკრატიულ სისტემას და ტოტალიტარული სისტემისაკენ გადახრას გამოიწვევს. არავინ არ უნდა იქნეს იძულებული, საჯაროდ გამოაცხადოს მისი რელიგიური, ეთნიკური თუ სქესობრივი კუთვნილება. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება ჰქონდეს ნებისმიერი სახის მსოფლმხედველობა. სახელმწიფოს არა აქვს უფლება, აიძულოს პირი მოახდინოს ამ მსოფლმხედველობის კორექტირება ან ამ მსოფლმხედველობის გამო მას გზა დაუკეტოს საზოგადოებრივ ასპარეზზე. რადგანაც ასეთი შეხედულებების ან რომელიმე უმცირესობისადმი კუთვნილების გამო პირის რაიმე უფლებების შემზღუდა დაუშვებელია, შესაბამისად, ასეთი ინფორმაციის შეგროვების საჭიროებაც არ არსებობს. მითუმეტეს, როდესაც საწყის

ეტაპზე მყოფ დემოკრატიებში სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ინფორმაციით მანიპულირების სერიოზული საფრთხე არსებობს. სწორედ ამიტომ, კოლექსი ყველა საჯარო დაწესებულებას უკრძალავს ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის შეგროვებას, შენახვას, დამუშავებას, გაცემას ან გამოყენებას. რომელიც დაკავშირებულია პირის რელიგიურ, ეთნიკურ თუ სქესობრივ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ ან მსოფლმხედველობით შეხედულებებთან.

პერსონალური მონაცემების შეგროვებისაგან მიმართული საქმიანობა საჯარო დაწესებულებამ წინასწარ შედგენილი სპეციალური გეგმისა და პროგრამის საშუალებით უნდა წარმართოს, რაც უზრუნველყოფს შეგროვებული, დამუშავებული და შენახული ინფორმაციის კანონით დადგენილ მიზნებთან და ვადებთან შესაბამისობას და კონტროლს.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია შეაგროვოს, შეინახოს და დაამუშავოს მხოლოდ სარწმუნო ინფორმაცია. თუ აღმოჩნდა, რომ შეგროვებული, დაკული ან დამუშავებული ინფორმაცია არაბუსტი ან არასრულია, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეცვალოს იგი ბუსტი, სარწმუნო და სრული ინფორმაციით. საჯარო დაწესებულება ასევე ვალდებულია გაანადგუროს ის ინფორმაცია, რომელიც მოცემულ საკითხთან კავშირში არ არის ან რომლის შეგროვების უფლებაც მას არ აქვს. პერსონალური მონაცემების შეცვლა/განადგურება მან უნდა გააკეთოს როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე მხარის მოთხოვნით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით.

პერსონალური მონაცემის შესახებ ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანო იღებს უშუალოდ იმ პირისაგან, რომლის შესახებაც ეს ინფორმაცია გროვდება. სხვა წყაროებიდან მოცემულ პირზე პერსონალურ ინფორმაციას საჯარო დაწესებულება აგროვებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ პირველწყაროდან ინფორმაციის მიღება შეუძლებელია ან კანონი, სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოს დაცვის მოსაზრებებიდან გამომდინარე. პირდაპირ ითვალისწინებს სხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

თუ საჯარო დაწესებულება შეაგროვებს ან დაამუშავებს კონკრეტულ პერსონალურ მონაცემებს, მან ამის შესახებ უნდა მიუთითოს საჯარო რეესტრში, სადაც აღნიშნავს ინფორმაციის

შეგროვების დროს. აგრეთვე, საჯარო რეესტრში შეიტანება ინფორმაცია მესამე პირის მიერ პერსონალური ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს ამ პირის ვინაობა, მისამართი და მოთხოვნის თარიღი.

თუ პერსონალური მონაცემი მესამე პირმა მოითხოვა, ამ ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით უნდა ეცნობოს იმ პირს, ვისაც ეს პერსონალური მონაცემი ეხება.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული ორგანო პასუხს აგებს ინფორმაციის შეგროვების და დამუშავების სიზუსტეზე. არამუსტმა ან არასრულმა ინფორმაციამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს იმ პირს, რომელსაც იგი ეხება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ინფორმაცია მესამე პირებისთვის ხდება ცნობილი. სწორედ ამიტომ, კანონი მოითხოვს, რომ პერსონალური მონაცემის მესამე პირისათვის გადაცემამდე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, კიდევ ერთხელ გადაამოწმოს ინფორმაციის სიზუსტე, სისრულე, ასევე მისი შეგროვების, შენახვის ან დამუშავების კანონიერება.

როდესაც საჯარო დაწესებულება აგროვებს ან ამუშავებს პერსონალურ მონაცემებს, ის ვალდებულია ამის შესახებ აცნობოს შესაბამის პირს. ამ პირს წერილობით უნდა განემარტოს რა მიზნით გროვდება/მუშავდება ინფორმაცია და რომელი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტითაა უფლებამოსილი ეს საჯარო დაწესებულება შეაგროვოს/დაამუშავოს შესაბამისი ინფორმაცია. რიგ შემთხვევებში, კანონი ავალდებულებს კერძო პირს მიაწოდოს ინფორმაცია მისი პერსონალური მონაცემების შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოს (მაგ., საგადასახადო კოდექსი მოითხოვს, რომ მოქალაქემ აცნობოს საგადასახადოს საკუთარი შემოსავალი და, შესაბამისად, გადაიხადოს გადასახადი). ზოგჯერ ინფორმაციის გაცემა ნებაყოფლობითია. ამიტომაც მოქალაქეს, როდესაც რაიმე ინფორმაციას სთხოვენ, უნდა განემარტოს, სავალდებულოა თუ არა კანონმდებლობის შესაბამისად ამ ინფორმაციის გადაცემა.

მუხლი 44. პერსონალური მონაცემების საიდუმლოება

1. საჯარო დაწესებულება ვალდებულია არ გაახმაუროს პი-

რად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) პერსონალური მონაცემების გარდა.

2. პირს უფლება აქვს პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმის შესახებ საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილება გაასაჩივროს ერთი თვის ვადაში.

3. სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების განსაიდუმლოების შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებებით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ამოიწურა სხვა წყაროდან ამ ინფორმაციის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

საჯარო დაწესებულებაში მოქალაქეთა შესახებ უამრავი პერსონალური მონაცემია დაკული. ამ პერსონალური მონაცემების დიდი ნაწილი პირად საიდუმლოებას განეკუთვნება, რადგანაც შეიცავს ინფორმაციას პირის ჯანმრთელობის, ფინანსების ან სხვა კერძო საკითხების შესახებ. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალური მონაცემებისა და პირადი საიდუმლოების ცნებები იდენტური არ არის. პერსონალური მონაცემი არ ჩაითვლება პირად საიდუმლოებად, თუ:

მის ღიაობას ითვალისწინებს კანონი. მაგ., ამომრჩეველთა სიები შეიცავს პერსონალურ მონაცემებს, რადგანაც ამა თუ იმ მისამართზე მცხოვრებ პირთა იდენტიფიკაციას იძლევა. მაგრამ ეს ინფორმაცია ღიაა საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობა და გამორიცხულ იქნეს ამომრჩეველთა რაოდენობით მანიპულირება. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით შემლუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ყოველი დამფუძნებლის ვინაობა, შესატანის ოდენობა და შესაბამისად წილი, აგრეთვე, ყოველი დირექტორის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი ღიაა. სხვა შემთხვევაში პირის მისამართი, დაბადების თარიღი, სამუშაო ადგილი ჩაითვლება პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ პერსონალურ მონაცემად. მაგრამ რადგანაც კანონით პირდაპირაა

გათვალისწინებული ამ ინფორმაციის ღიაობა, იგი ვეღარ გასაიდუმლოვდება.

თანამდებობის პირის (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) შესახებ საჯარო დაწესებულებაში დაკულია პერსონალური მონაცემი. როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ (იხ. 27-ე მუხლის კომენტარი), თანამდებობის პირის ცნების ქვეშ ეს თავი მოიაზრებს მხოლოდ “ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლში მითითებულ პირებს. მოგადად, მოქალაქის მიერ გადახდილი გადასახადების შესახებ ინფორმაცია დახურულია, მაგრამ ამ თანამდებობის პირების მიერ გადახდილი გადასახადების შესახებ მონაცემები ღია უნდა იყოს. მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ საჯარო დაწესებულებაში დაკული ინფორმაცია ასევე დახურული და ხელმიუწვდომელია სამოგადოებისათვის, მაგრამ ამ თანამდებობის პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია ღიაა და ყველა დაინტერესებულ პირს უნდა გადაეცეს. “ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონი ავალდებულებს ამ თანამდებობის პირებს შეავსოს ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის დეკლარაცია, რომელიც ყველასათვის ხელმისაწვდომია. ამგვარი განსხვავებული სტანდარტი საჯარო მოხელესა და კერძო პირებს შორის განპირობებულია იმ გარემოებით, რომ საჯარო თანამდებობის პირები სახელმწიფო ხელისუფლების მნიშვნელოვან ბერკეტებს ფლობენ და მათ შეუძლიათ თავიანთი გადაწყვეტილებებით სამოგადოებრივ ცხოვრებაზე ზეგავლენის მოხდენა. შესაბამისად, სამოგადოებასაც აქვს უფლება იცოდეს ვინ მართავს, რათა უკეთ შეძლოს მათი გაკონტროლება და არჩევანის გაკეთება. სამოგადოებას აქვს სრული უფლება იცოდეს, თუ რა ქონებით მოვიდა თანამდებობაზე ესა თუ ის მაღალჩინოსანი, როგორ შეიცვალა თანამდებობაზე ყოფნისას მისი ფინანსური მდგომარეობა და რა ქონებით ტოვებს იგი თანამდებობას. სამოგადოებას ასევე უფლება აქვს ფლობდეს ამ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, რათა შეაფასოს, გააჩნია თუ არა ამა თუ იმ თანამდებობის პირს საემარისი ფიზიკური თუ ფსიქიკური მონაცემები თავისი უფლებამოსილების განხორციელებისათვის.

უნდა აღვნიშნოს, რომ ღიაა არა მარტო თანამდებობაზე

მყოფ პირთა, არამედ ასეთ თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა პერსონალური მონაცემები. მაგ., არჩევნების დროს ღია პარლამენტის წევრობის ყველა კანდიდატის პერსონალური მონაცემი, რათა საზოგადოებამ წინასწარ იცოდეს, თუ ვის ირჩევს ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

პირად საიდუმლოებას მიეუთვნებული პერსონალური ინფორმაციის მიღების ორი გზა არსებობს:

პირველ რიგში პირად საიდუმლოებას მიეუთვნებული ინფორმაცია უნდა გაიყეს, თუკი არსებობს იმ პირის თანხმობა, ვის პერსონალურ მონაცემსაც წარმოადგენს ეს ინფორმაცია. პირს უფლება აქვს მის შესახებ საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის გაცნობის უფლება მისცეს ნებისმიერ პირს, მიუხედავად იმისა, მას ეს კანონმდებლობით ევალება თუ არა. თანხმობა უნდა გაიყეს წერილობითი ფორმით, მაგრამ არ არის სავალდებულო ეს თანხმობა სანოტარო წესით იქნეს დამოწმებული, ასევე სავალდებულო არ არის თანხმობის მისაცემად საჯარო დაწესებულებაში პირადად გამოცხადება. მაგრამ, თუკი საჯარო დაწესებულება დასაბუთებულად ეჭვქვეშ აყენებს თანხმობის წერილის ამ პირისათვის კუთვნილებას, მას უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი მტკიცებულება (მათ შორის, პირადად გამოცხადება, ან სანოტარო წესით ან რომელიმე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადასტურებული წერილობითი თანხმობის წარდგენა). თუ წარმოდგენილია პირის თანხმობა, საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუბრუნებლად გასცეს მის შესახებ არსებული პერსონალური მონაცემები შესაბამის პირზე.

მეორე გზა არის სასამართლოს გადაწყვეტილება. შესაძლებელია წარმოიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ ამა თუ იმ საკითხის გადასაწყვეტად აუცილებელი გახდეს იმ ინფორმაციაზე დაყრდნობა, რომელიც პირის პირად საიდუმლოებას წარმოადგენს. მაგ., განქორწინების შემდეგ ერთ-ერთ მშობელს დაეკისრა ალიმენტის გადახდის ვალდებულება. იგი უარს ამბობს ალიმენტის გადახდაზე იმ საფუძველზე, რომ მას არავითარი შემოსავალი არ გააჩნია. სასამართლო, ალიმენტის ოდენობის დადგენის მიზნით, უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე საგადასახადო სამსახურებიდან გამოითხოვოს ინფორმაცია ამ პირის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის გადახდის

თაობაზე და შესაბამისი უწყებიდან მიღებული აღნიშნული ხასიათის ინფორმაცია დაურთოს საქმეს. სასამართლო უფლებამოსილია ღიად გამოაცხადოს პირად საიდუმლოებად აღიარებული პერსონალური მონაცემი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია სხვა მტკიცებულებებით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ამოიწურა სხვა წყაროდან ამ ინფორმაციის მიღების ყველა სხვა შესაძლებლობა. შესაბამისი საჯარო დაწესებულება ან მხარე, რომელიც სასამართლოს მიმართავს პერსონალური მონაცემის განსაიდუმლოების მოთხოვნით, ვალდებულია წარმოადგინოს სათანადო მტკიცებულებები, რომ მან ყველა ღონე იხმარა სხვა წყაროებიდან ამ ინფორმაციის მიღების ან საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად სხვა მტკიცებულებების მოსაძიებლად, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო იმ სიტუაციაში, ანუ სასამართლო გადაწყვეტილებას პერსონალური მონაცემის განსაიდუმლოების შესახებ იღებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს არის საბოლოო გამოსავალი საკითხის გადასაჭრელად.

თუ საჯარო დაწესებულება უარს განაცხადებს ინფორმაციის გაცემაზე, შესაბამის პირს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში. კოდექსი ამ შემთხვევაში გასაჩივრებისათვის აწესებს ერთთვიან ვადას. კოდექსის 180-ე მუხლით განსაზღვრული ზემდგომ ორგანოში გასაჩივრების ვადა ასევე ერთ თვეს წარმოადგენს, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისათვის, ზოგადად, ექსთვიან ვადას ადგენს. ამიტომაც, თუ პირს სურს პერსონალური ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტი გაასაჩივროს, მან ეს ერთი თვის განმავლობაში უნდა განახორციელოს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ 44-ე მუხლში სპეციალური ვადის დადგენა არასწორია, ბედმეტ გაუგებრობას იწვევს და ამიტომაც, მომავალში გაუქმებულ უნდა იქნეს, რათა გზა გაეხსნას საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ზოგად ვალებს.

მუხლი 45. პერსონალური მონაცემების ხელმისაწვდომობა

პერსონალური მონაცემები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს

სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად მხოლოდ პირის იდენტიფიკაციის გამომრიცხავი ფორმით.

პერსონალური მონაცემების უმეტესობა, როგორც ჩვენ ბევრს უკვე აღვნიშნეთ, სამოგადოებისათვის ღია არ არის, მაგრამ ამავე დროს სამოგადოებრივი საჭიროებისათვის აუცილებელია ამ ინფორმაციის დამუშავება, რათა შესაძლებელი გახდეს ამა თუ იმ სფეროში საერთო სიტუაციის აღწერა, შეფასება და ჩასატარებელი ღონისძიებების დაგეგმვა. კონკრეტულ დარგებში ქვეყანაში არსებული ფონის შესწავლით დაკავებულია არა მარტო სახელმწიფო უწყებები, არამედ კერძო დაწესებულებები, ინსტიტუტები და კერძო პირები. ბევრი სახის მეცნიერული კვლევა ამა თუ იმ სფეროში, პოლიტიკის, დაგეგმვა და ჩამოყალიბება შეუძლებელია დღეს არსებული მდგომარეობის შესწავლის და გაანალიზების გარეშე, რაც, თავის მხრივ, ხშირად პერსონალურ მონაცემებშია ასახული, ანუ სახეზეა, ერთი მხრივ, პერსონალური მონაცემების შესწავლისა და გაანალიზების საჯარო ინტერესი, ხოლო, მეორე მხრივ, პირადი საიდუმლოების დაცვის კანონიერი უფლება. სწორედ ამიტომ, კოდექსმა აირჩია ისეთი გზა, რომელიც ორივე ამ ინტერესს ითვალისწინებს.

ამ მუხლის მიხედვით, სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად ნებისმიერი პერსონალური მონაცემი ხელმისაწვდომია, ოღონდ იმ ფორმით, რომელიც გამორიცხავს პირის იდენტიფიკაციას. მაგ., შიღის კვლევის კერძო ცენტრი უფლებამოსილია მიიღოს მონაცემები სახელმწიფო ჯანდაცვის უწყებიდან საქართველოში შიღის დაავადებულების შესახებ. ჯანდაცვის სახელმწიფო უწყება, პირობითად, მას მიაწვდის შემდეგი სახის დეტალურ ინფორმაციას: საქართველოში 43 შიღის დაავადებულია; ამათგან 23 ქალი, 20 მამაკაცი; 34 პირი ცხოვრობს თბილისში, სამი ქუთაისში, 4 ბათუმში და ორიც რუსთავში; შიღის დაავადებულთაგან 11 ნარკომანია; 21 მათგანს შიღის სქესობრივი გზით შეეყარა, 12 მათგანს სისხლის გადასხმით. ხოლო 10-ს არასტერილური პრეპარატების საშუალებით; შიღის დაავადებულთა ასაკი მერყეობს 17-დან 56 წლამდე; საშუალო ასაკია 31 წელი და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემებს ეყრდნობა, კონკრეტულად არც ერთი შიღის დაავადებული პირის იდენტიფიცირება არ არის შესაძლებელი, მაგრამ

ღირებულ ინფორმაციას შეიცავს სამეცნიერო დასკვნების გასაყეთებლად.

რაც შეეხება პროცედურას. პირის იდენტიფიცირების გამო-რიცხვის ვალდებულება აკისრია თვით იმ ორგანოს, რომელშიც დაკულია პერსონალური მონაცემი და რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ამ ინფორმაციის გაცემის თაობაზე. გემოალნიშნულ მაგალითს თუ დაეუბრუნდებით, შიდსის კვლევის კერძო ცენტრს კი არ გადაეცემა ყველა პერსონალური მონაცემი და ის კი არ ახდენს შემდგომ იდენტიფიცირების გამორიცხვას, არამედ ჯანდაცვის სახელმწიფო ორგანო. ეს ორგანო ამუშავებს პერსონალურ ინფორმაციას მოთხოვნის შესაბამისად, გამორიცხავს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას და ასეთი გადამუშავებული სახით აწვდის მონაცემებს შიდსის კვლევის კერძო ცენტრს.

მუხლი 46. მონაცემებში შესწორების შეტანა ან მათი განადგურება

პირს უფლება აქვს მოითხოვოს მონაცემებში შესწორების შეტანა ან უკანონოდ მოპოვებული მონაცემების განადგურება. პერსონალური ინფორმაციის შეგროვების კანონიერების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჯარო დაწესებულებას. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანაზე პირის განცხადება საჯარო ინფორმაციის უზუსტობის შესახებ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და თან უნდა დაერთოს მას. აღნიშნულ საკითხზე საჯარო დაწესებულება ან საჯარო მოსამსახურე გადაწყვეტილებას იღებს 10 დღის ვადაში.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

შესაძლოა საჯარო დაწესებულების მიერ პირის შესახებ შეგროვებულ ინფორმაციაში გარყვეული უზუსტობა გაიპაროს(მაგ., მოქ. ჯმუხაძის პასპორტში შესაბამისმა სახელმწიფო უწყებამ შეცდომით მიუთითა მისი დაბადების თვე და რიცხვი), ან, საერთოდ, ეჭვქვეშ დადგეს საჯარო დაწესებულების უფლებამოსილება პირის შესახებ ასეთი სახის ინფორმაციის შეგროვების შესახებ(სოფლის მეურნეობის სამინისტროს კადრების დეპარტამენტმა შეაგროვა და პირად საქმეს დაურთო ინფორმაცია ამავე სამინისტროს წამყვანი სპეციალისტის გ. ვარდენაძის რელიგიური

კუთვნილების შესახებ). ამიტომაც კოდექსი უფლებას აძლევს პირს, რომლის შესახებაც საჯარო დაწესებულება აგროვებს ინფორმაციას, მოითხოვოს საჯარო დაწესებულებისაგან მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებში შესწორებების შეტანა ან უკანონოდ შეგროვებული მონაცემების განადგურება. პერსონალურ მონაცემებში შესწორების შეტანის ან მათი განადგურებს მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ იმ პირს, რომელსაც ეს ინფორმაცია ეხება. მისი მოთხოვნა უნდა წარედგინოს იმ საჯარო დაწესებულებას, რომელშიც ეს პერსონალური მონაცემი ინახება. მოთხოვნა აუცილებლად წერილობითი ფორმის უნდა იყოს. წერილობითი მოთხოვნა თავისთავად საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს და, შესაბამისად, მასზე ვრცელდება კოდექსის ამ თავით დადგენილი წესები. იგი დაერთება იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლის შეცვლას ან განადგურებასაც ეს პირი მოითხოვს. წერილობითი მოთხოვნა არ შეიძლება ღია გახდეს სამოგადოებისათვის, თუ იგი პირის შესახებ პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას გამოიწვევს.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია წერილობითი მოთხოვნა პერსონალური მონაცემების შეცვლის ან განადგურების შესახებ განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს 10 დღის ვადაში. პერსონალური მონაცემების სისწორეზე პასუხისმგებელია საჯარო დაწესებულება და, შესაბამისად, მტკიცების ტვირთიც მას ეკისრება. თუ საჯარო დაწესებულება ვერ დაასაბუთებს პერსონალური მონაცემის სისწორეს ან მისი შეგროვების კანონიერებას, ეს პერსონალური მონაცემი, შესაბამისად, უნდა შეიცვალოს ან განადგურდეს.

ზემომოყვანილ მაგალითებს თუ განვიხილავთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური ვალდებულია მიუთითოს, თუ რომელ ოფიციალურ დოკუმენტს (მოქალაქის პირადობის მოწმობა, დაბადების მოწმობა) ეყრდნობოდა პასპორტში პირის დაბადების თვისა და რიცხვის მითითებისას. თუ აღმოჩნდა, რომ როგორც დაბადების მოწმობაში, ისე პირადობის მოწმობაში სხვა მონაცემებია მითითებული, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უსასყიდლოდ გამოუყვალოს მოქალაქეს პასპორტი და შეიტანოს მასში გასწორებული პერსონალური მონაცემი.

მეორე შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს

კადრების სამსახური ვალდებულია მიუთითოს, რომელი კანონის საფუძველზე იგი უფლებამოსილი შეაგროვის და შეინახოს პერსონალური მონაცემები პირის რელიგიური კუთვნილების შესახებ. ასეთ კანონზე კადრების დეპარტამენტი ვერ მიუთითებს, რადგან, როგორც უკვე გემოთ აღვნიშნეთ, ამ კოდექსის 43-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტით ამგვარი მონაცემების შეგროვება აკრძალულია. შესაბამისად, იგი ვალდებულია ამოიღოს ეს პერსონალური მონაცემი პირადი საქმიდან და გაანადგუროს.

მუხლი 47. გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა. ზიანის ანაზღაურება

1. პირს აქვს უფლება საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს, აგრეთვე მოითხოვოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება:

ა) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის სრული ან ნაწილობრივი დახურვის, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გასაიდუმლოებისას;

ბ) არასწორი საჯარო ინფორმაციის შექმნისა და დამუშავებისათვის;

გ) პერსონალური მონაცემების უკანონო შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და გავრცელებისას, აგრეთვე მათი სხვა პირის ან საჯარო დაწესებულებისათვის უკანონოდ გადაცემისას;

დ) საჯარო დაწესებულების ან საჯარო მოსამსახურის მიერ ამ თავის სხვა მოთხოვნათა დარღვევისას.

2. მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას ან საჯარო მოსამსახურეს.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. თუ ადმინისტრაციული ორგანო გაასაიდუმლოებს რაიმე დოკუმენტს, ეს არ ნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილების გადასინჯვა შეუძლებელია. დაინტერესებულ პირს შეუძლია აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრება როგორც სასამართლოში, ასევე გემდგომ ორგანოში. სარჩელი/საჩივრით დაინტერესებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს, ერთი მხრივ, მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება ან შეცვლა (აქ იგულისხმება როგორც ინფორმაციის გაცემაზე უარი, ისე ინფორმაციის გაცემის შესახებ

გადაწყვეტილება), ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება. სახელმწიფოს მიერ ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის უკანონო გადაწყვეტილებით/ქმედებით მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია როგორც სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლით, ასევე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-208-ე მუხლებით. რაც შეეხება არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებას, სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, იგი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში. სწორედ ამიტომაც გაუსვა ხაზი ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ამ მუხლში.

ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია, თუკი საჯარო დაწესებულება/საჯარო მოსამსახურე

ა) კანონის მოთხოვნათა დარღვევით უარს განაცხადებს ინფორმაციის გაცემაზე, უკანონოდ გაასაიდუმლოებს ინფორმაციას ან დახურავს კოლეგიური დაწესებულების სხდომას;

ბ) მოცემული პირის მიმართ კანონის მოთხოვნათა დარღვევით შეაგროვებს, შექმნის, დაამუშავებს, შეინახავს ან გაავრცელებს ინფორმაციას (მაგ., სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულება გამოაქვეყნებს მოქალაქის ავადმყოფობის ისტორიას);

გ) შექმნის ან დაამუშავებს არასწორ ინფორმაციას ან სხვაგვარად დაარღვევს ამ კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნებს.

2. ინფორმაციის თავისუფლების თავთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებასა და კერძო პირს შორის წარმოქმნილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრება საჯარო დაწესებულებას. ზოგადად, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, ისევე როგორც სამოქალაქო პროცესში, მოქმედებს პრინციპი, რომლის მიხედვით მხარეები თვითონ არიან ვალდებული დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები (შესაგებელი) და წარადგინონ შესაბამისი მტკიცებულებები. მაგრამ, როდესაც წარდგენილია სარჩელი ამ კოდექსის მე-3 თავის მოთხოვნების დარღვევასთან დაკავშირებით, აგრეთვე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე საჯარო დაწესებულებას, ადმინისტრაციულ ორგანოს. მაგ., მოქ. ქიტოქემ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს მისი ყველა თანამშრომლის ვინაობისა და მისამართის

თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნით, რაზეც სამინისტრომ უარი განაცხადა. თუ გადაწყვეტილება სასამართლოში გასაჩივრდება, სამინისტრო ვალდებულია მოიტანოს საემარისი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარი მოხდა კანონის მოთხოვნების მუსტი დაყვით.

თუ სამინისტრო თავისი გადაწყვეტილების კანონიერების სასარგებლოდ საემარო მტკიცებულებებს ვერ წარმოადგენს, გადაწყვეტილება ექვემდებარება გაუქმებას იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოქ. ქიტოძე ვერ დაასაბუთებს სამინისტროს გადაწყვეტილების კანონსაწინააღმდეგო ხასიათს. ამ ნორმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ადმინისტრაციული ორგანო უნდა მოქმედებდეს კანონმდებლობის მუსტი დაყვით და გადაწყვეტილების მიღებისას მან უნდა დაასაბუთოს, რომელი საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო თავის საქმიანობას არ ახორციელებს კანონმდებლობის საფუძველზე და მის შესასრულებლად, საერთოდ შედგება სამართლებრივ სახელმწიფოზე საუბარი. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო უფრო მეტ სამართლებრივ ინფორმაციას ფლობს, ვიდრე მოქალაქე და აქედან გამომდინარე, ნებისმიერი უფლებამოსილების განხორციელებისას მან უნდა ამტკიცოს მისი მოქმედების/გადაწყვეტილების კანონიერების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ალბათ უფრო სასურველი იქნება, თუ ეს ნორმა ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში გადავა, რადგანაც იგი მხარის პროცესუალურ უფლება-მოვალეობებს აწესრიგებს.

მუხლი 48. სასამართლოს მიერ გასაიდუმლოებული ინფორმაციის გამოთხოვა

სასამართლოს მხარის შუამდგომლობით უფლება აქვს გამოითხოვოს და განიხილოს გასაიდუმლოებული საჯარო ინფორმაცია მისი მთლიანი ან ნაწილობრივი გასაიდუმლოების კანონიერების შესწავლის მიზნით. სასამართლოს უფლება აქვს ეს განხილვა აწარმოოს დახურულ სხდომაზე.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

თუ სასამართლოში გასაჩივრებულია ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერება, სასამართლო უფლებამოსილია იმსჯელოს საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილების კანონიერებაზე. ამისათვის იგი, მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, გამოითხოვს როგორც გასაიდუმლოებულ ინფორმაციას, ასევე იმ ადმინისტრაციული წარმოების საქმის მასალებს, რომლის შედეგადაც საჯარო დაწესებულებამ მიიღო გადაწყვეტილება ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასამართლოს ხელი მიუწვდება ნებისმიერ გასაიდუმლოებულ ინფორმაციაზე. ეს ბუნებრივია, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში, მას საჯარო დაწესებულების გადაწყვეტილების კანონიერების შეფასების შესაძლებლობა არ ექნება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი სარჩელი მან ჩვეულებრივი წესით ღია სხდომაზე უნდა განიხილოს. თუ სასამართლო ღია სხდომაზე განიხილავს საქმეს, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი საზოგადოებისათვის ცნობილი გახდება გასაიდუმლოებული ინფორმაციის შინაარსი. ეს კი ყოველგვარ ამრს დაუკარგავდა ინფორმაციის გასაიდუმლოების ამ კოდექსით დადგენილ წესს და შესაძლოა მნიშვნელოვანი საფრთხეც შეექმნა საჯარო ან კერძო პირის კანონიერი ინტერესებისათვის. ამიტომაც კოდექსი უშეუბამს ასეთი საქმის დახურულ სასამართლო სხდომაზე, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე განხილვის შესაძლებლობას. უფრო მეტიც, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 20 მუხლის შესაბამისად შესაძლებელია მოეწყოს in camera განხილვა, რაც ნიშნავს, რომ მხარეს უფლება არ ექნება განხილვის პროცესში გაეცნოს საიდუმლო ინფორმაციას. თუ სასამართლო მხარის სარჩელს დაკმაყოფილებს, მაშინ როგორც უკანონოდ გასაიდუმლოებული ინფორმაცია, ისევე საქმის მასალებიც. სრული მოცულობით ხელმისაწვდომი გახდება მხარისათვის და საზოგადოებისათვის.

მუხლი 49. ანგარიშის წარდგენა

ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს ანგარიში საქართველოს პრემიერს და პარლამენტს:

ა) საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის

გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობის შესახებ და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ;

ბ) მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობის, აგრეთვე კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ;

გ) საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის თაობაზე;

დ) საჯარო მოსამსახურეთა მიერ ამ კოდექსის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიძებულ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ;

ე) იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

ვ) საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შესახებ;

ზ) საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხების შესახებ.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

ამ კოდექსით გათვალისწინებული დებულებები ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ახალია ქართული ადმინისტრაციული სამართლისათვის. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესრულება და გაიზარდოს ადმინისტრაციულ ორგანოთა პასუხისმგებლობა, კოდექსი ითვალისწინებს ამ საკითგზე მათი საქმიანობის დეტალური ანგარიშების წარდგენას.

ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კოდექსის დებულებების

შესრულების შესახებ ანგარიში უნდა წარედგინოს როგორც პრეზიდენტს, ისე პარლამენტს. საჯარო დაწესებულებას არ შეუძლია ანგარიში ზემოთ დასახელებულ სტრუქტურათაგან მხოლოდ ერთს წარედგინოს. ორივე მათგანისათვის ინფორმაციის წარდგენა სავალდებულოა.

10 დეკემბერი გაეროს მიერ გამოცხადებულია ადამიანის უფლებების დაცვის დღედ. სწორედ ამიტომ კოდექსმა სიმბოლურად დაამთხვია ანგარიშების წარდგენის საბოლოო ვადა ამ დღეს.

ამ მუხლის თავდაპირველ ვარიანტში ანგარიშის შინაარსის თაობაზე დაწერილებითი მითითება არ ყოფილა. კოდექსის მოქმედების პირველ წელს წარმოდგენილი ანგარიშები იმდენად ზოგადი და ბუნდოვანი იყო, რომ საჭიროდ ჩაითვალა მუხლის შინაარსის უფრო დეტალური ჩამოყალიბება. სწორედ ამის გამო 2001 წლის 2 მარტს კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები, რომელმაც ზუსტად გაითვალისწინა, თუ რა მონაცემები უნდა წარადგინოს საჯარო დაწესებულებამ თავის ანგარიშში.

საჯარო დაწესებულება ვალდებულია თავის ანგარიშში ასახოს შემდეგი მონაცემები:

ა) ინფორმაციის გაცემის თაობაზე – საერთოდ რამდენი მოთხოვნა შევიდა საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოცემულ საჯარო დაწესებულებაში;

ბ-გ) სართოდ შემოსულ მოთხოვნათაგან რამდენი მათგანი იქნა დაკმაყოფილებული და რამდენი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ითქვა უარი (მაგ., ქალაქ გორის საყრებულოში შემოვიდა 120 მოთხოვნა ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით, აქედან 103 დაკმაყოფილდა და, შესაბამისად, მოთხოვნილი ინფორმაცია გაიცა, ხოლო 17 განცხადების დაკმაყოფილებაზე ითქვა უარი);

დ) დაფიქსირდა თუ არა ამ საჯარო დაწესებულების საჯარო მოხელის მიერ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის ფაქტი, დაღვევის რამდენი ფაქტი იქნა დაფიქსირებული და დაედო თუ არა დარღვევაზე პასუხისმგებელ პირს დისციპლინური სახდელი;

ე) რომელი საკანონმდებლო აქტი იქნა მითითებული ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ან სხდომის დახურვის შემთხვევაში;

ვ) გასაჩივრდა თუ არა ამ საჯარო დაწესებულების უარი შემდგომ ორგანოში ან სასამართლოში. ანგარიშში უნდა მიეთითოს რამდენი უარი იქნა გასაჩივრებული და სად; რამდენი საჩივარი/სარჩელი იქნა დაკმაყოფილებული;

ზ) გასაჩივრებული გადაწყვეტილებების შემდგომი ორგანოს/სასამართლოს მიერ გაუქმების შემთხვევაში გაიღო თუ არა საჯარო დაწესებულებამ რაიმე ხარჯი; მაგ., რა რაოდენობით ანაზღაურა სასამართლო ხარჯები, მათ შორის, სახელმწიფო ბაეი; დაეკისრა თუ არა მას მეორე მხარის სასარგებლოდ ზიანის მიყენების ანაზღაურება და რა რაოდენობით და ა.შ.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია თითოეულ შემოადნიშნულ საკითხზე გასცეს პასუხი. თუ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით არც ერთი ფაქტი არ არსებობს, ამის შესახებაც უნდა აღინიშნოს ანგარიშში. მაგ., საჯარო მოხელის მიერ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული დებულებების დარღვევის ფაქტი არ დაფიქსირებულა და შესაბამისად, არც ერთ საჯარო მოხელეს არ დაეკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2000 წლის 10 დეკემბრისათვის საქართველოს პარლამენტში ანგარიში წარმოადგინა ორ ათეულზე ნაკლებმა საჯარო დაწესებულებამ, ხოლო 2001 წლის 10 დეკემბრისათვის ამ საჯარო დაწესებულებათა რიცხვმა ორასს გადააჭარბა. საჯარო დაწესებულების საერთო რიცხვი შემოადნიშნულთან შედარებით მნიშვნელოვნად დიდია, მაგრამ წლების მიხედვით პროგრესი მაინც სახეზეა. გაიზარდა ანგარიშის წარმომდგენ უწყებათა გეოგრაფიული არეალი. კოდექსის მოქმედების პირველ წელს ძალიან ცოტა სახელმწიფო ორგანომ თუ იყოდა აღნიშნული ვალდებულების შესახებ. 2001 წელს წარდგენილი ანგარიშების შინაარსის ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით, თუმცა, ყველა მათგანი მაინც შორს ღვანს კანონის ყველა მოთხოვნის ზუსტი დაკვირვება.

მუხლი 50. ადრე არსებული საჯარო ინფორმაციის ღიაობა

ამ კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია, გარდა კომერციული, პროფესიული და

პირადი საიდუმლოებისა, ღიაა, თუ იგი შექმნილი, გაგზავნილი ან მიღებულია 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, ამ ინფორმაციაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციის გამოძრიცხავი ფორმით მათი სიყოცხლის მანძილზე.

საბჭოთა სისტემის პირობებში სრულიად გასაიდუმლოებული იყო უზარმაზარი მოცულობის ინფორმაცია. ამ რეჟიმის დროს ინფორმაციის თავისუფლების ელემენტარული სტანდარტებიც არ არსებობდა და მთელი ეს ინფორმაცია სამოგადოებისთვის ხელმიუწვდომელი იყო. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება არასრულყოფილი იქნებოდა, თუკი იგი არ გადაწყვეტდა საბჭოთა პერიოდში შექმნილი ინფორმაციის ბედს.

ამ პრობლემის გადაწყვეტისას კოდექსმა რამდენიმე ამოსავალი წერტილი აირჩია.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ესა თუ ის ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოდ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუკი იგი მოცემული სახელმწიფოს ინტერესებს უქმნიდა კონკრეტულ საფრთხეს. ახალი ქართული სახელმწიფოსათვის სახელმწიფო საიდუმლოებად ავტომატურად ვერ ჩაითვლება ის ინფორმაცია, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლების მიერ ჰქონდა “საიდუმლოს” გრიფი მინიჭებული, რადგან ამ ინფორმაციის გასაიდუმლოება საბჭოთა სახელმწიფოს უსაფრთხოებას იცავდა. ამიტომაც ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნამდე საიდუმლოდ ცნობილი ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო საიდუმლოებად ვერ ჩაითვლება. შეუძლებელია ქვეყანაში არსებობდეს სახელმწიფო საიდუმლოება, რომელიც თვით ამ ქვეყნის მიერ, მისი ინტერესების შესაბამისად, არ არის ცნობილი საიდუმლო ინფორმაციად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ამ ინფორმაციათა უმეტესობა საერთაშორისო სტანდარტების უხეში დარღვევით იქნა გასაიდუმლოებული.

მოუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის აქტი მიღებულ იქნა 1991 წლის 9 აპრილს, კოდექსი ღიად აცხადებს 1990 წლის ოქტომბრამდე მიღებულ დამუშავებულ თუ გაგზავნილ ინფორმაციას. 1990 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა პირველი თავისუფალი, მრავალპარტიული, პირდაპირი და საყოველთაო არჩევნები, რომლის საფუძველზეც ხელისუფლებაში მოვიდა ძალა, რომლის მთავარი პრიორიტეტი დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა იყო. სწორედ ამიტომაც ჩათვალეს კანონმდებლებმა

1990 წლის 28 ოქტომბერი საბჭოთა სისტემის დასასრულად.

ახალი ქართული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ძალიან ბევრს საუბრობდნენ ლუსტრაციის შესახებ კანონის მიღების აუცილებლობაზე. ამ კანონის მიხედვით, ხელისუფლების ორგანოებში თანამდებობებზე ყოფნა შეუძლებელი უნდა ყოფილიყო იმ პირებისათვის, რომლებიც თანამშრომლობდნენ საბჭოთა უშიშროების სტრუქტურებთან ან რომლებსაც ეკავათ მაღალი თანამდებობები პარტიული თავდაცვის, პოლიციისა და უშიშროების სისტემაში. ამ კანონის მიღება ვერ მოხერხდა და, შესაბამისად, სამოვადოებისათვის უცნობია, თუ ვინ თანამშრომლობდა საბჭოთა უშიშროებასთან დღეს სახელმწიფო თანამდებობებზე მყოფ პირთაგან. ამ პრობლემას ვერც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი წყვეტს, მაგრამ მისი ამოქმედების შემდეგ შესაძლებელი ხდება სამოვადოებამ იცოდეს იმ პირთა ვინაობისა და საქმიანობის შესახებ, რომლებიც თანამშრომლობდნენ საბჭოთა სპეცსამსახურებთან, მაგრამ აქაც, კოდექსის მიხედვით, დაწესებულია ერთი გამონაკლისი – თუ პირი, რომელიც მოხსენიებულია 1990 წლის 28 ოქტომბრამდე შექმნილ საილუმლო ინფორმაციაში, დღეს ცოცხალი იმყოფება, მაშინ მისი ვინაობის შესახებ ინფორმაცია უნდა გასაიდუმლოდეს. დაინტერესებულ პირს ინფორმაცია მასში აღნიშნული, დღეს ცოცხალი პირის ვინაობის მითითების გარეშე გადაეცემა. კოდექსი მოითხოვს, ინფორმაცია სამოვადოებისათვის ისე იქნეს მიწოდებული, რომ მისი იდენტიფიკაცია შეუძლებელი იყოს, ე.ი. ზოგჯერ საილუმლოდ უნდა დარჩეს არამარტო მისი ვინაობა, არამედ მისამართი, ასაკი, პროფესია, განათლება, თუკი ამ მონაცემებით მისი პიროვნების დადგენა წარმოდგენილი ინფორმაციიდან შესაძლებელია. ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირს უარი უნდა ეთქვას მთლიანად იმ ინფორმაციის გადაცემაზე, რომელშიც მოხსენიებულია დღეს ცოცხალი პირი. მას ინფორმაციიდან მხოლოდ ის ნაწილი არ გადაეცემა, რომელიც პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ პირის იდენტიფიკაციის დადგენა შეუძლებელი უნდა იყოს არა ყველა დოკუმენტში. რომელიც 1990 წლის 28 ოქტომბრამდეა შექმნილი, არამედ მხოლოდ იმ დოკუმენტებში, რომელიც თავის დროზე გასაიდუმ-

ლოებული იყო. მაგ., თუ პირი ითხოვს სასელმწიფო არქივიდან ინფორმაციას, ვინ დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით 1975 წლის 12 იანვარს, მას არ შეიძლება უარი ეთქვას ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ ეს პირის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. ეს ინფორმაცია თავის დროზეც ღია იყო, უფრო მეტიც, აღნიშნულის შესახებ ქვეყნდებოდა პრესის საშუალებით. ამიტომაც ასეთი ინფორმაციის გაცემა დღესაც დაუბრკოლებლად უნდა მოხდეს.

თუ 1990 წლამდე შექმნილ საიდუმლო დოკუმენტში მოხსენებული პირი გარდაცვლილია, როგორც დოკუმენტი, ისე ამ პირის ეინაობა, დაუბრკოლებლად გადაეცემა ნებისმიერ დაინტერესებულ მოქალაქეს.

ამ მუხლის დებულება ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ იგი კრძალავს 1990 წლის 28 ოქტომბრამდე შექმნილი ყველა ინფორმაციის საიდუმლოებას. თუ ეს ინფორმაცია შეიცავს რომელიმე კომერციულ, პროფესიულ თუ პირად საიდუმლოებას, იგი არ შეიძლება ღია გახდეს საზოგადოებისათვის, მაგრამ ასეთ შემთხვევაში იგი უნდა აკმაყოფილებდეს ამ კოდექსის 271-ე, 272-ე და 273-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს. ამავე დროს, ამ კოდექსის 29-ე მუხლის მოქმედება, რომელიც ითვალისწინებს აღმასრულებელ პრივილეგიას, არ გავრცელდება 1990 წლის 28 ოქტომბრამდე შექმნილ ინფორმაციაზე.

შესავალი

აღნიშნული თავის დებულებები, როგორც მისი სახელწოდებითანაყ გამომდინარეობს, ეხება როგორც ინდივიდუალურ, ისე ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს. თუმცა მთელი რიგი დებულებები ეხება მხოლოდ ინდივიდუალურ აქტებს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ინდივიდუალური აქტები შეადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების უდიდეს ნაწილს. მათ მიღებაში კონკრეტული ადამიანების მონაწილეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათი მიღება ამ კონკრეტული ადამიანების ინიციტივით ხდება ან მხოლოდ მათ შეეხებათ. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მიღების (გამოცემის) წესები მოგადად დადგენილია საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“, ხოლო ეს კანონი მათ მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ეხება.

მუხლი 51. ადმინისტრაციული აქტის ფორმა

1. ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა წერილობით.
2. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან პირის კანონით დაკულ ინტერესებს, ადმინისტრაციული აქტი შეიძლება გამოიყეს ზეპირად.
3. დაინტერესებული მხარის მოთხოვნით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული აქტი ზღუდავს პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს, აგრეთვე კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში ზეპირი ადმინისტრაციული აქტი მიღებიდან 3 დღის ვადაში უნდა გამოიყეს წერილობით.
4. ზეპირი ადმინისტრაციული აქტის მიმართ არ ვრცელდება ამ კოდექსის 52-58-ე მუხლების მოთხოვნები.

1. კოდექსი ადგენს განსამღერულ ფორმალურ წესს ადმინისტრაციული ორგანოებისათვის და მოითხოვს, რომ ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიყეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტის მიღებას შეიძლება

¹ (საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

მოჰყვეს სერიოზული იურიდიული შედეგები და აქედან გამომდინარე, მხარეებმა და ხშირად საზოგადოებამაც უნდა იცოდნენ, რასთან აქვთ საქმე. მითუმეტეს, ერთ-ერთი მხარე არის არა კონკრეტული ჩინოვნიკი, რომელმაც უშუალოდ გამოსცა ადმინისტრაციული აქტი. არამედ ადმინისტრაციული ორგანო და მოხელის შეცვლა არ იწვევს მხარეების ან მათი ვალდებულებების მოცულობის შეცვლას. მთელ რიგ შემთხვევებში დაინტერესებული მხარე შეიძლება არ დაეთანხმოს ადმინისტრაციულ ორგანოს, რის გამოც წარმოიშობა ადმინისტრაციული აქტის სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.

2. ზემოთქმული არ ნიშნავს, რომ წერილობით ადმინისტრაციული აქტის გამოცემა სავალდებულოა ყველა შემთხვევაში. კოდექსი უშვებს გამონაკლისებსაც. კერძოდ, ბეპირად ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დასაშვებია გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან პირის კანონით დაცულ ინტერესებს. მაგალითად, ავტოკატასტროფის შემთხვევაში, როდესაც გადაუდებელი აუცილებლობის გამო ხდება გზებზე მოძრაობის დარეგულირება და სხვადასხვა ადმინისტრაციული მნიშვნელობის განკარგულებების გაყვამა, რაც ბეპირი ადმინისტრაციული აქტების გამოცემით წყდება.

3. ზოგიერთი ბეპირი ადმინისტრაციული აქტი ძალზე სერიოზულ შედეგებს იწვევს. სწორედ ამიტომ, კოდექსი მოითხოვს, რომ მთელი რიგი ბეპირი ადმინისტრაციული აქტი 3 დღის ვადაში წერილობითაც უნდა გამოიცეს. კერძოდ, ეს სავალდებულოა, თუ იგი ბლუდავს პირის უფლებებს ან ინტერესებს, ანდა ამას პირდაპირ ითვალისწინებს კანონი, ან თუ დაინტერესებულ მხარეს უნდა იცოდეს რა უფლებები ან ვალდებულებები დაუდგინეს ადმინისტრაციული აქტით. ამიტომაც მისი მოთხოვნის არსებობისას ადმინისტრაციული აქტის წერილობით გამოცემა სავალდებულოა. ბეპირი ადმინისტრაციული აქტის შემდგომ ქალაქში დაფიქსირება უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და მნიშვნელოვნად აადვილებს გასაჩივრებისას მხარეთა უფლება-მოვალეობათა მოცულობის ბუსტ განსაზღვრას.

4. ბეპირად გამოცემული ადმინისტრაციული აქტისთვის, რა თქმა უნდა, არ არის სავალდებულო, რომ იგი აკმაყოფილებდეს

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-58-ე მუხლის მოთხოვნებს, (რომლებიც შეეხება ადმინისტრაციული აქტის რეკვიზიტებს. ძალაში შესვლას, გამოქვეყნებას და ა. შ.), რაც საეაღდებულოა წერილობით გამოცემული ადმინისტრაციული აქტებისათვის. ასეთი მოთხოვნების დაცეას, ბუნებრივია, ბეპირი ადმინისტრაციული აქტი ვერ შეძლებს და სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული კოდექსი ბეპირი ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას ადმინისტრაციულ ორგანოს ათავისუფლებს ამ მოთხოვნების დაცეისაგან.

მუხლი 52. ადმინისტრაციული აქტის რეკვიზიტები

1. ყოველი ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს:

- ა) ადმინისტრაციული აქტის სახეს;
- ბ) ადმინისტრაციული აქტის გამომცემ ორგანოს;
- გ) ადმინისტრაციული აქტის სათაურს;
- დ) უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელსა და ხელმოწერას;
- ე) გამოცემის დროსა და ადგილს;
- ვ) ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოს მიერ მიწებულ სარეგისტრაციო ნომერს.

2. თითოეულ ადმინისტრაციულ აქტში უნდა მიეთითოს ის ორგანო, რომელშიც შეიძლება ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება, მისი მისამართი და საჩივრის (ან სარჩელის) წარდგენის ვადა.

3. საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტზე – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს გერბი, მისი არსებობის შემთხვევაში.

1. ადმინისტრაციული აქტი ფორმით გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, სწორედ ამიტომ კოდექსი მუსტად განსაზღვრავს რეკვიზიტებს, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ადმინისტრაციული აქტი. ესენია:

– ადმინისტრაციული აქტის სახე, ანუ განსაზღვრული უნდა

იყოს, თუ რა ჰქვია თვითონ ადმინისტრაციულ აქტს (ბრძანება, ინსტრუქცია, დადგენილება, ოქმი და ა. შ.).

– აქტის გამოცემი ორგანოს სრული დასახელება და მისამართი (მაგ.: საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, თბილისი, რუსთაველის 30).

– ადმინისტრაციული აქტის სათაური, რომელიც მოკლედ უნდა გადმოსცემდეს ადმინისტრაციული აქტის შინაარსს. მაგალითად: ბრძანება ვასიო სულიაშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ;

– ადმინისტრაციული ორგანოს ამისათვის უფლებამოსილი თანამდებობის პირის გვარს, სახელს და ხელმოწერას;

– გამოცემის დროსა და ადგილს;

– მისი გამოცემი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტისთვის მინიჭებულ სარეგისტრაციო ნომერს.

ზემოჩამოთვლილი რეკვიზიტები აუცილებელია ადმინისტრაციული აქტის იდენტიფიკაციისათვის და ყველა ამ რეკვიზიტის არსებობა მრავალი სამართლებრივი პრობლემის წარმოშობას უშლის ხელს (როდის შევიდა ძალაში, ნამდვილად არის თუ არა უფლებამოსილი პირის ნება გამოხატული და ა.შ.).

2. ყველა ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს მითითებას იმ ორგანოზე, რომელშიც შეიძლება ამ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს, რომ მხოლოდ ადმინისტრაციული აქტებისათვის დაადგინა კოდექსმა ამგვარი რეკვიზიტის მითითების აუცილებლობა, ასევე, ამ ორგანოს მისამართისა და საჩივრის წარდგენის ვადა. ეს მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინფორმაციაა დაინტერესებული მხარისათვის. ბევრმა მოქალაქემ არ იცის საერთოდ თუ შეიძლება ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება და თუ შეიძლება, სად უნდა მიმართოს, ან რა ვადაში. ხშირ შემთხვევაში, როდესაც პირი დაადგენს ვის უნდა მიმართოს. აღმოჩნდება, რომ საჩივრის წარდგენის ვადა გასულია. კოდექსი მოქალაქეებს ძალიან უადვილებს ამ პროცედურას.

3. ადმინისტრაციული აქტი სახელმწიფოს ნების გამოხატულებათა, ამიტომ საქართველოს სახელმწიფო ორგანოს მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი, ხოლო ადგილობრივი თვით-

მმართველობისა და მმართველობის ორგანოს მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტზე – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს გერბი, თუკი ასეთი არსებობს. მაგალითად, თბილისის მერიის გადაწყვეტილებაზე გამოსახული უნდა იყოს არა საქართველოს, არამედ ქალაქ თბილისის გერბი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მუხლის მოთხოვნების ყოველგვარმა დარღვევამ არ შეიძლება გამოიწვიოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობა. მაგალითად, როდესაც აქტს არ აქვს გერბი, ან დაუსათაურებელია, ის მაინც შეიძლება ძალაში დარჩეს. უმეტეს შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული აქტი ხელმოუწერელია, იგი ბათილად უნდა გამოცხადდეს. თუ ადმინისტრაციულ აქტში მითითებული არ არის მისი გასაჩივრების ვადა ან წესი, ეს ასევე არ გამოიწვევს ადმინისტრაციული აქტის ბათილობას. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი დარჩება ძალაში, მაგრამ მისი გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ დაინტერესებული მხარისათვის ამ უფლების გაყენების ან გამოქვეყნების შემდეგ.

მუხლი 53. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება

1. ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას.

2. დასაბუთება წინ უბღვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სარეზოლუციო ნაწილს.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში უნდა მიეთითოს ის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი ან მისი შესაბამისი ნორმა, რომლის საფუძველზედაც გამოიყა ეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

4. თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას.

5. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის

თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

6. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაყვამად კანონმდებლობა ითვალისწინებს საექსპერტო დასკვნის არსებობას, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ამ დასკვნის შინაარსი.

7. *ამოღებულია*

8. გადაუღებულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შეიძლება გამოიყვანოს ან გამოქვეყნდეს წერილობითი დასაბუთების გარეშე. ასეთ შემთხვევაში წერილობითი დასაბუთება აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნებიდან ან ოფიციალური გაცნობიდან ერთი კვირის ვადაში.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. ამ მუხლში ჩამოყალიბებული დებულება კიდევ ერთი დიდი ნოვაციაა, რომელიც საქართველოში პირველად ამ კოდექსმა შემოიტანა. გარკვეულწილად, მის ერთგვარ წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კანონპროექტისათვის განმარტებითი ბარათის დართვის აუცილებლობა. ამ პრინციპის ძირითადი ამზრი ისაა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოსა და სახელმწიფო ადმინისტრაციას არ გააჩნია რაიმე აღმატებული სტატუსი ან აბსოლუტური ძალაუფლება და ამიტომ, თუკი ადგენს რამეს, უნდა დაასაბუთოს კიდევ. დაუსაბუთებლობის შემთხვევაში შესაბამისი პირისათვის შეუძლებელი გახდება საკითხის ამგვარი გადაწყვეტილების მიღების მიზეზის გაგება, დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი ხდება ადმინისტრაციული ორგანოს არგუმენტები და შესაბამისად, აქტის გასაჩივრებისას მას უადვილდება საკუთარი საწინააღმდეგო მოსაზრებების წარდგენა. ამავე დროს, დასაბუთების საეაღდებულობა მნიშვნელოვნად მრდის ადმინისტრაციული აქტის ხარისხს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრაციული აქტის დასაბუთების ვალდებულება, დაინტერესებული მხარის მოსაზრების მოსმენის საეაღდებულობასთან ერთად, აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ადმინისტრაციული სამართლის ძირითადი დებულებაა.

ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ მუხლის მოთხოვნები ვრცელდება ორივე, როგორც ინდივიდუალურ, ისე ნორმატიულ ადმინისტრაციულ აქტებზე.

2. კანონი განსაზღვრავს, რომ წერილობითი დასაბუთება გამოიყენება შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან ერთად. იგი წინ უნდა უძღოდეს აქტის სარეზოლუციო ნაწილს. შესაძლოა ადმინისტრაციული აქტი რამდენიმე ნაწილისგან არ შედგებოდეს, ასეთ შემთხვევაში დასაბუთება უშუალოდ ადმინისტრაციულ აქტს წარმმდევარება.

3. ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს კანონმდებლობის საფუძველზე. სწორედ ამიტომ ადმინისტრაციულ აქტში უნდა აღინიშნოს რომელი საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად ან რომლის საფუძველზე გამოიყენა იგი. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადმინისტრაციული აქტის კანონიერების განსაზღვრას.

4. კოდექსი კიდევ ერთ მნიშვნელოვან დებულებას ითვალისწინებს, რომლის მიხედვითაც, თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, იგი ვალდებულია აქტის დასაბუთებაში მიუთითოს ყველა ის გარემოება, რომლის შესაბამისადაც მან გადაწყვიტა მიეღო ზუსტად ეს კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილების მიღებაზე.

5. ადმინისტრაციული აქტის გამოცემისთვის მხოლოდ ფაქტების, მტკიცებულებებისა და არგუმენტების მოპოვება არ არის საკმარისი, საჭიროა მათი შესაბამისი გამოცვლევა და შესწავლა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება დაზღვეული არ იქნება შეცდომებისა და დაუსაბუთებელი, გაუაზრებელი დასკვნების გამოტანისაგან. ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება ადმინისტრაციული აქტის ისეთ გარემოებებზე დაფუძნება, რომლებიც არ იქნა სათანადოდ შესწავლილი და გამოყვლეული ადმინისტრაციული წარმოების დროს. მაგალითად, დაინტერესებულმა მხარემ ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინა დოკუმენტები, რომელიც მისი აზრით დაეხმარება სასურველი ლიცენზიის მისაღებად. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს ამ დოკუმენტების შეფასების გარეშე უარი უთხრას დაინტერესებულ მხარეს ლიცენზიის გაცემაზე, თუნდაც ადმინისტრაციული

ორგანოსათვის ინფორმაციის სხვა წყაროებზე დაყრდნობით ამ-
კარა იყოს მხარის მოთხოვნის უსაფუძვლოება.

6. კოდექსი შესაძლებელს ხდის მთელ რიგ შემთხვევებში საკითხის მომზადებისას ექსპერტის (სამოგადოებრივი ექსპერტის) მონაწილეობას. თუ რომელიმე სპეციალური კანონით ან კანონ-
ქვემდებარე აქტით გათვალისწინებულია, რომ ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტის გამოსაქვემდებარე აუცილებელია ექსპერტის
დასკვნის არსებობა, აქტის დასაბუთებაში უნდა მიეთითოს ამ
დასკვნის შინაარსი. დასაბუთებაში დასკვნის ტექსტის მთლიანად
ციტირება სავალდებულო არ არის. თუ ადმინისტრაციული ორგანო
ექსპერტის დასკვნას არ იზიარებს, დასაბუთებაში უნდა მიეთითოს,
თუ რატომ ითქვა უარი ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებაზე.
ამავე დროს უნდა მიეთითოს სამოგადოებრივი ექსპერტის ვი-
ნაობაც.

7. *ამოღებულია*

8. ჩვეულებრივ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის
დასაბუთება ქვეყნდება ან ოფიციალური გაცნობისათვის გადაეცემა
შესაბამის აქტთან ერთად, მაგრამ ამ წესთან არსებობს გამონა-
კერძოებები. გადაუდებელ შემთხვევებში (მაგალითად, სტიქიური
უბედურების დროს) აქტის გამოცემა შესაძლებელია წერილობითი
დასაბუთების გარეშე. ადმინისტრაციული აქტის დასაბუთების
ჩამოყალიბებას გარკვეული დრო სჭირდება, ხოლო გემოაღნიშნულ
შემთხვევებში კი ვითარება ადმინისტრაციული აქტის დაუყო-
ვნებლივ გამოცემას ითხოვს. თუმცა კანონი ამ შემთხვევაშიც არ
ათავისუფლებს ორგანოს აქტის დასაბუთების ვალდებულებისაგან
და ადგენს, რომ აქტის დასაბუთება უნდა გამოქვეყნდეს (ოფიცია-
ლური გაცნობისათვის გადაეცეს) შემდგომში, შესაბამისი ადმინის-
ტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან (ოფიციალური
გაცნობისათვის გადაეცემა) ერთი კვირის ვადაში.

მუხლი 54. ადმინისტრაციული აქტის ძალაში შესვლა

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული,
ადმინისტრაციული აქტი ძალაში შედის მხარისათვის კანონით
დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

2. კანონით დადგენილ შემთხვევებში ადმინისტრაციული აქ-
ტი შეიძლება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებამდე ან ოფიცია-

ლურ გაცნობამდე, თუ დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულის აღკვეთას ან გახსნას, აგრეთვე პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს.

3. დაინტერესებული მხარისათვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ადმინისტრაციული აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციული აქტი არ მიუღია.

4. ადმინისტრაციული აქტის გაგზავნასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციულ ორგანოს.

1. ყველა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დროის გარკვეულ მომენტში იწყებს ამოქმედებას. იმისათვის, რომ პირი რაიმე სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილედ ჩაითვალოს და მასზე გავრცელდეს ამ ურთიერთობიდან გამომდინარე უფლებამოვალეობები, როგორც მინიმუმ, აუცილებელია, რომ იგი ინფორმირებული იყოს ამის თაობაზე. სწორედ ამიტომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ამოქმედდება დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის შემდეგ, ხოლო სამართლებრივად პირი ადმინისტრაციული აქტის შესახებ ინფორმაციას იღებს გამოქვეყნების ან ოფიციალური გაცნობის შემდეგ. შესაბამისად, კოდექსი ადმინისტრაციული აქტის ამოქმედებას გამოქვეყნებას ან ოფიციალურ გაცნობას უკავშირებს.

2. კანონით დადგენილ შემთხვევებში ადმინისტრაციული აქტი შეიძლება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებამდე ან ოფიციალურ გაცნობამდე, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს, დანაშაულებრივი შემთხვევის აღკვეთას, დანაშაულის გახსნას, ან პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესს. ეს ნიშნავს, რომ კანონში გათვალისწინებული უნდა იყოს ასეთი შემთხვევა და ამავე დროს უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული აქტის ამოქმედების გადაუდებელი აუცილებლობა. მაგალითად, როდესაც ხანძრის დროს სახანძრო ავტომანქანას ქუჩაში გაჩერებული სხვა ავტომანქანა ხელს უშლის შემთხვევის ადგილთან მისვლაში და ამ მანქანის მძღოლის ადგილსამყოფელი დაუდგენელია, ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია მიიღოს

ადმინისტრაციული აქტი მანქანის სხვა ადგილას გადატანის შესახებ. რომელიც დაუყოვნებლივ ამოქმედდება და აღსრულდება.

3. მთელ რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციული აქტი პირს გაეცნობა არა უშუალოდ, არამედ ეგზავნება ფოსტით. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, წარმოიშობა საკითხი, თუ როდის იწყებს ადმინისტრაციული აქტი ამოქმედებას. კოდექსი ითვალისწინებს, რომ დაინტერესებული მხარისათვის ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი ძალაში შედის გაგზავნიდან არა უგვიანეს მეშვიდე დღეს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაინტერესებულ მხარეს აქტი არ მიუღია. ინფრასტრუქტურის განვითარების არსებულ მდგომარეობაში პირობებში ხშირად ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი წერილი შესაძლოა აღრესატამდე არ მივიდეს. თუ აღრესატს ადმინისტრაციული აქტი არ მიუღია, ბუნებრივია, მას ვერაფერს დაავალდებულებს მისთვის უცნობი სამართლებრივი მოთხოვნების შესრულებას. გამოორიცხულია თუ არა ისეთი შემთხვევა, რომ ადმინისტრაციული აქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებლობის მიზნით აღრესატმა განაცხადოს, რომ მას ადმინისტრაციული აქტი არ მიუღია და აქედან გამომდინარე, იგი ძალაში ვერ შევა?! ბუნებრივია, არ არის გამოორიცხული. მიუხედავად ამისა, კოდექსი ადმინისტრაციული აქტის გაგზავნასთან დაკავშირებული დავის შემთხვევაში მტკიცების ტვირთს აკისრებს ადმინისტრაციულ ორგანოს და არა დაინტერესებულ მხარეს (უფრო ადვილია დაამტკიცო რააც მოხდა, ვიდრე ამტკიცო, რომ რაიმე ფაქტს ადგილი არ ჰქონია). დღეს არსებობს საკმარისი საშუალებები, რომლითაც დადგინდება ადმინისტრაციული აქტის აღრესატამდე მისვლა (მაგ., დაზღვეული წერილი). აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ. რათა სადავო შემთხვევებში საკმარისი მტკიცებულებები ჰქონდეთ.

მუხლი 55. ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნება

1. ადმინისტრაციული აქტი გამოქვეყნდება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. თუ ადმინისტრაციული აქტი ეხება 50-ზე მეტ პირს, მისი ოფიციალური გაეცნობა შეიძლება შეიცვალოს გამოქვეყნებით. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი გასაცნობად გადა-

ეცემა მხოლოდ განმცხადებელს, ხოლო თუ განცხადებას ხელს აწერს რამდენიმე პირი – პირს, რომლის ხელმოწერაც განცხადებაში პირველია.

1. თუ “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად ყველა ნორმატიული აქტი ექვემდებარება გამოქვეყნებას, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში საქმე პირიქითაა. ზოგადად, ადმინისტრაციული აქტები არ ექვემდებარება გამოქვეყნებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამას პირდაპირ კანონი ითვალისწინებს (მაგ., “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” კანონი მოითხოვს, რომ ღია ტენდერის გამოცხადების შესახებ განცხადება უნდა გამოქვეყნდეს საერთაშორისო ვაჭრობის პრაქტიკაში მიღებულ ერთ-ერთ ენაზე, აგრეთვე უცხო ქვეყნების იმ პერიოდულ ან სპეციალიზებულ გამოცემაში, რომელიც ვრცელდება საერთაშორისო მასშტაბით, თუ შესყიდვის ფასი აღემატება 600 000 ლარს). ყველა სხვა შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის დაინტერესებული მხარისათვის მიწოდება ხდება ოფიციალური გაცნობის მეშვეობით.

2. კოდექსი ითვალისწინებს, რომ, თუ ადმინისტრაციულ აქტს ჰყავს 50-ზე მეტი ადრესატი, ოფიციალური გაცნობის პროცედურის სირთულისა და ხარჯიანობის გამო, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია აქტის ოფიციალური გაცნობა შეცვალოს მისი გამოქვეყნებით. ასეთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული აქტი გასაცნობად გადაეცემა მხოლოდ განმცხადებელს, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ განცხადებას ხელს აწერს რამდენიმე პირი – პირს, რომლის ხელმოწერაც განცხადებაში პირველია. უნდა აღინიშნოს, რომ გამოქვეყნება არის არა ეალდებულება, არამედ უფლებამოსილება ადმინისტრაციული ორგანოსათვის და შესაძლებელია ადმინისტრაციულმა ორგანომ 50-ზე მეტი დაინტერესებული მხარის არსებობის შემთხვევაშიც თითოეულ მათგანს ოფიციალურად გააცნოს ადმინისტრაციული აქტი.

მუხლი 56. ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების წესი

1. ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.
2. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ოფიციალური

ბეჭდვითი ორგანო, ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოქვეყნდეს ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე და გამოიყენება კვირაში ერთხელ მაინც, ან იგი ცხადდება საჯაროდ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წინასწარ განსაზღვროს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების ან საჯაროდ გამოცხადების წესი.

1. ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოქვეყნდეს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში. საქართველოს სახელმწიფო ორგანოებისათვის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას ასეთ ოფიციალურ ორგანოდ „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის შესაბამისად მიჩნეულია „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“. ამ ორგანოთა აქტების ოფიციალურ გამოქვეყნებად მხოლოდ „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნება ჩაითვლება. ადმინისტრაციული აქტების გამოქვეყნებისათვის შესაძლოა კანონით ან კანონქვემდებარე აქტით სხვა ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო განისაზღვროს (მაგ., სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გაზეთი „მესაყურე“). ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოთა გადაწყვეტილებები ქვეყნდება მათ მიერ დადგენილ ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.

2. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო, იგი უნდა გამოქვეყნდეს ისეთ ბეჭდვით ორგანოში, რომელიც ვრცელდება ადმინისტრაციული ორგანოს განსჯად მთელ ტერიტორიაზე და გამოიყენება კვირაში ერთხელ მაინც. ე.ი. იმისათვის, რომ ამა თუ იმ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნება ჩაითვალოს ოფიციალურ გამოქვეყნებად, შემდეგი მოთხოვნები უნდა დაკმაყოფილდეს:

– ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წინასწარ განსაზღვროს, თუ რომელ ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნდება მისი ადმინისტრაციული აქტები;

– ბეჭდვითი ორგანო უნდა იყოს პერიოდული (გაზეთი, ჟურნალი) და გამოიყენოდეს არანაკლებ კვირაში ერთხელ;

– ეს პერიოდული გამოცემა უნდა ვრცელდებოდეს ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიაზე (მაგ., ჩოხბატურის რაიონის საყრებულო თავის გადაწყვეტილებებს აქვეყნებს

მხოლოდ იმ პერიოდულ გამოცემაში, რომელიც ჩოხატაურის რაიონის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება).

მართალია ამ პუნქტში აღნიშნული გამოქვეყნების წესი მხოლოდ ადმინისტრაციულ აქტებს ეხება, ანალოგიით იგი უნდა გამოყენებულ იქნეს ნორმატიული აქტების გამოცემისას (თუ, რა თქმა უნდა, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გამოქვეყნების სხვა წესი არ არის დადგენილი).

თუკი ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია საკუთარი ოფიციალური ბეჭდვითი ორგანო და ამასთან, ფინანსური თუ სხვა სახის სიძნელების (განსაკუთრებით, მცირე ადგილობრივ თვითმმართველობებში) გამო ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნება სხვა ბეჭდვით ორგანოშიც არ ხერხდება, გამოქვეყნების ვალდებულება იცვლება საჯაროდ გამოცხადებით.

3. როგორც გამოქვეყნების, ასევე გამოცხადების წესი წინასწარ უნდა განისაზღვროს და გამოცხადდეს. ამასთან, წინასწარ განსაზღვრა გულისხმობს, არა სათითაო აქტისთვის, არამედ ზოგადად, მის მიერ გამოცემული ყველა აქტისათვის გამოქვეყნების ან საჯაროდ გამოცხადების ერთიანი წესის დადგენას. ეს წესი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისთავად მისაწვდომი უნდა იყოს საყოველთაო გაცნობისათვის.

მუხლი 57. საჯაროდ გამოცხადება

საჯაროდ გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციული აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მოთავსებას. აუცილებლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი საჯაროდ გამოცხადდება აგრეთვე სხვა საჯარო ადგილას.

თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ადმინისტრაციული აქტების გამოქვეყნების შესაძლებლობა, ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის ინფორმირება ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესახებ უნდა მოხდეს საჯარო გაცნობის წესით. საჯარო გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციული აქტის ადმინისტრაციულ ორგანოში ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად შენახვას. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია ადმინისტრაციული აქტის საჯაროდ გამოცხადება ადმინისტრაციული ორგანოს გარე-

თაც, სხვა საჯარო ადგილას. ეს იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სპეციალურ დაფაზე ან იმგვარად მოათავსოს იგი ადმინისტრაციულ ორგანოში, რომ შესაძლებელი გახდეს მისი შინაარსის გაყნობა. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა მოთავსდეს ისეთ ადგილას, რომ ნებისმიერ მოქალაქეს შეეძლოს ამ ტერიტორიაზე შესვლა ყოველგვარი ნებართვის გარეშე, ანუ დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტი მოთავსდეს შენობის იმ ნაწილში, სადაც მოსახვედრად საშვთა სისტემა ან სპეციალური დაშვების წესი მოქმედებს. არის შემთხვევები, როდესაც მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში ადმინისტრაციული აქტის საჯარო ადგილას მოთავსება ეფექტური არ არის, ვინაიდან მოქალაქეების უმეტესობა ვერ ახერხებს სპეციალურად ადმინისტრაციული აქტის გასაცნობად ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში შესვლას. სწორედ ამიტომ, ძალიან ბევრ ქვეყანაში დამკვიდრებულია პრაქტიკა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო (განსაკუთრებით სოფლად) ადმინისტრაციულ აქტს გამოუფენს სხვა საჯარო თავშეყრის ადგილებშიც. მაგ., სოფლის ცენტრალურ მოედანზე არსებულ სპეციალურ სტენდზე და ა. შ. სწორედ ასეთ შესაძლებლობას ითვალისწინებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიც, თუმცა ეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება კი არა, დისკრეციული უფლებამოსილებაა. ამასთან, სოფლის ცენტრალურ მოედანზე არსებულ სპეციალურ სტენდზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოთავსება არ ათავისუფლებს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ სამართლებრივი აქტის ტექსტის საკუთარ შენობაში მოთავსების ვალდებულებისაგან.

მუხლი 58. ადმინისტრაციული აქტის ოფიციალური გაყნობის წესი

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარისათვის ადმინისტრაციული აქტის ოფიციალური გაყნობა ნიშნავს მისთვის ადმინისტრაციული აქტის გადაცემას ან ფოსტის მეშვეობით გაგზავნას.

2. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი ადმინისტრაციული აქტის მიუღებლობის შემთხვევაში პირს უფლება აქვს მისი ასლი მიიღოს ადმინისტრაციულ ორგანოში. ადმინისტრაციული აქტის ასლის გაყემისათვის რაიმე გადასახდელი არ ვადაიხდება.

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნება გამონაკლის შემთხვევაში ხდება. მის შესახებ დაინტერესებული მხარის ინფორმირება, ძირითადად, ადმინისტრაციული აქტის ოფიციალური გაცნობის მეშვეობით ხორციელდება.

კანონი ოფიციალური გაცნობის ორ სახეს განასხვავებს:

– დაინტერესებული მხარისათვის ადმინისტრაციული აქტის უშუალოდ გადაცემა. ეს, როგორც წესი, ხდება უშუალოდ ადმინისტრაციულ ორგანოში. დოკუმენტის გადაცემის ფაქტი წერილობით უნდა იქნეს დადასტურებული დაინტერესებული მხარის ხელმოწერით. ეს ადმინისტრაციულ ორგანოს თავიდან ააცილებს ადმინისტრაციული აქტის გადაცემასთან დაკავშირებით წარმოშობილ პრობლემებს, ვინაიდან ადმინისტრაციული აქტის ოფიციალური გაცნობის თაობაზე მტკიცების ტვირთი ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება.

– ადმინისტრაციული აქტის დაინტერესებული მხარისათვის ფოსტის მეშვეობით გაგზავნა. ასეთ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოსა და დაინტერესებულ მხარეს შორის უშუალო კონტაქტი არ ხდება და ადმინისტრაციული აქტის გადაცემის ფაქტის დადგენა უფრო გართულებულია. სწორედ ამიტომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ყველა ზომას უნდა მიმართოს, რათა შემდგომში შეძლოს იმის დამტკიცება, რომ ადმინისტრაციული აქტი აღრესატს გადაეცა.

2. თუ დაინტერესებულმა მხარემ ფოსტის მეშვეობით ადმინისტრაციული აქტი ვერ მიიღო, ბუნებრივია, მას აქვს უფლება მოითხოვოს ადმინისტრაციული ორგანოსაგან ადმინისტრაციული აქტის ასლი. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს დაინტერესებული მხარის მოთხოვნა. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მათთვის ადმინისტრაციული აქტის ასლის გაცემა უფასოა.

მუხლი 59. შეცდომების გასწორება ადმინისტრაციულ აქტში

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

2. ადმინისტრაციულ აქტში არსებითი შესწორების შეტანა

ნიშნავს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

3. შეცდომების გასწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის იმავე წესით, რომელიც დადგენილია ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების ან გაცნობისათვის.

1. ადმინისტრაციულ აქტში ტექნიკური და გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომების გასწორება შესაძლებელია როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი ინიციატივით, ისე დაინტერესებული მხარის განცხადების საფუძველზე. რა თქმა უნდა, არც ერთი ადმინისტრაციული აქტი შეცდომებისგან არ არის დაზღვეული, არადა, ზოგიერთ გრამატიკულ, თუ გამოთვლისას დაშვებულ შეცდომას სერიოზული გაუგებრობა შეიძლება მოყვეს. მაგ., ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი თანამშრომელი ჯემალ ბლიამვილი მიავლინა სამღვარვარეთ. სამივლინებო თანხად, დაწესებულების ხელმძღვანელის ბრძანებით, განესაზღვრა დღიური 50 ლარი, ხოლო სასტუმროს ხარჯებისათვის – დღეში 150 ლარი. ხუთ დღეში კი ეს თანხა ბრძანებაში ერთობლივად დაჯამდა, როგორც 1700 ლარი. ბუნებრივია, კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი აქვს შეცდომას გამოთვლაში, რადგანაც $(150+50)*5=1000$ და არა 1700 ლარს.

2. კოდექსი მყაყრად ადგენს, რომ შეცდომების გასწორება არ უნდა გასცილდეს ტექნიკურ ან გამოთვლის დროს დაშვებულ შეცდომებს და იგი არ უნდა შეეხოს ადმინისტრაციული აქტის შინაარსს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო შეცდომის გასწორების საბაბით ადმინისტრაციულ აქტს შეცვლიდა ისე, რომ თავიდან აიცილებდა ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის დადგენილ პროცედურებს. სწორედ ამიტომ, კოდექსი ადგენს, რომ, თუ შესწორება არსებითი ხასიათისაა, მისი შეტანა იმავე წესით უნდა განხორციელდეს, რაც ადმინისტრაციული აქტისათვის არის დადგენილი, ანუ არსებითი შესწორება ჩაითვლება ახალ ადმინისტრაციულ აქტად, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით. კოდექსი არ ადგენს, თუ რა შეიძლება არსებით ცვლილებად ჩაითვალოს და ამ ცნების დადგენა მან პრაქტიკას მიანდო. როდესაც ვსაუბრობთ არსებით ცვლილებაზე, აქ უნდა ვიგულისხმოთ მხარეთა უფლება-მოვალეობის ისეთი კორექტირება, რომელიც არ არის დაკავშირებული ტექნიკურ

თუ გამოთვლით შეცდომასთან და ცვლის ადმინისტრაციული აქტის შინაარსს. მაგ., თუ გემოთ მოყვანილ შემთხვევაში ასევე გამოირკვევა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დადგენილი ნორმატივის შესაბამისად ეკრძალება სასტუმროს ხარჯების ანაზღაურება დღეში 100 ლარზე გემოთ, უკვე ადგილი ექნება არსებით ცვლილებას ადმინისტრაციულ აქტში და არა გამოთვლაში შეცდომას და ამისათვის ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა გახდება საჭირო.

3. ადმინისტრაციულ აქტში შეტანილი ნებისმიერი შესწორება უნდა გამოქვეყნდეს ან გადაეცეს ოფიციალური გაცნობისათვის იმ წესით, რაც ამ ადმინისტრაციული აქტისთვისაა კანონით დადგენილი. ეს ბუნებრივიცაა, რათა დაინტერესებულმა მხარეებმა იცოდნენ, თუ როგორ ჩამოყალიბდა საბოლოოდ ადმინისტრაციული აქტი.

ადმინისტრაციული აქტის გაუქმება

ადმინისტრაციული აქტის გაუქმების საკითხი ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა ადმინისტრაციულ სამართალში, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იგი ადამიანის უფლებების გარანტიებს უკავშირდება. ადმინისტრაციული აქტის გაუქმება ზოგადი ტერმინია და მოიცავს როგორც აქტის ბათილად, ისე მის ძალადაკარგულად გამოცხადებას. უნდა აღვნიშნოთ, რომ კოდექსის დებულებანი ბათილობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, ეხება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ანუ მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ნორმატიულ ადმინისტრაციულ აქტებს. სანამ ცალკე-ცალკე განვიხილავდეთ გაუქმების ამ ორ სახეს, ჯერ უნდა გავარყვიოთ, თუ რა არის ძირითადი საერთო და განსხვავებული მათ შორის.

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრაციული აქტის როგორც ბათილად, ისე ძალადაკარგულად გამოცხადება გულისხმობს აქტის მოქმედების შეწყვეტას, მაგრამ ორივე მათგანი განსხვავდება აქტის შესრულებისაგან (ამოწურვისაგან), რომლის დროსაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოქმედებას წყვეტს ავტომატურად. მაგ., ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე მოქ. ბლიაშვილს გადაუდებელი ოპერაციის გასაყეთებლად გამოეყო ერთჯერადი დახმარება 10 000 ლარის ოდენობით. ამ თანხის გამოყოფისთანავე ადმინისტრაციული აქტი

წყვეტს არსებობას. რადგან მის მიერ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა ამოიწურა, განხორციელდა. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი საგანგებოდ ძალადაკარგულად არ ცხადდება, ამიტომაც იგი ავტომატურად წყვეტს არსებობას. უნდა აღინიშნოს, რომ, მათი ბუნებიდან გამომდინარე, ასეთი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადება ვერ მოხდება, თუ ისინი უკვე შესრულებულია. თუ მოქ. ბლიაშვილს უკვე გადაეცა ზემოაღნიშნული თანხა, ჯანდაცვის მინისტრის აქტი ძალადაკარგულად ვერ გამოცხადდება, რადგანაც ძალადაკარგულობა მომავალში მისი მოქმედების შეწყვეტას ითვალისწინებს. ასეთი ტიპის აქტი, რომელიც უკვე განხორციელდა, შესაძლოა მხოლოდ ბათილად გამოცხადდეს და ისიც მე-60 მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას.

რაც შეეხება განსხვავებას ბათილობასა და ძალადაკარგულად გამოცხადებას შორის, ეს განსხვავება გამომდინარეობს იმ სამართლებრივი შედეგიდან, რომელიც მოსდევს აქტის გაუქმების თითოეულ სახეს. აქტის ბათილობა გულისხმობს იმას, რომ იგი ბათილია, ანუ ძალას კარგავს ძალაში შესვლის დღიდან (Ex tunc) და იწვევს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების გაუქმებას. ხოლო აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება გულისხმობს, რომ აქტის მოქმედება წყდება მხოლოდ მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან (Ex nunc). ასევე, საჭიროა ერთმანეთისგან განვასხვავოთ ადმინისტრაციული აქტის ბათილად და ძალადაკარგულად გამოცხადება სასამართლოს და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. პირველ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის გაუქმება ხდება მხოლოდ სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ სარჩელის შეტანის საფუძველზე, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს აუქმებს დაინტერესებული მხარის განცხადების ან საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. ამასთან დაკავშირებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანული ადმინისტრაციული სამართლისაგან განსხვავებით, სადაც ადმინისტრაციული აქტის გაუქმების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვა შესაძლებელია მხოლოდ მისი ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრების შემდეგ, ამ კოდექსმა დაუშვა პირდაპირ სასამართლოში მიმართვის უფლება და მხარეს თი-

იონ დაუტოვა არჩევანი – წარადგინოს საჩივარი ადმინისტრაციულ ორგანოში, თუ მიმართოს პირდაპირ სასამართლოს.

მუხლი 60. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ:

ა) გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს ან არაუფლებამოსილი პირის მიერ;

ბ) მისი შესრულება გამოიწვევს დანაშაულს;

გ) მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზის გამო;

დ) იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე მუხლით ან 34-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად აცხადებს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის წარდგენის შემთხვევაში – ბემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო.

4. აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტი შეიძლება ბათილად არ გამოცხადდეს, თუ დაინტერესებულ მხარეს კანონიერი ნდობა აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არსებითად არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს.

5. დაინტერესებული მხარის კანონიერი ნდობა არსებობს იმ შემთხვევაში, თუ მან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

საფუძველზე განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით მას მიაღებება ზიანი. კანონიერი ნდობა არ არსებობს, თუ მას საფუძველად უდევს დაინტერესებული მხარის უკანონო ქმედება.

6. თუ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის უფლებებს ან კანონიერ ინტერესებს, ბათილად გამოცხადდა, ამ მუხლის მე-5 ნაწილში გათვალისწინებული გარემოების არსებობისას დაინტერესებულ მხარეს, კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე, უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით მიყენებული ქონებრივი ზიანი.

7. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება ნიშნავს მისი ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

8. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში პირს უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის სასარგებლოდ გადახდილი თანხის ან სხვა გადაცემული ქონების უკან დაბრუნება, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მას უნდა მიეცეს სათანადო და სრული ანაზღაურება.

9. თუ პირმა მიიღო რაიმე სიკეთე ბათილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ვალდებულია დააბრუნოს იგი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით.

10. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისათვის დადგენილი წესით.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუს. 8)

1. ამ მუხლით განსაზღვრულია სავალდებულო პირობები, რომელთა არსებობის შემთხვევაშიც ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციული აქტი ბათილად გამოაცხადოს. ამ მუხლით გათვალისწინებულის გარდა, სხვა შემთხვევებში და სხვა საფუძველით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება დაუშვებელია. უნდა აღვნიშნოთ, რომ აქტის

ძალადეარგულად გამოცხადებისაგან განსხვავებით, რაც აღმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას შეადგენს, აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება ორგანოს ვალდებულებაა, ანუ ამ მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობის შემთხვევაში აღმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ბათილად გამოაცხადოს აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (გარდა ამ ნაწილის “დ” ქვეპუნქტისა). აღნიშნული ვალდებულება ძალაშია მხოლოდ აქტის გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი ვადისათვის, ხოლო შემდეგ იგი იცვლება აღმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებით, საკუთარი ინიციატივით მოახდინოს აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება. აღმინისტრაციული აქტის გასაჩივრების გასვლის შემდეგ აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების მოთხოვნა დაიშვება მხოლოდ განცხადებით. ასეთი განცხადების საფუძველზე საამისო საფუძვლის არსებობისას აღმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ბათილად გამოაცხადოს აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდა ან გამოვლინდა ახალი გარემოებები, რომლებიც აქტის გასაჩივრების ვადის განმავლობაში დაინტერესებული მხარისთვის არ იყო ცნობილი და არც შეიძლება ცნობილი ყოფილიყო და ეს გარემოებები წარმოადგენენ აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველს.

აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით, აღმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისა და მისი ბათილად ან ძალადეარგულად გამოცხადების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის ვადები არ ემთხვევა ერთმანეთს. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში ვადები ერთმანეთთან შესაბამისობაშია მოსაყვანი.

აღმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს შემდეგი გარემოებების არსებობისას:

— გამოცემულია არაუფლებამოსილი პირის ან არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ. ეს საკითხი ნაწილობრივ რეგულირებულია ზოგადი აღმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლით, რომელიც ადგენს, რომ ბათილად უნდა გამოცხადდეს აქტი, რომელიც გამოცემულია უფლებამოსილების მნიშვნელოვანი და აშკარა გადაშეცვლით. თუმცა ეს პუნქტი ეხება მე-5 მუხლისაგან განსხვავე-

ბულ შემთხვევას, როცა ადმინისტრაციული აქტი გამოსცა იმ ადმინისტრაციულმა ორგანომ ან თანამდებობის პირმა, რომლის უფლებამოსილებაშიც ამ საკითხის გადაწყვეტა არ შედის. მაგ., ქ. დიმიტრიშვილს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. კონსტიტუციითა და „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ეს საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილებას განეკუთვნება. №3 სასჯელაღსრულებითი დაწესებულების დირექტორმა იმავე დაწესებულების დირექტორის მოადგილედ დანიშნა გივი ქიტოძე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დებულების თანახმად კი, ამ საკითხის გადაწყვეტა იუსტიციის მინისტრის უფლებამოსილებაა. ორივე შემთხვევაში არაუფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოცხადდეს ბათილად.

— თავისთავად ცხადია, რომ ბათილად უნდა იქნეს გამოცხადებული აქტი, რომლის შესრულებაც გამოიწვევს დანაშაულს, გათვალისწინებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით (მაგ., სამხედრო ნაწილის უფროსმა ადმინისტრაციული აქტით ბემდეგ ბ. გამბახიძეს უბრძანა რიგითი დ. მიტუაშვილის გაწვევა, რაც თავისთავად დანაშაულს წარმოადგენს). ბუნებრივია, არც ერთი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი აქტით დააკანონოს დანაშაულებრივი ქმედებები ან მოითხოვოს ამ ქმედებების განხორციელება.

— ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ მისი შესრულება შეუძლებელია ფაქტობრივი მიზეზის გამო. მაგალითად, პრობაციის სამსახურის უფროსმა გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც პრობაციაში მყოფ პირს დაეკისრება ვალდებულება იმუშაოს დღე-ღამეში 25 საათი, ან სამგორის პოლიციის უფროსმა უბრძანა მოწმე გ. დიმიტრიშვილს, რომელიც მესტიის რაიონში იმყოფება, ათი წუთის განმავლობაში სამგორის პოლიციაში გამოცხადება.

— თუ აქტი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითადაა დარღვეული მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, ანუ ერთ შემთხვევაში საუბარია თვით ადმინისტრაციული აქტის კანონსაწინააღმდეგობაზე, როდესაც აშკარაა, რომ აქტის შესრულება გამოიწვევს კანონის მოთხოვნათა

დარღვევას (მაგ., მიწის მართვის დეპარტამენტმა საჯარო რეესტრში პ. ქისტაურელის სახელზე რეგისტრაცია გაუკეთა საცხოვრებელ სახლს, რომელიც სამსონ ქიტიაშვილის საკუთრებაა). ბათილობის საფუძველია, აგრეთვე, პროცედურული დარღვევები, რომელზეც მომდევნო ნაწილში ვისაუბრებთ.

2. აქტის მომზადებისა და გამოცემის წესების აშკარა დარღვევად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ასეთი დარღვევის არარსებობის შემთხვევაში აღნიშნულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება. მაგალითად, ადმინისტრაციული აქტი, რომელიც სანიტარიულმა ინსპექციამ მიიღო ცუდი სანიტარიული მდგომარეობის გამო რესტორნის ფუნქციონირების აკრძალვის შესახებ ისე, რომ არ მოუსმინა რესტორნის მეპატრონეს, არ შეიძლება გამოცხადდეს ბათილად, რამეთუ ამ პირის განცხადება მაინც ვერაფერს შეეკლიდა, ვინაიდან სანიტარიული ნორმების დარღვევა თავისთავად იყო სახეზე. მაგრამ, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მეპატრონის განმარტების მოუსმენლად აკრძალავს რესტორნის საქმიანობას იმ მიზეზით, რომ იქ მზადდება ქაბაბი, რომელიც არ არის ქართული კერძი, ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოცხადდეს ბათილად, რადგან რესტორნის მეპატრონის განმარტებას ქართულ სამზარეულოში ამ კერძის როლის შესახებ შეეძლო არსებითი გავლენა მოეხდინა გადაწყვეტილებაზე.

კოდექსში ცვლილებების შეტანის შემდეგ სხდომათა საჯაროობის პრინციპის დარღვევით გამართულ კოლეგიური დაწესებულების სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება სავალდებულოდ ექვემდებარება ბათილად გამოცხადებას, მიუხედავად იმისა, ღია სხდომის დროს იგივე გადაწყვეტილება მიიღებოდა თუ არა. ეს შესწორება მიმართულია გამჭვირვალობის პრინციპის დასაბუნბუნად და გამოიყენება როგორც მყარ სანქცია საჯაროობის მოწინააღმდეგე ადმინისტრაციულ ორგანოთა დასასჯელად.

3. ჩვეულებრივ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების უფლებამოსილება გააჩნია მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს. სხვა ორგანოს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილია სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული აქტის კანონსაწინააღმდეგო ხასიათი, მისი გაუქმების უფლება არ აქვს. ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს

ასევე აქვს უფლება ბათილად გამოაცხადოს ადმინისტრაციული აქტი მისი სათანადო წესით გასაჩივრების შემთხვევაში. დაინტერესებულ მხარეს ასევე უფლება აქვს სასამართლოში წარადგინოს სარჩელი და მოითხოვოს კანონსაწინააღმდეგო ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება. სასამართლო ადმინისტრაციულ აქტს ბათილად გამოაცხადებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

4. მიუხედავად ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული გარემოებების არსებობისა, არ შეიძლება ბათილად გამოცხადდეს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ დაინტერესებულ მხარეს გააჩნია კანონიერი ნდობა ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ. აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტით დაინტერესებულ მხარეს გარკვეული უფლებები ენიჭება. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ამ დროს მათი უფლებების დაცვის განსაყუთრებული გარანტიების შექმნა. თავისთავად ის ფაქტი, რომ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი აღმჭურველია, არ ნიშნავს მისი ბათილად გამოცხადების შესაძლებლობას. აუცილებელია ამ დროს დაინტერესებულმა მხარემ დაამტკიცოს, რომ მას გააჩნია კანონიერი ნდობა ადმინისტრაციული აქტის მიმართ. თუმცა ადმინისტრაციული აქტის მიმართ კანონიერი ნდობის არსებობა არ ნიშნავს მისი ბათილად გამოცხადების დაუშვებლობას. კანონი ასეთ შესაძლებლობას უშეებს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანო დაამტკიცებს რომ ადმინისტრაციული აქტი არღვევს სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს. თავისთავად, გემოაღნიშნული პირების უფლებების დარღვევის ფაქტი საკმარისი არ არის. აუცილებელია, რომ ეს დარღვევა ატარებდეს არსებით ხასიათს, ანუ სხვა პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა შეუძლებელი უნდა იყოს მოცემული ადმინისტრაციული აქტის გაუქმების გარეშე.

5. პირის კანონიერი ნდობის უფლება არსებობს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე მან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მოქმედება და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით მას მიაღება ზიანი. ამგვარად, საჭიროა არსებობდეს ორივე ფაქტორი: იურიდიული მნიშვნელობის ქმედება,

განხორციელებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე (ეს შეიძლება იყოს კონტრაქტის გაფორმება და რაიმე ვალდებულების აღება მესამე პირის წინაშე, ხარჯის გაწევა, ახალი ბიზნესის წამოწყება და ა. შ.) და ამ აქტის ბათილობით დაინტერესებული მხარისათვის ზიანის მიყენების შესაძლებლობა (თუ მხარეს ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადებით ზიანი არ აღგება, მაშინ არც რაიმე კომპენსაციამზე შეიძლება იყოს საუბარი.).

კოდექსის მიხედვით დაინტერესებულ მხარეს კანონსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე მიღებული ადმინისტრაციული აქტის მიმართ კანონიერი ნდობა ვერ წარმოეშვება. ეს იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული აქტის მიმართ კანონიერი ნდობის უფლება არ არსებობს შემდეგ შემთხვევებში:

– თუ ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია დაინტერესებული მხარის მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ორგანოს მოქრთამვის, მასზე ზეწოლის ან მისი მოტყუების გზით, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას საფუძვლად დაედო ადმინისტრაციულ ორგანოში დაინტერესებული მხარის მიერ წარდგენილი არასწორი ინფორმაცია. ამ შემთხვევაში, ინფორმაციის სიყრუის დასადაგენად გამოიყენება ობიექტური კრიტერიუმი, ანუ იმას, შეესაბამებოდა თუ არა აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს, იყოდა ამის შესახებ დაინტერესებულმა მხარემ თუ არა, ეს მოხდა მხარის წინასწარი განზრახვით თუ მის გარეშე, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

– როდესაც დაინტერესებულმა მხარემ იყოდა აქტის ბათილობის საფუძვლების შესახებ, ან ამ გარემოებათა შესახებ მისი არცოდნა გამოწვეული იყო უხეში დაუდევრობით. უხეში დაუდევრობა გულისხმობს შემთხვევას, როდესაც პირს უნდა სცოდნოდა ამ გარემოებათა შესახებ და ასევე, მათ შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობაც ჰქონდა.

6. თუ აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელიც არღვევს სხვა პირის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს, ბათილად იქნა გამოცხადებული კოდექსის მე-60 მუხლის მე-5 ნაწილში გათვალისწინებული გარემოების არსებობისას, დაინტერესებულ მხარეს უნდა აუნაზღაურდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებით მი-

ყენებული ქონებრივი ზიანი კერძო და საჯარო ინტერესების შეფასების საფუძველზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველთვის მოხდება მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება. შესაძლებელია ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებაც, რადგანაც იგი უნდა ანაზღაურდეს კერძო და საჯარო ინტერესების გათვალისწინების საფუძველზე. ეს გულისხმობს იმას, რომ ზიანის ანაზღაურებისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გაითვალისწინოს როგორც მხარის, ისე სახელმწიფოს ეკონომიკური მდგომარეობა, ასანაზღაურებელი თანხის რაოდენობა და მიიღოს გადაწყვეტილება თანხის სრული თუ ნაწილობრივი ანაზღაურების შესახებ. ასეთი გადაწყვეტილება თავისთავად წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს და შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით.

7. ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება ხდება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით, რაც გულისხმობს იმას, რომ ბათილად გამოცხადების პროცესში დაკულ უნდა იქნეს ყველა ის პროცედურა, რაც აუცილებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის.

8. თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე პირმა მოახდინა სახელმწიფოს ან ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის სასარგებლოდ რაიმე ქონების გადაცემა ან თანხის გადახდა, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მოახდინოს გადახდილი თანხისა და გადაცემული ქონების სრული დაბრუნება, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, პირს უნდა მიეცეს სრული და სათანადო ანაზღაურება.

9. ანალოგიურად, თუ პირმა ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე სახელმწიფოსგან რაიმე სიყვითე მიიღო, იგი ვალდებულია დააბრუნოს ეს სიყვითე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად მიღებული.

10. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებისას დაკულ უნდა იქნეს იგივე წესი, რაც დადგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის. თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვიტა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება, მან უნდა დაიწყოს

ადმინისტრაციული წარმოება და გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადების შესახებ.

მუხლი 61. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ძალადაკარგულად გამოაცხადოს კანონის შესაბამისად გამოცემული აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ:

ა) ეს პირდაპირ არის მითითებული კანონში ან მის საფუძველზე გამოცემულ შემდგომი ორგანოს კანონქვემდებარე აქტში;

ბ) კანონმდებლობის შესაბამისად ეს პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში;

გ) დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გახდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი;

დ) გაუქმდა ან შეიცვალა შესაბამისი ნორმატიული აქტი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს;

ე) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება, აგრეთვე შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური აღმოჩენა ან გამოგონება, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ართმევს შესაძლებლობას გამოსცეს ასეთი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული აქტის მოქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

3. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად

ლად ცხადდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის მე-2 ნაწილის “დ” და “ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დაინტერესებულ მხარეს, რომელსაც მიადგა ზიანი, მისი მოთხოვნის საფუძველზე მიეცემა ანაზღაურება, თუ მას გააჩნდა კანონიერი ნდობის საფუძველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების მიმართ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის მე-60 მუხლის მე-5 ნაწილი.

5. ზიანის ანაზღაურების ოდენობას საჯარო და კერძო ინტერესების ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე ადგენს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც ძალადაკარგულად გამოაცხადა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

6. ძალადაკარგულად გამოცხადება ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტას მისი ძალადაკარგულად გამოცხადების დღიდან.

7. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ძალადაკარგულად გამოცხადებამდე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. უნდა აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, აქტის ბათილად გამოცხადებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მოვალეობას. ეს მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილებაა. ამასთან, აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება არ ნიშნავს, რომ ეს აქტი უკანონოა, ან მიღებულია კანონით განსაზღვრული წესის დაუკველად. ამ მუხლით გათვალისწინებული პროცედურა მოიცავს შემთხვევებს, როდესაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისათვის კანონით დადგენილი საფუძველი დგება.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი შეიძლება იყოს:

ა) თუ კანონში, ან მის საფუძველზე გამოცემულ კანონქვემდებარე აქტში, პირდაპირ არის მითითებული ადმინისტრაციული ორგანოს უფლება – ძალადაკარგულად გამოაცხადოს ესა თუ ის

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (მაგ., კანონმა გაითვალისწინოს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გააუქმოს კანონის საფუძველზე გამოცხადებული კარანტინი, თუ აღარ იქნება ეპიდემიის გავრცელების საშიშროება);

ბ) თუკი ეს უფლებამოსილება კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითაა განსაზღვრული. იმ ადმინისტრაციულ აქტში, რომელიც ძალადაკარგულად უნდა გამოცხადდეს, შეიძლება პირდაპირ იქნეს მითითებული მისი მოქმედების ვადა. ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი განსაზღვრული ვადით გამოიცემა. მაგ., „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სამაუწყებლო ლიცენზია გაცემა 10 წლის ვადით. ამ ვადის ამოწურვისთანავე ადმინისტრაციული აქტი ლიცენზიის გაცემის შესახებ ძალადაკარგულია; საქართველოს მოქალაქის პასპორტის მოქმედების ვადა განისაზღვრება 5 წლის ვადით, რომლის გასვლის შემდეგ მას ვადა უნდა გაუგრძელდეს ან ძალადაკარგულად გამოცხადდეს;

გ) როდესაც დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი რაიმე ვალდებულება და მხარის ასეთი მოქმედება კანონმდებლობის შესაბამისად შეიძლება გასდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი; ეს პირობა შეიძლება განსაზღვრული იყოს როგორც კანონით, ისე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტითაც. მაგალითად, როდესაც პირს მიეცემა კონცესია იმ პირობით, რომ ერთი თვის განმავლობაში დაიწყებს თბილისში უმაღლესი დონის სასტუმროს მშენებლობას, პირის მიერ მშენებლობის არდაწყება შეიძლება გასდეს კონცესიის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი. „კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, თუ ლიცენზიანტი სამაუწყებლო ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში არ დაიწყებს მაუწყებლობას, მას ლიცენზია შეიძლება ჩამოერთვას;

დ) თუ გაუქმდა ან შეიცვალა ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტია გამოცემული. ასეთ შემთხვევაში რამდენიმე პირობა უნდა იქნეს დაკმაყოფილებული. ჯერ ერთი, ახალი კანონი თუ კანონქვემდებარე ნორმატიული

აქტი ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ართმევედეს იმავე სახის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესაძლებლობას და მეორეც, ახალი კანონმდებლობის ამოქმედების შემდეგ უკვე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი, ძალაში დატოვების შემთხვევაში, მნიშვნელოვან ზიანს უნდა აყენებდეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს. ამის მაგალითია შემთხვევა, როდესაც ქვეყანაში არსებული ენერგორიზმისიდან გამომდინარე, კანონი უშვებდა პილროულექტროსადგურის აშენებასა და ექსპლოატაციაში გაშვებას გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამისი ნებართვის გარეშე, მხოლოდ მშენებლობის სამინისტროს ლიცენზიის საფუძველზე. მაგრამ ქვეყნის ენერგორიზმისიდან გამოსვლასთან დაკავშირებით ეს კანონი გაუქმდა და ამასთან, აღმოჩნდა, რომ ჰესის ფუნქციონირებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს გარემოს. ასეთ შემთხვევაში, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ძალადაკარგულად გამოაცხადოს მშენებლობის სამინისტროს ლიცენზია;

ე) ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებების წარმომობისას. ეს ის გარემოებებია, რომლებიც ცნობილი არ იყო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დროს და რომლის ცოდნის შემთხვევაში ამგვარი ადმინისტრაციული აქტი არ გამოიყენოდა (მაგ., მართვის მოწმობა მისკეს 19 წლის ახალგაზრდას, მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ეს პიროვნება 16 წლისაა. შესაბამისად მას მართვის მოწმობა უნდა ჩამოერთვას). აქ, აგრეთვე, საუბარი შეიძლება იყოს სამეცნიერო-ტექნიკურ აღმოჩენასა და გამოგონებაზე (მაგ., ჯანდაცვის სამინისტრომ გასცა ლიცენზია ტკივილგამაყუჩებელ წამალ “ველიგამის” დამზადებაზე. ლიცენზიის გაცემიდან სამი წლის შემდეგ, მეცნიერული გამოკვლევის შედეგად გაცემებული აღმოჩენის საფუძველზე დადგინდა, რომ ეს წამალი იწვევს სისხლძარღვების კიბოს. სწორედ ამ სამეცნიერო კვლევის საფუძველზე ჯანდაცვის სამინისტროს უჩნდება უფლება ძალადაკარგულად გამოაცხადოს შესაბამისი წამლის ლიცენზია). ისევე როგორც წინა ქვეპუნტში, ამ დროსაც, მიუხედავად ჩამოთვლილი გარემოებებისა, ადმინისტრაციული აქტი არ შეიძლება გაუქმდეს, თუ არ არსებობს დამატებითი გარემოებაც — ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი ადმინისტრაციული აქტი მნიშვნელოვან ზიანს უნდა აყენებდეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს.

2. ადმინისტრაციულ აქტს ძალადაკარგულად აცხადებს იგივე ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა იგი. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებას, ისევე როგორც მის ბათილობას, სჭირდება იმ პროცედურათა დაცემა, რაც კანონით ამ აქტის გამოცემისთვის იყო განსაზღვრული. ეს რა თქმა უნდა არ ნიშნავს, რომ სასამართლოს ან ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს უფლება ძალადაკარგულად გამოაცხადოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, მაგრამ ამისათვის უნდა არსებობდეს კანონით დადგენილი წესით წარდგენილი შესაბამისი სარჩელი ან საჩივარი.

3. კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის “დ” და “ე” ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეს აუნაზღაურდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებით მიყენებული ზიანი, თუ მას გააჩნდა კანონიერი ნდობის უფლება ამ აქტის მიმართ. ანაზღაურება მოხდება საჯარო და კერძო ინტერესების გაწონასწორების საფუძველზე, ანუ იმ პრინციპის შესაბამისად, რომელზეც მე-60 მუხლში უკვე გვქონდა საუბარი. ამდენად, მოხედავად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სრული კანონიერებისა და მის მიმართ პირის კანონიერი ნდობის უფლების არსებობისა, შესაძლებელია აქტი ამ პირისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ძალადაკარგულად იქნეს გამოცხადებული. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნისა და ასეთი აქტით სარგებლობის უფლება გარკვეულწილად პირის რისკის სფეროსაც განეკუთვნება. ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კანონიერი ნდობის უფლება არ წარმოიშობა, რადგანაც პირველ ორ შემთხვევაში პირისთვის წინასწარ ცნობილია ადმინისტრაციული აქტის გაუქმების შესაძლებლობა, ხოლო მესამე შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის გაუქმება გამოწვეულია თვით ამ პირის მხრიდან რაიმე ვალდებულების შეუსრულებლობით.

4. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება წარმოადგენს აქტის გაუქმებას ex nunc და, შესაბამისად, არ იწვევს მის ძალადაკარგულად გამოცხადებამდე ამ აქტის საფუძველზე წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების

გაუქმებას. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ შემთხვევა, როდესაც პირმა მოახდინა რაიმე თანხის ან ქონების ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაცემა, ან მიიღო რაიმე სიყვითლე ადმინისტრაციული ორგანოსაგან. მაგალითად, როდესაც პირმა ადმინისტრაციული ორგანოსაგან მიიღო შეღავათიანი კრედიტი იმ პირობით, რომ გამოიყენებდა ამ თანხას ქალაქის გამწვანებისთვის. კრედიტის გაცემის შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში პირი ფაქტობრივად თავისუფლდება აქტში მითითებული ვალდებულებისაგან და იძენს მიღებული თანხის სურვილისამებრ გამოყენების შესაძლებლობას. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევებში აუცილებელია ორივე მხარის მიერ დაბრუნებულ იქნეს მიღებული სიყვითლე უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლების შესაბამისად. კოდექსის 61-ე მუხლში შესაბამისი ცვლილების შეტანამდე ასეთ დროს შესაძლებელია კანონის ანალოგიით მე-60 მუხლის გამოყენებაც.

5. ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადებისას დაკულ უნდა იქნეს იგივე წესი, რაც დადგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის. თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვიტა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება, მან უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება და გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

თუმცა ამ წესიდან შეიძლება დაშვებულ იქნეს გამონაკლისებიც. მაგ., როდესაც ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია გარკვეული ვადით, ამ ვადის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციული აქტის გასაუქმებლად ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა სავალდებულო არ არის და როგორც კი დადგება ადმინისტრაციულ აქტში მითითებული ვადა, ადმინისტრაციული აქტი შეწყვეტს მოქმედებას.

მუხლი 62. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება უნდა მოხდეს ამ კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სხვა ნაწილების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებას.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

კოდექსით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებისთვის დაწესებულია იგივე მოთხოვნები და წესი, რაც საჭიროა მთლიანად ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებისთვის.

ამასთან, ცხადია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება არაერთარ შემთხვევაში არ იწვევს მთლიანად აქტის ბათილობას ან ძალადაკარგულობას. ხაზი უნდა გაუესვათ იმ გარემოებას, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუძლია ბათილად ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ნაწილი, თუ იგი აქტისთვის მნიშვნელოვან ხასიათს ატარებს და აშეარაა, რომ ამ ნაწილის გარეშე აქტის გამოცემა არ მოხდებოდა. ასეთ შემთხვევაში, ორგანო უფლებამოსილია აქტი გამოაცხადოს მთლიანად ბათილად ან ძალადაკარგულად. მოვიყვანოთ მაგალითი გერმანიის ადმინისტრაციული სამართლიდან: პირები, რომლებმაც მიიღეს რაიმე პირობით განსაზღვრული შეღავათიანი კრედიტი სახელმწიფოსგან, ხშირად ასაჩივრებენ ადმინისტრაციული აქტის იმ ნაწილს, რომელშიც მათ მიერ შესასრულებელი პირობებია განსაზღვრული. ხშირად მართლაც არსებობდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ამ ნაწილის გაუქმების საფუძველი, მაგრამ პრაქტიკულად ეს გამოიწვევდა იმას, რომ პირს მიეცემოდა შეღავათიანი კრედიტის არამიზნობრივად გამოყენების შესაძლებლობა. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში,

ადმინისტრაციული ორგანო ბათილად ან ძალადაკარგულად აცხადებს მთლიანად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

მუხლი 63. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებისა და დამატების შეტანა

1. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილება ან დამატება შეიტანება ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემისათვის დადგენილი წესით.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. ბუნებრივია, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლა შეუძლია მხოლოდ იმ ორგანოს, რომელმაც იგი გამოსცა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუკი არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ პირდაპირ არ არის მითითებული ამ მუხლში, ეს გამომდინარეობს კოდექსის სხვა დებულებებიდან, მათ შორის, ამ მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დებულებიდან. ამასთან, დაცულ უნდა იქნეს პროპორციულობის პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს უფლება მხოლოდ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, კერძო ინტერესების გაუთვალისწინებლად, შეიტანოს აქტში ცვლილებები.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებები და დამატებები წარმოადგენს დამოუკიდებელ აქტს და მისი მომზადება და გამოცემა ხდება იმ წესით, რაც კანონით იყო გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტისათვის, რომელშიც შედის აღნიშნული ცვლილებები და დამატებები, ანუ უნდა დაიწყოს ახალი ადმინისტრაციული წარმოება და გამოიყოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძირითად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

მუხლი 64. დოკუმენტის დაბრუნება

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემდეგ უფლებამოსილ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს შეუძლია მოსთხოვოს პირს ამ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე გაცემული და რაიმე უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის დაბრუნება.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაინტერესებულ მხარეს შეიძლება მიენიჭოს რაიმე უფლება. ძალზე ხშირად მათ ადმინისტრაციული ორგანოსაგან ამ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი შეიძლება გადაეცეთ. ასეთი დოკუმენტი შეიძლება იყოს ყოველგვარი ლიცენზია, ნებართვა, მოწმობა და ა. შ. დაბრუნების ვალდებულება ეხება ყველა იმ დოკუმენტს, რომელიც პირს ანიჭებს რაიმე უფლებას, რაც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებისას გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. დოკუმენტის დაბრუნება სავალდებულოა, რათა არ მოხდეს ამ დოკუმენტით უკანონო სარგებლობა და მის საფუძველზე მოტყუებით რაიმე სიყეთის მიღება ან უფლების განხორციელება.

ადმინისტრაციული გარიგება

შესავალი

ადმინისტრაციული გარიგება ადმინისტრაციული კოდექსის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნოვაციას წარმოადგენს. ადმინისტრაციული ორგანო ძალიან ხშირად მონაწილეობს კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, მაგრამ მონაწილეობის ფორმა ამ კოდექსის მიღებამდე სხვაგვარად იყო მოწესრიგებული. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული გარიგება ერთ-ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი საკითხია ადმინისტრაციული სამართლის მეცნიერებაში. თავისი ფუნქციის განხორციელებისას ადმინისტრაციული ორგანო სამართლებრივ ურთიერთობას ამყარებს როგორც კერძო, ისე სხვა საჯარო სამართლებრივ პირებთან. ასეთი ურთიერთობა ხშირად გარიგების ფორმით ხორციელდება. ადმინისტრაციული ორგანო მხარედ გვევლინება ისეთი სახის გარიგებებში, როგორცაა: სახელმწიფოს კუთვნილი მიწის იჯარისა და სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების ქირავენობის ხელშეკრულებები, ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებები, პრივატიზაციის ხელშეკრულებები და ა.შ. თვით ის საკითხიც კი, თუ რას წარმოადგენს ადმინისტრაციული გარიგება, ამრთა სხვადასხვაობის საგანია. ერთ-ერთ ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, ჩაითვალოს თუ არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული გარიგება კერძოსამართლებრივ გარიგებად და რა მასშტაბით უნდა გავრცელდეს მასზე კერძოსამართლებრივი ნორმები. პრაქტიკაში ეს საკითხი სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი.

ამერიკული სამართლის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული გარიგება მიჩნეულია კერძოსამართლებრივ გარიგებად და კერძო სამართლის ნორმებითაა რეგულირებული. ამ პრინციპის ნაკლი იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად გარიგების თუნდაც მთლიანად კერძოსამართლებრივი ხასიათისა, ადმინისტრაციული ორგანო, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, ვერანაირად ვერ იქნება ისეთივე სტატუსით.

როგორც კერძო პირი. იგი გარევეულწილად ყოველთვის მოქცეულია საჯარო სამართლის ფარგლებში და შეზღუდულია მხოლოდ იმ უფლებამოსილებით, რაც კანონით აქვს მინიჭებული. მაგალითად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუძლია კონტრაგენტის არჩევისას ისარგებლოს ისეთივე თავისუფლებით, როგორც კერძო პირს. ასევე, ადმინისტრაციული ორგანო ყოველთვის ვალდებულია არ დაარღვიოს და პატივი სცეს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს და თავისუფლებებს, რაც კერძო პირისათვის არაა აუცილებელი. თუ ამის საპირისპიროდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ყველა გარიგება ჩაითვლებოდა ადმინისტრაციულად და მათ მიმართ გამოყენებულ იქნებოდა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის ნორმები, წარმოიშვებოდა სამართლებრივი ვაკუუმი, რამეთუ ადმინისტრაციული სამართლის ნორმები ვერ შეძლებდნენ სახელშეკრულებო ურთიერთობების სათანადო სამართლებრივ რეგულირებას.

გერმანულმა სამართალმა სხვა გზა აირჩია. გერმანიის ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული გარიგებები იყოფა კერძოსამართლებრივ და ადმინისტრაციულ-სამართლებრივ გარიგებებად იმ პრინციპით, თუ რამდენად ეხება ამ გარიგებას კერძოსამართლებრივი ნორმები და ამ დაყოფის შემდეგ როგორ ხდება მათი რეგულირება ადმინისტრაციული ან კერძო სამართლის კანონით. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამ შემთხვევაში მეტისმეტად რთული ხდება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და კერძოსამართლებრივი გარიგებების ერთმანეთისგან გამიჯვნა, რის გამოც, ეს პრინციპი არ არის მისაღები ამ დარგში ისეთი მცირე სამართლებრივი ცოდნისა და გამოცდილების ქვეყნისათვის, როგორიც საქართველოა. ქართველმა კანონმდებლებმა სხვა გზა აირჩიეს, რომელსაც დაწვრილებით ამ თავში განვიხილავთ.

მუხლი 65. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული გარიგების დადების უფლებამოსილება

1. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქო გარიგების დადებისას გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები და ამ თავით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები.

1. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ყველა გარიგება ითვლება ადმინისტრაციულ გარიგებად, მაგრამ სახელი არ გულისხმობს, რომ ამ გარიგებათა მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის ნორმები. კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სახელმწიფო მონაწილეობს და მოქმედებს როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი. ამ ურთიერთობებში იგი მთლიანად თანასწორია მეორე მხარისა (თუნდაც მეორე მხარე მოქალაქე იყოს) და მას არ შეიძლება რაიმე პრივილეგიები დაუწესდეს. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრინციპი ჯერ კიდევ სამოქალაქო კოდექსით დაინერგა.

2. კოდექსის შესაბამისად, გარიგების დადებისას გამოიყენება სამოქალაქო სამართლის შესაბამისი ნორმები და თავით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები. ამგვარად, ადმინისტრაციულ გარიგებათა რეგულირებაში ადმინისტრაციული შეზღუდვების გათვალისწინებით უპირატესი როლი მიენიჭა სამოქალაქო სამართალს. ეს შეზღუდვები ეხება მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს და სწორედ ის არის ვალდებული იმოქმედოს ამ თავით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნების საფუძველზე. დამატებითი მოთხოვნების დაწესების აუცილებლობა საჭირო გახდა მთელი რიგი გარემოებების გამო, რათა თავიდან აცილებულიყო ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, უფლებამოსილების გადამეტებით საქმიანობა, დაუსაბუთებელი და სადავო ვალდებულებების აღება და მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების შელახვა, ანუ, ძირითადად, ადმინისტრაციული ორგანოს კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში გააჩნია უფლებამოვალეობათა ზუსტად ისეთივე მოცულობა, როგორც კერძო პირებს. ამავე დროს, მათ, როგორც საჯარო ძალაუფლების მატარებლებს, დამატებითი მოთხოვნები წაეყენებათ.

მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ ვინ, ადმინისტრაციულმა თუ სამოქალაქო მოსამართლემ, უნდა გადაწყვიტოს ადმინისტრაცი-

ციული გარიგებიდან წარმოშობილი დავები. ამერიკისა და გერმანიის სამართლის პირობებში ეს თავისთავად გასაგებია. მაგრამ საქართველოში, სადაც ადმინისტრაციული გარიგებები რეგულირდება სამართლის ორი დარგის ნორმებით, ეს საკითხი საკმაოდ პრობლემატურია. შესაძლოა, დავის განმხილველი სასამართლო განისაზღვროს იმ კრიტერიუმით, თუ რომელი სამართლის დარგის ნორმებითაა ძირითადად აღნიშნული სამართალურთიერთობა რეგულირებული, მაგრამ ამ შემთხვევაში კვლავ ვუბრუნდებით საჯარო და სამოქალაქო გარიგებათა გამიჯვნის პრობლემას. ასევე საყურადღებოა ადმინისტრაციული გარიგებების შესახებ ე.წ. ორსაფეხუროვანი თეორია. ამ თეორიის თანახმად, ადმინისტრაციული გარიგების დადება 2 სტადიისაგან შედგება: ა) ადმინისტრაციული აქტის მიღება ადმინისტრაციული გარიგების დადების შესახებ და ბ) თვით ადმინისტრაციული გარიგების დადება. ასეთ შემთხვევაში, ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისას, საქმეს განიხილავს ადმინისტრაციული მოსამართლე. ხოლო გარიგებიდან წარმოშობილ დაეას – სამოქალაქო სამართლის მოსამართლე. ამ მეთოდის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული გარიგების დადება ყოველგვარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის გარეშე ხდება. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია საქმის განმხილველი სასამართლო განისაზღვროს გარიგებაში დომინირებული სამართლის ნორმების პრინციპით. ახალი ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით, თუკი ადმინისტრაციული ორგანო დებს გარიგებას, ამ გარიგებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დაეა სასამართლომ აუცილებლად უნდა განიხილოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნორმების ვათვალისწინებით.

მუხლი 66. სპეციალური მოთხოვნები, რომლებსაც უნდა უპასუხებდეს ადმინისტრაციული გარიგება

1. სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული გარიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს

კონსტიტუციასა და კანონმდებლობას.

3. დაუშვებელია ადმინისტრაციული გარიგებით საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მითითებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა.

1. ეს მუხლი წარმოადგენს 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონკრეტიზაციას და განსაზღვრავს სწორედ იმ სამართლებრივ ჩარჩოებს, რომელშიც ადმინისტრაციული ორგანოა მოქცეული ადმინისტრაციული გარიგების დადებისას. ეს გულისხმობს იმას, რომ კერძო პირისაგან განსხვავებით, რომელიც ხელშეკრულების დადებისას ხელმძღვანელობს საკუთარი ნებით, ადმინისტრაციული ორგანო გამოდის მხოლოდ იმ უფლებამოსილებებიდან, რაც მას კანონით აქვს მინიჭებული. თუ კერძო პირს უფლება აქვს ნებისმიერ პირთან ნებისმიერი ფორმის გარიგება დადოს, ადმინისტრაციული ორგანო უნდა ხელმძღვანელობდეს და მოქმედებდეს იმ უფლებამოსილებისა და მიზნების ფარგლებში, რაც მას დადგენილი აქვს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ფარგლებს იგი ვერ გაყვება. მაგ., განათლების სამინისტროს არ შეუძლია ხელშეკრულება გაუფორმოს რომელიმე კერძო საწარმოს კაპიტალის აშენების და ერთობლივი მართვის შესახებ, თუნდაც სამინისტროს გამოუყენებელი ფინანსური რესურსები გააჩნდეს საკუთარ ბიუჯეტში. განათლების სამინისტროს ძირითადი ამოცანაა განათლების სისტემის ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა და ყველა მისი ქმედება სწორედ ამ ამოცანის შესრულებას უნდა ემსახურებოდეს. ვერც საქართველოს პროკურატურა დააფუძნებს სამარშუტო ტაქსებით მომსახურების საწარმოს, რადგან მას ეს ფუნქცია კანონმდებლობით მინიჭებული არ აქვს. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ამგვარი აკრძალვის არარსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო შეეცდებოდა თავისი უფლებამოსილების არეალის გაფართოებას ადმინისტრაციული გარიგებების დადებით და ამით მოახდენდა საკუთარი კომპეტენციების საკანონმდებლო შემზღვევის კომპენსაციას.

2. ადმინისტრაციული გარიგების დადებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს კანონმდებლობით. მაგალითად, ადმინისტრაციულმა ორგანომ გარიგების დადებისას უნდა იხელმძღვანელოს თანასწორობის, პროპორციულობის პრინციპით, არ უნდა ხელყოს დაინტერესებული მხარის მი-

ერ საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება და ა.შ., რაც კერძო პირისათვის არ არის სავალდებულო. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული გარიგება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციასა და კანონმდებლობას.

3. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული გარიგების დადებისას არ უნდა ლახავდეს კონსტიტუციის მე-2 თავში მითითებულ ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. მაგ., თბილისის მუნიციპალიტეტს უფლება არა აქვს უარი უთხრას საქართველოში კანონიერად მცხოვრებ ნიგერიელ მოქალაქეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ბინის დაქირავებაზე იმ მოტივით, რომ ის შავკანიანია. ჩვეულებრივ მოქალაქეს, ბუნებრივია, უფლება აქვს ნებისმიერი მოტივით თქვას უარი მესამე პირთან გარიგების დადებაზე, რაც ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება. კონსტიტუციის მე-14 მუხლში აღნიშნულია, რომ ყველა თანასწორია კანონის წინაშე მიუხედავად რასისა, ეროვნებისა, სქესისა და ა.შ. მუნიციპალიტეტის მიერ ნიგერიელ მოქალაქესთან საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმა სწორედ ამ კონსტიტუციური ნორმის დარღვევა იქნებოდა.

მუხლი 67. მესამე პირის მონაწილეობა ადმინისტრაციულ გარიგებაში

1. ადმინისტრაციული გარიგება, რომელიც გზუდავს მესამე პირის უფლებებს ან აკისრებს მას რაიმე ვალდებულებას, ძალაში შეიძლება შევიდეს მხოლოდ მესამე პირის მიერ წერილობითი თანხმობის წარდგენის შემდეგ.

2. ადმინისტრაციული გარიგების დადებაზე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მესამე პირს, რომლის ინტერესებსაც იგი შეეხება.

3. ამ მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში მითითებულ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს ადმინისტრაციული გარიგების დადებაზე წარადგინოს საკუთარი მოსაზრება.

1. მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან განვასხვაოთ მესამე პირი, რომელსაც ადმინისტრაციული გარიგება უზღუდავს რაიმე უფლებას ან აკისრებს რაიმე ვალდებულებას და რომლის წერილობითი თანხმობის გარეშეც ადმინისტრაციული გარიგება

არ შევა ძალაში და დაინტერესებული მხარე, რომელსაც აქვს ამ გარიგებასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება. კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომელთა დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება. მაგრამ იმ პირთა წრე, რომელთაც ამ მუხლის პირველი ნაწილი ეხება, უფრო შეზღუდულია. პირის კანონიერ ინტერესზე პირდაპირი და უშუალო გავლენა არ კმარა იმისათვის, რომ ასეთი პირის წერილობითი თანხმობა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული გარიგების ძალაში შესვლის აუცილებელ წინაპირობას. ამისათვის საჭიროა ადმინისტრაციული გარიგება ბლუდავდეს მესამე პირის უფლებას ან აცისრებდეს მას რაიმე ვალდებულებას. ამგვარად, ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ პირს უნდა გააჩნდეს არა მარტო კანონიერი ინტერესი, არამედ კანონიერი უფლებაც, რომელიც იზღუდება ადმინისტრაციული გარიგებით, ან ადმინისტრაციული გარიგება პირდაპირ და უშუალოდ უნდა აცისრებდეს მას რაიმე ვალდებულებას. მაგალითად, როდესაც იღება კონტრაქტი ადმინისტრაციულ ორგანოსა და სამშენებლო კომპანიას შორის ადმინისტრაციული ორგანოსათვის სახლის აშენების თაობაზე და მასში განსაზღვრულია, რომ მშენებლობის პერიოდში სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად გამოყენებულ იქნება მემობელი მიწის ნაკვეთი, ეს კონტრაქტი ბლუდავს ამ მიწის ნაკვეთის მესაყუთრის კანონით დაცულ უფლებას და მისი თანხმობა საჭიროა ამ გარიგების ნამდვილობისათვის. თუმცა მემობლად მდებარე სასტუმროს განცხადება იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე სახლის აშენება გააუარესებს ხედს სასტუმროს აივნებიდან და შეამცირებს სასტუმროს კლიენტთა რაოდენობას, არ წარმოადგენს საფუძველს იმისათვის, რომ საჭირო გახდეს სასტუმროს მეპატრონის წერილობითი თანხმობა, რამეთუ, მართალია, ადმინისტრაციული გარიგება გავლენას ახდენს სასტუმროს მეპატრონის კანონიერ ინტერესზე, მაგრამ არ ბლუდავს მის უფლებებს და არ აცისრებს მას რაიმე ვალდებულებებს.

არ შეიძლება რომელიმე კერძოსამართლებრივი გარიგება თავს მოეახვიოთ ვინმეს. სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, ხელშემკერელი ორი მხარე, მათ მიერ წარმომოხილ სამართალურთიერთობაში ცალმხრივად ვერ დააყისრებენ მესამე პირს ვალდებულებას მისი თანხმობის გარეშე. ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად, მესამე პირის თანხმობის გარეშე, ადმინისტრაციული გარიგების საფუძველზე მხარეებს შორის წარმომოხილი ურთიერთობები მასმე ასევე ვერ გაერყელდება. ამავე დროს კანონი მოითხოვს, რომ მესამე პირის თანხმობა წერილობითი ფორმით უნდა იყოს წარდგენილი.

2. როდესაც ადმინისტრაციული გარიგების დადებისას წარმოიშობა მესამე პირის მონაწილეობის აუცილებლობა, მას ამის შესახებ წინასწარ უნდა ეცნობოს, რათა მან შეძლოს საკუთარი პოზიციის გამოხატვა. წინასწარი ცნობების ვალდებულება კი კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს ეკისრება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მესამე პირს გააჩნია გარიგების დადებამდე საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება. უფრო მეტიც, ასეთი უფლებით არა მარტო ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირი, არამედ ნებისმიერი დაინტერესებული მხარე უნდა სარგებლობდეს.

მუხლი 68. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა

ადმინისტრაციული გარიგება, რომელიც დაიდო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ნაცვლად, ძალაში შედის იმ ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი თანხმობის შემდეგ, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად აუცილებელია სათანადო ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად.

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მაგივრად ადმინისტრაციულ გარიგებას დებს. ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მთელი რიგი საკითხები შეუთანხმოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოებს. ამიტომ, საეხებით ლოგეურია, რომ, თუ ადმინისტრაციული აქტი, რომლის მაგივრადაც ადმინისტრაციული გარიგება

იქნა დადებული, მოითხოვდა რომელიმე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს წერილობით თანხმობას, აღნიშნული თანხმობა საჭიროა ადმინისტრაციული გარიგების ძალაში შესასვლელადაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ადმინისტრაციული გარიგების დადება ადმინისტრაციული ორგანოსათვის იქნებოდა კარგი საშუალება სხვა ორგანოებთან ადმინისტრაციული აქტის შეთანხმების პროცედურისაგან თავის ასარიდებლად.

მუხლი 69. ადმინისტრაციული გარიგების ფორმა

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული გარიგება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობითი ფორმით.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გარიგების ბეპირად დადება დაუშვებელია. ეს უნდა მოხდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ეს შეზღუდვა იმით არის განპირობებული, რომ ადმინისტრაციული ორგანო ხელისუფლებითი ფუნქციების მატარებელია. სასელმწიფომ ბუსტად და არა მონაყოლითა თუ ყურმოცერით უნდა იცოდეს საყუთარი ვალდებულებების შესახებ. ადმინისტრაციულ გარიგებას ადმინისტრაციული ორგანოს სახელით დებს მოხელე, რომლის თანამდებობიდან წასვლა არ იწვევს გარიგების გაუქმებას და მათ მიერ აღებულ ვალდებულებებზე პასუხს საბოლოო ჯამში აგებს სახელმწიფო. სწორედ ამიტომ, სამოქალაქო კოდექსისაგან განსხვავებით, რომელიც ბეპირი გარიგებების დადებასაც უშვებს, ადმინისტრაციული კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ორგანოს უკრძალავს ბეპირი გარიგების დადებას, ამ ფორმის დაუცველობა გარიგების ბათილობას იწვევს. თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური კანონით შესაძლოა დაშვებულ იქნეს ბეპირი გარიგების დადების შესაძლებლობაც.

მუხლი 70. ადმინისტრაციული გარიგების ბათილად გამოცხადება

1. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული გარიგების ბათილად გამოცხადებას აწესრიგებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული გარიგება

ასევე ბათილია იმ ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადების შემთხვევაში, რომლის საფუძველზედაც დაიდო გარიგება.

1. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული ორგანო გარიგებას დებს სამოქალაქო კოდექსის მოთხოვნების დაცვით. შესაბამისად, ადმინისტრაციული გარიგების ბათილად გამოცხადებისათვის გამოიყენება ის წესები, რომლებიც სამოქალაქო კოდექსითაა დადგენილი. მაგ. ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოქალაქეს შორის დადებული გარიგება ბათილად უნდა გამოცხადდეს, თუ გაირკვა, რომ მოქალაქე ქმედუუნარო იყო გარიგების დადების მომენტისათვის, როგორც ამას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის მუხლი.

2. იმ ორსაფეხურებრივი წარმოების შემთხვევაში, რომლის შესახებაც ამ თავის შესავალში უკვე გეჭონდა საუბარი, თუკი ბათილად იქნა ცნობილი ადმინისტრაციული აქტი, რომლის საფუძველზეც მოხდა ადმინისტრაციული გარიგების დადება, ადმინისტრაციული გარიგებაც ბათილია, რამეთუ ადმინისტრაციული აქტის ბათილობა იწვევს მისი სამართლებრივი შედეგების ბათილობას. რადგანაც ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადებიდან გამომდინარეობს ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული გარიგების დადებას არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი და, ამგვარად, ისიც დადების მომენტიდან ბათილია.

ამ მუხლის ნაკლს წარმოადგენს ის, რომ არ არის განსაზღვრული, თუ რა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული გარიგება არღვევს ადმინისტრაციული სამართლის და არა სამოქალაქო სამართლის ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. მაგ: ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული გარიგება დადო თანასწორობის კონსტიტუციური უფლების დარღვევით (ნნ-ე მუხლის მე-3 ნაწილი) და მუნიციპალურ საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი სახლების გაქირავება განახორციელა ეროვნული ნიშნით მხოლოდ ქართველებსა და აფხაზებზე. ამ შემთხვევაში მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ყოველგვარი დარღვევა არ უნდა გახდეს ადმინისტრაციული გარიგების ბათილობის საფუძველი. ამის საფუძველი შეიძლება იყოს კანონის მხოლოდ არსებითი დარღვევა. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული გარიგება უმნიშვნელოდ ეწინააღმდეგება

ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, მხარეებს უნდა მიეცეთ უფლებამოსილება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეცვალონ გარიგების პირობები კანონის შესაბამისად. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, გარიგება ბათილად გამოცხადდება. იმის განსაზღვრა, რამდენად მნიშვნელოვნად იქნა დარღვეული ადმინისტრაციული გარიგების დადებით ადმინისტრაციული კანონმდებლობა, რა თქმა უნდა, საკმაოდ პრობლემატური საკითხია, მაგრამ ეს კიდევ ერთ დამატებით საშუალებას ანიჭებს პრაქტიკას, რომ გაზარდოს თავისი როლი ადმინისტრაციულ სამართალშემოქმედებაში. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართლის არსებითი დარღვევა სახეზეა (კერძოდ, დაირღვა საკონსტიტუციო და ადმინისტრაციული სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი — თანასწორობა) და ადმინისტრაციული გარიგებები ბათილად უნდა გამოცხადდეს.

ასევე მიგვაჩნია, რომ ამავე მუხლში უნდა იყოს განსაზღვრული ადმინისტრაციული გარიგების ნაწილობრივი ბათილობის შესაძლებლობაც. თუკი ადმინისტრაციული გარიგების ნაწილი კანონსაწინააღმდეგოა, შესაძლებელია ამ ნაწილის ბათილად გამოცხადება, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ გარიგება ამ ნაწილის გარეშე კარგავს თავის შინაარსს და მის გარეშე არ დაიდებოდა. ასეთ შემთხვევაში მთლიანად გარიგება უნდა იქნეს ცნობილი ბათილად. თუმცა ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია ანალოგიით იქნეს გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები, რომლებიც საკითხს შესაბამისად აწესრიგებს.

მუხლი 71. ადმინისტრაციული გარიგების შეცვლა

1. გარემოებათა არსებითად შეცვლისას, რაც ზიანს აყენებს მხარეს ან სამოგადოებრივ ინტერესს, მხარე უფლებამოსილია მეორე მხარეს მოსთხოვოს თანხმობა ადმინისტრაციული გარიგების შესაცვლელად.

2. თუ ცვლილება გარიგებაში არსებითად ეწინააღმდეგება გარიგების შინაარსს, მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს გარიგების გაუქმება.

1. გარემოებათა არსებითად შეცვლისას, ხშირად ზიანი აღგება არა თავად გარიგების დამდებ ადმინისტრაციულ ორგანოს,

არამედ საჯარო ინტერესს, რომელსაც ეს ორგანო ახორციელებს. იქიდან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანო საჯარო ინტერესების განმახორციელებელია, საჯარო ინტერესებისათვის ზიანის მიყენება ასევე ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან გარიგების შეცვლის მოთხოვნის საფუძველად. რაც შეეხება გარემოებების არსებით შეცვლას, ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ გარიგების მომენტში არსებული გარემოების შეცვლას და არა მხარეთა მიერ იმ გარემოების აღმოჩენას, რომელიც გარიგების დადების მომენტში არსებობდა.

კანონის ეს მუხლი შეეხება მხოლოდ იმ შემთხვევას, როდესაც გარიგებაში არ იყო გათვალისწინებული ასეთი ცვლილება, რამეთუ ხელშეკრულებაში მხარეები ხშირად აღნიშნავენ ცალკეულ გარემოებათა შეცვლის შესაძლებლობას და ხელშეკრულებით წინასწარ აწესრიგებენ ასეთ შემთხვევაში თავიანთ ურთიერთობას. ამ დროს, რა თქმა უნდა, უპირატესობა გარიგების ნორმებს მიენიჭება. ასევე უნდა აღენიშნოთ, რომ მხარის უფლებას, მეორე მხარეს მოსთხოვოს თანხმობა ადმინისტრაციული გარიგების შესაცვლელად, შეესაბამება მეორე მხარის ვალდებულება, მისცეს ასეთი თანხმობა და ამიტომ თანხმობაზე უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში. იგივე პრინციპი ეხება მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებული გარიგების გაუქმების მოთხოვნის უფლებასაც. თუმცა უნდა აღენიშნოთ ისიც, რომ კანონი არ განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გარიგების შეცვლა, რითაც მხარეებს უტოვებს ამ საკითხის მოლაპარაკების გზით გადაჭრის ფართო შესაძლებლობას. ამგვარი ცვლილების მაგალითია შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო კერძო კომპანიას გამოუყოფს შეღავათიან კრედიტს ქალაქის რომელიმე რაიონში ჩოგბურთის კორტის ასაშენებლად, მაგრამ, იმის გამო, რომ ამ რაიონში სხვა კომპანიამაც დაიწყო კორტის მშენებლობა, მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ კრედიტი გამოიყენოს არა კორტის, არამედ სტადიონის ასაშენებლად. როგორც ვხედავთ, ხდება ხელშეკრულების შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგება, ისე რომ არ იცვლება გარიგების მიზანი.

2. იმ შემთხვევაში, როდესაც გარიგებაში ცვლილება არსებითად წინააღმდეგობაში მოდის გარიგების შინაარსთან, მაშინ

მხარეს უფლება უზნდება მოითხოვოს გარიგების გაუქმება სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად.

ადმინისტრაციულ გარიგებასთან დაკავშირებით, არ შეიძლება არ შეეხებოდეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორცაა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული გარიგების საფუძველზე მეორე მხარისაგან რაიმე სარგებლის მიღება, რამეთუ ასეთ შემთხვევებს (ოფიციალურსა თუ არაოფიციალურს) სშირად ვხვდებით პრაქტიკაში. მაგალითად, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო აძლევს ლიცენზიას სამარშრუტო ტაქსს იმ პირობით, რომ იგი უფასოდ მოემსახურება ამ ორგანოს თანამშრომლებს. ამ შემთხვევაში ასეთი გარიგება მისაღებია, თუ ადმინისტრაციული ორგანოს ასეთი სარგებელი პირდაპირ და უშუალო კავშირშია ადმინისტრაციულ გარიგებასთან. მაგალითად, კანონიერია გარიგება, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო აძლევს სამშენებლო კომპანიას მრავალსართულიანი სახლის აშენების ნებართვას და ამასთან დაკავშირებით, კანონმდებლობის შესაბამისად, გარიგების საფუძველზე იღებს ამ სამშენებლო კომპანიისგან თანხას კორპუსის მახლობლად გზის გაყვანისა და საბავშვო ბაღის ასაშენებლად, რამეთუ აღნიშნული თანხა ადმინისტრაციულ ორგანოს სჭირდება მისთვის კანონით დაყისრებული ვალდებულების განხორციელებისათვის (მოსახლეობის გზითა და განათლებით უზრუნველყოფა). ამ ვალდებულების წარმოშობა გამოიწვია სწორედ ამ კომპანიის მიერ კორპუსის აშენებამ. იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციული ორგანო კომპანიისგან მიიღებს თანხას ავტომობილების შესაძენად (რაც ასევე საჯარო ინტერესების სასარგებლოდაა მიმართული, მაგრამ პირდაპირ და უშუალოდ არაა დაკავშირებული გარიგების შინაარსთან), გარიგება ჩათვლილ უნდა იქნეს უკანონოდ და, შესაბამისად, მოთხოვნის შემთხვევაში; ბათილად. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი გარიგების დადება და მეორე მხარისათვის ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების შესრულება უნდა ეფუძნებოდეს კანონს. ადმინისტრაციული გარიგებით ასეთი ვალდებულების განსაზღვრა ხდება არა ადმინისტრაციული ორგანოს მიხედულებით, არამედ მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

თავი VI

ადმინისტრაციული წარმოების გოგალი ღებულეანი. მარტივი ადმინისტრაციული წარმოება

შესავალი

ამ თავში მოცემულია ის წესები, რომელთა დაცვითაც უნდა იქნეს ადმინისტრაციული აქტი გამოცემული, ანუ ის ნორმები, რომლებითაც განისაზღვრება ადმინისტრაციული წარმოების დაწყება, ადმინისტრაციული აქტის მომზადება და გამოცემა. ასევე ის ვადები, რომლებიც აქტის გამოცემისთვისაა განსაზღვრული. წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ, თუ რა სახის გადაწყვეტილებებს იღებს ადმინისტრაციული ორგანო. ამ თავში კი ჩვენ შევეხებით, თუ როგორ ხდება ამ გადაწყვეტილებების მიღება. ძალიან ბევრ შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღების წესს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც ის არსებით შეგავლენას ახდენს თვით ადმინისტრაციული აქტის შინაარსზე. ამასთან, არსებობს საფრთხე, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადმინისტრაციულმა ორგანომ დაარღვიოს მოქალაქის კანონით დაცული უფლებები და თავისუფლებები. სწორედ ამიტომ ადმინისტრაციულ სამართალში უმარმზარი ყურადღება ეთმობა ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის რეგლამენტაციას.

მუხლი 72. ადმინისტრაციული წარმოების სახეები

1. ადმინისტრაციული წარმოების სახეებია:

- ა) მარტივი ადმინისტრაციული წარმოება;
- ბ) ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება;
- გ) საჯარო ადმინისტრაციული წარმოება.

2. თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ აქტს ამზადებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით.

3. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას (ადმინისტრაციული აქტების გამოცემისას) ცალკე ადმინისტრაციული

ციული წარმოება არ დაიწყება, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. ადმინისტრაციული კოდექსი განასხვავებს ადმინისტრაციული წარმოების სახეებს, იგი მოუთხოვს ადმინისტრაციული წარმოების სამ ძირითად სახეზე. კერძოდ, ესენია: მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება და საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და რიგ შემთხვევებში შესაძლებელია სხვა სპეციალური წარმოების გამოყენება ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად. ამავე კოდექსში მითითებულია ადმინისტრაციული წარმოების ორი სხვა სახე – ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული აქტის გამოსაცემად და ადმინისტრაციული წარმოება საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით. ამავე დროს კოდექსი ცალკე გამოყოფს წარმოების კიდევ ორ სახეს – ადმინისტრაციულ წარმოებას კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოში და დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შეიცავს ადმინისტრაციული წარმოების განსაკუთრებულ სახეს ადმინისტრაციული სანქციების დადებასთან დაკავშირებით. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონი შეიცავს წარმოებას საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებით. კოდექსში მხოლოდ სამი წარმოების დასახელება დაკავშირებული იყო იმ გარემოებასთან, რომ ეს სამი სახე ძირითადია და ყველა სხვა წარმოება ერთ-ერთი მათგანის სახესხვაობას წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ დაუშვებელია ერთისა და იმავე აქტის გამოცემა ერთზე მეტი წარმოების სახის გამოყენებით. მაგ., არ შეიძლება ადმინისტრაციული აქტი გამოიყენოს ერთდროულად მარტივი და საჯარო წარმოების გამოყენებით. ამავე დროს შეცდომა იქნებოდა იმის დაშვება, რომ ეს სამი სახე წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების გარკვეულ ეტაპებს და ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ისინი გამოიყენოს ერთმანეთის მიყოლებით, როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემის სტადიები. ბუნებრივია, ეს ასე არ არის და ადმინისტრაციული ორგანო იყენებს ზემოჩამოთვლილი წარმოების სახეებიდან მხოლოდ ერთს საკუთარი გადაწყვეტილების მისაღებად.

2. ძალზე ხშირად საპეციალურ კანონებში მოცემულია ცალკეულ შემთხვევათა დროს გადაწყვეტილების მიღების წესი (მაგ. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი ზუსტად განსაზღვრავს პირადობის მოწმობის გაცემის წესს). თუმცა არის შემთხვევები, როდესაც საკანონმდებლო აქტებში გადაწყვეტილების მიღების წესის შესახებ არააფერია ნათქვამი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ დროს ადმინისტრაციული ორგანო თავისი შეხედულებისამებრ იღებს გადაწყვეტილებას და მასზე არც ერთი საკანონმდებლო ნორმა, მათ შორის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი დებულებები ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე, არ ვრცელდება. საპირისპიროდ შეიძლება ითქვას, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დადგენილი წესები ყოველთვის გამოიყენება ყველა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტების გამოცემისას, თუ კანონით სხვა რამ პირდაპირ არ არის დადგენილი. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კანონი არ მოუთითებს წარმოების რომელიმე სახის გამოყენების შესახებ, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული აქტი მოამზადოს და გამოსცეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ მარტივი ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციული წარმოების მთავარი და საბაზო სახეა. იგი გამოიყენება ყველა ადმინისტრაციული წარმოების დროს, გარდა გარკვეული გამონაკლისისა, რომელიც კანონით არის დადგენილი. მაშინაც კი, როდესაც ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიცეს ადმინისტრაციული წარმოების სხვა სახის გამოყენებით (მაგ. საჯარო წარმოებით), ამ დროს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ძალიან ბევრი დებულება გამოიყენება. სწორედ ამით არის განპირობებული ამ თავის ამგვარი დასათაურება.

3. სანამ ადმინისტრაციულ წარმოება დაიწყებოდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად, ადმინისტრაციულმა ორგანომ ჯერ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ რომელი სახის წარმოებას გამოიყენებს. უმეტეს შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს წინასწარ აქვს კანონით განსაზღვრული, თუ

ადმინისტრაციული წარმოების რომელი სახე უნდა გამოიყენოს კონკრეტული ადმინისტრაციული წარმოების გამოსაცემად. მაგრამ ზოგ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ ორგანოს საშუალება ეძლევა თვითონ აირჩიოს ადმინისტრაციული წარმოების სახე (მაგ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-3 ნაწილით ან 160-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში). ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო წინასწარ გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს, რომლითაც განისაზღვრება ადმინისტრაციული წარმოების სახე. მაგ. საქართველოს პრეზიდენტმა ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად დანიშნა დამოუკიდებელი ორგანო, ანუ მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გამოცემის შესახებ. ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს პრეზიდენტი დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ წარმოებას არ იწყებს, რადგანაც იგი მთელ რიგ ფორმალურ მოთხოვნებთანაა დაკავშირებული. ეს კი ვაცილებით ამარტივებს და აჩქარებს ძირითადი ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

მუხლი 73. ადმინისტრაციული წარმოების მხარეები

1. ადმინისტრაციული წარმოების მხარე შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ფიზიკური ან იურიდიული პირი.

2. ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.

3. ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში – აგრეთვე აფხაზურ ენაზე.

4. თუ დაინტერესებული მხარის განცხადება ან მის მიერ წარდგენილი სხვა დოკუმენტი შედგენილია არასახელმწიფო ენაზე, დაინტერესებული მხარე ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში წარადგინოს განცხადების ან დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი.

5. თუ კანონით დადგენილია ვადა, რომლის განმავლობაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეასრულოს გარკვეული მოქმედება, ეს ვადა დაიწყება მხოლოდ თარგმანის წარდგენისას, ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში.

6. თუ კანონით განსაზღვრულია ვადა, რომლის განმავლობაში დაინტერესებული მხარე ვალდებულია წარადგინოს რაიმე

განცხადება ან დოკუმენტი, ეს ვადა დაყუღად ჩაითვლება დოკუმენტის არასახელმწიფო ენაზე წარდგენის დროსაც.

7. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაადგინოს ვადა წარდგენილი დოკუმენტის თარგმნისთვის, რომელიც არ შეიძლება იყოს სამ დღეზე ნაკლები. ამ ვადის გაშვება შეიძლება გახდეს დაინტერესებული მხარის განცხადების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

1. სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს მხარეების გარეშე. ამ მხრივ არც ადმინისტრაციული სამართალია გამოწყლისი. ადმინისტრაციული სამართალურთიერთობის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ერთ-ერთი მხარე ყოველთვის არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ფლობს ხელისუფლებით უფლებამოსილებებს და შეუძლია სავალდებულო ძალის მქონე გადაწყვეტილებების მიღება. მეორე მხარედ ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობაში შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი პირი, რომელიც არის სამართლის სუბიექტი. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი და ასევე ადმინისტრაციული ორგანო, ანუ შესაძლებელია ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებულ მხარედ მოგვევლინოს ადმინისტრაციულ წარმოებაში. მაგ. გურჯაანის რაიონის გამგეობა ამენებს გამგეობის ახალ შენობას, ამისათვის მან, ისევე როგორც ნებისმიერმა კერძო პირმა, უნდა აიღოს ნებართვა მშენებლობის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურისაგან. ასეთ დროს ადგილი აქვს შემთხვევას, როდესაც ორივე მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, მაგრამ ამით არ იცვლება ადმინისტრაციული სამართალურთიერთობის შინაარსი, რადგანაც ადმინისტრაციულ ორგანოს (ჩვენს შემთხვევაში გურჯაანის გამგეობას), რომელიც ითხოვს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, ასეთ სამართალურთიერთობაში გააჩნია მუსტად იგივე უფლებები, რაც ექნებოდა კერძო პირს. ამ შემთხვევაში ის სარგებლობს დაინტერესებული მხარის უფლებებით, ამასთან, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა ორგანო (ჩვენს შემთხვევაში, მშენებლობის სამინისტრო), არავეითარ დამატებით პრივილეგიას არ უსაზღვრავს წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ მონაწილე გამგეობას. არის შემთხვევები, როდესაც დაინტერესებულ მხარეებად გვევლინებიან როგორც კერძო პირები, ისე ადმინისტრაციული ორგანო ერთდროულად. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ,

რომ, თუ ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებულ მხარედ გამოდის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, მას გააჩნია მუსტად იგივე უფლებები, რაც კერძო პირს.

2. სამართალწარმოება ადმინისტრაციულ ორგანოებში სახელმწიფო ენაზე მიმდინარეობს. ამის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა დოკუმენტი, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოში იქნება წარდგენილი, შესრულებულ უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე. თუ აღმოჩნდება ისე, რომ დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი რაიმე დოკუმენტი არასახელმწიფო ენაზეა შესრულებული, იგივე დაინტერესებული მხარე ვალდებულია წარმოადგინოს ამ დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი. ამისათვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მას განესაზღვრება თარგმანის წარდგენის ვადა. ეს ვადა უნდა იყოს გონივრული, ანუ საეპარისი იმისათვის, რათა დაინტერესებულმა მხარემ მოასწროს დოკუმენტის თარგმნა და მისი ადმინისტრაციულ ორგანოში წარმოდგენა. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ეს ვადა ნებისმიერი დროის მონაკვეთით შეიძლება განისაზღვროს, მაგრამ არანაკლებ 3 დღისა. ეს არის კოდექსით დადგენილი მინიმალური ვადა.

თუ დაინტერესებული მხარე ამ ვადაში არ წარმოადგენს სათანადო წესით შესრულებულ თარგმანს, მაშინ ეს დოკუმენტი არ განიხილება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ (მაგ. თუ მტკიცებულება არასახელმწიფო ენაზეა წარდგენილი, ადმინისტრაციული ორგანო მას არ მიიღებს ან, თუ მხარე არასახელმწიფო ენაზე წარადგენს შუამდგომლობას, მის დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ითქვას, თუ თარგმანი დადგენილ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი). ამასთან, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს შესაბამისი დოკუმენტის თარგმანი ადმინისტრაციულ ორგანოში დადგენილ ვადაზე ადრე წარმოადგინოს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიიღოს დოკუმენტი და დაუყოვნებლივ განაახლოს ადმინისტრაციული წარმოება.

3. მხარის მიერ გარკვეული დოკუმენტის წარდგენისას ძალიან ბევრ შემთხვევაში წარმოიშობა ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება, რეაგირება მოახდინოს მასზე გარკვეულ ვადაში. მაგ. კოდექსი ადგენს, რომ პირის განცხადება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით განხილულ და გადაწყვეტილ უნდა

იქნეს 1 თვის ვადაში, ხოლო შუამდგომლობა გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ განხილულ უნდას იქნეს 5 დღის ვადაში. თუ განცხადება ან შუამდგომლობა არასახელმწიფო ენაზეა წარმოდგენილი, ადმინისტრაციული ორგანო დაადგენს ვადას დოკუმენტის თარგმანის წარმოსადგენად, მაგრამ მანამ, სანამ ეს თარგმანი ადმინისტრაციულ ორგანოს არ გადაეცემა, ადმინისტრაციული აქტის გამოცემის (შუამდგომლობის განხილვის) ვადები უნდა შეჩერდეს. ეს ბუნებრივია, რადგან ადმინისტრაციული ორგანო ამ დროს მოკლებულია შესაძლებლობას იცოდეს განცხადების (შუამდგომლობის) შინაარსი და, შესაბამისად, მასთან მიმართებაში ვერავითარ ქმედებას ვერ განახორციელებს. შეჩერებული ვადის დინება აღდგება იმ მომენტიდანვე, როდესაც თარგმანი წარდგენილ იქნება ადმინისტრაციულ ორგანოში. შეიძლება ადმინისტრაციულმა ორგანომ თარგმანის წარმოსადგენად მხარეს განუსაზღვროს 10 დღე, მაგრამ მან შეძლოს თარგმანის წარმოდგენა 2 დღის ვადაში, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოსათვის შეჩერებული დრო განახლება არა 10, არამედ 2 დღის შემდეგ.

4. კანონმდებლობა ხშირად დაინტერესებულ მხარეს განუსაზღვრავს ვადას ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად. მაგ. ადმინისტრაციული აქტის მიმართ ადმინისტრაციული საჩივარი ბემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილ უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში, ხოლო აცილების შესახებ განცხადება 2 დღის ვადაში. კოდექსი ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს აძლევს შესაძლებლობას, რათა მან შეძლოს საკუთარი უფლებების დაცვა, ეს განცხადება ადმინისტრაციულ ორგანოში წარადგინოს არასახელმწიფო ენაზე. თუ დაინტერესებული მხარე კანონით დადგენილ ვადაში მოასწრებს განცხადების, შუამდგომლობისა თუ სხვა დოკუმენტის წარმოდგენას თუნდაც არასახელმწიფო ენაზე, მას დოკუმენტის წარსადგენად განსაზღვრული ვადა გაშვებულად არ ჩაეთვლება. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გარანტიაა მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად, რადგანაც მოგ შემთხვევაში, შესაძლოა მხარემ ვერ მოსწროს განცხადების გადათარგმნა სახელმწიფო ენაზე. მაგრამ აღნიშნული არ ათავისუფლებს დაინტერესებულ მხარეს, რომ სათანადო წესით შესრულებული თარგმანი შემდგომში, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამატებით განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინოს.

მუხლი 74. ადმინისტრაციული ქმედუნარიანობა

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ქმედუნარიანობის მიმართ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12-16 მუხლები.

2. ადმინისტრაციული წარმოებისას ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ან მისი ოფიციალური წარმომადგენელი.

1. ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ქმედუნარიან პირებს. კოდექსს არ შემოაქვს ქმედუნარიანობის განსხვავებული გაცემა და მთლიანად ეყრდნობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ ქმედუნარიანობის დებულებებს, კერძოდ, ამ კოდექსის მე-12-16 მუხლებს. თუმცა კოდექსი არ გამორიცხავს, რომ ზოგიერთმა კანონმა შეიძლება დაადგინოს ქმედუნარიანობის განსხვავებული მოთხოვნები. მაგ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო სამსახურში საჯარო მოხელის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან.

2. როგორც ბევრთ უკვე აღვნიშნეთ, ადმინისტრაციულ წარმოებაში ფიზიკური და იურიდიული პირების გვერდით ადმინისტრაციული ორგანოებიც მონაწილეობენ. ისინი ადმინისტრაციულ წარმოებაში უფლებამოსილი პირებით არიან წარმოდგენილი. აუცილებელი არ არის, რომ ამ დროს ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდეს მისი ხელმძღვანელი თანამდებობის პირი. საკმარისია, თუ ადმინისტრაციული ორგანო წარმოდგენილ იქნება იმ პირით, რომელიც პასუხისმგებელია მოცემულ საკითხზე და კანონით ან ამ ადმინისტრაციული ორგანოს აქტით მინიჭებული აქვს იმ საკითხების გადაწყვეტის უფლებამოსილება, რომლის თაობაზეც ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს. მაგ. სატყეო ორგანოს თანამშრომელს უფლება აქვს დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციული სახელის დადებასთან დაკავშირებით და დააჯარიმოს დამრღვევი, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ხელმძღვანელობს შესაბამის სატყეო განყოფილებას.

მუხლი 75. ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე

ამ კოდექსით დადგენილი წესით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს:

- ა) განმცხადებელს;
- ბ) ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე;
- გ) პირს, რომელსაც კანონმდებლობით ენიჭება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება;
- დ) სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;
- ე) დაინტერესებულ მხარეს.

ჩვენ შემთხვევაში უკვე აღვნიშნეთ, თუ ვინ შეიძლება იყოს მხარე ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამ მუხლში კი განვიხილავთ, თუ ვის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში:

ა) უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობს ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. თვით ადმინისტრაციული წარმოება იწყება და მიმდინარეობს ამ ადმინისტრაციულ ორგანოში, გადაწყვეტილება მოცემულ საკითხზე ასევე მან უნდა მიიღოს. ბუნებრივია, ამ ადმინისტრაციული ორგანოს გარეშე ადმინისტრაციული წარმოება ვერ იარსებებს. შეიძლება ითქვას, რომ ის ყოველთვის არის ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე. მაგ. ადმინისტრაციული წარმოება გარემოსდაცვითი ნებართვის გაყვამის შესახებ არ არსებობს შესაბამისი გარემოსდაცვითი ადმინისტრაციული ორგანოს (გარემოს დაცვის სამინისტრო ან მისი სტრუქტურული ქვედანაყოფი) მონაწილეობის გარეშე;

ბ) ადმინისტრაციულ წარმოებაში შეიძლება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილეობდეს სხვა ადმინისტრაციული ორგანო. აქ საუბარი არ არის ადმინისტრაციულ ორგანოზე, რომელიც, როგორც დაინტერესებული მხარე ისე მონაწილეობს ადმინისტრაციულ სამართალურთიერთობებში, არც იმ ადმინისტრაციულ ორგანოზე, რომელმაც უნდა გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი. აქ კოდექსი გულისხმობს იმ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთა თანხმობა, დასვენა ან ნებართვაც აუცილებელია სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაწყვეტილების

მისაღებად. მაგ. „ნარკოტიკული ნივთიერებებისა და პრეკურსორების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის შესაბამისად, ლიცენზიას გასცემს ჯანდაცვის სამინისტრო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, ანუ ამ დროს ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა და თანხმობა აუცილებელია ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად;

გ) ადმინისტრაციული წარმოება ძალზე ხშირად იწყება კერძო პირის განცხადების საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში ეს პირი ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობს, როგორც განმცხადებელი. განმცხადებელი დაინტერესებული მხარეა, რომლის განსაკუთრებული სტატუსი იმითაა განპირობებული, რომ ადმინისტრაციული წარმოება სწორედ მისი მოთხოვნის საფუძველზე იქნა დაწყებული. იგი ადმინისტრაციულ წარმოებაში იგივე უფლებებით სარგებლობს, რითაც ყველა სხვა დანარჩენი დაინტერესებული მხარე, თუმცა მას დამატებით სხვა უფლებებიც გააჩნია, რაც მითითებულია კოდექსის 101-ე მუხლის პირველ ნაწილში. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ განმცხადებელი ყველა სახის ადმინისტრაციულ წარმოებაში არ მონაწილეობს, რადგანაც მთელ რიგ შემთხვევებში ადმინისტრაციული წარმოება იწყება ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივითა და, შესაბამისად, იქ განმცხადებელი საერთოდ არ არსებობს;

დ) ადმინისტრაციულ წარმოებაში შეიძლება იყვნენ პირები, რომელთა სავალდებულო მონაწილეობაც დადგენილია სხვადასხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტებით. ეს შეიძლება იყოს საზოგადოებრივი ექსპერტი, ექსპერტი, მოწმე და ა.შ;

ე) ადმინისტრაციულ წარმოებაში შეიძლება მონაწილეობდეს დაინტერესებული მხარე, ანუ ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს კი არ აქვს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება, არამედ მხოლოდ იმათ, ვისაც გააჩნია უშუალო ინტერესი კონკრეტული საკითხის მიმართ. ამასთან, ძირითადად დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, როგორც წესი, სავალდებულო არ არის. კანონი ძალზე ცოტა შემთხვევებში განსაზღვრავს მათ სავალდებულო მონაწილეობას საქმეში. ამავე დროს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაინტერესებულ მხარედ არამარტო ფიზიკური ან იურიდიული პირი, არამედ აგრეთვე რომელიმე სხვა ადმინისტრაციული ორგანოც შეიძლება მოგვევლინოს.

მუხლი 76. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია:

ა) დაინტერესებული პირის განცხადება;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი.

2. ადმინისტრაციული წარმოება ამ მუხლის პირველი ნაწილის “ა” ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დაიწყება განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან.

1. ადმინისტრაციული აქტები გამოიცემა, როდესაც არსებობს მათი გამოცემის კანონით დადგენილი წინაპირობა და აუცილებლობა. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად არ დაიწყება, თუ გარკვეული წინაპირობა და საფუძველი არ იარსებებს. კოდექსი მუსტად განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ორი წინაპირობა არსებობს:

ა) დაინტერესებული პირის (განმცხადებლის) განცხადება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველია. ხშირ შემთხვევაში მოქალაქეები მიმართავენ ადმინისტრაციულ ორგანოს და მოითხოვენ მათთვის სასურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას (დახმარების გაცემას, ლიცენზიას, ნებართვას, მართვის მოწმობას, რეგისტრაციას და ა.შ.). იმისათვის, რომ პირის განცხადების საფუძველზე დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, პირმა უნდა დაამტკიცოს, რომ მოთხოვნილი ადმინისტრაციული აქტით უშუალოდ მისი უფლება-მოვალეობათა მოცულობა იცვლება. არც შეიძლება სხვა პირთა სასარგებლოდ რაიმე ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნა, რა კეთილშობილური მიზნებიც არ უნდა ამოძრავებდეს ამ დროს პირს;

ბ) რიგ შემთხვევებში კანონმდებლობა აკისრებს ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვალდებულებას მოქალაქის განცხადების არარსებობის შემთხვევაშიც. მაგ. პრეზიდენტის ბრძანებულებით ქონების მართვის სამინისტროს დაევალა სამი თვის განმავლობაში საპრივატიზაციოდ გამოიტანოს სახელმწიფოს კუთვნილი მოგიერთი ობიექტი; საგზაო პოლიციელი ვალდებულია საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის აღმოჩენისას დააღოს ადმინისტრაციული სახდელი მოქალაქეს.

2. თუკი არსებობს ზემოთ მითითებულიდან ერთ-ერთი საფუძველი, ადმინისტრაციული წარმოება უნდა დაიწყოს. თუ ადმინისტრაციული აქტის გამოცემას განმცხადებელი მოითხოვს, კოდექსი ადგენს, რომ ამ დროს ადმინისტრაციული წარმოება უნდა დაიწყოს განცხადების რეგისტრაციის მომენტისთანავე.

კოდექსი რაიმე სპეციალურ ვადას არ ადგენს მეორე შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონისმიერი ვალდებულებაა. ასეთ დროს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ვადა შესაძლოა შესაბამის საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტით იყოს განსაზღვრული. სხვა შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება უნდა დაიწყოს იმ მომენტისთანავე, რა მომენტშიც ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვალდებულება წარმოიშვა. მაგ. ზემომოყვანილ შემთხვევაში, როგორც კი საგზაო ინსპექტორი აღმოაჩენს დარღვევას, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება დამრღვევის დასაჯარიმებლად.

მუხლი 77. განცხადების შეტანა

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, განცხადება შეტანილ უნდა იქნეს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც უფლებამოსილია გადაწყვიტოს განცხადებაში დასმული საკითხი და გამოსცეს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტი.

2. განცხადებისა და მასზე დართული დოკუმენტების თუ სხვა სახის ინფორმაციის წარდგენის წესი, თუკი იგი დადგენილი არ არის კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით, განისაზღვრება შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დებულებით.

1. ყოველი კონკრეტული საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ კანონით უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია. გარდა ამისა, ადმინისტრაციულ ორგანოს განცხადებაში დასმული საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეუძლია. სწორედ ამიტომ მოქალაქემ განცხადება უნდა წარადგინოს შესაბამის კომპეტენტურ ორგანოში. წინააღმდეგ შემთხვევაში არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც განცხადებაა შესული, სურვილიც რომ გააჩნდეს, მოქალაქეს ვერ დაეხმარება. უფლებამოსილი ადმინისტრაციული

ორგანოს ქვეშ იგულისხმება ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც შეუძლია განცხადებაში დასმული საკითხის გადაწყვეტა და ამ საკითხზე ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. მაგ. საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის მოთხოვნით განცხადება წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროში.

2. განცხადება ადმინისტრაციულ ორგანოში განსამღვრული წესების დაცვით უნდა იქნეს წარდგენილი. ამ წესების არსებობა აადვილებს განცხადების განხილვას და ხელს უწყობს მთელი რიგი ისეთი საკითხების გარკვევას, რომლებსაც შემდგომში შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს ადმინისტრაციული წარმოებისას. განცხადების შეტანის ზოგადი წესები დადგენილია ამ კოდექსის 78-ე მუხლით, რომელზეც ქვემოთ გვექნება საუბარი. სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები შეიძლება ადგენდნენ სპეციალურ მოთხოვნებს განცხადების წარდგენისას, მაგრამ შეიძლება ყველა ამ ნორმატიულმა აქტმა ვერ მოიცვას განცხადების შეტანის ყოველი დეტალი. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადებისა და სხვა ინფორმაციის წარდგენის დეტალური წესები თვითონ დაადგინოს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას უფლება აქვს ამ დროს კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნები წაუყენოს მოქალაქეს. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის ამ შემთხვევაში დაადგინოს ისეთი წესები. რომელიც იწვევს ადამიანის უფლებების შემლუღვას.

მუხლი 78. განცხადების შინაარსი

1. განცხადება უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიყავედეს:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს;

გ) მოთხოვნას;

დ) განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

ე) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

2. განცხადებას უნდა დაერთოს ყველა ის საბუთი, რომლის წარდგენის ვალდებულებაც განმცხადებელს კანონით ეკისრება.

3. განმცხადებელს უფლება აქვს წარუდგინოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ყველა სხვა საბუთი, რომელიც შეიძლება საფუძველად დაედოს განმცხადებლის მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირის განცხადება არის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველი. კანონი მოითხოვს, რომ განცხადება გარკვეულ ფორმას უნდა აკმაყოფილებდეს.

უპირველეს ყოვლისა, განცხადება უნდა იყოს წერილობითი. ბეპირი მოთხოვნა არ ჩაითვლება განცხადებად ადმინისტრაციული სამართლის გაგებით და არ გამოიწვევს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას.

ამავე დროს პირის განცხადება უნდა შეიცავდეს აგრეთვე:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განმცხადებლის ვინაობასა და მისამართს, განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;

გ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში (მთელ რიგ შემთხვევებში საერთოდ არ არის აუცილებელი რაიმე დოკუმენტების წარდგენა, მაგ. ადმინისტრაციული ორგანოდან ინფორმაციის გამოთხოვისას).

ყველა განცხადება უნდა შეიცავდეს მოთხოვნას, რის გამოც განმცხადებელი მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს. მოთხოვნაში განმცხადებელმა უნდა ჩამოაყალიბოს იმ ადმინისტრაციული აქტის ან ქმედების შინაარსი, რომლის გამოცემაც ან განხორციელებაც მას სურს. თუ განცხადებაში მოთხოვნა არ არის ჩამოყალიბებული, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია საერთოდ არ დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება და არ გამოსცეს რაიმე ადმინისტრაციული აქტი, აგრეთვე არ განახორციელოს რაიმე ქმედება.

2. კანონი ზოგჯერ მოითხოვს, რომ სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად დაინტერესებულმა მხარემ გარკვეული საბუთები უნდა წარადგინოს. მაგ. "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ" კანონის შესაბამისად, იმისათვის რომ პირი გატარდეს რეგისტრაციაში ახალ საცხოვრებელ ადგილას,

იგი ვალდებულია შესაბამის სახელმწიფო ორგანოში წარადგინოს პირადობის მოწმობა, საცხოვრებელი სადგომის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი ან მესაკუთრის წერილობითი თანხმობა. ამ დოკუმენტების წარდგენის გარეშე პირი რეგისტრაციის არ გატარდება და მას არ მიეცემა რეგისტრაციის მოწმობა. ამ დროს გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ამ დოკუმენტების წარდგენის ვალდებულება მთლიანად განმცხადებელს ეკისრება. დოკუმენტების წარუდგენლობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის თვითონ მოიძიოს ეს დოკუმენტები. მაგრამ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, რომ ამ დოკუმენტების წარდგენის გარეშე მისთვის სასურველი ადმინისტრაციული აქტი არ გამოიყვამა.

3. გარდა სავალდებულოდ წარსადგენი დოკუმენტებისა, განმცხადებელს უფლება აქვს ნებისმიერი სხვა დოკუმენტი წარადგინოს, რომელიც, მისი აზრით, დაეხმარება მისთვის სასურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემაში. ეს შეიძლება იყოს გარკვეული ინფორმაცია, მტკიცებულებები და ა.შ. მაგ. სამშენებლო ფირმა მონაწილეობს სახელმწიფო შესყიდვის ტენდერში. მას შეუძლია საკუთარი უპირატესობის დასადასტურებლად ადმინისტრაციულ ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია ფირმის თაობაზე, ფირმის მიერ წარმატებით განხორციელებულ პროექტებზე და ა.შ.

მუხლი 79. განცხადების რეგისტრაცია

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციაში გაატაროს განცხადება მიღების დღესვე და დასვას მასზე რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განმცხადებლის მოთხოვნისთანავე დაუყოვნებლივ გაუგზავნოს (გადასცეს) მას განცხადების რეგისტრაციაში გატარების დადასტურება.

1. ყველა განცხადება დადგენილი წესით უნდა იქნეს რეგისტრირებული ადმინისტრაციულ ორგანოში. ჯერ ერთი, შესაძლოა განცხადება დაიყარვოს და რეგისტრაცია არის ყველაზე კარგი

გარანტია იმისათვის, რომ შემდგომ განცხადების ადმინისტრაციულ ორგანოში შემოტანის დადასტურება მოხდეს. მეორეც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ათვლა სწორედ განცხადების რეგისტრაციის მომენტიდან იწყება და, აქედან გამომდინარე, ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადაც ამ მომენტიდან აითვლება. განცხადების რეგისტრაციის წესი შეიძლება დადგენილ იქნეს კანონით ან კანონქვემდებარე აქტით. კოდექსი მოითხოვს, რომ რეგისტრაციისას განცხადებას უნდა დაესვას ნომერი და თარიღი.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაატაროს რეგისტრაციაში განცხადება. მას არა აქვს უფლება უარი თქვას განცხადების რეგისტრაციაში გატარებაზე ან დააყოვნოს რეგისტრაცია. ეს ვალდებულება მას იმ შემთხვევაშიც ეკისრება, როდესაც განცხადება არ პასუხობს კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებს, რადგანაც ამ მოთხოვნებთან განცხადების შესაბამისობა რეგისტრაციის სტადიაზე არ მოწმდება.

2. დაინტერესებულ მხარეს სრული უფლება აქვს რეგისტრაციის მომენტიდან ადმინისტრაციული წარმოების ნებისმიერ სტადიაზე მოითხოვოს განცხადების რეგისტრაციაში გატარების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება. მან ეს შეიძლება მიიღოს უშუალოდ ადმინისტრაციულ ორგანოში ან მოითხოვოს ფოსტის მეშვეობით გაგზავნა. აღნიშნული საბუთი დაინტერესებულ მხარეს ააცილებს დავას განცხადების შეტანის ფაქტისა და დროის თაობაზე.

მუხლი 80. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნა

1. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს 5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსათვის განცხადების გადაგზავნისას დაუშვებელია რაიმე მოსაზრების წარდგენა განცხადებაში დასმული საკითხების გადაწყვეტის შესახებ.

3. განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამო-

სილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს.

4. თუ განცხადებაში აღნიშნული საკითხი სასამართლოს განსჯადია ან შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას შესაბამისი დასაბუთებით დაუბრუნებს განმცხადებელს მისი შეტანიდან 5 დღის განმავლობაში.

5. განცხადების წარდგენისათვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა დაკულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ პირმა კანონით დადგენილ ვადაში განცხადება წარადგინა არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. არის შემთხვევები, როდესაც დაინტერესებული მხარე არასაკმარისი ინფორმირებულობის გამო არაუფლებამოსილ ორგანოს მიმართავს მისთვის სასურველი ადმინისტრაციული აქტის გამოსაყვამად თუ ქმედების განსახორციელებლად. თუ ადმინისტრაციული ორგანო გაარკვევს, რომ განცხადებაში დასმული საკითხის გადაჭრა მის უფლებამოსილებაში არ შედის, ის ვალდებულია თვითონ დაადგინოს, თუ რომელი ადმინისტრაციული ორგანოს გამგებლობას განეკუთვნება საკითხის გადაწყვეტა და მას გადაუგზავნოს განცხადება და მასზე თანდართული მასალები. ეს ვალდებულება ადმინისტრაციულ ორგანოებს ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედებამდე არ გააჩნდათ. მისი დაწესების აუცილებლობა იქიდან გამომდინარეობს, რომ სამართლებრივი განათლების დონე მოსახლეობაში ძალიან დაბალია, მათ ხშირად არ იციან, რომელი ორგანოა კომპეტენტური მისთვის საინტერესო საკითხის გადაწყვეტისათვის. ამავდროს ადმინისტრაციული ორგანოები უკეთ ფლობენ ინფორმაციას, თუ ვინ შეიძლება იყოს უფლებამოსილი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ამ ვალდებულების დაყენება იძლევა საკითხის გაჭიანურების თავიდან აცილების შესაძლებლობას. უფლებამოსილების საკითხის გასარკვევად კოდექსი ადმინისტრაციულ ორგანოს ზუსტად უსამღვრავს ვადას, კერძოდ, იგი ვალდებულია 5 დღეში გადაუგზავნოს განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. პრაქტიკაში ძალზე ხშირია შემთხვევები, როდესაც განცხადება სხვა უწყებას ეგზავნებოდა საკმაოდ მოკულობითი ინსტრუქციებით, თუ როგორ უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი. ამ პრაქტიკის გამო, განცხადება ჯერ არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში შეიტანებოდა, რათა მას სასურველი რეზოლუცია დასდებოდა. ადმინისტრაციულმა კოდექსმა ასეთი მითითებების მიცემის უფლება აკრძალა. ბუნებრივია, თუ ადმინისტრაციული ორგანო არაუფლებამოსილია, მას არც მითითებების მიცემა შეუძლია სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის. ამით თავიდან იქნება აცილებული საკითხის გადამწყვეტ ორგანოზე არასასურველი გეგავლენის მოხდენა.

3. განმცხადებელი აუცილებლად უნდა იქნეს საქმის კურსში ჩაყენებული სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის მისი განცხადების გადაცემის თაობაზე. კოდექსის შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანო 2 დღის ვადაში წერილობით ატყობინებს განმცხადებელს ამის შესახებ, რაც დასაბუთებული უნდა იყოს.

4. ზოგჯერ განცხადებით ისეთი საკითხის გადაწყვეტაა მოთხოვნილი, რომ საყანონმდებლო ხარვეზის გამო ძნელი ხდება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა, ან საკითხის გადაწყვეტა არც ერთი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციას არ განეკუთვნება. მაგ. მოქ. კ.-მ განცხადებით მოსთხოვა იუსტიციის სამინისტროს, აეძულებინა მისი ყოფილი მეუღლე, დაბრუნებოდა ყოფილ ოჯახს. ბუნებრივია, ამ საკითხის გადაწყვეტა არც იუსტიციის სამინისტროს და არც რომელიმე სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება. შესაბამისად, პოლიციამ მოქალაქეს განცხადება უკან უნდა დაუბრუნოს შესაბამისი საფუძვლის მითითებით.

ზოგ შემთხვევაში განცხადებაში დასმული საკითხი არის არა ადმინისტრაციული ორგანოს, არამედ სასამართლოს გადასაწყვეტი. მაგ. პირმა შინაგან საქმეთა რაიონულ ორგანოში შეიტანა განცხადება, სადაც მოითხოვდა, რომ პოლიციის აქტით მისი მეზობლისათვის დაეკისრებინათ მორალური ზიანის ანაზღაურება მასზე არასწორი ინფორმაციის გავრცელებისათვის. ეს საკითხი, ბუნებრივია, სასამართლოს განსჯადია და ვერც ერთი ადმინისტრაციული ორგანო მას ვერ განიხილავს. სასამართლოში გადაგზავნის ვალდებულება კი ადმინისტრაციულ ორგანოს არ ეკისრება,

რადგანაც სასამართლოში განცხადების – სარჩელის წარდგენის სხვა წესი არსებობს და დაკავშირებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან. ასეთ შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანო სათანადო დასაბუთებით 5 დღიან ვადაში განცხადებას თანდართული დოკუმენტებით უგზავნის განმცხადებელს.

5. კანონმდებლობა ხშირად დაინტერესებულ მხარეს განუსაზღვრავს ვადას განცხადების წარდგენისათვის. კოდექსი ასეთ შემთხვევაში ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარის უფლებების დაცვის შესაძლებლობას. თუ დაინტერესებული მხარე კანონით დადგენილ ვადაში მოასწრებს განცხადების წარდგენას თუნდაც არაუფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, მას განცხადების წარსადგენად განსაზღვრული ვადა გაშვებულად არ ჩაეთვლება. ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი გარანტიაა მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად. მაგ. საქართველოში მყოფმა უცხოელმა ვიზის გასაგრძელებლად შეცდომით მიმართა იუსტიციის სამინისტროს, მაგრამ იუსტიციის სამინისტროდან საგარეო საქმეთა სამინისტროში დოკუმენტების გადაგზავნამდე კანონით დადგენილი ვადა ამოიწურა. ასეთ შემთხვევაში უცხოელი პასუხს არ აგებს სავიზო რეჯიმის დარღვევისათვის.

მუხლი 81. კანონით გაუთვალისწინებელი მოთხოვნების დაწესების დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს განმცხადებელს წარადგინოს სხვა რაიმე დამატებითი საბუთი ან ინფორმაცია კანონით გათვალისწინებული საბუთის ან ინფორმაციის გარდა.

2. დაუშვებელია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული საფუძველით ადმინისტრაციული წარმოების შეჩერება ან განცხადების განხილვაზე უარის თქმა.

1. იმისათვის, რომ განმცხადებელმა მიაღწიოს მისთვის სასურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. წლების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში არსებობდა პრაქტიკა, რომ კანონით დადგენილი მოთხოვნები შემდგომში განიმარტებოდა და განიერცობოდა თვით ადმინისტრაციული ორგანოს ნორმატიული აქტით. ხშირი იყო შემთხვევები, რომ პარლამენტის მიერ დემოკრატი-

ული და ლიბერალური კანონის მიღების შემდეგ გამოდიოდა შესაბამისი უწყების ინსტრუქტია, რომელიც იმდენ ახალ მოთხოვნას აწესებდა, რომ მთლიანად ცელიდა კანონის არსს. ამას ხშირად კანონის ბუნდოვანებაც უწყობდა ხელს, რომლის მაგალითები დღეს მოქმედ კანონებშიც შემორჩა. (მაგ. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად ბავშვის დაბადების მოწმობის მისაღებად პირმა უნდა წარადგინოს მშობელთა ქორწინების მოწმობა, ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან და აგრეთვე ნებისმიერი სხვა საბუთი, რომლის წარდგენასაც რეგისტრაციის დაწესებულების ხელმძღვანელი ჩათვლის საჭიროდ). ბუნებრივია, ამგვარი ჩანაწერები კანონში ან კანონქვემდებარე აქტში, მით უმეტეს, ქვეყანაში, სადაც კორუფციის მაღალი დონეა, ხელს არ უწყობს კანონიერების დამყარებას. უმეტესწილად, ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებული დისკრეციულ უფლებამოსილებათა დიდი ნაწილი მათი ბოროტად გამოყენების კარგ შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ამის გამო კოდექსი პირდაპირ და მუსტად განსაზღვრავს, რომ, თუ ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად აუცილებელი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება კანონით არ არის განსაზღვრული, ამას თვით ადმინისტრაციული ორგანო ვერ მოითხოვს.

2. შესაბამისად, დაუშვებელია კანონით გაუთვალისწინებელი ინფორმაციის წარუდგენლობის მოტივით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტა ან შეჩერება. არ შეიძლება განცხადების დაყმაყოფილებაზე უარი დაეფუძნოს კანონით გაუთვალისწინებელი საბუთის თუ სხვა ინფორმაციის წარუდგენლობას.

მუხლი 82. კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების წარდგენის წესი

განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დაცვა, თუ სურს ამ ინფორმაციის საიდუმლოების უზრუნველყოფა.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოების

დროს შეიძლება ბევრი ისეთი ინფორმაციაც მოხედეს, რომელიც წარმოადგენს კომერციულ ან პირად საიდუმლოებას. რიგ შემთხვევაში იმისათვის, რომ დაინტერესებულმა მხარემ მიაღწიოს მისთვის სასურველი აქტის გამოცემას, შეიძლება ისეთი ინფორმაციის წარდგენა მოუწიოს, რომელიც მის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას განეკუთვნება. ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში საჯარო დაწესებულებაში დაცული ინფორმაციის ღიაობა პრემუმირებულია, ანუ თუ კანონით დადგენილი წესით ინფორმაცია გასაიდუმლოებას არ ექვემდებარება, იგი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის. თუ მხარე მიიჩნევს, რომ მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია კომერციულ ან პირად საიდუმლოებას შეიცავს, მან აუცილებლად წერილობით უნდა მოსთხოვოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვა. პირის მოთხოვნა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ინფორმაცია აუცილებლად გასაიდუმლოვდება. ამის შემდეგ ამოქმედებას იწყებს კოდექსის 27¹-27², 28-ე და 44-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცედურა და თუ ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტს ამ ინფორმაციისათვის საიდუმლო გრიფის მინიჭებას, ინფორმაცია დახურული იქნება გარეშე პირთათვის.

მუხლი 83. დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. განცხადების განუხილველად დატოვება

1. ადმინისტრაციული ორგანო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ კოდექსის 78-ე მუხლის მოთხოვნებთან.

2. თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტი ან ინფორმაცია.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის დაწესებული ვადა არ შეიძლება იყოს 5 დღეზე ნაკლები. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განმცხადებლის მოთხოვნით მხო-

ლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღით, გააგრძელოს დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენის ვადა.

4. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დამატებითი დოკუმენტის ან სხვა ინფორმაციის წარდგენამდე განცხადების განხილვის ვადის ღირება შეჩერებულად ითვლება.

5. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განხილველად დატოვების შესახებ.

6. განცხადების განხილვის ვადის ღირება განახლდება შესაბამისი საბუთის ან ინფორმაციის წარდგენისთანავე.

ადმინისტრაციული ორგანო განცხადებაში დასმული საკითხის განხილვამდე ვალდებულია შეამოწმოს, თუ რამდენად აკმაყოფილებს განცხადება ფორმალურ მოთხოვნებს, რაც დადგენილია ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით. ამისათვის ადმინისტრაციულ ორგანოს მიცემული აქვს სამდღიანი ვადა. თუ აღმოჩნდება, რომ განცხადების წარდგენისათვის კანონით გათვალისწინებული მოთხოვნები დარღვეულია, ეს ავტომატურად არ ნიშნავს, რომ განცხადების დაკმაყოფილებაზე უარი უნდა ითქვას ან იგი განუხილველად იქნეს დატოვებული. ამ დროს ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განმცხადებელს ბუსტად აუხსნას, თუ რა ხარვეზი აქვს განცხადებას და მისცეს ამ ხარვეზის გამოსწორების ვადა. ეს ვადა არ უნდა იყოს ხუთ დღეზე ნაკლები, რათა განმცხადებელმა შეძლოს შესაბამისი დოკუმენტის მოძიება და ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენა ან სხვა სახის ხარვეზის გამოსწორება. კანონი მაქსიმალურ ვადას არ ადგენს და ეს ვასაგებიცაა. შესაძლოა ზოგიერთი ინფორმაციის წარდგენას დიდი დრო დასჭირდეს, ამასთან, ვადის დადგენით განმცხადებლის უფლება არ ირღვევა, რადგან მას შეუძლია ინფორმაციის დადგენილ ვადამდე წარდგენა. შესაძლოა განმცხადებელი ინფორმაციის წარდგენისათვის დაწესებულ ვადაში ვერ ჩაეტიოს, ამიტომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ამ დროს განმცხადებლის მოთხოვნით ეს ვადა გააგრძელოს კიდევ 15 დღით. ვადის შემდგომი გაგრძელება დაუშვებელია.

ხარვეზის გამოსწორებამდე ადმინისტრაციულ ორგანოში აღ-

მინისტრაციული წარმოება შეჩერებულია და ეს პერიოდი არ ჩაითვლება ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის დადგენილ ვადაში. როგორც კი შესაბამისი დოკუმენტი წარედგინება ადმინისტრაციულ ორგანოს, ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დინება განახლდება.

თუ განმცხადებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ვერ მოახერხებს იმ ინფორმაციის წარდგენას, რომლის წარდგენაც კანონით სავალდებულოა, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუსილველად დატოვების შესახებ. ასეთ შემთხვევაში განცხადება თანდართული მასალებით განმცხადებელს დაუბრუნდება.

მუხლი 84. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადების 78-ე მუხლთან შესაბამისობის დადგენიდან 3 დღის განმავლობაში განცხადების და მასზე დართული დოკუმენტების ასლი გაუგზავნოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოს ან საზოგადოებრივ ექსპერტს, რომელსაც კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლება.

2. თუ კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ან/და საზოგადოებრივი ექსპერტი დასკვნას წარადგენს ორი კვირის ვადაში.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, განსაზღვრულ ვადაში ადმინისტრაციული ორგანოს ან/და საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარუდგენლობა ან უარყოფითი დასკვნის წარდგენა არ დააბრკოლებს განცხადების განხილვას და მასში დასმული საკითხების გადაწყვეტას.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. ხშირად ადმინისტრაციული აქტის გამოცემა სცილდება ერთი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას ან უფრო სრულყოფილი გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია დასკვნა სხვა ადმინისტრაციული ორგანოსგან ან საზოგადოებრივი ექსპერტისაგან. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო, მას

შემდეგ რაც წარმოებაში მიიღებს განცხადებას, ვალდებულია განცხადებისა და თანდართული ყველა დოკუმენტის ასლი გადაუგზავნოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ან სამოგადოებრივ ექსპერტს. ეს აუცილებელია იმისათვის, რათა სამოგადოებრივმა ექსპერტმა/ადმინისტრაციულმა ორგანომ შეძლოს საქმის ყველა მასალის გაეცნობა სრულყოფილი დასკვნის წარმოსადგენად თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში სხვა ფორმით სრულფასოვნად მონაწილეობის მიღება. თუ ადმინისტრაციულ ორგანოში დამატებით წარდგენილ იქნა რაიმე დოკუმენტი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ეს ინფორმაცია გადაუგზავნოს შესაბამის ექსპერტს/ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციული ორგანოსათვის დოკუმენტების გადაგზავნის ვადები შეზღუდულია და განისაზღვრება მაქსიმუმ სამი დღით.

2. თავის მხრივ, სრულყოფილი დასკვნის მისაქემად შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს (სამოგადოებრივ ექსპერტს) სჭირდება საკმარისი დრო ადმინისტრაციული აქტის გამოსაქემად. კოდექსი ამ შემთხვევაში აწესებს 2 კვირიან ვადას დასკვნის წარმოსადგენად. თუმცა კანონით ან კანონქვემდებარე აქტით შესაძლებელია სხვა ვადაც იქნეს დადგენილი. დასკვნის წარმოსადგენად ვადის განსაზღვრა აუცილებელია, რადგანაც ვადა თვით ადმინისტრაციული აქტის გამოცემისთვისაა დადგენილი და ადმინისტრაციული აქტის გამოცემა რომ არ დაბრკოლდეს, დასკვნა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით რაც შეიძლება დროულად უნდა იქნეს წარდგენილი. ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე გარკვეული პერიოდით ადრე დასკვნის წარმოდგენა ადმინისტრაციულ ორგანოს მისცემს შესაძლებლობას გაითვალისწინოს იგი გადაწყვეტილების მიღებისას.

3. კოდექსი ადგენს ზოგად წესს, რომ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან სამოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარუდგენლობა არ აბრკოლებს გადაწყვეტილების მიღებას. ადმინისტრაციულ ორგანოს მაშინაც აქვს უფლება მიიღოს გადაწყვეტილება, თუ უარყოფითი დასკვნაა წარმოდგენილი. არის შემთხვევები, როდესაც კანონი პირდაპირ სავალდებულო დასკვნას ითვალისწინებს. ასეთ დროს, განცხადებაში დასმული საკითხის გადაწყვეტა დადებითად შეუძლებელია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს (სამოგადოებრივი ექსპერტის) დადებითი დასკვნის გარეშე.

მით უფრო მაშინ, როდესაც კანონში პირდაპირ მითითებულია, რომ ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას იღებს სხვა სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებით.

მუხლი 85. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართლებრივი დახმარების გაწევის მოვალეობა

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ.

ადმინისტრაციული წარმოება უამრავ ფორმალობასა და პროცედურას ემყარება. იმ დაინტერესებულ მხარეთა უმეტესობას, რომელთაც შეხება აქვთ ადმინისტრაციულ წარმოებასთან, არ გააჩნიათ სათანადო სამართლებრივი ცოდნა. მათი უმრავლესობა არ არის იურისტი, მოგიერთი მათგანი კი საერთოდ პირველად ხვდება იმ ფორმალობებს, რაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის არის დადგენილი. სწორედ ამიტომ ბევრ მათგანს საერთოდ უჭირს საკითხის არსში გარკვევა, აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მათ მუსტად არ იციან საკუთარი უფლება-მოვალეობები ადმინისტრაციულ წარმოებაში. არადა, ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოცემულმა ადმინისტრაციულმა აქტმა მნიშვნელოვნად შეიძლება შემლუდოს მათი უფლებები ან მათ შეიძლება დაუსაბუთებლად ეთქვათ უარი გარკვეული კანონიერი სარგებლის მიღებაზე. სწორედ ამიტომ კოდექსი ადმინისტრაციულ ორგანოებს ავალდებულებს აღმოუჩინონ სამართლებრივი დახმარება დაინტერესებულ მხარეებს. ადმინისტრაციული ორგანოს მოხელეები ყველაზე უკეთ არიან გარკვეული ამ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე წარმოების დეტალებში და შეუძლიათ მათ შესახებ დაინტერესებული მხარის ინფორმირება. კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო მოვალეა განუმარტოს დაინტერესებულ მხარეს განხილვის მსვლელობაში მისი უფლებების და მოვალეობის თაობაზე (რა სახის მოქმედებების განხორციელების უფლება აქვს მხარეს, რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს მან, რათა

მისთვის სასურველი გადაწყვეტილება იქნეს მიღებული, რა შუამდგომლობები შეუძლია წარადგინოს და რა ვადაში, რა ინფორმაცია უნდა იქნეს წარდგენილი და ა.შ.). ასევე დეტალურად აუხსნას განხილვის წესი (ადმინისტრაციული წარმოების რა სახე გამოიყენება, უშუალოდ ვინ ხელმძღვანელობს ადმინისტრაციულ წარმოებას, რამდენი სტადიისაგან შედგება განხილვა, რა ვადაში უნდა იქნეს გამოტანილი გადაწყვეტილება და ა.შ.). ადმინისტრაციული ორგანო ასევე ვალდებულია ზუსტად აუხსნას მხარეს, რა მოთხოვნებს უნდა პასუხობდეს მისი განცხადება ან საჩივარი. მაგ. როდესაც საწარმო წარადგენს მის შესახებ პოტენციურად კომერციული საიდუმლოების შემცველ რაიმე ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი თანამდებობის პირი ვალდებულია განუმარტოს ინფორმაციის წარმდგენს, რომ მას შეუძლია მოითხოვოს ამ ინფორმაციისათვის კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭება.

მუხლი 86. წარმომადგენლობის უფლება

1. ყველას აქვს უფლება აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით, აგრეთვე ისარგებლოს დამცველის დახმარებით.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წარმომადგენელს მოსთხოვოს მისი წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი.

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის მოსთხოვოს დაინტერესებულ მხარეს წარმომადგენლის მეშვეობით აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა.

1. როდესაც მოქალაქე ურთიერთობას აწარმოებს ადმინისტრაციულ ორგანოსთან, ადმინისტრაციული ორგანო გარკვეულწილად უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება. არა მარტო იმიტომ, რომ მას აქვს საჯარო ძალაუფლება და იძულების ღონისძიების გამოყენების უფლება, არამედ იმიტომაც, რომ მას მეტი სამართლებრივი ცოდნა გააჩნია. სახელმწიფო მოხელე ფლობს უფრო მეტ ინფორმაციას, აქვს შესაბამისი განათლება საკითხის გადასაწყვეტად და პროფესიული გამოცდილება, ვიდრე მოქალაქეს, რომელიც კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს. შე-

საძლებელია მოქალაქემ საერთოდ არ იცოდეს ის საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს ამ ურთიერთობის მოწესრიგებისას, მუსტად არ იცოდეს თავისი უფლება-მოვალეობების მოცულობა და ეს მას არც მოეთხოვება. სწორედ იმისათვის, რომ გარყვეულწილად შემცირდეს მხარეთა ეს არათანასწორი დამოცილებულება, კოდექსი დაინტერესებულ მხარეს უფლებას აძლევს იყოლიოს წარმომადგენელი ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მისაღებად. მოქალაქეს უფლება მიეცა ისარგებლოს მოცემული საკითხის კარგად მცოდნე პირის დახმარებით და წარმოდგენილი იყოს ამ პირით ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობისას. კანონი ითვალისწინებს დამცველის მონაწილეობას დაინტერესებული მხარის სახელით ადმინისტრაციულ წარმოებაში, მაგრამ სავალდებულო არ არის, რომ წარმომადგენელი მაინცდამაინც ადვოკატი იყოს. შესაძლებელია დაინტერესებულმა მხარემ წარმომადგენლად დაასახელოს ნებისმიერი პირი, რომელსაც ენდობა ან დარწმუნებულია, რომ ეს პირი უკეთ შეძლებს მისი ინტერესების დაცვას (ოჯახის წევრი, მეგობარი და ა.შ). დაუშვებელია ადმინისტრაციულმა ორგანომ მოსთხოვოს დაინტერესებულ მხარეს თავის წარმომადგენლად დანიშნოს მხოლოდ სათანადო განათლების მქონე პირი (იურისტი, ექიმი, და ა.შ), რომელსაც გააჩნია ცოდნა და გამოცდილება მოცემული საკითხის გადასაწყვეტად (მაგ. როდესაც პირს სურს მშენებლობის ნებართვის მიღება, შესაბამისი სასელმწიფო უწყება ვერ აიძულებს პირს თავის წარმომადგენლად მაინცდამაინც მშენებელი დანიშნოს). რა თქმა უნდა, სასურველია, თუ დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს ექნება შესაბამისი ცოდნა, რაც დაეხმარება მხარის ინტერესების უკეთ დაცვაში, მაგრამ ამის იძულება დაუშვებელია. მით უმეტეს, როდესაც წარმომადგენლის ყოლა გარყვეულ ხარჯებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული.

2. იმისათვის, რომ ადმინისტრაციული ორგანო დარწმუნდეს რწმუნების ნამდვილობაში, მხარის წარმომადგენელი ვალდებულია წარადგინოს წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი. აქ საუბარია რწმუნების დოკუმენტის წარდგენაზე ადმინისტრაციულ ორგანოში. თუ დაინტერესებული მხარე იურიდიული პირია, რწმუნება დადასტურებულ უნდა იქნეს ამ იურიდიული

პირის ხელმძღვანელის ხელმოწერით. რაც შეეხება ფიზიკურ პირს, მის მიერ გაცემული რწმუნება საჭიროებს ნოტარიულ დადასტურებას. თუმცა, შესაძლებელია, რწმუნება დაადასტუროს იმ ორგანომ, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, თუკი მარწმუნებელი და წარმომადგენელი ერთდროულად გამოცხადდებიან ადმინისტრაციულ ორგანოში და იქ გამოხატავენ თავიანთ ნებას. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაადასტუროს რწმუნება, თუ მარწმუნებელი წარმომადგენელთან ერთად პირადად გამოცხადდება ადმინისტრაციულ ორგანოში და თავის რწმუნებაში მიუთითებს იმ ინფორმაციას, რომელიც წარმომადგენლის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა.

3. უნდა აღინიშნოს, რომ წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში სავალდებულო არ არის და იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც მოქალაქის უფლება და არა მოვალეობა. დაინტერესებული მხარე თვითონ წყვეტს, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას მიიღებს წარმომადგენლის მეშვეობით თუ პირადად. ადმინისტრაციული ორგანო ვერ დაავალდებულებს მხარეს დანიშნოს წარმომადგენელი ადმინისტრაციული წარმოებისას, რაოდენ სასურველიც არ უნდა იყოს წარმომადგენლის მონაწილეობა. თუმცა არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში აუცილებელია. წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობის რამდენიმე შემთხვევაზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ამ კოდექსის გარდა სხვა საკანონმდებლო აქტითაც შესაძლებელია წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობის დადგენა, თუმცა ამჟამად არც ერთი საკანონმდებლო აქტი ამას არ განსაზღვრავს. კოდექსი ამავე დროს კრძალავს იმის შესაძლებლობას, რომ წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობა ადმინისტრაციული წარმოებისას დადგინდეს კანონქვემდებარე აქტით.

უნდა აღინიშნოს, რომ დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციული წარმოების ნებისმიერ ეტაპზე უფლება აქვს დანიშნოს ან შეცვალოს წარმომადგენელი.

დაბოლოს, დაეძინო, რომ ადმინისტრაციული კოდექსი არ მღუდავს დაინტერესებულ მხარეს იმაში, რომ ერთზე მეტი წარმომადგენელი იყოლიოს, რომლებიც ერთდროულად წარმოად-

გენენ მას ადმინისტრაციულ პროცესში. ასევე შესაძლებელია, რომ დაინტერესებული მხარე წარმოდგენილ იქნეს სხვადასხვა პირით ადმინისტრაციული წარმოების სხვადასხვა ეტაპზე.

მუხლი 87. წარმომადგენელი ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. თუ განმცხადებელმა ან სხვა დაინტერესებულმა მხარემ და-ნიშნა წარმომადგენელი, ადმინისტრაციული ორგანო დაინტერესებუ-ლი მხარისათვის განკუთვნილ ყველა დოკუმენტს მას უგზავნის.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრ-აციული ორგანო ადმინისტრაციული წარმოების ყველა საკითხზე მიმართავს წარმომადგენელს.

3. დაინტერესებული მხარე, რომელიც წარმოდგენილია სხვა პირით, უფლებამოსილია დაესწროს ყველა ზეპირ მოსმენას.

1. წარმომადგენლის დანიშნვა ადმინისტრაციულ წარმოებაში ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მხარესთან ურთიერთობა აწარმოოს მხოლოდ წარმომადგენლის მეშვეობით, ანუ უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული აღარ არის უშუალოდ დაინტერესებულ მხარესთან ჰქონდეს საქმე. ადმინისტრაციული ორგანო წარმომად-გენელს უგზავნის დაინტერესებული მხარისათვის განკუთვნილ დოკუმენტებს, აცნობებს მას ადმინისტრაციული წარმოების ეტა-პების, ზეპირი მოსმენის ჩატარების თაობაზე. ამავე დროს, ად-მინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის ყველა შემთხვევაში ჩამოთვლილი დოკუმენტი თუ ინფორმაცია ასევე მიაწოდოს და-ინტერესებულ მხარეს.

2. ყველა საკითხი, რომელიც წამოიჭრება ადმინისტრაციული წარმოებისას, ასევე უნდა გადაწყდეს წარმომადგენლის მეშვეობით. ამ შემთხვევაშიც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის დაინტერესებულ მხარეს სთხოვოს საკუთარი მოსამრებების წარდგენა, ან დაელოდოს დაინტერესებული მხარის რაიმე ქმე-დებას. ყველა ამ შემთხვევაში წარმომადგენელი ითვლება იმ უფლებამოსილ პირად, ვისაც უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება დაინტერესებული მხარის სახელით.

3. შემოთქმული არ ნიშნავს, რომ დაინტერესებული მხარე, რომელსაც ჰყავს წარმომადგენელი მთლიანად გამოთიშულია

ადმინისტრაციული წარმოებიდან. კოდექსი ადგენს, რომ რიგ შემთხვევებში კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს დაინტერესებული მხარის მიერ გარკვეული საკითხების უშუალოდ გადაწყვეტას. მაგ. „მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ადგენს, რომ 14 წლის ზემოთ ბავშვის მოქალაქეობის შეცვლისას უშუალოდ ბავშვის თანხმობაა აუცილებელი. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობაში ბავშვი წარმოდგენილია მშობლით, კანონი მაინც მოითხოვს ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბავშვის უშუალო მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში.

მიუხედავად იმისა, რომ დაინტერესებულ მხარეს წარმომადგენელი ჰყავს ადმინისტრაციულ წარმოებაში, მას მაინც აქვს უფლება უშუალოდ გაეცნოს საქმის მასალებს, დაესწროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამართულ ზეპირ მოსმენას. ადმინისტრაციული ორგანო ვერ დაუწესებს დაინტერესებულ მხარეს რაიმე შეზღუდვას ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის თვალსაზრისით იმ მოტივით, რომ იგი მოცემულ ადმინისტრაციულ წარმოებაში წარმოდგენილია სხვა პირით.

მუხლი 88. წარმომადგენლის დანიშვნის სავალდებულობა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე, რომელსაც არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი საქართველოში ან რეგისტრირებულია მისამართის მითითების გარეშე, ვალდებულია ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნიდან 3 დღის ვადაში დანიშნოს წარმომადგენლად საქართველოში განსაზღვრულ მისამართზე რეგისტრირებული ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გაეგზავნება მისთვის განკუთვნილი ყველა საბუთი.

2. თუ პირი არ შეასრულებს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ მოთხოვნას, ადმინისტრაციულ ორგანოს ეხსნება პასუხისმგებლობა დოკუმენტის გაუგზავნელობისათვის და ეს არ შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

1. ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კანონით შეიძლება დაწესდეს ადმინისტრაციული წარმოებისას წარმომადგენლის

სავალდებულო მონაწილეობა. ასეთი მოთხოვნის დაწესება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი გახდება ადმინისტრაციული აქტის გამოცემა კანონის ყველა მოთხოვნის დაკვეთით. ამის საუკეთესო მაგალითია ამ მუხლში მითითებული შემთხვევა, როდესაც დაინტერესებულ მხარეს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. კოდექსი მოითხოვს, რომ დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაეგზავნოს გარკვეული დოკუმენტები, იგი მოწვეულ უნდა იქნეს გეპირ სხდომაზე. კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული აქტი არ შედის ძალაში დაინტერესებული მხარის მიერ მის გაცნობამდე.

იმ შემთხვევაში, როდესაც დაინტერესებულ მხარეს არ გააჩნია მუდმივი საცხოვრებელი, წარმოუდგენელია, თუ როგორ მოხდება მასთან დაკავშირება. სწორედ ამიტომ კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო მიმართავს დაინტერესებულ მხარეს განსაზღვროს პირი, რომელსაც გაეგზავნება დაინტერესებული მხარისათვის განკუთვნილი ყველა დოკუმენტი. ამ დროს აუცილებელია, რომ წარმომადგენელს ჰქონდეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ანუ ცხოვრობდეს განსაზღვრულ მისამართზე. „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ“ საქართველოს კანონი იძლევა შესაძლებლობას, პირი რეგისტრირებულ იქნეს მისამართის მითითების გარეშე. ასეთ შემთხვევაში, თუნდაც პირი მუდმივად ცხოვრობდეს საქართველოში, მასთან დაკავშირება საკმაოდ პრობლემური იქნება ადმინისტრაციული ორგანოსათვის. სწორედ ამიტომ კოდექსის ეს მუხლი მოითხოვს, რომ პირმა თავის წარმომადგენლად უნდა დანიშნოს მხოლოდ ის პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოში. ამავე დროს არ არის აუცილებელი, რომ ის მაინცაღამაინც საქართველოს მოქალაქე იყოს.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ამ მუხლში ცნებების აღრევასთან გვაქვს საქმე. მიუხედავად იმისა, რომ მუხლში გამოყენებულია ცნება “წარმომადგენელი”, საუბარია არა იმდენად წარმომადგენლის დანიშვნაზე, რამდენადაც იმ პირის მითითებაზე, რომელსაც უნდა გაეგზავნოს ოფიციალური კორესპოდენცია. ამ პირს უფლება არა აქვს სპეციალური რწმუნების გარეშე მონა-

წილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სახელით. თუ დაინტერესებულ მხარეს სურს ამ პირმა მისი სახელით მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, მაშინ მან უნდა გასცეს რწმუნება წარმომადგენლობაზე.

2. კოდექსი არ ითვალისწინებს იძულებით ზომებს დაინტერესებული მხარის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ იგი არ განსაზღვრავს პირს კორესპოდენციის მისაღებად. ადმინისტრაციული ორგანო ამ დროს უფლებამოსილი არ არის საკუთარი ინიციატივით დანიშნოს პირი, რომელსაც გაეგზავნება დოკუმენტები. ამ შემთხვევაში გარკვეულად შეიძლება დაზიანდეს დაინტერესებული მხარის ინტერესები, რადგანაც ადმინისტრაციული ორგანო ქასუხისმგებლობას არ კისრულობს, თუკი დაინტერესებული მხარე ვერ მიიღებს იმ დოკუმენტებს, რომლებიც კანონის შესაბამისად მხარეს უნდა გაეგზავნოს ადმინისტრაციული წარმოების დროს. რა თქმა უნდა, ამ დროს დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს ამ დოკუმენტებს გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს დაინტერესებული მხარე ამ დოკუმენტებით. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის გაუგზავნოს დაინტერესებულ მხარეს დოკუმენტები, რადგანაც მისთვის ცნობილი არ არის მისი საცხოვრებელი ადგილი. თუ ჩვეულებრივ სიტუაციაში დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება იმ საფუძველით, რომ მას არ მიუღია გარკვეული დოკუმენტები (მაგ. თუ ვერ მიიღო უწყება ზეპირ მოსმენაზე დასასწრებად, რის გამოც მას შესაძლებლობა არ მიეცა წარედგინა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება), მას უფლება აქვს მოითხოვოს შესაბამისი ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება. თუ დაინტერესებული მხარე არ შეასრულებს ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნას კორესპოდენციის ადრესატის განსაზღვრის თაობაზე, გემოხსენებული მოტივით ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისას მას უარი ეთქმება საჩივრის (სარჩელის) დაკმაყოფილებაზე. თუმცა ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისას საჩივრის (სარჩელის) დაკმაყოფილების შესაძლებლობა არსებობს, თუკი პირი არ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაფრთხილებული წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ.

მუხლი 89. წარმომადგენლის სავალდებულო დანიშვნა განმცხადებლის მიერ

1. თუ განცხადება წარადგინა 25-ზე მეტმა პირმა, განცხადებაზე ხელმომწერი პირები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში ნიშნავენ ერთ წარმომადგენელს, რომელიც უფლებამოსილია აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან.

2. წარმომადგენლად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

3. წარმომადგენლის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებაზე უარის თქმის შემთხვევაში განმცხადებლებს ადმინისტრაციული ორგანო აძლევს ვადას ახალი წარმომადგენლის დასანიშნად.

1. ადმინისტრაციული წარმოებისას ადმინისტრაციულ ორგანოს მთელი რიგი ვალდებულებები გააჩნია, რათა უზრუნველყოს ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას (მოიწვიოს ყველა დაინტერესებული მხარე გეპირ მოსმენაზე, გადასცეს მას წარმოების მასალები, მისცეს ვადა საკუთარი მოსაზრებების წარსადგენად). ხშირად დაინტერესებულ მხარეთა მრავალრიცხოვნობის გამო შეუძლებელი ხდება ადმინისტრაციული წარმოება ყველა მათგანის მონაწილეობით. თუ რამდენიმე დაინტერესებული მხარის მოთხოვნა აბსოლუტურად იდენტურია, მაშინ საერთოდ არარაციონალური ხდება ყველა მათგანის ჩაბმა ადმინისტრაციულ წარმოებაში. მაგ. თუ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ყველა ბინადარმა შეიტანა ქალაქის მერიამში განცხადება საცხოვრებელი სახლის ირგვლივ პარკის შექმნის მოთხოვნით, ამ დროს ყველა ბინადარის მოთხოვნა და მიზანი ერთმანეთისას ემთხვევა. ამიტომაც აუცილებელი არ არის, რომ ყველა ბინადარმა მიიღოს მონაწილეობა საკითხის გადაწყვეტაში. მით უმეტეს, როდესაც ეს საკმაოდ აძვირებს ადმინისტრაციულ წარმოებას და იწვევს მის გაჭიანურებას.

სწორედ ამიტომ კოდექსი ითვალისწინებს, რომ, თუ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის (გაუქმების) ან რაიმე ქმედების განხორციელების მოთხოვნით ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადება 25-ზე მეტმა პირმა წარადგინა, მაშინ ისინი ვალდებული

არიან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაში დანიშნონ წარმომადგენელი, რომელსაც ექნება ყველა დაინტერესებული მხარის სახელით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლებამოსილება.

წარმომადგენლობის უფლება უნდა მიენიჭოს მხოლოდ ერთ პირს, რომელსაც ირჩევენ მხოლოდ დაინტერესებული მხარეები.

2. ამავე დროს კოდექსი მოითხოვს, რომ წარმომადგენლად დაინტერესებულმა მხარეებმა დანიშნონ მხოლოდ ფიზიკური პირი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ადმინისტრაციულ წარმოებაში მხოლოდ ფიზიკურ პირს შეუძლია წარმომადგენლობა, თავის მხრივ, ყველა იურიდიული პირიც ფიზიკური პირით არის წარმოდგენილი.

3. შესაძლებელია წარმომადგენელმა ადმინისტრაციული წარმოების მიმდინარეობისას ველარ შეძლოს წარმომადგენლის მოვალეობის შესრულება სხვადასხვა მიზეზების გამო (ავადმყოფობა, ინტერესთა შეუთავსებლობა, მივლინება სხვა დასახლებულ პუნქტში და ა.შ). ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეებს უნდა მიეყეს განსაზღვრული დრო ახალი წარმომადგენლის დასანიშნად. ამ ვადას განსაზღვრავს ადმინისტრაციული ორგანო იმგვარად, რომ იგი საკმარისი იყოს დაინტერესებული მხარეებისათვის ახალი წარმომადგენლის შესარჩევად.

მუხლი 90. წარმომადგენლის დანიშვნა ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიმართოს სასამართლოს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარისათვის წარმომადგენლის დანიშვნის მოთხოვნით, თუ წარმომადგენლის მონაწილეობა პროცესში საგადასმელად და დაინტერესებულმა მხარემ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში არ დანიშნა იგი.

2. თუ ამ კოდექსის 89-ე მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული პირები არ დანიშნავენ წარმომადგენელს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში, მათ წარმომადგენლად ჩაითვლება განცხადებაზე პირველი ხელმომწერი პირი.

1. ზოგიერთ შემთხვევაში კანონი შეიძლება ითვალისწინებდეს

წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განუსაზღვროს მხარეს ვადა წარმომადგენლის დასანიშნად. თუ დაინტერესებული მხარე არ დანიშნავს წარმომადგენელს ადმინისტრაციულ წარმოებაში, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო, კოდექსის მიხედვით, ვალდებულია მიმართოს სასამართლოს დაინტერესებული მხარისათვის წარმომადგენლის დანიშვნის მოთხოვნით. კანონმა, როგორც ვხედავთ, წარმომადგენლის დანიშვნის უფლებამოსილება მიანიჭა სასამართლოს და არა საკუთრივ ადმინისტრაციულ ორგანოს. ეს განპირობებულია იმ ვარაუდებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო თვითონ არის მხარე ადმინისტრაციულ წარმოებაში და შეიძლება მეორე მხარისათვის წარმომადგენლის დანიშვნისას გარკვეული დაინტერესება გაუჩნდეს. სასამართლოს მიერ წარმომადგენლის დანიშვნა უფრო მეტ გარანტიებს ქმნის დაინტერესებული მხარისათვის, რადგან ეს გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოსათვის სასურველი პირის დანიშვნას წარმომადგენლად.

უნდა აღინიშნოს, რომ დღესდღეობით არ არსებობს რაიმე სპეციალური კანონი, რომელიც ითვალისწინებს წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში. სამოქალაქო კოდექსი მოითხოვს, რომ ყველა ქმედუნარო პირი წარმოდგენილი უნდა იყოს სხვა ქმედუნარიანი პირით სამართლებრივ ურთიერთობებში, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. კანონის ზოგადი მოთხოვნაა, რომ ნებისმიერ ქმედუნარო პირს უნდა გააჩნდეს მუდმივი წარმომადგენელი. ამიტომაც ადმინისტრაციულ ორგანოში ქმედუნარო პირს სწორედ ეს წარმომადგენელი წარმოადგენს და საჭირო არ არის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა კონკრეტულად მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობას არც ეს კოდექსი მოითხოვს, თუ არ ჩავთვლით 88-ე მუხლით გათვალისწინებულ დებულებას. თუმცა, არც ამ მუხლიდან გამომდინარეობს ცალსახად წარმომადგენლის სავალდებულო მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში. ჯერ ერთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მუხლში მითითებული ინსტიტუტი, მიუხედავად სახელის იდენტურობისა, შინაარსით განსხვავდება წარმომადგენლობისაგან. მეო-

რეც, ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ცალსახად უშვებს წარმომადგენლის გარეშე ადმინისტრაციულ წარმოებას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სრულიად საფუძვლიანად პასუხისმგებლობის ტვირთი დაინტერესებული მხარისკენ გადააქვს. ცხადია, როდესაც კოდექსი აღნიშნულ შემთხვევაში უშვებს წარმომადგენლის გარეშე ადმინისტრაციულ წარმოებას, წარმომადგენლის სავალდებულო დანიშვნაზე უკვე აღარ უნდა იყოს საუბარი, მით უმეტეს, სასამართლოსათვის სავალდებულო მიმართვაზე. თუ ეს მუხლი ისე იქნება გაგებული, რომ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სასამართლოს მიმართოს წარმომადგენლის დანიშვნის მოთხოვნით, მაშინ 88-ე მუხლის მე-2 ნაწილს სრულიად დაეკარგება აზრი. რაც, ჩვენი აზრით, არასწორი იქნებოდა.

შესაბამისად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ მომავალში კოდექსში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილებები, რომლებიც 88-ე მუხლში არსებულ ხარვეზს გამოასწორებს და გარკვეულ გაუგებრობასაც აგვაცილებს თავიდან.

2. 89-ე მუხლში ჩვენ ვისაუბრეთ კოდექსის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, თუ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი 25-ს აღემატება, მათ უნდა დანიშნონ წარმომადგენელი. ეს წარმომადგენელი შეიძლება იყოს როგორც განცხადებაზე ხელმომწერი ერთ-ერთი დაინტერესებული მხარე, ისე ნებისმიერი სხვა ქმედუნარიანი ფიზიკური პირი. შესაძლებელია ისეც მოხდეს, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა ვერ მიაღწიონ შეთანხმებას წარმომადგენლის დანიშვნის საკითხთან დაკავშირებით ან მათ საერთოდ არ განიხილონ წარმომადგენლის დანიშვნის საკითხი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში. ასეთი შემთხვევისათვის კოდექსი ადგენს, რომ დაინტერესებული მხარის წარმომადგენლად ჩაითვლება განცხადებაზე პირველი ხელმომწერი პირი, ანუ ამ შემთხვევაში წარმომადგენლობის საკითხის გადაწყვეტა ხდება ავტომატურად, ყოველგვარი სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე. თუ აღმოჩნდება, რომ პირველი განმცხადებელი არის იურიდიული პირი, დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლად ჩაითვლება განმცხადებელი იურიდიული პირის ის თანამდებობის პირი (წარმომადგენელი), რომელსაც ხელი აქვს მოწერილი განცხადებაზე. თუ განცხადებაზე ხელმომწერი პირი წერილობით იტყვის უარს წარმომადგენლობაზე, წარმომადგენლობის უფლება-

მოსილება ავტომატურად გადავა სიაში შემდეგ პირზე. ანუ ამ ნაწილში საერთოდ არ არის საუბარი სასამართლოს მიერ წარმომადგენლის დანიშვნაზე. ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია საფუძველი, რათა მიმართოს სასამართლოს წარმომადგენლის დანიშვნის მოთხოვნით.

უნდა აღინიშნოს, რომ მე-2 ნაწილის მოთავსება ამ მუხლში შეცდომაა, და უმჯობესი იქნებოდა, თუ იგი 89-ე მუხლის მე-4 ნაწილად ჩამოკალიბდებოდა.

მუხლი 91. ადმინისტრაციული წარმოების ხარჯების ანაზღაურება

ყოველი მხარე თვითონ აანაზღაურებს ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ, მის მიერ, მისივე ინიციატივით ან მის სასარგებლოდ გაწეულ ხარჯებს.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუს. 8)

წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში გარკვეულ ხარჯებთან არის დაკავშირებული. იმისათვის, რომ წარმომადგენელმა წარმოადგინოს დაინტერესებული მხარე, მას წარმოემუშება ხარჯები (მაგ: ადმინისტრაციულ ორგანოში მისვლისთვის, ექსპერტიზის ჩასატარებლად, წარმოებასთან დაკავშირებული მასალების ასლის გადაღებისთვის, მტკიცებულებების შეგროვებისა და ა.შ.). მას შეიძლება აგრეთვე მიეცეს გასამრჯელო გაწეული მუშაობისათვის.

თუ ადმინისტრაციულმა ორგანომ დანიშნა თავისი წარმომადგენელი ადმინისტრაციულ წარმოებაში, მაშინ წარმომადგენლობასთან დაკავშირებულ ხარჯებს აანაზღაურებს ადმინისტრაციული ორგანო. ადმინისტრაციული ორგანო ანაზღაურებს მოცემულ ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ ყველა გაწეულ დანახარჯს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დანახარჯი გაწეულია გონივრულ ფარგლებში. თუ წარმომადგენლობის განხორციელებისათვის პირს მოუხდა გადაადგილება ერთი საცხოვრებელი ადგილიდან მეორეში და იქ ღამის გათევა, რა თქმა უნდა, ადმინისტრაციული ორგანო არ იქნება ვალდებული აანაზღაუროს წარმომადგენლის ცხოვრება ფემენებელურ სასტუმროში, სადილები ფემენებელურ რესტორნებში და ტაქსებით გადაადგილების

ხარჯები. წარმომადგენელი ასევე უფლებამოსილია მოითხოვოს გასამრჯელო, რომლის თანხაც დგინდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

რაც შეეხება დაინტერესებული მხარის მიერ დანიშნული წარმომადგენლის ხარჯების ანაზღაურებას, მასზე პასუხისმგებელია თვით მხარე. თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დანიშნული წარმომადგენელი ყოველთვის მიიღებს გასამრჯელოს, მხარის მიერ დანიშნული წარმომადგენლის მიერ გასამრჯელოს მიღების საკითხი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. შესაძლებელია წარმომადგენელმა თავისი მოვალეობა შეასრულოს ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

მუხლი 92. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს ის თანამდებობის პირი, რომელიც:

- ა) თვითონ არის დაინტერესებული მხარე საქმეში;
- ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავია;
- გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია;
- დ) იყო ექსპერტი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით;
- ე) შრომით ურთიერთობაშია საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან;
- ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმომადგენს დაინტერესებულ მხარეს;
- ზ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ოჯახის წევრია.

2. ამ კოდექსის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება:

- ა) პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- ბ) მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი;
- გ) აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა;
- დ) და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები.

3. თანამდებობის პირი ვალდებულია ზემდგომ თანამდებობის პირს აცნობოს ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული გარემოებისა და თვითაცილების შესახებ. განცხადება თვითაცილების თაობაზე განიხილება ამ კოდექსის 93-ე მუხლით დადგენილი წესით.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1-2. ეს მუხლი წარმოადგენს კოდექსის მე-8 მუხლით აღიარებული მიუკერძოებლობის პრინციპის კონკრეტიზაციას და განსაზღვრავს იმ თანამდებობის პირთა წრეს, რომელთაც ეკრძალებათ საქმესთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება. სანამ უშუალოდ გადავიდოდეთ ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევებზე, გვსურს განვმარტოთ, თუ რას წარმოადგენს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა, რომელი თანამდებობის პირის მონაწილეობის დაუშვებლობაზეა საუბარი ამ მუხლში. მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში თანამდებობის პირის მონაწილეობად უნდა ჩაითვალოს შემდეგი შემთხვევები:

როდესაც ამ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა შეადგენს აღნიშნული თანამდებობის პირის უფლებამოსილებას და იგი თვითონ აწერს ხელს მოცემულ აქტს;

როდესაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემა შეადგენს აღნიშნული თანამდებობის პირის ქვემდგომი მუშაკის კომპეტენციას, მაგრამ მას შეუძლია სავალდებულო მითითებების მიცემა ან კანონი ითვალისწინებს მის მიერ საკითხის ვიზირებას;

თუკი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა ამ თანამდებობის პირის ზემდგომი თანამდებობის პირის კომპეტენციაა, მაშინ მოცემულ კონტექსტში პირის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობად უნდა ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნულ თანამდებობის პირს გააჩნია შესაძლებლობა, რომ გაეღენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე. მაგალითად: ევალება დასცენის, ოურიდოული მოსამზრების წარდგენა, მტკიცებულებების შეგროვება ან მათი შეფასება და ა.შ. იმ შემთხვევაში, როდესაც აქტის გამოცემა თანამდებობის პირის დაქვემდებარებულ თანამდებობის პირს არა აქვს მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს ისეთი მოქმედება, რითაც გაეღენას მოახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე. იგი ამ მუხლის

მიზნებისათვის არ შეიძლება ჩაითვალოს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილედ.

იგივე პრინციპი ვრცელდება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) მიმართაც. თუკი ამ ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს) გააჩნია გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მოხდენის კანონიერი შესაძლებლობა (მაგალითად: აქტის გამოცემისათვის საჭიროა ამ ორგანოს (თანამდებობის პირის) თანხმობა, იგი ჩაითვლება ადმინისტრაციული წარმოების მონაწილედ. რაც შეეხება ექსპერტს, თავისთავად ცხადია, მისი საქმიანობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას, რამეთუ მისი დაკენა გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე. უფრო მეტიც, შესაძლოა, ადმინისტრაციული აქტი ამ დაკენას დაეფუძნოს.

მას შემდეგ, რაც გავარყვიეთ, თუ რას გულისხმობს თანამდებობის პირის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობა, განვიხილოთ იმ თანამდებობის პირთა სია, ვისაც ეკრძალება მონაწილეობა. ესენი არიან:

ა) დაინტერესებული მხარე საქმეში; დაინტერესებული მხარის სტატუსი განსაზღვრულია ამ კოდექსის მე-2 მუხლით და იგი არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომელთა დაკავშირებითაც გამოცემულია ადმინისტრაციული აქტი, რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციული აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება;

ბ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის ან მისი წარმომადგენლის ნათესავი. აღსანიშნავია, რომ ამ ტერმინის განმარტება რამდენიმე საკანონმდებლო აქტში გვხვდება და ბევრ მათგანში იდენტური არ არის. ადმინისტრაციულ წარმოებაში ეს ტერმინი გაგებულ უნდა იქნეს, ისე როგორც ეს განმარტებულია ამ მუხლის მე-2 ნაწილში. კერძოდ, ნათესავად ჩაითვლება: პირდაპირი ხაზის ნათესავი (შვილი, შვილიშვილი, დედა, მამა, ბებია, პაპა და ა.შ.), მეუღლე, მეუღლის და-ძმა და პირდაპირი ხაზის ნათესავი და-ძმა, მათი მეუღლეები და შვილები, აღმავალი ხაზის პირდაპირი ნათესავის და-ძმა (მაგ.: ბიძა, მამიდა, დეიდა და ა.შ.).

ტერმინი “წარმომადგენელი” გულისხმობს მხოლოდ იმ პირს,

რომელსაც გააჩნია კანონით(როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 86-90-ე მუხლებით, ისე სხვა ნებისმიერი საკანონმდებლო აქტით) დადგენილი წესით მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება;

გ) საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის წარმომადგენელია; ჩვენ უკვე ზემოთ ვისაუბრეთ ტერმინ “წარმომადგენლის” მნიშვნელობაზე;

დ) იყო ექსპერტი მოცემული საკითხთან დაკავშირებით; აქ იგულისხმება ექსპერტი არა მარტო სისხლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსების, არამედ ამ კოდექსის 97-ე და 109-ე მუხლებით და ამ კოდექსის II თავით (სამოგადოებრივი ექსპერტი) გათვალისწინებული მნიშვნელობით;

ე) არის შრომით ურთიერთობებში საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარესთან; დაინტერესებულ მხარესთან შრომით ურთიერთობაში ყოფნა მოიცავს შრომითი ხელშეკრულების ან შრომითი კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემულ ბრძანების შესაბამისად წარმოშობილ ურთიერთობებს, ასევე ნებისმიერ სხვა სახის ურთიერთობებს, რაც გათვალისწინებულია შრომის კანონმდებლობით;

ვ) თვითონ ან მისი ოჯახის წევრი ფლობს აქციებს ან საწესდებო კაპიტალის წილს იმ საწარმოში, რომელიც წარმოადგენს დაინტერესებულ მხარეს. თუ თანამდებობის პირი ან მისი ოჯახის წევრი ამ საწარმოს მეწილეა და დივიდენდის მიღების უფლება გააჩნია, აქ, ბუნებრივია, ვედარ ვისაუბრებთ ამ საწარმოსთან დაკავშირებით საკითხის მიუკერძოებლად გადაწყვეტაზე. ეს ქვეპუნქტი საერთოდ უფრო ფართოდ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული და თანამდებობის პირს აუკრძალოს საკითხის განხილვაში მონაწილეობა, თუკი მას აქვს რაიმე ფინანსური ინტერესი.

უნდა აღინიშნოს, რომ ინტერესთა შეუთავსებლობის ჩამონათვალი ამ მუხლში ამომწურავია. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ, თუკი არსებობს სხვა რაიმე გარემოება, რომელსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე არ უნდა ჩაითვალოს მიკერძოებად. ამ კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა არ უნდა მიიღოს თანამდებობის პირმა, თუკი არსებობს რაიმე გარემოება, რომელიც ზეგავლენას მოახდენს საქმის გადაწყვეტაზე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში თანამდებობის პირი ვალდებულია ზემდგომ თანამდებობის პირს, ხოლო თუ ასეთი არ არსებობს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელ თანამდებობის პირს მიმართოს განცხადებით თვითაცილების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის არა უფლება, არამედ მოვალეობა, რომლის არშესრულების შემთხვევაში პირს შეიძლება დაეკისროს დისციპლინური და რიგ შემთხვევაში აგრეთვე ადმინისტრაციული ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს განცხადება განიხილება იგივე წესით, რაც დადგენილია აცილების განცხადების განხილვისათვის 93-ე მუხლით დადგენილი წესით.

თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია ზემდგომი ორგანო, მაშინ ეს თანამდებობის პირი ვალდებულია განაცხადოს ინტერესთა შეუთავსებლობის თაობაზე და უშუალო მონაწილეობას არ მიიღებს ადმინისტრაციულ წარმოებაში. ამ დროს ადმინისტრაციული წარმოება უნდა განახორციელოს იგივე დაწესებულების სხვა საჯარო მოხელემ. დაუშვებელია, რომ ინტერესთა კონფლიქტის მოტივით საერთოდ უარი ითქვას რაიმე გადაწყვეტილების გამოტანაზე.

მუხლი 93. აცილების განცხადება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მიიჩნევს, რომ არსებობს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირის აცილების საფუძველი, ამ კოდექსის 92-ე მუხლის შესაბამისად უფლება აქვს ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე წერილობით განუცხადოს მას აცილება.

2 აცილების შესახებ განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს.

3. აცილების შესახებ განცხადებას იხილავს და აცილების ან თვითაცილების საკითხს წყვეტს იმ თანამდებობის პირის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, რომლის მიმართაც განცხადებულია აცილება, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – ზემდგომი ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი.

4. კოლეგიური ორგანოს შემადგენლობაში შემავალი თანამდებობის პირის აცილების საკითხს წყვეტს კოლეგიური ორგანო ამ თანამდებობის პირის მონაწილეობის გარეშე.

5. მთელი კოლეგიური ორგანოს ან კოლეგიური ორგანოს წევრთა იმ რაოდენობის აცილების ან თვითააცილების შემთხვევაში, რომელიც გადაწყვეტილების მისაღებად არაუფლებამოსილს ხდის ამ ორგანოს, აგრეთვე იმ თანამდებობის პირის აცილების ან თვითააცილების შემთხვევაში, რომელსაც არ ჰყავს ზემდგომი ორგანო, ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემს კანონმდებლობის შესაბამისად ამ საკითხის გადასაწყვეტად დანიშნული, მისი მოვალეობის შემსრულებელი ან დამოუკიდებელი ორგანო.

6. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე ვალდებულია აცილების შესახებ განცხადება წარადგინოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან 2 დღის განმავლობაში, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. გარდა თვითააცილებისა, რომელიც თვითონ თანამდებობის პირის უფლებამოსილებაა, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე თანამდებობის პირისათვის აცილების გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარესაც. იგი აცილების განცხადებას წარადგენს, თუკი მიაჩნია, რომ არსებობს 92-ე მუხლით გათვალისწინებული აცილების საფუძველი. აცილების განცხადება დასაშვებია ადმინისტრაციული წარმოების ნებისმიერ ეტაპზე, მისი დაწყებიდან ადმინისტრაციული აქტის გამოცემამდე. ამასთან დაკავშირებით უნდა აღენიშნოს, რომ თანამდებობის პირის მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებამდე განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომელსაც შესაძლოა გაუღენა მოეხდინა გადაწყვეტილების მიღებაზე (მაგალითად: წინასწარი შეხვედრები დაინტერესებულ მხარესთან მოცემულ საკითხთან დაკავშირებით და სხვა), წარმოადგენს მისთვის აცილების გამოცხადების საფუძველს.

კოდექსი ავალდებულებს მხარეს აცილების შესახებ განცხადება წერილობითი ფორმით წარადგინოს. გეპირი მოსმენის შემთხვევაშიც ეს განცხადება წერილობით უნდა იქნეს წარდგენილი. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ განიხილება.

2. აცილების შესახებ განცხადება უნდა იქნეს დასაბუთებული და შეიცავდეს მითითებას, თუ კონკრეტულად 92-ე მუხლის რომელი მოთხოვნაა დარღვეული, კონკრეტულად რომელი თანამდე-

ბობის პირის მიერ და წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი მტკიცებულებები.

3. აცილების განცხადებას, განსხვავებით საპროცესო კანონმდებლობისა, ადმინისტრაციულ წარმოებაში იხილავს გემდგომი თანამდებობის პირი, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც ასეთი თანამდებობის პირი არ არსებობს – გემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი. პირს, რომელსაც განუცხადეს აცილება, უფლება არ აქვს რაიმე ფორმით მიიღოს მონაწილეობა აცილების საკითხის გადაწყვეტაში. ეს ნორმა მნიშვნელოვან გარანტიებს ქმნის იმისათვის, რომ აცილების საკითხი მიუკერძოებლად გადაწყდეს.

4. თუ აცილება განუცხადეს კოლეგიური ორგანოს წევრს, აცილების საკითხის გადაწყვეტაში ამ დროს გემდგომი ორგანო არ მონაწილეობს. საკითხი თვით ამ კოლეგიური ორგანოს მიერ წყდება იმ თანამდებობის პირის გარეშე, რომელსაც აცილება განუცხადეს.

5. თუ დადგა კოლეგიური ორგანოს მთელი შემადგენლობის ან მისი უმრავლესობის, აგრეთვე გემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის არმქონე თანამდებობის პირის აცილების საკითხი, მაშინ ამ საკითხს უშუალოდ ეს კოლეგიური ორგანო/თანამდებობის პირი გადაწყვეტს. თუ კოლეგიურმა ორგანომ/თანამდებობის პირმა დააკმაყოფილა აცილების შესახებ განცხადება, მაშინ ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოსცეს შესაბამისად ასეთი თანამდებობის პირის უფლებამონაცვლემ ან კოლეგიური ორგანოს მიერ სპეციალურად ამისათვის დანიშნულმა დამოუკიდებელმა ორგანომ.

6. დაინტერესებული მხარე ვალდებულია განცხადება თანამდებობის პირის აცილების შესახებ წარადგინოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ან იმ მომენტიდან ორი დღის ვადაში, რაც მისთვის ცნობილი ვახდა ფაქტი ან გარემოება, რომელიც იძლევა აცილების საფუძველს. ამ ვადის გაშვება დაინტერესებულ მხარეს უფლებას ართმევს შუამდგომლობა შემდგომში დააყენოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვადა საპატიო მიზეზით იქნა გაშვებული. გაშვებული ვადა აღდგება ამ კოდექსის 94-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით.

მუხლი 94. ვადა ადმინისტრაციულ წარმოებაში. გაშვებული ვადის აღდგენა

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადის გამოთვლისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-69-ე მუხლებით დადგენილი წესი.

2. თუ დაინტერესებული მხარე ვალდებულია დაიცვას დადგენილი ვადა, აღნიშნული ვადის დინება დაიწყება მხოლოდ დაინტერესებული მხარისათვის შესაბამისი დოკუმენტის ან ინფორმაციის გადაცემის ან ამ ინფორმაციის ოფიციალური გამოქვეყნების დღიდან.

3. გაშვებული ვადა უნდა აღდგეს, თუ დაინტერესებულმა მხარემ კანონით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადა გაუშვა არაბრალეულად – დაუძლეველი ძალის, ავადმყოფობის, ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ან სხვა საპატიო მიზეზით.

4. დაინტერესებული მხარე გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ წერილობითი განცხადებით მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული გარემოებათა აღმოფხვრიდან არა უგვიანეს 15 დღისა. განცხადებას უნდა დაერთოს შესაბამისი დოკუმენტები და მასალები, რომლებიც ადასტურებენ ვადის გაშვების საპატიო საფუძვლის არსებობას.

5. ადმინისტრაციული ორგანო განცხადებას გაშვებული ვადის აღდგენის შესახებ განიხილავს 5 დღის ვადაში.

6. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია აღადგინოს დაინტერესებული მხარის მიერ საპატიო მიზეზით გაშვებული, ამავე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი ვადაც, თუ ეს არ არის აკრძალული კანონით და ზიანს არ აყენებს მესამე პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

1. ისევე როგორც ყველა სხვა წარმოებისათვის, ადმინისტრაციული წარმოებისას ვადების ათვლას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ძალზე ხშირად ადმინისტრაციულ წარმოებაში ადმინისტრაციულ ორგანოს დაწესებული აქვს ვადა ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად. დაინტერესებულ მხარესაც, რიგ შემთხვევებში, გარკვეული მოქმედებების შესრულება მხოლოდ დადგენილ ვადებში შეუძლია, რომელთა გაშვების შემთხვევაში იგი კარგავს კანონით

მინიჭებული უფლების გამოყენების შესაძლებლობას, ანუ ვადებთან დაკავშირებული პროცესუალური ნორმების დარღვევამ შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს მატერიალური სამართლით მხარისთვის მინიჭებული უფლებების მოცულობაზე. ასე მაგ. ყველას აქვს ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების უფლება, მაგრამ გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვება ნიშნავს იმას, რომ პირი კარგავს უფლებას მისი საჩივარი/სარჩელი განხილულ და გადაწყვეტილ იქნეს მემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) თუ სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციულ წარმოებაში ვადების გამოთვლისას გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებები. ამ შემთხვევაში კოდექსმა უარი თქვა ვადების გამოთვლის ახალი მეთოდის შემოღებაზე, რადგანაც უკვე არსებობდა ვადების გამოთვლის აპრობირებული წესი სამოქალაქო პროცესში. შესაბამისი ნორმების გამეორების თავიდან აცილების მიზნით კოდექსი შემოიფარგლა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სათანადო ნორმებზე მითითებით.

2. ძალზე ხშირად ვადის დინების დაწყება დაკავშირებულია დაინტერესებული მხარის მიერ გარკვეული ინფორმაციის ცოდნასთან. მაგალითად, მხარეს აქვს უფლება გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, მაგრამ იგი ვერ შეძლებს საჩივრის წარდგენას მანამ, სანამ მისთვის ცნობილი არ გახდება ამ გადაწყვეტილების შინაარსი. ამიტომაც ასეთ შემთხვევებში ვადის დინება დაიწყება შესაბამისი ინფორმაციის პირისათვის დადგენილი წესით გადაცემის მომენტიდან. თუ კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან სხვა ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს, ამ დროს აუცილებელი არ არის პირისათვის ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გადაცემა. ვადის ათვლის დასაწყებად საუმარისი იქნება, თუ იგი გამოქვეყნდება. გამოქვეყნებისას დაცულ უნდა იქნეს ამ კოდექსით და სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები.

3. ადმინისტრაციულ წარმოებაში, ისევე როგორც სამოქალაქო სამართალსა და პროცესში, შესაძლებელია გაშვებული ვადის აღდგენა, თუკი არსებობს საპატიო მიზეზი ვადის გაშვებისას. ადმინისტრაციული კოდექსი ამ შესაძლებლობას ითვალისწინებს

იმ შემთხვევებში, როდესაც ობიექტური ფაქტორების გამო პირი საკუთარი უფლებების (მოვალეობების) რეალიზაციის შესაძლებლობას მოკლებული იყო. ასეთ ობიექტურ ფაქტორებად კოდექსი, უპირველეს ყოვლისა, ასახელებს დაუძლეველ ძალას – სტიქიურ უბედურებას, ბუნებრივ მოვლენას, რომელიც ღებება პირის ნებისაგან დამოუკიდებლად და მისი დაძლევა პირის შესაძლებლობებს აღემატება. მეორე მიზეზია ავადმყოფობა. აქ საუბარია არა ყველანაირ ავადმყოფობაზე, არამედ ავადმყოფობის ისეთ ფორმაზე, რომელმაც ხელი შეუშალა პირს კანონის შესაბამისად დადგენილი მოქმედებების შესრულებაში. მესამე ფაქტორად კოდექსი ასახელებს ადმინისტრაციული ორგანოს მიზეზით ვადის გაშვებას (მაგ. ადმინისტრაციულ აქტში ადმინისტრაციულმა ორგანომ არ მიუთითა გასაჩივრების შესაძლებლობა და ვადა, რის გამოც მოქალაქემ ჩათვალა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება). საპატიო მიზეზების ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და კონკრეტულ სიტუაციაში ასეთად მრავალი ფაქტორი შეიძლება იქნეს მიჩნეული.

გემოჩამოთვლილი მაგალითები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამომწურავი არ არის. შესაძლებელია დადგეს ნებისმიერი სხვა გარემოება, რომლის არსებობაც რეალურად შეუშლის ხელს დადგენილ ვადაში პირის მიერ კანონის მოთხოვნის შესრულებას. ესა თუ ის გარემოება საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ და პირდაპირ მის გამო შეიქმნა რეალური დაბრკოლება ვადის გაშვებისათვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პუნქტში მითითებულ „დადგენილ ვადაში“ იგულისხმება ვადა, რომელიც დადგენილია კანონის ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

როდესაც საუბარია საპატიო მიზეზით ვადის გაშვებაზე, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ვადის გაშვება დაკავშირებული არ უნდა იყოს გემოაღნიშნულ გარემოებებში პირის განზრახ აღმოჩენასთან, რათა ამით შეგნებულად იქნეს ვადაგაშვებული და, შესაბამისად, ამ გზით თავიდან იქნეს აცილებული არასასურველი გადაწყვეტილება.

4. კოდექსის მიხედვით იმისათვის, რომ გაშვებული ვადა აღდგეს, მხარე ვალდებულია წერილობითი განცხადებით მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს. კოდექსი ადგენს 15 დღიან

ვადას გამშვებული ვადის აღდგენის მოთხოვნით განცხადების წარსადგენად. ეს ვადა აითვლება იმ გარემოების (გარემოებათა) აღმოფხვრის დღიდან, რომელიც გახდა ვადის გამშვების მიზეზი. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მთლიანად ეკისრება დაინტერესებულ მხარეს. მან უნდა ამტკიცოს, რომ ვადის გამშვება მოხდა საპატიო მიზეზით, რისთვისაც იგი ვალდებულია წარადგინოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია. თუ დაინტერესებული მხარე ვერ შეძლებს ვადის გამშვების საპატიო საფუძვლის მითითებას და ამ გარემოებათა არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენას, გამშვებული ვადა არ აღდგება და მისი გამშვება პირს საპატიოდ არ ჩაეთვლება.

5. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია 5 დღის ვადაში განიხილოს დაინტერესებული მხარის განცხადება გამშვებული ვადის აღდგენის თაობაზე და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ იმ ვადის მიმდინარეობა, რომლის განმავლობაშიც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განახორციელოს რაიმე ქმედება ან მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება მხარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, დაიწყება მხარის მიერ შესაბამისი განცხადების ადმინისტრაციულ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან.

6. მე-6 ნაწილში საქმე გვაქვს ტექნიკურ შეცდომასთან, რის გამოც მასში მოცემული დებულება გაურკვეველი რჩება. ლოგიკურად თუ განვმარტავთ, ეს პუნქტი შესაძლებლობას იძლევა აღდგეს არასაპატიო (და არა "საპატიო", როგორც ეს ტექსტშია) მიზეზით გამშვებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაწესებული ვადა, თუკი ეს პირდაპირ არ არის აკრძალული სპეციალური კანონით ან თუ ეს ბიანს არ აყენებს მესამე პირის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს. აქვე უნდა დავამატოთ, რომ ასევე დაუშვებელი უნდა იყოს არასაპატიო მიზეზით ვადის აღდგენა, თუ იგი ბიანს აყენებს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. ჩვენ აუცილებლად მივიჩნევთ, რომ კოდექსში მომავალში შესატან ცვლილებებთან ერთად ეს ჩანაწერიც შესაბამისად უნდა გასწორდეს

მუხლი 95. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ადმინისტრაციული აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას მასში მონაწილეობის უფლების მქონე პირი ამ უკანასკნელის წერილობითი თხოვნის საფუძველზე.

4. თუ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა რაოდენობა 50-ს აღემატება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია თითოეული მათგანის ინფორმირების ნაცელად ოფიციალურად გამოაქვეყნოს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

5. ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობა უნდა შეიცავდეს:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებასა და მისამართს, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღს;

გ) ადმინისტრაციული წარმოების საგნის მოკლე აღწერას;

დ) წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა ვინაობას;

ე) ადმინისტრაციული აქტის გამოყემის ვადას.

6. გადაუდებლობის შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული აქტის გამოყემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ან კერძო ინტერესებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების მოთხოვნათა დაუკველად ადმინისტრაციული აქტის გამოყემის შესახებ.

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ კოდექსის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დამსახურებას წარმოადგენს დაინტერესებული მხარისათვის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უფლების მინიჭება.

დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, როგორც წესი, სავალდებულო არ არის და ადმინისტრაციულ ორგანოს არ ეკრძალება ადმინისტრაციული აქტის გამოცემა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საკითხის განხილვაში დაინტერესებულ მხარეს მონაწილეობა არ მიუღია. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის შეატყობინოს დაინტერესებულ მხარეებს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. თუ დაინტერესებული მხარე საკუთარი ინიციატივით მოითხოვს საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ის ჩააბას ადმინისტრაციულ წარმოებაში. ასეთ შემთხვევაში, როგორც დავინახეთ, აუცილებელია დაინტერესებული მხარის მიერ ინიციატივის გამოჩენა.

თუ კანონით ადმინისტრაციულ ორგანოს ევალება დაინტერესებული მხარის ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფა, მაშინ ეს ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეატყობინოს დაინტერესებულ მხარეს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და დააკმაყოფილოს დაინტერესებული მხარის განცხადება ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმის შესახებ. განცხადების დაკმაყოფილების შემდეგ, დაინტერესებულ მხარეს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს წარმოების ნებისმიერ სტადიაში განხორციელებულ პროცესუალურ მოქმედებებში (აღვიგებულ დათვალიერება, ზეპირი მოსმენა და ა.შ.). ყველა ასეთი ღონისძიების შესახებ დაინტერესებული მხარე წინასწარ უნდა იქნეს გაფრთხილებული. ამავე დროს კოდექსის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობა, არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას დაინტერესებული მხარის მონაწილეობა სავალდებულოა და მისი მონაწილეობის გარეშე ადმინისტრაციული აქტი არ უნდა იქნეს გამოცემული. თუ დაინტერესებული მხარე ასეთ შემთხვევაში არ გამოთქვამს

ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღების სურვილს, ადმინისტრაციული ორგანო მისი მონაწილეობის გარეშე გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს.

2. ზოგიერთ შემთხვევაში კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დაინტერესებული მხარის სავალდებულო მონაწილეობა საკითხის განხილვისას. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აცნობოს პირს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა წარმოებაში. კოდექსი ერთ-ერთ ასეთ სავალდებულო შემთხვევად გამოყოფს ისეთ სიტუაციას, როდესაც მისაღები ადმინისტრაციული აქტით შესაძლებელია პირის სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესება. სამართლებრივი მდგომარეობის გაუარესებაში იგულისხმება პირისათვის ახალი ვალდებულებების დაკისრება (მაგ. დაჯარიმება), მისი უფლებების განხორციელებისათვის გარკვეული პირობების განსაზღვრა (მაგ. ლიცენზიის გაუქმების ახალი პირობის დადგენა) ან მისთვის რაიმე სარგებლის, შეღავათის თუ პრივილეგიის გაუქმება (მაგ. ხელფასზე დანამატის მოხსნა). ასეთი აქტები პირის უფლებების შემლუღვას იწვევს და ამიტომაც აუცილებელია მათი მონაწილეობა წარმოებაში, რომ მათი უფლებების შემლუღვა დაუსაბუთებლად არ მოხდეს და მოქალაქეებს მეტი გარანტია შეექმნათ საკუთარი ინტერესების დასაცავად. თუ ახალი ადმინისტრაციული აქტით პირის მდგომარეობა არ უარესდება (მაგ. განიხილება საკითხი კარგი საჯარო მოსამსახურეების ფულადი დაჯილდოვების შესახებ), ასეთ შემთხვევაში მას შეიძლება სავანგებოდ არც შეატყობინონ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც ამის სურვილს გამოთქვამს. კოდექსი მოითხოვს, რომ დაინტერესებული მხარის ეს ინიციატივა წერილობით იქნეს გაფორმებული.

4. ზოგ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტი იმდენ პირს შეიძლება შეეხოს, რომ შეუძლებელი ხდება თითოეული მათგანისათვის ინფორმაციის მიწოდება. სწორედ ამიტომ ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციული ორგანოს თითოეული დაინტერესებული მხარისათვის შეტყობინების ვაგბავნის ნაცვლად ითვალისწინებს ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

განცხადების გამოქვეყნებას. ეს იმ შემთხვევაში ხდება, როდესაც ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირთა რიცხვი 50-ს აღემატება. ამავე დროს, ეს არის ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილება და არა ვალდებულება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს არჩევანი ან გამოაქვეყნოს ოფიციალური ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, ან წარმოებაში მონაწილეობის უფლების მქონე თითოეულ დაინტერესებულ მხარეს გაუგზავნოს შესაბამისი შეტყობინება.

5. კოდექსი ადგენს, რომ განცხადება უნდა შეიცავდეს მითითებას, რომელ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება, როდის დაიწყო იგი, რა საკითხია გადასაწყვეტი, ვის აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს წარმოებაში და რა ვადაში უნდა გამოიყენოს ადმინისტრაციული აქტი. ეს მონაცემები აუცილებელია, რათა შესაბამისმა პირებმა გაიგონ, თუ რამდენადაა შესაძლებელი ეს ადმინისტრაციული წარმოება შეეხოს მათ უფლებებს და, შესაბამისად, ვის მიმართონ ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩაბმის მოთხოვნით.

6. შესაძლებელია დადგეს ისეთი სიტუაცია, როდესაც აუცილებელია ადმინისტრაციული აქტის სასწრაფოდ გამოცემა, როდესაც დაყოვნებას შეუძლია ზიანი მიაყენოს სახელმწიფოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ან რომელიმე კერძო პირის (პირების) ინტერესს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს დაჩქარებული პროცედურით გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი. ამ დროს ზიანი, რომელიც შეიძლება მიადგეს საჯარო თუ კერძო ინტერესს, უნდა იყოს არსებითი და ამის აუცილებლობა წერილობით უნდა დასაბუთდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. დაჩქარებული პროცედურის გამოყენება კი გულისხმობს იმას, რომ დაინტერესებული მხარე ვეღარ მიიღებს მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში, მათ შორის, ვერც ის დაინტერესებული მხარე, რომლის გაფრთხილება და მონაწილეობის უზრუნველყოფაც სავალდებულოა კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 96. საქმის გარემოებათა გამოკვლევა

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენოს საქმისათვის მნიშვნელობის

მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

2. დაუშვებელია ადმინისტრაციული აქტის გამოცემას საფუძველად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

3. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს წინასწარი გამოკვლევის გარეშე უარი განაცხადოს მის უფლებამოსილებაში შემავალ საკითხზე განცხადების ან შუამდგომლობის მიღებაზე იმ საფუძველით, რომ ეს განცხადება ან შუამდგომლობა დაუშვებელი ან დაუსაბუთებელია.

4. დაინტერესებული მხარე ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით ითანამშრომლოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ადმინისტრაციული წარმოებისას.

5. დაინტერესებული მხარე ვალდებულია გამოცხადდეს ადმინისტრაციულ ორგანოში და მისცეს ახსნა-განმარტება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში.

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება კანონმდებლობას, ხოლო დისკრეციული უფლებამოსილების არსებობისას, მან უნდა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება დისკრეციული უფლებამოსილების მინიჭების მიზანსაც. ამისათვის ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია სრულყოფილად გამოიყვილოს საქმის ყველა გარემოება. ძალზე ხშირად გადაწყვეტილების ბათილად ან ძალადაკაგულად გამოცხადება გამოწვეულია იმის გამო, რომ ადმინისტრაციული ორგანო არასაკმარისად სწავლობს საქმის ყველა გარემოებას. მართლმომიერი და მიზანშეწონილი გადაწყვეტილების მიღება გაცილებით ადვილდება მაშინ, თუ ადმინისტრაცია სრულყოფილად ფლობს და გამოიყვლევს ინფორმაციას საქმის შესახებ.

მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციული ორგანო შეაგროვებს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა ინფორმაციას, იგი ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს ამ ინფორმაციის შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. მაგ. ფირმამ წარადგინა განცხადება ვაკის რაიონში საცხოვრებელი სახლების სიახლოვეს დისკოთეკის გახსნის ნებართვის მისაღებად. ადმინისტრაც-

ციული ორგანო ვალდებულია ამ შემთხვევაში შეაგროვოს ინფორმაცია დისკოთეკის ფართის, დისკოთეკისთვის გამოსაყენებელი მოწყობილობების სიმძლავრის, ირგვლივ საცხოვრებელი სახლების არსებობის, განმცხადებლის მიერ ნებართვის მისაღებად აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ, ამასთანავე, მან უნდა შეაფასოს დისკოთეკის ჩატარებისას ხმაური ხელს შეუშლის თუ არა მოცემულ ადგილას მცხოვრებთა ნორმალურ ყოფას და შეუქმნის თუ არა იგი რაიმე საფრთხეს საზოგადოებრივ წესრიგს.

2. პრაქტიკაში ძალიან ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას იღებდა საქმის გარემოებათა შესწავლის გარეშე. ხშირად გადაწყვეტილების სარემოლუციო ნაწილში მითითებულია ისეთი გარემოების შესახებ, რომელიც საერთოდ არ ყოფილა შესწავლილი საკითხის მომზადებისას. კოდექსი კრძალავს ადმინისტრაციული აქტის ისეთ გარემოებაზე დაფუძნებას, რომელიც არ ყოფილა შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ეს მოთხოვნა არ ნიშნავს იმას, რომ შესწავლილ და გამოკვლეულ იქნას ფაქტები, რომლებიც უკვე დადგენილია და რომლებსაც აქვთ პრეუდიციული მნიშვნელობა (მაგ.: ლიცენზიის მისაღებად წარდგენილია სამკურნალო საშუალება "ა", რომელიც შეიცავს ნივთიერება "ალფას". სამი თვით ადრე, სამკურნალო საშუალება "ბ"-ს ლიცენზიის გაცემისას დადგინდა, რომ ნივთიერება "ალფა" არის საშიში ადამიანის ჯანმრთელობისათვის და მისი გამოყენება სამკურნალო საშუალებებში დაუშვებელია. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანო ხელახლა აღარ შეისწავლის ნივთიერება "ალფას" შემადგენლობას).

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწილში გათვალისწინებული ნორმა უკვე ასახულია 53-ე მუხლის მე-5 პუნქტში. შესაბამისად, მისი ამ მუხლში განმეორება სრულიად ბედმეტად მიგვაჩნია.

3. თუ საკითხი შედის ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ყველა გარემოება, მათ შორის მხარის შუამდგომლობა, სათანადოდ გამოიყვლიოს. იგი ვალდებულია მიიღოს მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობა ან განცხადება. მას უფლება არა აქვს ყოველგვარი განხილვის გარეშე უარი უთხრას მხარეს და a priori მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაუშვებლობის ან დაუსაბუთებ-

ლობის შესახებ. თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკითხის შესწავლის შედეგად აღმოჩნდება, რომ შუამდგომლობა დაუშვებელია ან არასაკმარისად დასაბუთებული, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, არ მისცეს მას შემდეგი მსვლელობა. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე იგი ვალდებულია შეისწავლოს ეს საკითხი და უარი დაასაბუთოს.

4. დაინტერესებული მხარე ვალდებულია ითანამშრომლოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან ადმინისტრაციული აქტის მომზადების პროცესში. იმისათვის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ შეძლოს კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა და საქმის გარემოებების სრულყოფილი შესწავლა, მას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ინფორმაცია მიიღოს დაინტერესებული მხარეებისგანაც. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, რომ თანამშრომლობის მოთხოვნა ფაქტობრივად წარმოადგენს საქმის გარემოებათა გამოუვლელის მოთხოვნის გაგრძელებას. მიუხედავად იმისა, რომ კანონი მიუთითებს დაინტერესებული მხარის ვალდებულებაზე ადმინისტრაციულ ორგანოსთან თანამშრომლობასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ამ ნორმის დაუცველობა უმეტეს შემთხვევებში არ იწვევს რაიმე იურიდიულ შედეგებს დაინტერესებული მხარისათვის. მით უმეტეს, არ შეიძლება ვილაპარაკოთ დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობაზე, თუ იგი უარს აცხადებს ადმინისტრაციულ ორგანოსთან თანამშრომლობაზე.

ამასთან, ძალზე ხშირად დაინტერესებული მხარე თვითონ მიმართავს განცხადებით ადმინისტრაციულ ორგანოს აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნით. (მაგ. პირმა წარადგინა განცხადება მართვის მოწმობის მისაღებად.) ასეთ შემთხვევაში ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მან ითანამშრომლოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან და მიაწოდოს მას შესაბამისი ინფორმაცია. ხშირ შემთხვევაში, როდესაც პირი მიმართავს ადმინისტრაციულ ორგანოს მისთვის სასურველი ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება — გამოივლიოს საქმის გარემოებები და შეაგროვოს ინფორმაცია, მთლიანად ჩანაცვლებულია დაინტერესებული მხარის მოვალეობით — ითანამშრომლოს ადმინისტრაციულ ორგანოსთან. მაგ. გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განმცხადებელი იურიდი-

ული პირია ვალდებული წარუდგინოს ყველა სათანადო მტკიცებულება და ინფორმაცია ნებართვის გამცემ ორგანოს. თუ დაინტერესებული მხარე არ წარადგენს მისთვის სასარგებლო ინფორმაციას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებული არ არის თვითონ შეაგროვოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს აღმკურნელი ადმინისტრაციული აქტის გამოტანას და, შესაბამისად, შესაძლებელია დაინტერესებული მხარის განცხადება არ იქნეს დაკმაყოფილებული.

მემოთქმულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო ვერ დაავალდებულებს დაინტერესებულ მხარეს წარუდგინოს ინფორმაცია ადმინისტრაციულ ორგანოს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული მხარის ვალდებულება. მაგ.: კერძო ფირმა ვალდებულია საგადასახადო ორგანოს გადასცეს ყველა ის დოკუმენტაცია, რომელიც მის საფინანსო საქმიანობას ეხება.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ თუ დაინტერესებული პირი არასათანადოდ თანამშრომლობს ადმინისტრაციულ ორგანოსთან, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის მიმართ პასუხისმგებლობის ზომები იქნება გამოყენებული. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს ზომები იმ დაინტერესებული მხარის წინააღმდეგ, რომელიც უარს აცხადებს ადმინისტრაციულ ორგანოსთან თანამშრომლობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უფლებამოსილებას კანონი მას პირდაპირ ანიჭებს.

5. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ნებისმიერ დროს შეუძლია დაიბაროს მხარე ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო პირი ვალდებულია გამოცხადდეს. კოდექსი ნათლად განმარტავს, რომ მხარე ვალდებულია გამოცხადდეს ადმინისტრაციულ ორგანოში და მისცეს მას ახსნა-განმარტება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით. თუ კანონი პირდაპირ ითვალისწინებს მხარის ვალდებულებას, გამოცხადდეს ადმინისტრაციულ ორგანოში ახსნა-განმარტების მისაცემად, მაშინ ამ მოვალეობის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

მუხლი 97. მტკიცებულებათა გამოკვლევა ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია:

- ა) გამოითხოვოს დოკუმენტები;
- ბ) შეაგროვოს ცნობები;
- გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს;
- დ) დაათვალიეროს მოუღწევის ან შემთხვევის ადგილი;
- ე) დანიშნოს ექსპერტიზა;
- ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები;
- ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მომებს.

2. მოწვე ან ექსპერტი ვალდებულია მისცეს ახსნა-განმარტება ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ კანონით მუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ახსნა-განმარტების ჩამორთმევა ხდება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად.

1. მტკიცებულებათა გამოკვლევა საყმაოდ რთული და შრომატევადი პროცესია და იგი მრავალი მოქმედების განხორციელებას მოითხოვს. ადმინისტრაციული ორგანოს ეს მოქმედებები მიმართული უნდა იყოს საქმის გარემოებების შესწავლისაგან და მის თაობაზე ინფორმაციის მიღებას უნდა ემსახურებოდეს. ამავე დროს, ადმინისტრაციული ორგანო საქმის გარემოებების გამოკვლევის მიზნით მიმართავს მხოლოდ ისეთ მოქმედებებს, რომელიც კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ეს იმას ნიშნავს, რომ საკუთარი ინიციატივით რაიმე კანონგათვალისწინებულ მოქმედებებს ის ვერ განახორციელებს. მაგ. იმისათვის, რომ განმცხადებლის შესახებ ინფორმაცია მოაგროვოს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის აწარმოოს თვალთვალი მის მიმართ, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევისა და წესისა.

კოდექსი ჩამოთვლის მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ ხერხებს:

ა) დოკუმენტების გამოთხოვა – ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოითხოვოს დოკუმენტები სხვა ადმინისტრაციული

ციული ორგანოებიდან. თუ ეს დოკუმენტები ღიაა, მაშინ ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა უნდა დაყმაყოფილდეს. აქ აუცილებლად მხედველობაშია მისაღები კოდექსის მე-16 მუხლის დებულებები, რომლის მიხედვითაც ერთი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ითანამშრომლოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან. საიდუმლო დოკუმენტები კი გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას კანონმდებლობით მინიჭებული აქვს ამ დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უფლება. დოკუმენტების გამოთხოვა შეიძლება მოხდეს კერძო პირებისგანაც. მაგრამ კერძო პირი მხოლოდ იმ შემთხვევაშია ვალდებული მისცეს ადმინისტრაციულ ორგანოს მოთხოვნილი დოკუმენტები, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით. ადმინისტრაციულ ორგანოს ასევე სჭირდება ინფორმაციის მიღება განმცხადებლის ან სხვა დაინტერესებული მხარისაგან. ხშირად ასეთ შემთხვევაში განმცხადებელი თვითონ არის დაინტერესებული, რაც შეიძლება მეტი დოკუმენტი მიაწოდოს ადმინისტრაციულ ორგანოს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მისთვის სასურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. მაგრამ ამ დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ვერ დაავალდებულებს დაინტერესებულ მხარეს, გადასცეს დოკუმენტები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით;

ბ) ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შეაგროვოს ცნობები. ეს ცნობები შეიძლება მიღებულ იქნეს ნებისმიერი წყაროდან, მაგრამ მათი გამოყენებისას უნდა შეძლოს იმის დამტკიცება, რომ ეს ინფორმაცია მან მიიღო კანონიერად;

გ) ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მოუსმინოს მხარეებს — აქ ძირითადად საუბარია იმაზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მისცეს შესაძლებლობა დაინტერესებულ მხარეებს ნებაყოფლობით გამოთქვან საკუთარი მოსაზრებები საქმის გარემოებებთან დაკავშირებით. ამავე დროს, იგი უფლებამოსილია დაავალდებულოს დაინტერესებული მხარე, წარმოადგინოს ახსნა-განმარტება ან სხვა ცნობები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით;

დ) ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი (ასეთის არსებობისას) და შეადგინოს შესაბამისი ოქმი. ზოგ შემთხვევაში შემთხვევის აღ-

გილის დათვალიერება საქმად ღირებულ ინფორმაციას იძლევა. კანონმდებლობით ზოგ შემთხვევაში შეიძლება დადგენილ იქნეს მოვლენის ან შემთხვევის ადგილის დათვალიერების სავალდებულობა;

ე) თუ საკითხის გადაწყვეტა სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია რიგ შემთხვევებში დანიშნოს ექსპერტიზა. თუმცა ამ დროს ექსპერტის მიმართ არ გავრცელდება ის წესები, რაც დადგენილია საპროცესო კანონმდებლობით;

ვ) ადმინისტრაციული ორგანო გამოიყენებს ყველა დოკუმენტს, რომელიც მის ხელთ არსებობს, თუკი ამ დოკუმენტებიდან გამომდინარე, მას შეუძლია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე დასკვნა გააკეთოს.

2. მოწმე და ექსპერტი ადმინისტრაციული წარმოებისათვის ძირითადად დამახასიათებელი არ არის. რა თქმა უნდა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს ცნობები იმ პირისაგან, რომელსაც გააჩნია ღირებული ცნობები საქმის გარემოებათა შესახებ, მაგრამ ვერ დააეაღლებულებს მათ მისცეს ახსნა-განმარტება. ასევე ექსპერტთან მიმართებაში, მაგრამ ზოგ შემთხვევაში კანონმა შეიძლება გაითვალისწინოს მოწმის ან ექსპერტის სავალდებულო მონაწილეობა საქმეში. ასეთ შემთხვევაში კოდექსი ადგენს, რომ მათზე უნდა გავრცელდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის დებულებები, რომლითაც დადგენილია მოწმის მიერ ახსნა-განმარტების, ხოლო ექსპერტის მიერ დასკვნის წარდგენის წესი. კოდექსის მე-8 თავი (ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება) სწორედ ასეთ ვალდებულებებს ითვალისწინებს.

მუხლი 98. დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით.

2. შუამდგომლობასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანო 2 დღის ვადაში იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

1. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ადმინისტრაციულ წარმოებაში. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში არ ამოიწურება მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლებით ან უფლებით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოთხოვნის შემთხვევაში გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები ადმინისტრაციული წარმოებისას წარმოშობილ რომელიმე საკითხთან დაკავშირებით. დაინტერესებულ მხარეს აგრეთვე უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით დააყენოს საკითხები ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. კერძოდ, მას უფლება აქვს წარადგინოს ახალი მტკიცებულებები. ადმინისტრაციულ ორგანოს მოსთხოვოს საქმის გარემოებების გამოკვლევის მიზნით მტკიცებულებების შეგროვება ან არსებული მტკიცებულებების შესწავლა. თუ დაინტერესებული მხარე მოითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსგან საქმის გარემოების გამოკვლევას, მაშინ იგი ვალდებულია წარადგინოს ადმინისტრაციულ ორგანოში წერილობითი მოთხოვნა იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად საქმის რა გარემოების გამოკვლევას მოითხოვს.

2. მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასება და შუამდგომლობის განხილვა სავალდებულოა ადმინისტრაციული ორგანოსათვის. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს შუამდგომლობა და 2 დღის განმავლობაში მიიღოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შუამდგომლობის გამოტანაზე შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ შუამდგომლობაში დაყენებული საკითხის გამოკვლევა განსახილველ საქმესთან კავშირში არ არის ან იგი უკვე იქნა სრულყოფილად გამოკვლეული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ცალკე არ გასაჩივრდება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რომელიმე კანონით ეს პირდაპირ არ არის დადგენილი, ან ეს გადაწყვეტილება შესაბამისი ადმინისტრაცი-

ციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს (იხ. 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის კომენტარი). როგორც წესი, შუამდგომლობასთან დაკავშირებით დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება საჩივრდება ადმინისტრაციულ აქტთან ერთად და იგი შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი.

მუხლი 99. ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება

1. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, გარდა იმ მასალებისა, რომლებიც წარმოადგენს უშუალოდ ადმინისტრაციული აქტის მომზადებასთან დაკავშირებულ შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაციას.

2. თუ დოკუმენტის გაცნობის ინტერესი აღემატება საიდუმლოების დაცვის ინტერესს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაინტერესებულ მხარეს გასაცნობად წარედგინება საქმის ის მასალებიც, რომლებიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

3. დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს გაეცნობა იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელიც ახორციელებს ადმინისტრაციულ წარმოებას.

4. განსაკუთრებულ შემთხვევაში დაინტერესებული მხარე წერილობითი თხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს შეიძლება გაეცნოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში, აგრეთვე სხვა სახელმწიფოში არსებულ საქართველოს საკონსულო დაწესებულებაში.

5. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს სახელმწიფო, კომერციული ან პირადი საიდუმლოების შემცველი საქმის მასალების ასლები გადაეცემა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით.

6. არ შეიძლება დაწესდეს რაიმე გადასახადი ან შეიქმნას სხვა დაბრკოლება დოკუმენტის ან სხვა მასალის ასლის მისა-

ლებად, ასლის გადაღებისათვის, აგრეთვე ფოსტის მეშვეობით გაგზავნისათვის, საჭირო თანხის ანაზღაურების გარდა.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1-2. იმისათვის, რომ დაინტერესებულმა მხარემ სრულყოფილად შეძლოს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღება, აუცილებელია, რომ მას ხელი მიუწვდებოდეს იმ ინფორმაციაზე, რომელიც გააჩნია ადმინისტრაციულ ორგანოს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ ადმინისტრაციული კოდექსი დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლებას, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, რომლებზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. ადმინისტრაციული წარმოების მასალას განეკუთვნება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოში ინახება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციული ორგანო დაიწყებს ადმინისტრაციულ წარმოებას ადმინისტრაციული აქტის მოსამზადებლად და გამოსაცემად, ამ წარმოების დროს მიღებული, მოპოვებული, შექმნილი ან გაგზავნილი ყველა დოკუმენტი ჩაითვლება ადმინისტრაციული წარმოების მასალად და ყველა მათგანი ხელმისაწვდომია მხარისათვის.

კოდექსი ითვალისწინებს ორ გამონაკლისს, როდესაც ადმინისტრაციული წარმოების მასალა მხარეს არ გადაეცემა. უპირველეს ყოვლისა, დაინტერესებული მხარისათვის ხელმისაწვდომი არ არის უშუალოდ ადმინისტრაციული აქტის მომზადებასთან დაკავშირებული შიდაუწყებრივი ხასიათის დოკუმენტაცია. აქ საუბარია იმ ინფორმაციაზე, რომელიც გაიცვლება ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო მოხელეებს შორის საკითხის მომზადებასთან დაკავშირებით (ტექნიკური, საექსპერტო ინფორმაცია). ასეთია მაგ. გადაწყვეტილების მომზადებაზე პასუხისმგებელი მოხელის წერილი დაწესებულების ხელმძღვანელისადმი საკითხის მომზადების მდგომარეობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ამ დოკუმენტს არა აქვს იურიდიული მნიშვნელობა და ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს ადმინისტრაციული აქტი ან წარმოების მიმდინარეობის შესახებ მიღებული რაიმე გადაწყვეტილება ამ გზით მიღებულ ინფორმაციას დააფუძნოს. თუ ამ ინფორმაციამ რაიმე ფორმით იურიდიული მნიშვნელობა შეიძინა საკითხის

გადაწყვეტაში, იგი აღარ უნდა ჩაითვალოს შიდაუწყებრივ დოკუმენტად და უნდა გაეცნოს დაინტერესებულ მხარეებს. თუმცა ეს მასალები არ ითვლება ადმინისტრაციული წარმოების საქმის მასალებად და, შესამაბისად, მხარეს არ გადაეცემა. მაგრამ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია ამ კოდექსის მე-3 თავის შესაბამისად, როგორც კერძო პირმა მოითხოვოს ისინი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გადასცეს ეს მასალები მხარეს გადაწყვეტილების მომზადების პროცესში მონაწილე საჯარო მოხელის ვინაობის მითითების გარეშე (იხ. 27-29-ე მუხლების კომენტარი). სწორედ ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ 99-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული შემდგომი შიდაუწყებრივი დოკუმენტების გაცემასთან დაკავშირებით, სრულიად ბედმეტია და მომავალში უნდა გაუქმდეს.

რაც შეეხება მეორე გამონაკლისს, ეს არის ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ და პირად საიდუმლოებას. ასეთი სახის ინფორმაცია მხარეს არ გადაეცემა, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. თუ კანონი პირდაპირ ითვალისწინებს, რომ მხარეს უნდა გადაეცეს ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალა, მათ შორის ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოს, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უმრუნველყოს მხარისათვის ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. სხვა ყველა დანარჩენ შემთხვევებში საიდუმლო ინფორმაცია მხარეს შეიძლება გაეცნოს მხოლოდ იმ პირობით, თუ დოკუმენტის გაცნობის კანონიერი ინტერესი აღემატება საიდუმლოს დაცვის ინტერესს.

ამ შემთხვევაში ჩვენ, ერთი მხრივ, საქმე გვაქვს პირის კანონიერ უფლებასთან, იცოდეს ყველა ის ინფორმაცია, რომელიც იწვევს მისი უფლებების და თავისუფლებების მოცულობის შეცვლას, რაც თავისთავად სამართლებრივი სახელმწიფოს პირობებში ერთ-ერთ ფუნდამენტურ მოთხოვნას შეადგენს. მეორე მხრივ, არსებობს სახელმწიფოს, საზოგადოების და პიროვნების მნიშვნელოვანი ინტერესი, რომელიც შეიძლება არსებითად დაზარალდეს, თუ გამქადაგდება საიდუმლოდ აღიარებული ინფორმაცია. შესაძლებელია, საიდუმლოდ აღიარებული ინფორმაცია ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს შეიცავდეს, რომ მისი, თუნდაც პირთა შემდგომი წრისათვის გამქადაგებით, შეიძლება რეალური

საფრთხე შეექმნას მრავალი ადამიანის სიცოცხლეს, გარემომცველ გარემოს და ა.შ. ზოგჯერ საკითხი, რომლის გამოც ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს, იმდენად უმნიშვნელოა (მაგ. პირის რეგისტრაციაში გატარება ახალ საცხოვრებელ ადგილას) და იმდენად ნაკლები ზეგავლენის მოხდენა შეუძლია მისი ნებისმიერი ფორმით გადაწყვეტას პირის უფლებების და თავისუფლებების მოცულობაზე, რომ საიდუმლოდ დაცული ინფორმაციის გამჟღავნებას ასეთი უმნიშვნელო საკითხის გამო არანაირი საფუძველი არ გააჩნდეს. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც მხარე ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებს საკუთარი ინტერესების დაცვას, თუ არ გაეცნობა საქმის საიდუმლო მასალებს. ასეთ შემთხვევებში, თუ პირის დასაცავი ინტერესი მნიშვნელოვანია, მას ინფორმაცია გადაეცემა იმ პირობით, რომ იგი ამ ინფორმაციას მესამე პირებთან არ გაამჟღავნებს. დაინტერესებული ამ დროს ხელს აწერს კანონით დადგენილი წესით შედგენილ სპეციალურ დოკუმენტს, რომლითაც იგი იღებს საიდუმლო ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის ვალდებულებას.

შეიძლება ითქვას, რომ კანონი ამ დროს მოითხოვს, ერთი მხრივ, დაინტერესებული მხარის ინტერესის, ხოლო მეორე მხრივ, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან სხვა პიროვნების ინტერესების ურთიერთშეფასებასა და გადაწყვეტილების მიღებას მათი ბალანსირების საფუძველზე. თუ აღმოჩნდება, რომ საიდუმლოს დაცვის ინტერესი აღემატება ინფორმაციის გაცემის ინტერესს, მაშინ ინფორმაცია არ უნდა გადაეცეს მხარეს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს ამგვარი დასკვნის გაკეთებისათვის საკმარისი საფუძველი არ გააჩნია, ინფორმაცია უნდა გადაეცეს მხარეს.

კოდექსში ნათლად არ არის მითითებული, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას საიდუმლო ინფორმაციის მხარისათვის გაცნობის შესახებ. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით საიდუმლო ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების ასლები მხარეს გადაეცემა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასამართლოს მეშვეობით. აქედან, შესაძლოა, გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ მხარე ვერ გაეცნობა საიდუმლო ინფორმაციას, თუკი არ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილება. თუმცა, მეორე მხრივ, შეიძლება კანონი სხვაგვარადაც იქნეს გაგებული. მართალია,

საიდუმლო ინფორმაციის ასლის გადაცემას სჭირდება სასამართლოს გადაწყვეტილება, მაგრამ ადმინისტრაციულ ორგანოში საიდუმლო ინფორმაციის დენის მხარისათვის გასაცნობად სასამართლო გადაწყვეტილება აუცილებელი არ არის. ჩვენ კანონის ამ მეორეგვარ გაგებას ვუჭერთ მხარს. ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს. ამიტომ ყველა საკითხზე გადაწყვეტილება სწორედ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მიიღოს. თუ მხარე მიიჩნევს, რომ მისი უფლებები ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით ილახება, შესაძლებელ უნდა იქნეს ამ გადაწყვეტილების სასამართლოში დამოუკიდებლად გასაჩივრება. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია შემოღებულ იქნეს 272-ე მუხლის მე-3 ნაწილში გათვალისწინებული წესის მსგავსი პროცედურა. თუ რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანო ან კერძო პირი მიიჩნევს, რომ საიდუმლო ინფორმაციის მხარისათვის გაცნობისას ილახება შესაბამისად საჯარო ან კერძო პირის ინტერესი, მათ უნდა მიეცეს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების ვადა. დაინტერესებულ მხარეს საიდუმლო ინფორმაცია გადაეცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო საჯარო ორგანოს/კერძო პირის სარჩელს არ დააკმაყოფილებს, ან თუ ეს ორგანო/პირი დადგენილ ვადაში გადაწყვეტილებას არ გაასაჩივრებს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ მუხლში აუცილებელია ისეთი ცვლილებების შეტანა, რომელიც ნათელს გახდიდა საიდუმლო ინფორმაციის გადაცემის წესს გემოალწერილის შესაბამისად.

3-4. დაინტერესებული მხარე ადმინისტრაციული წარმოების მასალებს გაეცნობა იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, სადაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც საქმის ყველა მასალა ხომ სწორედ ამ დაწესებულებაში ინახება. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ამის საკმარისი საფუძველი, პირი შეიძლება ადმინისტრაციული წარმოების მასალებს გაეცნოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში ან სხვა სახელმწიფოში არსებულ საქართველოს საკონსულო დაწესებულებაში. განსაკუთრებულ შემთხვევად ჩაითვლება ისეთი გარემოებების არსებობა, რომელიც ხელს უშლის დაინტერესებულ მხარეს გამოცხადდეს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოში. თუ საქართველოს მოქალაქე იმყოფება საზღვარგარეთ და არ გააჩნია

არავითარი სახსარი, რათა დაბრუნდეს ქვეყანაში და უშუალოდ ადმინისტრაციულ ორგანოში გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება, მისთვის საქმის მასალების შესაბამის ქვეყანაში არსებულ საკონსულო დაწესებულებაში გაცნობის შესახებ. ამისათვის კი დაინტერესებულმა მხარემ ადმინისტრაციულ ორგანოში უნდა წარადგინოს წერილობითი დასაბუთებული შუამდგომლობა, რომელშიც უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რაც შეუძლებელს ხდის მის გამოცხადებას ადმინისტრაციულ ორგანოში.

5. დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია გაეცნოს არა მარტო ადმინისტრაციული წარმოების მასალების დედნებს, არამედ მოითხოვოს ამ დოკუმენტების ასლები. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს დაინტერესებული მხარის მოთხოვნა. მაგრამ, თუკი დაინტერესებული მხარე მოითხოვს საიდუმლო ინფორმაციის ასლებს, მათ ისინი გადაეცემათ მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში და მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით. ჩვენი აზრით, თუ ინფორმაციის ასლების მხარისათვის გადაცემის ვალდებულება პირდაპირ კანონითაა გათვალისწინებული, აუცილებელი არ უნდა იყოს ასეთ შემთხვევაში სასამართლოს თანხმობა, რადგანაც იგი ზედმეტ რგოლად მიგვაჩნია. კარგი იქნებოდა, თუკი კოდექსში შესაბამისი ცვლილებები იქნება შეტანილი.

6. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ყოველგვარი საფასურის გარეშე გადასცეს დაინტერესებული მხარეს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტები. დაინტერესებული მხარე ვალდებულია აანაზღაუროს მხოლოდ ასლის გადაღებასთან, აგრეთვე ფოსტის მეშვეობით გაგზავნასთან დაკავშირებული დანახარჯი. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ფაქტობრივად გაწეული ხარჯი და სხვა რაიმე სახის დამატებითი ფასის დადება დაუშვებელია. ასლის გადაღებასთან დაკავშირებით საკითხი წყდება მუსტად ისე, როგორც ეს დადგენილია ამ კოდექსის მე-3 თავის 38-ე მუხლით. ამასთან, აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ თვით ადმინისტრაციული აქტი და ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები, განსხვავებით ადმინისტრაციული

წარმოების სხვა მასალებისაგან, დაინტერესებულ მხრეს უნდა გადაეცეს უსასყიდლოდ, ასლის გადაღების ან ფოსტით გაგზავნი-სათვის აუცილებელი დანახარჯის ანამლაურების გარეშე.

მუხლი 100. გადაწყვეტილების მიღება

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან მას-ზე უარის თქმის შესახებ იღებს განცხადების წარდგენიდან ერ-თი თვის ვადაში.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინის-ტრაციული აქტი, რომელიც არ ეხება მესამე პირის ინტერე-სებს, უნდა გამოიყოს განცხადების წარდგენიდან 15 დღის ვა-დაში.

3. თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარე-მოებათა დადგენისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული აქ-ტის გამოსაყვამად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადა, ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული წარმოე-ბის დაწყებისას გამოაქვს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადის განსაზღვრის შესახებ.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს.

1. ადმინისტრაციული წარმოება არ შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს. იმისათვის, რომ უკეთ იქნეს გარანტირებული ფიზიკური თუ იურიდიული პირების, აგრეთვე საჯარო ორგანოთა ინტერესები, აუცილებელია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ღროულად გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი. ამიტომაც კოდექსი მკაცრ სამართლებრივ ჩარჩოში სვამს ადმინისტრაციული წარ-მოების მიმდინარეობას. როგორც წესი, ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიყოს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან ერთი თვის ვადაში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღად ჩაითვლება დაინტერესებული მხარის მიერ განცხადების წარდგენის თარიღი ან ადმინისტრა-ციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოსაყვამად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების

მიღების თარიღი. უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსი განსაზღვრული ვადით არ მზღდავს ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად, როდესაც ადმინისტრაციული წარმოების დაწყება მოხდა თვით ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით. თუმცა ამ შემთხვევაში საქციალური კანონის ან კანონქვემდებარე აქტის გარდამავალი დებულებები, აგრეთვე ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული აქტი შეიძლება ითვალისწინებდეს ვადას, რომლის განმავლობაშიც ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიყეს (მაგ. პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა ახალი დეპარტამენტი სოფლის მეურნეობის სამინისტროში და ამავე ბრძანებულებით სოფლის მეურნეობის მინისტრს დაევალა 3 თვის განმავლობაში ჩაატაროს კონკურსი და დანიშნოს ამ დეპარტამენტის მოხელეები). ის, რომ ასეთ შემთხვევაში რაიმე ვადა კოდექსში არ არის დადგენილი, ბუნებრივიცაა, რადგან ამ დროს დროის გაჭიანურებით ილახება არა დაინტერესებული მხარის. არამედ საჯარო ინტერესები. ამიტომ ადმინისტრაციული ორგანო თავად უნდა იყოს დაინტერესებული ადმინისტრაციული აქტის სწრაფი გამოცემით. ზოგ შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა მოითხოვს ხანგრძლივ შესწავლას და ამავე დროს, არ არსებობს აჩქარების საფუძველი. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოება რამდენიმე თვის განმავლობაში მიმდინარეობდეს. კიდევ ერთხელ გვინდა გამოვრება, რომ ზემოაღნიშნული დისკრეციული უფლებამოსილება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულ ორგანოს გააჩნია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული წარმოება დაწყებულია ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით.

კოდექსი ადგენს, რომ განცხადების წარდგენის შემთხვევაში, გადაწყვეტილების მისაღებად გათვალისწინებული ერთი თვე, არის ზოგადი წესი. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციული წარმოება უფრო ნაკლებ ვადაში დაასრულოს, თუკი ამის შესაძლებლობა არსებობს. თუ საკითხის გადაწყვეტა დიდ დროს არ მოითხოვს, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არ გააჭიანუროს გადაწყვეტილების მიღება. იგი ვალდებული არ არის დაელოდოს ერთთვიანი ვადის დადგომას. ამასთან, სხვა კანონი შეიძლება ადგენდეს განსხვავებულ ვადას, რომლის

დროსაც ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიყოს. ეს ვადა შეიძლება აღემატებოდეს ან იყოს უფრო ნაკლები, ვიდრე კოდექსით დადგენილი ერთთვიანი ვადა. მაგ. "საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის გაცემის ან მასზე უარის შესახებ გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს განცხადების წარდგენიდან ათი დღის განმავლობაში.

2. არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული წარმოების დროს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობს მხოლოდ განმცხადებელი (განმცხადებლები, თუ განცხადება რამდენიმე პირის მიერ არის წარდგენილი) და ადმინისტრაციული აქტის გამოცემა არ საჭიროებს მრავალი მტკიცებულების შეგროვებას, ექსპერტიზის დანიშვნას, სხვა ადმინისტრაციული ორგანოსაგან ან საზოგადოებრივი ექსპერტისაგან დასკვნის მიღებას და ა.შ. ამის გამო ადმინისტრაციულ ორგანოს უფრო ნაკლები დრო სჭირდება ადმინისტრაციული აქტის გამოსაყვამად. კოდექსი ადგენს, რომ, თუკი ადმინისტრაციული აქტი არ ეხება მესამე პირს, იგი უნდა გამოიყოს განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 15 დღისა. მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ რამდენიმე დაინტერესებული მხარის მონაწილეობა არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ 15 დღიანი ვადა არ უნდა გამოიყენოს, თუკი ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე განმცხადებელია (მაგ.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის 5 მცხოვრებმა მიმართა ერთობლივი განცხადებით ქ. თბილისის მერიას). ამასთან, ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ მხოლოდ ერთი პირის — განმცხადებლის მონაწილეობა ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით შესაძლოა არსებობდეს მესამე პირის კანონიერი ინტერესი. რადგანაც კოდექსი არ ავალდებულებს დაინტერესებულ მესამე პირს, აუცილებლად მიიღოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში, ამის გამო ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოარყვიოს, ეხება თუ არა მესამე პირის ინტერესებს ადმინისტრაციული აქტი და გადაწყვეტილება ამის საფუძველზე გამოიტანოს. თუმცა, როგორც

ბემოთ უკვე აღვნიშნეთ, მესამე პირის მონაწილეობა ვერ იქნება დაბრკოლება ადმინისტრაციული ორგანოსათვის, ადმინისტრაციული წარმოება დაასრულოს კანონით დადგენილ ვადაზე ადრე.

3. ზოგიერთ შემთხვევაში საკითხი იმდენად რთულია, რომ მის გადასაწყვეტად აუცილებელია უფრო ხანგრძლივი ვადა, ვიდრე ეს კანონით არის დადგენილი. რიგ შემთხვევაში შესაგროვებელია მტკიცებულებები, მოწმეებმა უნდა მისცენ ახსნა-განმარტება, უნდა დაინიშნოს ექსპერტიზა, სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა წარმოადგინოს დასკვნა და ა.შ. ყოველივე ამის გამო კოდექსი ითვალისწინებს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს თვითონ განსაზღვროს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფრო ხანგრძლივი ვადა. ამასთან აუცილებელია, რომ გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად უფრო ხანგრძლივი ვადის განსაზღვრის შესახებ, გამოტანილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე ან იმ გარემოების წარმოშობისთანავე, რომელიც გახდა გადაწყვეტილების მიღების გადადების საფუძველი. ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადის დადგენისას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს, თუ რა გარემოებების გამო გახდა აუცილებელი ახალი ვადის დადგენა, რატომ არ იყო შესაძლებელი არსებულ ვადაში ამ გარემოებათა შესწავლა. დაუშვებელია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ახალი ვადის განსაზღვრის უფლება გამოიყენოს საკუთარი უმოქმედობის გასამართლებლად ან საქმის გაჭიანურების მიზნით. ადმინისტრაციული აქტის გადადების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება მაშინვე იქნეს გასაჩივრებული ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ან სასამართლოში, თუკი იგი დამოუკიდებლად არღვევს დაინტერესებული მხარის კანონიერ ინტერესებსა და უფლებებს, ან ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადის გადადებით შეუძლებელი ხდება ან აზრი ეკარგება დაინტერესებული მხარის კანონიერი ინტერესების დაცვას, თუნდაც მომავალში მისთვის სასურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემით.

4. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, აუცილებელი ხდება ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად კანონმდებლობით გათვალისწინებულზე მეტი ვადის დადგენა,

კოდექსი ითვალისწინებს, რომ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის საერთო ვადა 3 თვეს არ უნდა აღემატებოდეს. არც ერთი ადმინისტრაციული წარმოება, რომელიც დაიწყო პირის განცხადების საფუძველზე. ვერ გავრძელდება 3 თვეზე მეტხანს. მიუხედავად საკითხის სირთულისა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ჩაეტიოს 3 თვიან ვადაში.

მუხლი 101. განმცხადებლის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენა ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე უარის თქმის შემთხვევაში

1. განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს განმცხადებელს განცხადების უარყოფელ გარემოებათა შესახებ საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა, თუ:

- ა) უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ;
- ბ) ინფორმაცია, რომელსაც ეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი, განმცხადებელმა ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება უნდა წარადგინოს 5 დღის ვადაში.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა არ გამოიყენება, თუ განმცხადებელს უკვე წარდგენილი აქვს საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ გარემოებასთან დაკავშირებით, აგრეთვე გადაუდებელ შემთხვევებში, როდესაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიუთითოს, თუ რა გადაუდებელი გარემოება არსებობს.

1. ადმინისტრაციული წარმოების დიდი ნაწილი ინიცირებულია ფიზიკური თუ იურიდიული პირების განცხადებებით, რომლებშიც ისინი მოითხოვენ მათთვის სასურველი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას. ასეთ შემთხვევაში მათ, ისევე როგორც სხვა დაინტერესებულ მხარეებს, უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ ად-

მინისტრაციულ წარმოებაში. ეს კი მათ შესაძლებლობას აძლევს, გაეყნონ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებულ მასალებს, წარადგინონ მტკიცებულებები და საკუთარი მოსაზრებები, დააყენონ შუამდგომლობები. ამის გარდა, კოდექსი ითვალისწინებს მათი ინტერესების დაცვის განსაკუთრებულ გარანტიებს. კერძოდ, თუ ადმინისტრაციული წარმოების მასალებში არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილი აქვს უარი უთხრას განმცხადებელს მოთხოვნის დაქმნაზე, იგი ვალდებულია მისცეს მას შესაძლებლობა წარადგინოს საკუთარი მოსაზრება ამ გარემოებათა თაობაზე.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ეს ვალდებულება არსებობს მხოლოდ ორ შემთხვევაში:

ა) როდესაც უარი ეფუძნება ინფორმაციას განმცხადებლის შესახებ. მაგ. მოქალაქემ შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინა განცხადება მართვის მოწმობის მისაღებად. ადმინისტრაციულმა ორგანომ შესაბამისი ორგანოებიდან ინფორმაციის გადამოწმების შედეგად დაადგინა, რომ მოქალაქეს არ შესრულებია 18 წლის ასაკი, რომლის მიღწევამდეც კანონი კრძალავს მართვის მოწმობის გაცემას. ამ დროს ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს განმცხადებელს შესაძლებლობა გამოთქვას თავისი მოსაზრება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მის ასაკთან დაკავშირებით მოპოვებული ინფორმაციის თაობაზე;

ბ) ინფორმაცია, რომელსაც მომავალში დაეფუძნება უარი, განსხვავდება განმცხადებლის მიერ წარდგენილი ინფორმაციისაგან (მაგ. მოქალაქემ ადმინისტრაციულ ორგანოში შეიტანა განცხადება ახალ საცხოვრებელ ადგილას რეგისტრაციის მოთხოვნით, ამასთან, მან წარადგინა მისი დეიდის, როგორც სახლის მესაკუთრის, თანხმობა მოცემულ საცხოვრებელ სადგომში რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ინფორმაციის გადამოწმებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადგინა, რომ მოცემულ მისამართზე მდებარე სახლის მესაკუთრეს სხვა პირი წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ კოდექსი საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლებას ანიჭებს არა ყველა დაინტერესებულ მხარეს, არამედ მხოლოდ განმცხადებელს. თუ სხვა შემთხვევებში ყველა დაინტერესებული მხარის უფლებათა მოკულობა ერთმანეთისას ემთხვევა, ამ შემთხვევაში კანონი

გამონაკლისს აკეთებს მხოლოდ განმცხადებლისათვის. ეს იმიტომ, რომ აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოება სწორედ განმცხადებლის ინიცირებული იყო და გადაწყვეტილება ძირითადად მასზე ახდენს უშუალო და პირდაპირ გავლენას.

2. განმცხადებელი საკუთარ მოსაზრებებებს წარადგენს არა უკვიანეს 5 დღის ვადაში, თუმცა შესაძლებელია, კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტით ამ ვადისაგან განსხვავებული ნებისმიერი ვადის დადგენა. ამ ვადის გაშვების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო მიიღებს გადაწყვეტილებას ისე, რომ ვალდებული არ არის დაელოდოს განმცხადებლის მიერ მოსაზრებების წარდგენას. იგი ასევე ვალდებული არ არის განიხილოს და გაითვალისწინოს განმცხადებლის მიერ დადგენილი ვადის გაშვების შემდეგ წარდგენილი ინფორმაცია.

3. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული ვალდებულება ყველა შემთხვევაში არ გამოიყენება. რა თქმა უნდა, თუ ადმინისტრაციული წარმოების სხვა ეტაპზე განმცხადებელმა უკვე წარადგინა საკუთარი მოსაზრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, კოდექსი აღარ მოითხოვს ახალი ვადის განსაზღვრას. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც საკუთარი მოსაზრების ხელახლა წარდგენას არავითარი აზრი არ ექნებოდა. ამასთან, შესაძლებელია არსებობდეს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის გადაუდებელი აუცილებლობა, თუ არსებობს საფრთხე, რომ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დაყოვნებამ არსებითი ზიანი შეიძლება მიაყენოს საჯარო ინტერესს, ანუ ზიანი უნდა იყოს არსებითი, ხოლო საფრთხე უნდა ექმნებოდეს საჯარო ანუ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესს. ეს იმას ნიშნავს, რომ კერძო პირისათვის შექმნილი საფრთხე არ შეიძლება გახდეს საფუძველი ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული უფლების გასაუქმებლად. თუკი არსებითი საფრთხე ექმნება საჯარო ინტერესს, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ასეთ შემთხვევაში გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება, თუ რა გადაუდებელი აუცილებლობა არსებობს, კონკრეტულად რომელ საჯარო ინტერესს ექმნება საფრთხე და როგორია ამ ზიანის მოცულობა.

მუხლი 102. ერთსა და იმავე საკითხზე განცხადების ხელახლა წარდგენის წესი

1. განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძველად დაედო ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

2. თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს განცხადებაზე უარის თქმის შესახებ. ადმინისტრაციულ აქტში მითითებული უნდა იყოს ის სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც უარი ითქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

3. განცხადება ადმინისტრაციული წარმოების განახლების შესახებ მიიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული წარმოების დროს ამ გარემოებათა ან ფაქტების წარუდგენლობა განმცხადებლის ბრალით არ მომხდარა.

1. ადმინისტრაციული ორგანოებისადმი მიმართვის უფლება მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებაა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოქალაქეს ერთსა და იმავე საკითხზე რამდენჯერმე მიმართვის უფლება გააჩნია. მოქალაქის მიერ იგივე საკითხის ხელახლა დაყენება ახალი გარემოებების არსებობის გარეშე გამოიწვევს უბრალოდ დროის ხარჯვას, ადმინისტრაციული ორგანოს გადატვირთვას და ადმინისტრაციული წარმოების ხარჯების არაეფექტურ გაზრდას, ამავე დროს, ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება უკუღელს დარჩება. სწორედ ამიტომაც კოდექსი დაუშვებლად აცხადებს უკვე განხილულ და გადაწყვეტილ საკითხზე ახალი განცხადების წარდგენის შესაძლებლობას. ადმინისტრაციუ-

ლი კოდექსი საკითხის გადაწყვეტაში გულისხმობს განცხადებაზე ან საჩივარზე უარის თქმას. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს პირმა უკვე წარუდგინა განცხადება ან საჩივარი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ადმინისტრაციული აქტის ბათილად (ძალადაყარგულად) გამოცხადების მოთხოვნით და ეს განცხადება არ დაკმაყოფილდა, პირს შეუძლია იმავე საკითხზე იმავე მოთხოვნით წარადგინოს ახალი განცხადება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც დაედო ადმინისტრაციული აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ. მაგ., იურიდიულმა პირმა მიმართა გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის თაობაზე. სამინისტრომ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ იურიდიულ პირს არ გააჩნდა გამწმენდი ნაგებობა. ერთი წლის შემდეგ იურიდიულმა პირმა ეს ნაგებობა შეიძინა და დაამონტაჟა თავის საწარმოში, ამიტომ ასეთ შემთხვევაში მას უკვე აქვს უფლება ხელახლა მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოსაცემად. უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საკმარისი პირობა არ არის სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების შეცვლა, აუცილებელია, რომ ეს გარემოებები შეცვლილ იქნეს განმცხადებლის სასარგებლოდ;

ბ) არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება. მაგ., გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ გაირკვა, რომ თანამდებობის პირმა ქრთაში აიღო სხვა დაინტერესებული მხარისაგან და განმცხადებლის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება გამოიტანა. ასეთ შემთხვევაში პირს უფლება აქვს მოითხოვოს მიყვრძობებით გამოტანილი გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების გამოტანა. ისევე როგორც ბემოთ მითითებულ შემთხვევაში, განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოება ვითარებას ცვლის განმცხადებლის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისთავად, ახლად აღმოჩენილი გარემოება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

2. თუ ხელახალ განცხადებაში ბემოაღნიშნულ გარემოებებზე არ იქნება მითითება, ადმინისტრაციული ორგანო მას არ

დადამაყოფილებს, რადგანაც არ იქნება ადმინისტრაციული აქტის ამ მუხლის პირველ ნაწილში გათვალისწინებული საფუძველი. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაასაბუთოს, თუ რატომ განაცხადა უარი განცხადების განხილვაზე და მიუთითოს ის ადმინისტრაციული აქტი, რომელშიც მან უკვე გამოიტანა აღნიშნულ საკითხზე თავისი გადაწყვეტილება.

3. როდესაც საუბარია ახლად აღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებებზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ამ დროს საკითხი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელახლა განიხილება, თუ გარემოებები და ფაქტები, რომლებსაც განცხადებელი საფუძველად უდებს ხელახალ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის მოთხოვნას, თავის დროზე ადმინისტრაციული ორგანოსათვის წარდგენილობა განმცხადებლის ბრალით არ მომხდარა. თუ დაინტერესებულმა მხარემ თავის დროზეც იცოდა ამ ფაქტებისა და გარემოებების შესახებ და არ განუცხადებია ამის თაობაზე, როდესაც საკითხი წყდება, მას უფლება არა აქვს ამ გარემოებებზე შემდგომში მიუთითოს და მოითხოვოს მათი გათვალისწინებით საკითხის განხილვა.

თავი VII

ადმინისტრაციული წარმოება კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოში

მუხლი 103. ადმინისტრაციული წარმოების წესი კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოში

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლექტიურ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად და ამ თავში აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლექტიურ ორგანოში შეტანილ განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანო. გამონაკლისს წარმოადგენს კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირის უფლება – გადაგზავნოს განცხადება უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში ან დაუბრუნოს იგი განმცხადებელს, თუ მასში დასმული საკითხების გადაწყვეტა კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება.

1. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს ყველა ის საჯარო დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელი ან სათათბირო ორგანო ერთზე მეტი პირისაგან შედგება და რომელშიც გადაწყვეტილებას ერთზე მეტი პირი ერთობლივად იღებს ან ამზადებს. ასეთია, მაგალითად, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია, ქ. თბილისის საყრებულო და სხვ. თუ საქციალური კანონით რაიმე სხვა წესი არ იქნება დადგენილი, კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მომზადებისა და აქტის გამოცემის პროცესში გამოყენებულ უნდა იქნეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოება იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რაც ამ თავითაა დადგენილი. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებების მიღებისას იყენებს მე-ნ თავით დადგენილ წარმოებას. მაგრამ ცალკე თავის სახით ასეთ ორგანოთა მიერ ადმინისტრაციული

აქტების გამოცემის წესის ჩამოყალიბება ამ ორგანოში გადაწყვეტილებების კოლეგიალურად მიღების საეციფიციტაა განპირობებული. სხვა მხრივ, იგი ისევე იყენებს მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებას, როგორც ნებისმიერი სხვა ადმინისტრაციული ორგანო/თანამდებობის პირი.

2. კოლეგიური ორგანო ვალდებულია თვითონ განიხილოს ამ ორგანოში შეტანილი განცხადება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსახილველი საკითხი ამ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას არ განეკუთვნება. ასეთ შემთხვევაში კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი დაუბრუნებს საქმის მასალებს განმცხადებელს ან გადაუგზავნის მას კომპეტენტურ ადმინისტრაციულ ორგანოს. თუ განმცხადებელი მიიჩნევს, რომ თანამდებობის პირის გადაწყვეტილება არასწორია, მას უფლება აქვს კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე დასვას საკითხი თანამდებობის პირის გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე, რაც აუცილებლად უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს კოლეგიურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ. ყველა სხვა შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადაწყვეტილებებს იღებს კოლეგიური ორგანო თავის სხდომაზე ამ ორგანოს წევრთა მონაწილეობით კოლეგიურად.

მუხლი 104. კოლეგიური ორგანოს სხდომის მიმდინარეობის წესი

1. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომას ხსნის და დახურულად აცხადებს ამ ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კანონმდებლობის შესაბამისად დანიშნული (არჩეული) სხდომის თავმჯდომარე.

2. სხდომის თავმჯდომარეს სხდომა მიჰყავს დღის წესრიგის შესაბამისად.

კოლეგიურ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული წარმოების პროცედურის ხელმძღვანელობა (სხდომის გახსნა, გაძლოლა, დახურულად გამოცხადება) ეკისრება ამ ორგანოს ხელმძღვანელ პირს ან მისი არყოფნის შემთხვევაში – კანონის შესაბამისად არჩეულ (დანიშნულ) სხდომის თავმჯდომარეს. სხდომაზე განიხილება მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც შეტა-

ნილია დღის წესრიგში. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უმრუნველყოს საკითხების განხილვა დღის წესრიგის შესაბამისად.

მუხლი 105. კვორუმი

1. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომაზე მოწვეულ უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.

2. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 3 წევრისა.

3. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

1. მოცემული მუხლი განსაზღვრავს კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესს. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ყველა წევრი წინასწარ უნდა იქნეს გაფრთხილებული სხდომის გამართვის დროის, ადგილისა და დღის წესრიგის შესახებ და მოწვეულ იქნეს სხდომაზე დასასწრებად. კოდექსი არ ითვალისწინებს წერილობითი ფორმით მოსაწვევების გაგზავნას, თუმცა ადმინისტრაციულ ორგანოს საკუთარი ინიციატივით ამ ფორმის დაწესება შეუძლია.

2. რადგანაც კოლეგიურ ორგანოში გადაწყვეტილება კოლეგიურად მიიღება, აუცილებელია კვორუმის დაწესება, რათა სხდომაზე ამ ორგანოს წევრთა უმრავლესობის აზრის წარმოდგენა იქნეს უმრუნველყოფილი. კენჭისყრაზე საკითხის დაყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხდომას კოლეგიური ორგანოს წევრთა ნახევარზე მეტი ესწრება. თუ კოლეგიური ორგანო სამი წევრისაგან შედგება, მაშინ სხდომაზე სამივე წევრი უნდა იქნეს წარმოდგენილი, რათა საკითხი კენჭისყრაზე იქნეს დაყენებული. ეს ნორმა მნიშვნელოვნად შემზღუდავია. ამ ნორმის მისეღვით, კოლეგიური ორგანოს ერთ წევრსაც შეუძლია მისთვის არასასურველი საკითხის მიღება დაბლოკოს მისი სხდომაზე გამოუცხადებლობით. ჩვენი აზრით, უმცირესობისათვის ასეთი გარანტიის დაწესება არ არის მისაღები და ამან შეიძლება სერიოზული დაბრკოლება შეუქმნას დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას. ალბათ, კოდექსში მომავალში ცვლილებების

შეტანისას ეს აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული და სათანადო შესწორება შეტანილი.

3. კოლეგიური ორგანო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით. თუმცა კანონით ან კანონქვემდებარე აქტით შესაძლებელია დაწესდეს გადაწყვეტილების მისაღებად კვალიფიციური უმრავლესობის მოთხოვნა (მაგ., კოლეგიური ორგანოს სრული შემადგენლობის უმრავლესობით, დამსწრეთა ორი მესამედით და ა.შ)

მუხლი 106. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომის ოქმი

1. კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს ყველა სხდომაზე დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

- ა) კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;
- ბ) სხდომის დრო და ადგილი;
- გ) სხდომის თავმჯდომარისა და წევრების ვინაობა;
- დ) განხილვის საგანი;
- ე) კენჭისყრის შედეგები;
- ვ) მიღებული გადაწყვეტილება.

2. სხდომის ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე, აგრეთვე მდივანი, თუ ის მონაწილეობდა ოქმის შედგენაში.

1. ამ მუხლში მოცემულია კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომაზე ოქმის შედგენის სავალდებულობა და ამ ოქმის სავალდებულო რეკვიზიტები. სხდომის ოქმის შედგენის აუცილებლობა იმითაა განპირობებული, რომ შესაძლებელი გახდეს სხდომაზე არსებული მსჯელობისა და გამოთქმულ მოსაზრებათა დაფიქსირება. სხდომის ოქმს თავისი რეკვიზიტები გააჩნია, რომლებიც აუცილებლად უნდა გააჩნდეს ყველა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს სხდომის ოქმს. ამ რეკვიზიტების ამოცანაა უზრუნველყოფილ იქნეს გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს, გადაწყვეტილების მიღების დროის და ადგილის, კენჭისყრის შედეგისა და მიღებული გადაწყვეტილების იდენტიფიცირება.

2. სხდომის ოქმს, ისევე როგორც სხდომაზე მიღებულ გადაწყვეტილებას, ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე. მოგიერთ კოლეგიურ დაწესებულებაში საერთოდ არ არსებობს სხდომის

მდივნის თანამდებობა, მაგრამ თუკი ასეთი ფუნქციის მქონე მოხელე კოლექტიურ დაწესებულებაში არსებობს, იგი მონაწილეობს სხდომის ოქმის შედგენაში და, შესაბამისად, ხელს აწერს მას. სხდომის ოქმის სისწორებზე პასუხს აგებენ მასზე ხელმომწერი პირები. კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს წევრს, აგრეთვე დაინტერესებულ მხარეს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კოლექტიური ორგანოს მუშაობაში, უფლება აქვთ მოითხოვონ სხდომის ოქმში დაშვებული უზუსტობის გასწორება. თუ სხდომის თავმჯდომარე უარს განაცხადებს სხდომის ოქმში შესწორების შეტანაზე, კოლექტიური ორგანოს წევრს/დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს.

თავი VIII

ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება

შესავალი

კოდექსის მე-8 თავი განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების ისეთ წესს, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთ შემთხვევებში, როდესაც, საკითხის სირთულიდან გამომდინარე, საქმის მთელი რიგი გარემოებები წინასწარ დადგენილი არ არის. საჯარო წარმოებისაგან განსხვავებით, ფორმალური პროცედურა არ არის ორიენტირებული მასში საზოგადოების ფართო მონაწილეობაზე. ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობენ მხოლოდ ის პირები, ვის ინტერესებსაც პირდაპირ შეეხება გადასაწყვეტი საკითხი. პროცედურა გარკვეულწილად წააგავს სასამართლოს იმით, რომ ყველა მონაწილეს საშუალებას აძლევს მოსმენილ იქნეს მათი არგუმენტები და სრულად იქნეს გამოკვლეული ფაქტები.

მუხლი 107. ადმინისტრაციული აქტის გამოცემა ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით

1. ადმინისტრაციული აქტი ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.

2. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. კოდექსის ამ თავის მოქმედებაში მოსაყვანად სპეციალური კანონია საჭირო. თუ კანონი პირდაპირ არ მიუთითებს ამ თავით დადგენილი წესების გამოყენების შესახებ, სხვა შემთხვევაში ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებით ადმინისტრაციული აქტის გამოცემა არ ხდება. დღესდღეობით საქართველოში ასეთი კანონი არ არსებობს, თუმცა კანონმდებლებს გააჩნიათ ამ თავით მინიჭებული შესაძლებლობის სამომავლოდ რეალიზაციის

საშუალება. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი საქმიანობის შესახებ“ შეიცავს ფორმალური წარმოების ნიშნებს. ფორმალური წარმოების შესახებ დებულებების ამ კოდექსში არსებობა გაამარტივებს სპეციალურ კანონმდებლობას, რამეთუ მათში შესაძლებელი გახდება პირდაპირ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VIII თავზე მითითება, მისი შინაარსის გამეორების გარეშე.

2. მუხლის მე-2 ნაწილი ამჟღავნებს ხდის, რომ ფორმალური წარმოება, ძირითადად, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ბაზაზეა აგებული. ეს გულისხმობს იმას, რომ ფორმალური წარმოებისას ის საკითხები, რაც მოცემული თავით არ არის განსაზღვრული, დარეგულირდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ამ კოდექსის VI-VII თავებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ 78-ე (ვანცხალების შინაარსი), 86-ე (წარმომადგენლობის უფლება), 99-ე (ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება) და სხვა მუხლები, რომლებიც ასევე გამოიყენება ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისას. თუმცა ამავე დროს არსებობს საკითხები, რომლებიც განსხვავებულად წესრიგდება, ვიდრე ეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოებითაა განსაზღვრული. მაგ., ფორმალურ ადმინისტრაციული წარმოების დროს აუცილებელია ბეპირი მოსმენის ჩატარება (მუხ. 110) და ა.შ.

მუხლი 108. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო აცნობებს ყველა დაინტერესებულ მხარეს ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ და უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარის უარი ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის მიღებაზე არ აჩერებს ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებას.

3. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა წა-

რადგინოს თავისი მოსაზრება ან შუამდგომლობა ადმინისტრაციული წარმოების ყველა გარემოებასთან დაკავშირებით.

1. საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისაგან განსხვავებით, ფორმალურ წარმოებაში მხარეებს მხოლოდ ის პირები წარმოადგენენ, რომლებსაც გააჩნიათ საქმეში კანონიერი ინტერესი, (ანუ წარმოადგენენ ამ კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დაინტერესებულ მხარეს). ეს პირები უნდა დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და მათ აუცილებლად უნდა ეცნობოთ წარმოების დაწყების შესახებ. ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე უნდა უზრუნველყოს ამ პირთა წარმოებაში მონაწილეობა, რაც ვულისხმობს იმას, რომ ორგანომ უნდა მიაწოდოს აღნიშნულ პირებს წარმოებასთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია. წარმოებაში დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის უზრუნველყოფა, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს მათთვის სამგზავრო ხარჯებისა და წარმომადგენლის დაქირავების თანხების ანაზღაურებასაც.

2. დაინტერესებულ პირებს არ ეკისრებათ წარმოებაში მონაწილეობის ვალდებულება. მათ შეუძლიათ უარი თქვან მათთვის მინიჭებული უფლების განხორციელებაზე, რაც თავისთავად არ შეაჩერებს წარმოებას. წარმოებაში მონაწილეობაზე უარის თქმა ასევე არ გულისხმობს იმას, რომ წარმოების საფუძველზე მიღებული ადმინისტრაციული აქტი არ გავრცელდება აღნიშნულ პირზე ან ეს აქტი ცნობილი იქნება ბათილად.

3. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება უზრუნველყოს წარმოებაში დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობა, გრძელდება ადმინისტრაციული წარმოების მთელი პროცესის განმავლობაში. დაინტერესებული მხარეს უფლება აქვს წარადგინოს თავისი მოსაზრება ან შუამდგომლობა საქმის ნებისმიერ გარემოებასთან დაკავშირებით. პირს, რომელმაც თავიდან უარი განაცხადა წარმოებაში მონაწილეობაზე, შეუძლია მოითხოვოს მასში ჩართვა წარმოების ნებისმიერ ეტაპზე. თუმცა მას არ შეუძლია მისი მონაწილეობის გარეშე უკვე განვლილი წარმოების საფეხურების თავიდან ჩატარების მოთხოვნა.

მუხლი 109. მოწმე და ექსპერტი ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დროს მოწმე ვალდებულია მისცეს ჩვენება, ხოლო ექსპერტი – დასკვნა.

2. ჩვენების ან საექსპერტო დასკვნის მიცემაზე უარის მართლზომიერების საკითხს წყვეტს სასამართლო.

3. დაინტერესებულ მხარეს უნდა მიუცეს საშუალება გამოთქვას თავისი მოსაზრება ექსპერტის დასკვნის ან მოწმის ჩვენებასთან დაკავშირებით.

4. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს დაესწროს მოწმის ან ექსპერტის დაკითხვას, დაუსვას მათ შეკითხვები, გაეცნოს ექსპერტის წერილობით დასკვნას, დაესწროს შემთხვევის ადგილის დათვალიერებას.

5. დაინტერესებული მხარის მიერ მოწვეული მოწმის ან ექსპერტის ხარჯებს ანაზღაურებს დაინტერესებული მხარე.

თუკი მარტივი ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში მოწმე და ექსპერტი არ არიან ვალდებულნი მისცენ ჩვენება ან დასკვნა (იხ. მუხლი 97, მე-2 ნაწილი), ფორმალური წარმოების დროს ასეთი ვალდებულება არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოწმე და ექსპერტი ისევე აგებს პასუხს ჩვენების (დასკვნის) მიცემაზე უარის თქმისათვის, როგორც ეს საპროცესო კანონმდებლობებითაა განსაზღვრული.

2. კონკრეტულ მოწმეებსა და ექსპერტებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ჩვენებისა თუ დასკვნის მიცემასთან დაკავშირებით, ასეთ შემთხვევაში საკითხს გადაწყვეტს სასამართლო. სასამართლოს მიერ საკითხის გადაწყვეტამდე ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეჩერდეს.

3. სასამართლოში საქმის განხილვის მსგავსად, ადმინისტრაციული წარმოებისას დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გამოთქვას თავისი მოსაზრებები მოწმის ჩვენების ან ექსპერტის დასკვნასთან მიმართებაში. გარდა ამისა, მხარეებს უფლება აქვთ წარადგინონ ყველა სახის მტკიცებულებები, დაესწრონ მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვას, დაუსვან მათ შეკითხვები, გაეცნონ ექსპერტის წერილობით დასკვნას, დაესწრონ ადგილის დათვალიერებას. ფაქტობრივად, დაინტერესებული მხარე ამ

დროს სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რასაც ითვალისწინებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.

4. დაინტერესებულ მხარეებს უფლება აქვთ მოიწვიონ თავიანთი მოწმე და ექსპერტიც, რომელთა მოწვევის ხარჯების დაფარვაც თავად ეკისრებათ. დაინტერესებული მხარის მიერ მოწმის ან ექსპერტის მოწვევას არ სჭირდება ადმინისტრაციული ორგანოს რაიმე გადაწყვეტილება.

მუხლი 110. ზეპირი მოსმენა

1. ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე.

2. დაინტერესებულ მხარეებს უნდა ეცნობოთ ზეპირი მოსმენის შესახებ მის გამართვამდე 7 დღით ადრე მაინც და მოწვეულ იქნენ ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად.

3. მოსაწვევეში მიეთითება ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილება – საქმე განიხილოს და გადაწყვიტოს დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშეც, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. თუ დაინტერესებულ მხარეთა რიცხვი აღემატება 50-ს, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაინტერესებული მხარეები ზეპირ მოსმენაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვიოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში ცნობის გამოქვეყნების მეშვეობით. ცნობაში უნდა მიეთითოს საკითხი, რომლის თაობაზედაც უნდა მოეწყოს ზეპირი მოსმენა, ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელიც აწყობს მოსმენას, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, ზეპირი მოსმენის დრო და ადგილი.

5. ზეპირი მოსმენა, როგორც წესი, არ უნდა ვრძელდებოდეს ერთ სამუშაო დღეზე მეტს.

1. ფორმალური წარმოებისას დაუმეებელია საქმის გადაწყვეტა ზეპირი მოსმენის ჩატარების გარეშე. სწორედ ეს არის მარტივი ადმინისტრაციული წარმოებისაგან მისი ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი. ზეპირ მოსმენაზე მოიწვევა საქმეში მონაწილე სუბიექტები და მათ შესაძლებლობა აქვთ ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე წარმოადგინონ ადმინისტრაციული აქტის მიღების სასარგებლო თუ საწინააღმდეგო არგუმენტები.

2-3. გეპირი მოსმენის ჩატარების დრო წინასწარ უნდა ეცნობოს წარმოებაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს, რისთვისაც თითოეულ მათგანს გადაეცემა წერილობითი მოსაწვევი სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 7 დღისა. რამდენადაც კოდექსი ადგენს, რომ შესაძლებელია გეპირი სხდომის გამართვა და გადაწყვეტილების მიღება დაინტერესებული მხარის მონაწილეობის გარეშე, ამ შესაძლებლობის შესახებ დაინტერესებული მხარე წინასწარ უნდა იქნეს გაფრთხილებული.

4. მე-4 ნაწილი მიმართულია ადმინისტრაციის მუშაობის შემსუბუქებისაკენ იმ შემთხვევებში, როდესაც წარმოებაში მონაწილე დაინტერესებული მხარე 50-ზე მეტია, თუმცა, ჩვენი აზრით, სასურველია ასეთი საქმეების განხილვა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით მოხდეს. ასეთ დროს ბეჭდვით ორგანოში გამოქვეყნებული ცნობა უნდა შეიცავდეს დეტალურ ინფორმაციას გეპირი სხდომის დროის ადგილისა და შინაარსის თაობაზე.

5. მე-5 ნაწილში მოცემულია მოთხოვნა იმის შესახებ, რომ გეპირი მოსმენა არ უნდა გრძელდებოდეს ერთ დღეზე მეტ ხანს. თუმცა ეს დებულება არ უნდა იქნეს გაგებული კატეგორიულად, რადგანაც არის შემთხვევები, როდესაც საქმის სირთულიდან გამომდინარე (მიუხედავად ადმინისტრაციული ორგანოს მცდელობისა), მოსმენას შეიძლება 2 ან მეტი დღე დასჭირდეს.

მუხლი 111. გეპირი მოსმენის ჩატარების წესი

1. სხდომა გეპირ მოსმენასთან დაკავშირებით საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომა დახურულად გამოაცხადოს სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული ან მხარის პირადი საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით.

2. სხდომას ხსნის და თავმჯდომარეობს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი.

3. გეპირ მოსმენაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილ თანამდებობის პირს, შემდგომი ორგანოს წარმომადგენელს, დაინტერესებულ მხარეს, განხილვაზე მოწვეულ ექსპერტს, მოწმეს.

4. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა გეპირ მოსმენაზე და დამსწრე დაინტერესებულ მხარეს მისცეს

საქმესთან დაკავშირებით საკუთარი ამრის გამოთქმის უფლება.

5. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით.

6. სხდომაზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე. იგი უფლებამოსილია გააფრთხილოს წესრიგის დამრღვევი პირი, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში – გააძევის დარბაზიდან.

7. სხდომა შეიძლება გაგრძელდეს დარბაზიდან გაძევებული პირის მონაწილეობის გარეშე.

1. ბეპირი მოსმენა საჯაროა, ანუ ნებისმიერ პირს აქვს უფლება დაესწროს ამ სხდომას. თუმცა როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისას მხოლოდ დაინტერესებულ მხარეს აქვს ბეპირ მოსმენაში მონაწილეობის უფლება. ექსპერტი და მოწმე ბეპირ მოსმენაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ კანონმდებლობითა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული წესითა და მოცულობით. თუ სხდომაზე განხილულ უნდა იქნეს საიდუმლოებას მიყუთენებული საკითხები, მაშინ სხდომა შეიძლება დაიხუროს და საკითხი განხილულ იქნეს გარეშე პირთა დაუსწრებლად.

2-6. ბეპირ მოსმენაზე აუცილებლად უნდა იყოს მსჯელობა ისეთ გარემოებებზე, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ საკითხის გადაწყვეტისათვის. ამ დროს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, რომელიც მონაწილეობს ბეპირ მოსმენაში, უფლება აქვს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები ამ გარემოებებთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს დაინტერესებული მხარის ამ უფლების რეალიზება.

ბეპირი მოსმენის დროს დაინტერესებულ მხარეს აქვს უფლება წარადგინოს შუამდგომლობები. ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელი, რომელიც თავმჯდომარეობს ბეპირ მოსმენას, ვალდებულია განიხილოს შუამდგომლობა და დააკმაყოფილოს ან უარი თქვას შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე კანონმდებლობის შესაბამისად.

გეპირი მოსმენის სრულყოფილად ჩატარებას უზრუნველყოფს სხდომის თავმჯდომარე. იგი არა მარტო უძღვება სხდომას, არამედ უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას გეპირი მოსმენისას. თუ რომელიმე პირი არღვევს წესრიგს, თავმჯდომარეს უფლება აქვს გააძევეს იგი სხდომის დარბაზიდან.

7. დარბაზში მყოფი პირის გაძევების შემთხვევაში სხდომა გაგრძელდება. თუნდაც გაძევებულ იქნეს დაინტერესებული მხარე.

მუხლი 112. გეპირი მოსმენის სხდომის ოქმი

1. სხდომის დროს იწარმოება ოქმი.

2. სხდომის ოქმში უნდა მიეთითოს:

ა) ადმინისტრაციული წარმოების დასახელება, რომლის თაობაზედაც ეწყობა მოსმენა;

ბ) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება;

გ) განხილვის დრო და ადგილი;

დ) სხდომის თავმჯდომარის, გეპირ მოსმენაში მონაწილე დაინტერესებული მხარის, ექსპერტის, მოწმის ვინაობა;

ე) გეპირი მოსმენის საგანი, წარდგენილი განცხადების მოკლე მიმოხილვა;

ვ) მოწმეთა და ექსპერტთა ჩვენებების მოკლე აღწერა;

ზ) შემთხვევის ადგილის დათვალიერების შედეგის აღწერა.

3. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და მდივანი.

4. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაეცნოს ოქმს და ოქმის გაეცნობიდან 3 დღის ვადაში წარადგინოს შენიშვნები მის თაობაზე, მიუთითოს მასში არასწორი ან არასრული ინფორმაციის არსებობა. თუ ადმინისტრაციული ორგანო ეთანხმება შენიშვნას, ადასტურებს მის სისწორეს, ხოლო თუ არ ეთანხმება, გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს შენიშვნის უარყოფის შესახებ.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

გეპირი მოსმენის წერილობითი ოქმის შედგენა სავალდებულოა. ეს უზრუნველყოფს გეპირი მოსმენის დროს გამოთქმული მოსაზრებებისა და სხდომაზე არსებული სიტუაციის ადეკვატურ ასახვასა და დაცვას. სხდომის ოქმს გააჩნია სამართლებრივი მნიშვნელობა და, აქედან გამომდინარე, დაინტერესებულ მხარეს

აქვს კანონიერი ინტერესი ოქმის სისწორესთან დაკავშირებით. დაინტერესებულ მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ ოქმის ფაქტობრივ დეტალებს და გამოთქვან თავიანთი შენიშვნები 3 დღის ვადაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მათ არა აქვთ შენიშვნების წარდგენის უფლება. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განიხილოს ყველა შენიშვნა და თუ ეთანხმება ამ შენიშვნებს, დაადასტუროს მისი სისწორე, ხოლო თუ არ ეთანხმება – გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი შენიშვნის უარყოფის შესახებ. დაინტერესებულ მხარეს აქვს ამ ადმინისტრაციული აქტის დამოუკიდებლად გასაჩივრების უფლება.

მუხლი 113. ადმინისტრაციული აქტის გამოცემა

1. თუ კანონით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული აქტი გამოიყენება გეპირი მოსმენის გამართვიდან 5 დღის ვადაში.

2. ადმინისტრაციული აქტი გადაეცემა დაინტერესებულ მხარეს ამ კოდექსით დადგენილი წესით.

1. ეს მუხლი აღგენს ხუთდღიან ვადას ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გეპირი მოსმენის გამართვამდე შეისწავლოს საქმის გარემოებები. გეპირ მოსმენაზე კიდევ ერთხელ ხდება მხარეთა და საქმეში მონაწილე პირების მოსაზრებებისა თუ ახსნა-განმარტებების მოსმენა და შეფასება. ყოველივე ამის შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოს არ უნდა გაუჭირდეს ხუთი დღის ვადაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. თუმცა კანონით შესაძლებელია განსხვავებული ვადის დაწესება. ეს ვადა აუცილებელია იმისათვის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ კარგად გააანალიზოს გეპირი მოსმენისას წამორმომობილი ყველა საკითხი და მიიღოს მოტივირებული გადაწყვეტილება.

მიღებული გადაწყვეტილება გადაეცემა საქმეში მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს იგივე წესით, რაც ზოგადად დადგენილია ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნებისათვის (გადაცემისათვის).

მუხლი 114. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება კოლექტიური ორგანოს მიერ

1. თუ ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს კოლექტიურ ორგანოში, მაშინ კოლექტიური ორგანოს ყველა წევრს უფლება აქვს დასვას შეკითხვა საქმის გარემოებებთან დაკავშირებით.

2. ადმინისტრაციული აქტის მიღებასთან დაკავშირებით გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს კოლექტიური ორგანოს მხოლოდ იმ წევრს, რომელიც მონაწილეობდა საქმის ბეპირ მოსმენაში.

1. თუ შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოს, როგორცაა, მაგალითად, საკრებულო, კომიტეტი, კოლეგია და ა. შ., მაშინ ბეპირ მოსმენაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს ყველა წევრს. თითოეულ მათგანს უფლება აქვს დაუსვას შეკითხვა დაინტერესებულ მხარეს, მოწმეს ან ექსპერტს საქმის ნებისმიერ გარემოებასთან დაკავშირებით. უმეტეს შემთხვევაში, კანონმდებლობა გადაწყვეტილების მისაღებად გარკვეულ კვორუმს მოითხოვს. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ ბეპირი მოსმენა ჩატარდეს კოლექტიური ორგანოს იმდენი წევრის დასწრებით, რამდენიც საჭიროა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

2. ბეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანო ხუთი დღის განმავლობაში კიდევ ერთხელ უნდა შეიყრიბოს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად გამართულ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება ეძლევათ ორგანოს მხოლოდ იმ წევრებს, რომლებიც დაესწრნენ ბეპირ მოსმენას. ამ მოთხოვნის არსებობა იმითაა განპირობებული, რომ შეუძლებელია კოლექტიური ორგანოს იმ წევრს, რომელიც არ ესწრებოდა ბეპირ მოსმენას, სრულყოფილი წარმოდგენა გააჩნდეს საქმის გარემოებებზე.

თავი IX

საჯარო ადმინისტრაციული წარმოება

მუხლი 115. ადმინისტრაციული აქტის გამოცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით

1. ადმინისტრაციული აქტი ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით.

2. სახელმწიფო ან მუნიციპალური საკუთრების განკარგვასთან, ლიცენზირებასთან, გარემოსდაცვითი და მშენებლობის ნებართვების გაცემასთან, სტანდარტიზაციასთან და სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას გამოიყენება ამ თავით დადგენილი წესები.

3. ადმინისტრაციული აქტი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებით, ამ თავით დადგენილი წესით, შეიძლება გამოიყენოს იმ შემთხვევაშიც, თუ იგი ეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი პირი შემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) თანხმობით. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ჰყავს შემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, გადაწყვეტილებას საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე იღებს თავად ამ ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებელი თანამდებობის პირი.

5. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მიმდინარეობს ამ კოდექსის VI თავით დადგენილი წესის შესაბამისად, ამ თავში აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6. მუხ. 8)

1. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციული წარმოების ის სახეა, რომელიც ყველაზე მეტად უზრუნველყოფს როგორც დაინტერესებულ მხარეთა, ისე საზოგადოების ფართო

ფუნების მონაწილეობას ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესში. ეს გულისხმობს ისეთ პროცედურებს, როგორცაა ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტების საჯარო გაცნობისათვის წარდგენა. ამ დოკუმენტებთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ ორგანოში საკუთარი მოსაზრების წარდგენის უფლება, ადმინისტრაციული აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენა, ადმინისტრაციულ აქტთან დაკავშირებით ზეპირი მოსმენის ჩატარება და ა.შ. კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციული წარმოების ამ სახის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც მისი გამოყენება პირდაპირაა კანონით განსაზღვრული. კოდექსი განსაზღვრავს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების მოგად პრინციპებსა და დებულებებს, ხოლო შემდეგ კონკრეტული კანონებით უნდა დადგინდეს წარმოების ამ სახის გამოყენების შესაძლებლობა და განისაზღვროს პროცედურული დეტალები.

2. მე-2 ნაწილი უშუალოდ განსაზღვრავს ადმინისტრაციული აქტის ისეთ სახეობებს, რომელთა გამოცემა საჯარო ადმინისტრაციული პროცედურის გამოყენებით უნდა მოხდეს. უპირველეს ყოვლისა, ეს არის გარემოსდაცვითი და სამშენებლო ნებართვები. ეს განპირობებულია იმით, რომ ასეთი გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს გარემომცველ გარემოზე და საზოგადოების თითოეულ წევრს სრული უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების პრივატიზაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტები ასევე უნდა გამოიყენოს ადმინისტრაციული წარმოების მეშვეობით, რადგანაც საზოგადოებას აქვს უფლება დაინტერესდეს ხალხის კუთვნილი ქონების ბედით. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებით უნდა მოხდეს სატელეკომუნიკაციო სიხშირეების განაწილება. სატელეკომუნიკაციო სიხშირეები ბუნებრივად შეზღუდულ რესურსს წარმოადგენს. ამავე დროს, სატელეკომუნიკაციო საქმიანობა პირდაპირ კავშირშია სიტყვისა და მას-მედის თავისუფლებასთან. სწორედ ამ ფაქტორებითაა განპირობებული ამ დროს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენების აუცილებლობა.

3-4. საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენება იმ შემთხვევებშიცაა დასაშვები, როდესაც ეს პირდაპირ არ არის

კანონით განსაზღვრული, მაგრამ ადმინისტრაციული აქტის საეცი-ფიციდან გამომდინარე აშკარაა, რომ იგი შეეხება პირთა ფართო წრის ინტერესებს. მაგალითად, გადაწყვეტილება რკინიგზის ან აეროპორტის მშენებლობის შესახებ, რაც გავლენას მოახდენს ამ ინფრასტრუქტურების მეზობლად მცხოვრებ მოსახლეობის კანონიერ ინტერესებზე. ასეთ შემთხვევაში აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოსთან ან თანამდებობის პირთან შეთანხმებით მიიღოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების ამ თავით გათვალისწინებული წესის გამოყენების შესახებ. თუ ადმინისტრაციულ ორგანოს შემდგომი ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) არ გააჩნია, მაშინ გადაწყვეტილებას საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ თავად ეს ორგანო იღებს.

5. საჯარო ადმინისტრაციული წარმოება, ძირითადად, მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ბაზაზეა აგებული. ეს გულისხმობს იმას, რომ ფორმალური წარმოებისას ის საკითხები, რაც მოცემული თავით არ არის განსაზღვრული, დარეგულირდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ამ კოდექსის VI-VII თავებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ 78-ე (განცხადების შინაარსი), 86-ე (წარმომადგენლობის უფლება), 99-ე (ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის უფლება) და სხვა მუხლები, რომლებიც ასევე გამოიყენება ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისას. თუმცა ამავე დროს არსებობს საკითხები, რომლებიც განსხვავებულად წესრიგდება, ვიდრე ეს მარტივი ადმინისტრაციული წარმოებითაა განსაზღვრული. მაგ., ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების დროს აუცილებელია ბეპირი მოსმენის ჩატარება (მუხ. 110) და ა.შ.

მუხლი 116. საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ ცნობის გამოქვეყნება

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ამ კოდექსით დადგენილი წესით გამოაქვეყნოს ცნობა საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ.

2. ცნობაში უნდა მიეთითოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს

ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი. თუ ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა შესაძლებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოშიც – ამ ორგანოს დასახელება და მისამართი;

ბ) განცხადების ან/და ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;

გ) ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა;

დ) საკუთარი მოსაზრების წარდგენის ვადა.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ შეძლოს სრულყოფილად მონაწილეობის მიღება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე საჯარო გაცნობისათვის წარადგინოს ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტები. ამასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული ორგანო აქვეყნებს ცნობას ოფიციალური გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენის შესახებ, რომელშიც მითითებულია:

ა) ადმინისტრაციული ორგანო, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება და მისი მისამართი, თუ ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა შესაძლებელია სხვა ადმინისტრაციულ ორგანოშიც – ამ ორგანოს დასახელება და მისამართი. ზოგჯერ ხდება, რომ ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემს ხელისუფლების ცენტრალური ორგანო, რომელიც, ძირითადად, დედაქალაქშია განლაგებული, ხოლო იმ პირთა უმრავლესობა, რომელთა ინტერესებზეც გავლენას ახდენს ადმინისტრაციული აქტი. სხვა ადგილას იმყოფება. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტების წარდგენა მოხდეს ამ ორგანოს ტერიტორიულ ერთეულში, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში. ბუნებრივია, რომ ეს დასაშვებია მხოლოდ ამ ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობით.

ბ) განცხადების მოკლე შინაარსი, თუ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია განცხადება, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით წარმოების დაწყების შემთხვევაში – ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი;

გ) ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადა;

დ) ვადა, რომელშიც შესაძლებელია საკუთარი მოსაზრების წარდგენა ამ კოდექსის 118-ე მუხლით დადგენილი წესით (რა ვადაში, რომელ ადმინისტრაციულ ორგანოში, ვინაობის მითითების გარეშე და ა.შ.).

ამ მუხლით დადგენილი პროცედურის დაცვა აუცილებელია იმისათვის, რომ საზოგადოებამ იცოდეს კონკრეტულად რომელ საკითხზე აპირებს ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული აქტის გამოცემას.

მუხლი 117. საჯარო გაცნობისათვის წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა

1. საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ უნდა იქნეს:

ა) განცხადება და მასზე დართული დოკუმენტები, აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე;

ბ) დასკვნა ან მოსაზრება, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში;

გ) იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი.

2. ყველას აქვს უფლება დაუბრკოლებლად გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ დოკუმენტებს იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელშიც მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან ადმინისტრაციული ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილებით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტების საჯაროდ გაცნობისათვის წარდგენა შეიძლება მოხდეს სხვა ადმინისტრაციული ორგანოში, ამ უკანასკნელის თანხმობით.

3. ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილი დოკუმენტების ასლები.

1. ეს მუხლი განსაზღვრავს, თუ ადმინისტრაციული წარმოების რა მასალები უნდა გააეცნონ საზოგადოებას. კონკრეტულად ეს დოკუმენტებია:

ა) განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტები, ან ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის თაობაზე, შესაბამისად იმისა, ადმინისტრაციული

წარმოება დაიწყო ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით თუ განცხადების საფუძველზე;

ბ) ყველა დასვენა ან მოსაზრება, რომელიც ამ განცხადებასთან დაკავშირებით იქნა წარდგენილი ადმინისტრაციულ ორგანოში. აქ საუბარია როგორც ექსპერტების თუ სხვა ადმინისტრაციული ორგანოების დასვენებზე, აგრეთვე მოწმეთა ახსნა-განმარტებებზე და მხარეთა თუ საზოგადოების წარმომადგენელთა მოსაზრებებზე;

გ) შესაძლებელია, რომ არ მოხდეს გარკვეული დოკუმენტების საჯარო გაცნობისათვის წარდგენა. მაგალითად, დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ პირად, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას და ა.შ. მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიუთითოს იმ დოკუმენტების ნუსხა, რომლებიც არ არის საჯარო გასაცნობად წარდგენილი და ასევე ამ დოკუმენტების წარუდგენლობის საფუძველი.

მემოთ აღნიშნული ინფორმაციის საჯარო გაცნობისათვის წარდგენა შესაძლებლობას აძლევს საზოგადოების წარმომადგენელს ბუსტად იყოს ინფორმირებული განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების სრულფასოვან მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2-3. ყველას აქვს უფლება გაეცნოს საჯარო გაცნობისათვის წარდგენილ ინფორმაციას და მიიღოს ამ დოკუმენტთა ასლები. ასლების გადაღების საფასური უნდა გადაიხადოს პირმა, რომელსაც სურს ასლების მიღება. ინფორმაციის გაცნობა უნდა მოხდეს იმ ორგანოში, სადაც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება. თუმცა დასაბუთებული გადაწყვეტილებით ამ დოკუმენტაციის გაცნობა შესაძლებელია მოხდეს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოშიც. ასეთ შემთხვევაში აუცილებელია ამ ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობა.

მუხლი 118. საკუთარი მოსაზრების წარდგენის წესი

1. ყველას აქვს უფლება წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება 20 დღის განმავლობაში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ განცხადების ან ადმინისტრაციული აქტის პროექტის საჯარო გაცნობისათვის წარდგენის დღიდან.

2. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა. ეს უფლება უნდა იქნეს მითითებული ცნობაში საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტის წარდგენის შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დოკუმენტზე აღნიშნოს მისი რეგისტრაციის თარიღი.

4. ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს.

1-3. ყველას აქვს უფლება ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შესახებ განცხადების ან ადმინისტრაციული აქტის პროექტის საჯარო ვასაცნობად წარდგენის დღიდან ოცი დღის განმავლობაში წარადგინოს თავისი წერილობითი მოსაზრება. ასევე პირს უფლება აქვს საკუთარი მოსაზრების წარდგენისას დარჩეს ანონიმური. აღნიშნული უფლება მითითებულ უნდა იქნეს საჯარო გაცნობისათვის დოკუმენტის წარდგენის შესახებ ცნობაში.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია აღნიშნოს შემოსულ წერილობით მოსაზრებებზე მათი მიღების თარიღი.

4. ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ საექსპერტო საბჭოს.

მუხლი 119. ადმინისტრაციული აქტის პროექტის მომზადება და საჯარო გაცნობისათვის წარდგენა

თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში მოამზადოს ადმინისტრაციული აქტის პროექტი.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვის განმავლობაში მოამზადოს ადმინისტრაციული აქტის პროექტი, თუ კანონით ან მის საფუძველზე

გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა ვადა არ არის დადგენილი. ამასთან დაკავშირებით უნდა აღენიშნოთ, რომ განცხადების რეგისტრაციიდან ერთი თვე მეტად მცირე დროა, რამეთუ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება მოიცავს მრავალ ხანგრძლივ პროცედურას, როგორცაა, მაგალითად, საკუთარი მოსამრებების წარდგენა, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში დასყენისათვის გადაგზავნა და ა. შ. ამავე დროს ადმინისტრაციული წარმოება ყოველთვის არ იწყება განცხადების წარდგენით, მოგ შემთხვევაში იგი შეიძლება ადმინისტრაციული აქტის გამოცემით დაიწყოს. ამიტომ მართებულად მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დროის ათულა მოხდეს 118-ე მუხლში მითითებულ საკუთარ მოსამრებათა წარდგენის ვადის გასვლის დღიდან.

ამ მუხლით გათვალისწინებული დებულება ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოებისათვის წინასწარ ხდება ცნობილი ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლო გადაწყვეტილების შესახებ და ბეპირი მოსმენისას როგორც მხარეები, ასევე დაინტერესებული მოქალაქეები უკეთ მომზადებულნი არიან და ბეპირი მოსმენის დროს სწორედ ამ პროექტის ირგვლივ ხდება მსჯელობა. გადაწყვეტილების პროექტის მომზადება და გასაცნობად წარდგენა არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანო საბოლოოდ სწორედ ამგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს. შესაძლებელია ბეპირი მოსმენის შემდეგ მომზადებული პროექტის მნიშვნელოვანი კორექტირება მოხდეს.

მუხლი 120. ბეპირი მოსმენა. ადმინისტრაციული აქტის გამოცემა

1. საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას უნდა გაიმართოს ბეპირი მოსმენა, რომლის დროსაც გამოიყენება ამ კოდექსის 110-112-ე მუხლებით დადგენილი დებულებები. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემს ბეპირი მოსმენის გამართვიდან 10 დღის ვადაში.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადის გადადების შესაძლებლობა, ადმინისტრაციული ორგანო წინასწარ აცხადებს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადის გადადების შესახებ.

1. საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას, ისევე როგორც ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამართოს ზეპირი მოსმენა, რომლის დროსაც გამოიყენება ამ კოდექსის 110-112-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები (იხ. გვ. 274-277). ამ თვალსაზრისით საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში შემოტანილია ფორმალური ადმინისტრაციული წარმოების ელემენტები. ზეპირი მოსმენის გამართვა იძლევა საზოგადოების აზრის გათვალისწინების საუკეთესო შესაძლებლობას. განსხვავებით ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისაგან, საჯარო წარმოებაში ზეპირი მოსმენის დროს საკუთარი მოსაზრებების წამოყენებისა და სიტყვით გამოსვლის უფლება აქვს არა მხოლოდ მხარეებს, არამედ ნებისმიერ პირს. ისევე როგორც ფორმალური წარმოებისას, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა ზეპირი მოსმენის პროცესში კი არ ხდება, არამედ გარკვეული ვადის განმავლობაში. ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისგან განსხვავებით, საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაში უფრო ხანგრძლივი ვადაა დადგენილი, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული აქტი გამოსცეს ზეპირი სხდომის გამართვიდან 10 დღის ვადაში.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადის გადადების შესაძლებლობა, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წინასწარ გამოაყხადოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის გადადების შესახებ.

მუხლი 121. ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნება

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტი აუცილებლად უნდა იქნეს გამოქვეყნებული ამ კოდექსით გათვალისწინებული წესის შესაბამისად. ამ მოთხოვნის არსებობა კოდექსში განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოსახლეობამ შეიტყოს მიღებული გადაწყვეტი-

ლების შესახებ. როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ფართო ჯგუფია ჩართული, ლოგიკურია, რომ მიღებული ადმინისტრაციული აქტის ასევე მოსახლეობის ფართო ფენისთვის უნდა გახდეს ცნობილი. მიღებული/გამოცემული ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნება ამისათვის ყველაზე კარგი საშუალებაა.

თავი X **(ამოღებულია)**

*(საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 –
სსმ I, №43(50), მუხ. 216)*

თავი XI

ადმინისტრაციული აქტის გამოცემის წესი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ

ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ მოგადი ადმინისტრაციული კოდექსის კიდევე ერთი სიახლეა, რომელიც წარმოუდგენელი იყო მართვის ტოტალიტარული რეჟიმისა და ბიუროკრატიული ნომეკლატურის ბატონობის პერიოდში. ეს პრინციპი გულისხმობს იმას, რომ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე გადაწყვეტილებათა მიღება მოხდეს არა ადმინისტრაციული ორგანოს, არამედ საამისო უფლებამოსილებით აღჭურვილი ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისგან შემდგარი დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. თანამედროვე მსოფლიოში მართვის სისტემების განვითარების პირობებში ხშირად საკითხის გადასაწყვეტად შეიძლება მოწვეულ იქნეს უფრო კომპეტენტური და გამოცდილი კერძო კომპანია. ეს, ჯერ ერთი, იწვევს ადმინისტრაციის განტვირთვას, მეორეც, ხშირ შემთხვევაში, საკითხი უფრო კომპეტენტურად გადაწყდება, რადგანაც კერძო კომპანიები უკეთ იცნობენ საკითხს. საკითხი ზოგჯერ უკეთ შეიძლება გადაწყდეს, თუ მას ჩინოვნიკის კი არა, არამედ ბიზნესის ან საზოგადოების მხრიდან შეეხებავთ.

დამოუკიდებელი ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლების მინიჭების მთავარი მიზანი ისაა, რომ ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე მაქსიმალურად იქნეს გამოორიცხული სუბიექტური და მიყვრძობული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა და ასევე მაქსიმალურად იქნეს დაკული როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესები. ეს არის კიდევე ერთი დამატებითი დაცვა კორუფციისაგან, რომელიც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი დოზით არის წარმოდგენილი სახელმწიფო ადმინისტრაციაში. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც რომელიმე ერთი ადმინისტრაციული ორგანოს შესაძლებლობები (ცოდნა, გამოცდილება, ინფორმაცია) არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მოხდეს ამ უმნიშვნელოვანესი საკითხების შეუმცდარი გადაწყვეტა. მაგალითად, პორტის პრივატიზაციის შემთხვევაში გადაწყვეტილების მიღება შეიძლება დაევალოს პირს ან პირთა

ჯგუფს, რომელიც კარგად იცნობს მსოფლიო ეკონომიკას. ჩახედულია ამ სფეროში მოღვაწე კომპანიების საქმიანობაში და გააყეთებს შეუმცდარ არჩევანს მომავალი ინვესტორის არჩევისას.

მუხლი 158. დამოუკიდებელი ორგანოს მეშვეობით ადმინისტრაციული აქტის გამოცემის სავალდებულობა

1. ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოსცეს მხოლოდ დამოუკიდებელმა ორგანომ (სავალდებულო მანდატირება) შემდეგ შემთხვევებში:

ა) კონცესიის გაცემისას, თუ კონცესიის ფასი აღემატება 250 000 ლარს;

ბ) სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების (საწარმოს) პრივატიზაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, თუ ფასი აღემატება 100 000 ლარს;

გ) სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

2. კანონით შეიძლება დადგინდეს დამოუკიდებელი ორგანოს მიერ სხვა სახის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის სავალდებულობაც.

3. დამოუკიდებელი ორგანო ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემს ადმინისტრაციული წარმოებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესით.

4. დამოუკიდებელი ორგანოს მიმართ ვრცელდება ამ კოდექსის მე-8 და 92-ე მუხლების მოთხოვნები.

(საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 – სმ I, №43(50), მუხ. 216)

1. დამოუკიდებელი ორგანოსათვის საკითხის გადაწყვეტის მინდობა შეიძლება იყოს კანონით სავალდებულო და ნებაყოფლობითი. ძირითადად, კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოებს პირდაპირ ევალებათ საკითხი გადასაწყვეტად გადასცენ დამოუკიდებელი ორგანოს. ამ წესს სავალდებულო მანდატირება ეწოდება. ასეთ შემთხვევაში, კანონის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დამოუკიდებელ ორგანოს მიანიჭოს შესაბამისი საკითხის გადაწყვეტის მანდატი. ეს კი

იმას ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი ორგანო მოქმედებს ადმინისტრაციული ორგანოს სახელით და პასუხიმგებლობა დამოუკიდებელი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ეკისრება ადმინისტრაციული ორგანოს. ნებაყოფლობით დამოუკიდებელი ორგანოსათვის საკითხის გადაწყვეტის უფლების გადაცემის მაგალითია 160-ე მუხლი, როდესაც პრემიერს უფლება აქვს (მაგრამ ვალდებული არ არის) ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად დანიშნოს დამოუკიდებელი ორგანო.

თვითონ კოდექსი გამოყოფს დამოუკიდებელი ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლების სავალდებულო მანდატირებას 3 შემთხვევაში:

ა) კონცესიის გაცემა, თუ კონცესიის ფასი აღემატება 250 ათას ლარს (აქ საუბარია წიაღით სარგებლობის უფლების მიღებაზე “წიაღის შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი წესით);

ბ) გადაწყვეტილება სახელმწიფო (მუნიციპალური) ქონების (საწარმოს) პრივატიზაციის შესახებ, თუ ფასი აღემატება 100 ათას ლარს, ანუ სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისას (მათ შორის იჯარით გაცემისას) სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და ადგილობრივი სტრუქტურები ვალდებულნი არიან თვითონ კი არ განახორციელონ პრივატიზაციის პროცესი, არამედ ეს მიანდონ დამოუკიდებელ ორგანოს, თუ პრივატიზაციას დაქვემდებარებული ქონება ზემოაღნიშნულ ღირებულებას აღემატება;

გ) გადაწყვეტილება სატელეკომუნიკაციო სიხშირის განაწილების შესახებ. როდესაც კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში საქმიანობის მარეგულირებელი ეროვნული კომისია “კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად გასცემს სამუწყებლო ლიცენზიას, მან გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებლად უნდა შექმნას დამოუკიდებელი ორგანო.

2. ამ კოდექსში, მითითებულის გარდა, კანონით (მაგრამ არა კანონქვემდებარე აქტით) შესაძლებელია მოხდეს სხვა ადმინისტრაციული აქტების განსაზღვრაც, რომელთა გამოცემაც სავალდებულო იქნება მხოლოდ დამოუკიდებელი ორგანოს მიერ. მაგრამ ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ადმინისტრაციული ორგანო საკუთარი ინიციატივით კანონის მოთხოვნის არარსებობისას ვერ გადასცემს საკითხს გადასაწყვეტად დამოუკიდებელ ორგანოს,

თუნდაც გადასაწყვეტი საკითხი რთული იყოს და მოითხოვდეს სპეციალურ ცოდნას ან ამ საკითხის გადაწყვეტა სხვა ორგანოს უკეთესად შეუძლია, ანუ დამოუკიდებელი ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლებამოსილების გადაცემისას ადმინისტრაციული ორგანოები დისკრეციული უფლებამოსილებით არ სარგებლობენ.

3. რადგანაც დამოუკიდებელი ორგანო ხელისუფლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს და მის გადაწყვეტილებას მუსტად ისეთივე იურიდიული ძალა აქვს, როგორც შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციულ აქტს, კოდექსი მოითხოვს, რომ დამოუკიდებელმა ორგანომ ადმინისტრაციულ აქტი გამოსცეს ადმინისტრაციული წარმოებისათვის ამ კოდექსით დადგენილი წესით, ანუ აქ საუბარია კოდექსის 72-102-ე მუხლებით დადგენილი დებულებების გათვალისწინებაზე. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გადასაწყვეტი საკითხებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ კანონით დადგინდეს ასეთ შემთხვევებში მხოლოდ ფორმალური ან საჯარო ადმინისტრაციული წარმოების გამოყენება.

4. დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების ერთ-ერთ ღირსებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ მას უნარი შესწევს იყოს ობიექტური. სწორედ ამიტომ კოდექსმა კიდე ერთხელ გაუსვა ხაზი (თუმცა წინა პუნქტში მითითებულ მუხლებში ეს უკვე იგულისხმებოდა), რომ სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების თავიდან აცილების მიზნით დამოუკიდებელი ორგანოს მიმართ ვრცელდება კოდექსის ის მოთხოვნები, რომლებიც ეხება მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღებასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში იმ პირთა მონაწილეობის დაუშვებლობას, რომლებიც ამ კოდექსის მე-8 და 92-ე მუხლითაა (ადმინისტრაციული წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა) განსაზღვრული. ესაა პირები, რომლებიც რაიმე სახით შეიძლება დაინტერესებულნი იყვნენ ადმინისტრაციული წარმოების შედეგით.

მუხლი 159. დამოუკიდებელი ორგანოს დანიშვნა

1. დამოუკიდებელი ორგანო შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და შეუძლიათ უზრუნველყონ საკითხის მიუკერძოებლად გადაწყვეტა.

2. დამოუკიდებელ ორგანოს ღია ტენდერის საფუძველზე ნიშნავს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა.

1. კოდექსმა განსაზღვრა, რომ დამოუკიდებელი ორგანო შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამდენიმე პირისგან. ეს პირები შეიძლება იყვნენ როგორც ქართველები, ისე უცხოელები. ეს შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი, ან ორივე მათგანი. ამ საკითხისადმი ადმინისტრაციულ სამართალში არსებობს რამდენიმე სხვადასხვაგვარი მიდგომა. მაგალითად, ღიდ ბრიტანეთში დამოუკიდებელი ორგანოს წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები, რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი ავტორიტეტი, რის გამოც წარმოადგენენ საკითხის მიუკერძოებლად გადაწყვეტის გარანტს. მრავალ ქვეყანაში ასევე მიღებულია, რომ დამოუკიდებელი ორგანო არ შეიძლება იყოს ერთი პირი და ასეთი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა უნდა მოხდეს მხოლოდ კოლექციური ორგანოს მიერ. ჩვენი ამრით, რიგ შემთხვევაში დამოუკიდებელი ორგანოს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ფიზიკური პირით დაკომპლექტება არ არის მართებული, რადგან ამ პირებს ხშირად არ გააჩნიათ ისეთი შესაძლებლობები, როგორც იურიდიულ პირებს, რომელთა საქმიანობის საგანსაც სწორედ ეს გარკვეული სფერო წარმოადგენს. ამ მხრივ კოდექსი არავითარ შემლუღვას არ აწესებს. რაც შეეხება მეორე საკითხს, მიგვაჩნია, რომ კოლექციური ორგანო უფრო მეტად არის იმის გარანტი, რომ გამოცემული იქნება ნამდვილად მიუკერძოებელი და სამართლიანი აქტი. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთ პირს (განსაკუთრებით იურიდიულ პირს) არ შეიძლება დაევალოს დამოუკიდებელი ორგანოს როლის შესრულება. მაგ., საქართველოს ტელეკომუნიკაციების სექტორის პრივატიზების საკითხის გადაწყვეტა დაეკისრა ერთ ორგანიზაციას — გერმანულ “კომერცბანკს”. შეიძლება საკითხის გადაწყვეტა გაერთიანებას

დაეკისროს, რომელშიც შედიან როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები ან მხოლოდ იურიდიული პირები.

როგორც წესი, ადმინისტრაციული ორგანო ყოველი კონკრეტული საკითხზე ცალკე ნიშნავს დამოუკიდებელ ორგანოს, ანუ ასეთ დროს დამოუკიდებელი ორგანოები *ad hoc* პრინციპით იქმნება. ამ კონკრეტული საკითხის გადაწყვეტის შემდეგ დამოუკიდებელ და ადმინისტრაციული ორგანოს შორის არავითარი ურთიერთობები არ არსებობს. მუდმივმოქმედი დამოუკიდებელი ორგანოების დანიშვნას კანონმდებლობა არ ითვალისწინებს. თუმცა შესაძლებელია განსაკუთრებულ შემთხვევებში, გარკვეული ვადის განმავლობაში რაიმე ხელისუფლებრივი ფუნქციის განხორციელება დაევალოს რომელიმე პირს.

მეტად მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი ორგანოსა და მის დამნიშნავ ადმინისტრაციულ ორგანოს შორის ურთიერთობის საკითხი. ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს კონტრაქტით თუ ადმინისტრაციული აქტით? ერთი მხრივ, ადმინისტრაციული აქტი, რა თქმა უნდა, ისე სრულყოფილად ვერ შეძლებს მოაწესრიგოს მხარეებს შორის ურთიერთობა, როგორც ვარიგებამ, მაგრამ, მეორეს მხრივ, ხელშეკრულების არჩევის შემთხვევაში, დაინტერესებულ მხარეებს შეეძლუდებათ მისი გასაჩივრების უფლება. ჩვენი ამრით, უნდა არსებობდეს ორსაფეხურიანი მეთოდი, ანუ უნდა გამოიყენოს ადმინისტრაციული აქტი კონკრეტულ პირთან (დამოუკიდებელ ორგანოსთან) ხელშეკრულების დადების შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დაიდოს ხელშეკრულება, რომელიც დაარეგულირებს ურთიერთობას მხარეებს შორის. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი ორგანო თავის საქმიანობას ახორციელებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლების საფუძველზე და ამიტომ ამ საქმიანობის პროცესში დამოუკიდებელი ორგანოს მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობა.

2. დამოუკიდებელ ორგანოს ღია ტენდერის საფუძველზე ნიშნავს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება იმ ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, რომლის გამოსაცემადაც დამოუკიდებელი ორგანო ინიშნება. კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს ტენდერის ჩატარების წესსა და პირობებს.

ეს საკითხი უნდა განსაზღვროს ადმინისტრაციულმა ორგანომ თავისი აქტით. “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მიერ დადგენილი წესით. ტენდერში მონაწილეობა შეუძლია ყველა მსურველს. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განსაზღვროს, თუ კანდიდატებიდან ვის გააჩნია შესაბამისი საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო კვალიფიკაცია და, რაც მთავარია, საკითხის მიუკერძოებლად გადაწყვეტის შესაძლებლობა.

მუხლი 160. საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამოუკიდებელი ორგანოს დანიშვნა

საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია ადმინისტრაციული საჩივრის გადასაწყვეტად დანიშნოს დამოუკიდებელი ორგანო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კანონი არ ითვალისწინებს საკუთარი ინიციატივით საკითხის გადაწყვეტის დაეალებას დამოუკიდებელი ორგანოსათვის. თუმცა ერთადერთ გამონაკლისს კოდექსი საქართველოს პრეზიდენტის მიმართ აკეთებს. ეს უფლებამოსილება პრეზიდენტმა შეიძლება გამოიყენოს ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებითაა გადაწყვეტილება მისაღები. ამ დროს საქართველოს პრეზიდენტი სარგებლობს უფლებით, თავისი შეხედულებისამებრ, ადმინისტრაციული საჩივრის გადასაწყვეტად დანიშნოს დამოუკიდებელი ორგანო. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორგანოს დანიშვნის წესი კოდექსით არაა განსაზღვრული და ეს პრეზიდენტის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება.

მუხლი 161. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის დაუშვებლობა

დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის მიმართ დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა ზემდგომ ინსტანციაში. იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში.

თავისთავად ცხადია, რომ დამოუკიდებელი ორგანოს დამოუკიდებლობა იმაშიც გამოიხატება, რომ მას არ გააჩნია ზემდგომი ორგანო ან თანამდებობის პირი. მიუხედავად იმისა, რომ იგი

დანიშნულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ და მის უფლებამოსილებას ასორციელებს, მიღებულ გადაწყვეტილებაზე მის წინაშე პასუხისმგებელი არ არის. ადმინისტრაციული ორგანო არ შეიძლება განხილულ იქნეს დამოუკიდებელი ორგანოს მკონტროლებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას საერთოდ ამრი დაეკარგებოდა. ასე რომ, შეუძლებელია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტზე საჩივრის წარდგენა, ანუ დამოუკიდებელი ორგანოს გადაწყვეტილება არც შესაბამის ადმინისტრაციულ ან მის ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებას არ ექვემდებარება. იგი შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში.

ადმინისტრაციული აქტის აღსრულება

ადმინისტრაციული აქტის გამოცემა აზრს დაკარგავდა, თუ არ მოხდებოდა შემდეგ მისი პრაქტიკული განხორციელება. სწორედ ამის საშუალებას წარმოადგენს ადმინისტრაციული აქტის აღსრულება, რომლის საკანონმდებლო რეგლამენტაციასაც ახდენს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აღნიშნული წესები ვრცელდება მხოლოდ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ აქტებზე, ხოლო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების აღსრულების მექანიზმი სხვა საკანონმდებლო აქტებითაა განსაზღვრული (მაგ., ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ა. შ.). ადმინისტრაციული აქტის აღსრულება სამი ეტაპისაგან შედგება: ადმინისტრაციული აქტის გამოცემა, გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ და აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება. თუკი აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენებული იქნება ადმინისტრაციული აქტის აღსრულების სხვა პირისთვის დავალება ან ჯარიმა, ამ შემთხვევაში წარმოიშობა მე-4 ეტაპი, რომელიც გულისხმობს ვალდებული პირისაგან ფულადი თანხების ამოღებას, რაც კოდექსის 175-ე მუხლითაა რეგულირებული. უნდა აღვნიშნოთ რომ, აღსრულების ეს პროცედურა ყველა ადმინისტრაციული აქტის მიმართ არ გამოიყენება. ადმინისტრაციული აქტების ნაწილი აღსრულებას საერთოდ არ საჭიროებს, მაგ., ნებართვა, ლიცენზია. ნაწილი კი ავტომატურად აღსრულდება გამოცემისთანავე. მაგ., აქტი ქორწინების რეგისტრაციის შესახებ. იმ ადმინისტრაციული აქტებიდანაც, რომლებიც აღსრულებას საჭიროებენ, ყველა როდია იძულებით აღსასრულებადი. ჩვეულებრივ, ადმინისტრაციული აქტი ნებაყოფლობით აღსრულდება შესაბამისი პირის მიერ და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს დაინტერესებული მხარისაგან წინააღმდეგობას, გამოიყენება იძულებითი აღსრულების ღონისძიებანი. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი სამ ასეთ საშუალებას ითვალისწინებს: სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების დავალება, ჯარიმა და უშუალო იძულება. თითოეული მათგანის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

მუხლი 162. ადმინისტრაციული აქტის

აღმასრულებელი უფლებამოსილი ორგანო

1. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ აქტს აღასრულებს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო.

2. ადმინისტრაციული აქტის გამომცემი ორგანოს დავალებით ადმინისტრაციული აქტის აღსრულება შეიძლება განახორციელოს ქვემდგომმა ან სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომაც. ამ შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის II თავით გათვალისწინებული დებულებები ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების შესახებ.

3. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უფლებამოსილების როგორც ერთჯერადი, ისე განსაზღვრული ვადით დელეგირება.

4. აღსრულების უფლება აქვს მხოლოდ იმ თანამდებობის პირს, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობით აკისრია ადმინისტრაციული აქტის აღსრულება.

5. პირი ვალდებულია იქონიოს შესაბამისი უფლების დამადასტურებელი პირადობის მოწმობა და წარადგინოს იგი იმ პირების მოთხოვნით, რომელთა მიმართაც ხორციელდება აღსრულება.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. თავისთავად ცხადია, რომ ზოგადად ადმინისტრაციული აქტის აღსრულება უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს იმ ორგანოს მიერ, რომლის გამომცემულიც არის ეს აქტი, რამეთუ ამ ადმინისტრაციულმა ორგანომ უკეთ იცის საკითხის არსი და უკეთ შეარჩევს აღსრულების ვადას, სახეს და წესს. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს ზოგად წესს, რომლის მიხედვითაც, თუ კანონმდებლობამ სხვა არ არ გაითვალისწინა, ადმინისტრაციული აქტის აღსრულებაზე პასუხისმგებელია ის ორგანო, რომელმაც ეს აქტი გამოსცა.

2. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული აქტის მისი გამომცემი ორგანოს მიერ აღსრულება შეუძლებელია ან მეტისმეტად რთულია. ეს შეიძლება გამოწვეული

იყოს იმით, რომ ამ აქტის აღსრულება მოითხოვს რაიმე სპეციალურ ცოდნასა თუ საშუალებებს. ასევე იქმნება სიტუაცია, როდესაც ადმინისტრაციული აქტის სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღსრულება გაცილებით ნაკლებ ხარჯებთანაა დაკავშირებული, ვიდრე მისი აღსრულება აქტის გამომცემი ორგანოს მიერ. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული აქტის აღსრულება შეიძლება დაევალოს ქვემდგომ ან სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს. თავისთავად ცხადია, ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის გემდგომის მიერ ადმინისტრაციული აქტის აღსრულების დავალება სავალდებულოა შესასრულებლად. რაც შეეხება სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის აღსრულების დავალებას, ასეთ შემთხვევაში საკითხი უფრო რთულადაა, რადგანაც სხვა ადმინისტრაციული ორგანო სტრუქტურულად დავალების მიმცემ ადმინისტრაციულ ორგანოს არ ემორჩილება და ვალდებული არ არის შეასრულოს ყველა მისი მითითება. სწორედ ამიტომ კოდექსი მიუთითებს, რომ ასეთი დავალებისას გამოყენებულ უნდა იქნეს ამ კოდექსის მე-2 თავის (ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ზოგადი დებულებანი) ის მუხლები, რომლებიც არეგულირებს ადმინისტრაციულ ორგანოთა სამართლებრივ ურთიერთდახმარებას. ამასთან, შესაძლოა რომელიმე სპეციალურმა კანონმა ან კანონქვემდებარე აქტმა განსაზღვროს კონკრეტული სახის ადმინისტრაციული აქტების აღსრულების სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის დავალება.

3. სხვა ადმინისტრაციული ორგანოსა თუ პირისათვის აღსრულების უფლების გადაცემა დელეგირების აქტის საფუძველზე უნდა მოხდეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ კანონი უშვებს ერთი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მეორისათვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების როგორც ერთჯერადი, ისე გარკვეული ვადით დელეგირებას (მაგ., მშენებლობის სამინისტრო უკანონო მშენებლობის შესახებ გამოტანილი ადმინისტრაციული აქტების აღსრულებას დაავალებს ქალაქის მერიის შესაბამის სამსახურს ხუთი წლის ვადით). დელეგირებისას მუსტად უნდა განისაზღვროს კონკრეტულად რა სახის ან უშუალოდ რომელი ადმინისტრაციული აქტის აღსრულება უნდა გადაეცეს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს. თუ დელეგირება ერთჯერადი ხასიათის არ არის, მაშინ დელეგირების თაობაზე გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში აუცილებლად

უნდა მიეთითოს დელეგირების ვადა. აღსანიშნავია, რომ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს დელეგირების სხვა წესი.

4. კოდექსით განსაზღვრულია ადმინისტრაციული აქტის აღსრულებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირის სამართლებრივი სტატუსი. აღსრულების უფლება აქვს მხოლოდ იმ თანამდებობის პირს, რომელსაც სამსახურებრივი მოვალეობის შედეგად აკისრია ადმინისტრაციული აქტის აღსრულება. სხვა რომელიმე თანამდებობის პირს, თუნდაც იგივე უწყებაში (მაგ., იმავე უწყების კადრების სამმართველოს მუშაკს), არ შეუძლია აღასრულოს ადმინისტრაციული აქტი, თუკი ეს მას უშუალოდ სამსახურებრივად არ ევალება. აღსრულების დელეგირებისას აღსრულებას ახორციელებს ასევე ის თანამდებობის პირი, რომელიც სამსახურებრივად ან დელეგირებასთან დეკავშირებით გამოცემული ადმინისტრაციული აქტით მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უფლებამოსილება.

5. აღსრულებაზე პასუხისმგებელ თანამდებობის პირს უმეტესწილად შეხება აქვს მესამე პირებთან. ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისას თანამდებობის პირს შეიძლება იძულების გამოყენებაც დასჭირდეს. სწორედ ამიტომ მესამე პირებს, რომლის მიმართაც იგი თავის სამსახურებრივ მოვალეობას ახორციელებს, სრული უფლება აქვთ იცოდნენ, რამდენად აღჭურვილია ეს თანამდებობის პირი სათანადო უფლებამოსილებით. შესაბამისად, კანონი ავალდებულებს თანამდებობის პირს, იქონიოს შესაბამისი უფლების დამადასტურებელი პირადობის მოწმობა და ვალდებულია წარმოადგინოს მესამე პირის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მიმართაც ხორციელდება აღსრულება.

მუხლი 163. ადმინისტრაციული აქტის აღსრულების წესი

1. აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო (თანამდებობის პირი) ვალდებულია განახორციელოს მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უზრუნველსაყოფად.

2. აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო

ნოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილება შეიძლება შეიზღუდოს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ადმინისტრაციული აქტით.

კოდექსი სამართლებრივ ჩარჩოში სვამს აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) უფლებამოსილებებს და საყმაოდაც ზღუდავს მათ დისკრეციას. აღსრულებაზე პასუხისმგებელ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია კანონით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უზრუნველსაყოფად. ამგვარად, უფლებამოსილების გადამეტებად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ან უფლებამოსილი თანამდებობის პირი ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლად იყენებს იმ საშუალებას, რომლის გამოყენების უფლებაც მას თუნდაც კანონით აქვს მინიჭებული, მაგრამ მისი გამოყენება აშკარად არ წარმოადგენს აუცილებლობას ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უზრუნველსაყოფად. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო/თანამდებობის პირი ვალდებულია მოქმედებდეს ამ კოდექსის მე-6 (დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი) და მე-7 (საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობა) მუხლების გათვალისწინებით.

კანონი ასევე უშვებს აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) პასუხისმგებლობის შეზღუდავას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის ადმინისტრაციული აქტით. შესაძლებელია ზემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ/თანამდებობის პირმა გამოსცეს სპეციალური ინსტრუქცია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების მიერ აღსრულების დეტალური წესების დადგენის მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ერთიანი მიდგომები აღსრულებასთან დაკავშირებით.

მუხლი 164. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნის შესრულების სავალდებულობა

1. ყველა ვალდებულია შეასრულოს ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ადმინის-

ტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) კანონიერი მოთხოვნა.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, პირი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ან გამოიწვევს სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული ან პირადი საიდუმლოების გამჟღავნებას, რომლის დაცვის ვალდებულებაც კანონით მას აკისრია.

1. როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებს თავის უფლებამოსილებას კანონის ფარგლებში, ყველა ვალდებულია არ გაუწიოს მას წინააღმდეგობა და შეასრულოს ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) კანონიერი მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც ერთი გადაწყვეტილება სისრულეში ვერ იქნება მოყვანილი. ეს დებულება თავისთავად გასაგებია და აღიარებულია, მაგრამ კანონში კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეს ვალდებულება ვრცელდება როგორც ადმინისტრაციული აქტის აღრესატზე, ისე მესამე პირებზეც, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას (რაც შეიძლება ერთი შეხედვით ჩანდეს), რომ ადმინისტრაციული აქტის აღსრულებაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ყველა მოთხოვნა ნებისმიერი პირისათვის სავალდებულო შესასრულებელია და ყველა ვალდებულია დაემორჩილოს ასეთი ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) ნებისმიერ მოთხოვნას. კანონით განსაზღვრულია, რომ ეს მოთხოვნა უნდა იყოს კანონიერი. ანუ კანონიდან უნდა გამომდინარეობდეს, ხოლო ასეთი კანონიერი მოთხოვნები როგორც დაინტერესებული მხარისათვის, ისე მესამე პირთათვის ძირითადად მისაღებია და ნებაყოფლობით სრულდება. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო უნდა შეეცადოს, რომ მესამე პირთა მიმართ მოთხოვნის უფლება გამოიყენოს მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და ისიც იმ დროს, როდესაც ამის გარეშე ადმინისტრაციული აქტის აღსრულება შეუძლებელი ხდება ან მეტისმეტად რთულდება. ამავე დროს, მესამე პირს ვერც ერთი ადმინისტრაციული ორგანო

თუ თანამდებობის პირი ვერ დაავალებს საკუთარი სამუალებებით ან სხვაგვარად მონაწილეობა მიიღოს ისეთი ადმინისტრაციული აქტის აღსრულებაში, რომელიც მას არ ეხება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს პირდაპირ კანონშია გათვალისწინებული.

2. მესამე პირი, რომელსაც ეხება ადმინისტრაციული აქტი, უფლებამოსილია უარი განაცხადოს აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულებაზე. თუ ეს ეწინააღმდეგება მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას ან გამოიწვევს სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნება, რომლის დაკვის ვალდებულებაც მას კანონით აკისრია. ბუნებრივია, როდესაც ორ სხვადასხვა ფასეულობას შორის კოლიზიას აქვს ადგილი, მესამე პირი თავისუფლდება აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნის შესრულების ვალდებულებისაგან. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უშუალოდ იმ პირმა, რომლის მიმართაც ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია, უფლება აქვს უარი განაცხადოს რაიმე მოტივით ადმინისტრაციული აქტით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულებაზე. (მაგ., კერძო პირს უფლება არა აქვს პირადი საიდუმლოების დაკვის მოტივით უარი უთხრას საგადასახადო ორგანოს იმ ღირებულებების გადაცემაზე, რომელიც მის მიერ გადასახადების გადახდას ეხება).

მუხლი 165. გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ

1. ადმინისტრაციული აქტის აღსრულების მიზნით ადმინისტრაციულ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია განახორციელოს სხვა პირის მიმართ კანონით გათვალისწინებული რაიმე ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოცემულია გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

2. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ განცხადების შეტანის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო საკითხს წყვეტს 10 დღის ვადაში. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება წერილობითია და წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

3. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას შეიძლება შეიცავდეს ის ადმინისტრაციული აქტი, რომელიც უნდა აღსრულდეს.

4. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ უნდა იქნეს ის ადმინისტრაციული აქტი, რომლის აღსასრულებლადაც იგი არის გამოცემული.

5. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს აღსრულების უზრუნველყოფისათვის გამოყენებული საშუალება. დაუშვებელია გადაწყვეტილებაში აღსრულების უზრუნველყოფის ერთზე მეტი საშუალების გათვალისწინება.

6. აღსრულების უზრუნველყოფის ერთი საშუალების გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში უნდა გამოიყენოს ადმინისტრაციული აქტი აღსრულების სხვა საშუალების გამოყენების შესახებ.

7. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს ხარჯების ოდენობა და ანაზღაურების წესი. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლად განხორციელებულ ქმედებათა შესაბამისად შემდგომში შეცვალოს ხარჯების ოდენობა.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ აღსრულების პროცესის დაწყების საფუძველია, რომელიც კიდევ ერთხელ აფრთხილებს ადმინისტრაციული აქტის აღრესატს, აძლევს უკანასკნელ შესაძლებლობას ნებაყოფლობით აღასრულოს აქტი და ამასთან განუმარტავს, ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობით შეუსრულებლობის შემთხვევაში, მის მიმართ კონკრეტულად რა ღონისძიება იქნება გამოყენებული. თუ არ იქნება აღსრულების უზრუნველყოფის გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლად ვერაფრითაა მომეხს ვერ მიმართავს. ეს ფაქტობრივად იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული საქმიანობა ადმინისტრაციული წარმოების ცალკე სახეს ქმნის.

2. გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ წერილობით უნდა იქნეს გამოცემული და იგი წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, ანუ, შესაბამისად, უნდა აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციული აქტისათვის კანონით

გათვალისწინებულ მოთხოვნებს. გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს, თუ რომელი ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლადაა გამოცემული და ასევე აღნიშნულ უნდა იქნეს აღსრულების უზრუნველყოფისათვის გამოსაყენებელი საშუალება. შესაძლებელია, რომ ადმინისტრაციული აქტის აღსრულება მისი ვაჭიანურების შემთხვევაში დაინტერესებულმა მხარემ მოითხოვოს. ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაინტერესებული მხარის განცხადება განიხილოს და აღსრულების შესახებ ადმინისტრაციული აქტი გამოსცეს 10 დღის განმავლობაში, ანუ ამ დროს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფრო მოკლე ვადაა დადგენილი.

3. აღსრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება არ ნიშნავს იმას, რომ მაინცადამაინც სავალდებულოა დამოუკიდებელი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა. შესაძლოა აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხები იმთავითვე გადაწყდეს შესასრულებელ ადმინისტრაციულ აქტში. ეს შესაძლებელია ძირითადად ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას ცნობილია და აშკარაა, რომ ამ აქტის აღრესატი არ აპირებს მის ნებაყოფლობით შესრულებას. (მაგ., თბილისის მერიის შესაბამისმა სამსახურმა გამოსცა ადმინისტრაციული აქტი იყალთოს ქუჩაზე მღებარე შენობის აღების შესახებ. იგივე ადმინისტრაციული აქტი შეიძლება შეიცავდეს ღებულებებს მისი აღსრულების წესის შესახებ).

4. როდესაც აღსრულების შესახებ ადმინისტრაციული აქტი გამოიცემა, მასში მითითებული უნდა იყოს ის ადმინისტრაციული აქტი, რომლის აღსრულებაც უნდა მოხდეს. მიუხედავად იმისა, რომ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებას დამოუკიდებელი ადმინისტრაციული აქტის ფორმა შეიძლება ჰქონდეს, ის მაინც მეორადია, წარმოებულია და მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ძირითადი, პირველადი ადმინისტრაციული აქტის რეალიზება.

5-6. კანონი კრძალავს ერთ გადაწყვეტილებაში აღსრულების ერთზე მეტი საშუალების განსაზღვრას. მაგალითად, არ შეიძლება განისაზღვროს, რომ აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების სახით გამოყენებულ იქნება სხვა პირისადმი ადმინისტრაციული აქტის შესრულების დავალება, ხოლო თუ ამ საშუალებამ არ

გაამართლა, გამოყენებულ იქნება ჯარიმა. ასეთ შემთხვევაში უნდა გამოიყენოს ახალი აქტი (გადაწყვეტილება), რომელიც განსაზღვრავს აღსრულების სხვა საშუალების გამოყენების შესაძლებლობას.

7. აღსრულების უზრუნველყოფის გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს აღსრულების ხარჯების ოდენობა და მისი განაწილების წესი. ჩვეულებრივ, თუ კანონით სხვაგვარად არაა განსაზღვრული, ადმინისტრაციული აქტის ხარჯების ანამლაურება ეკისრება იმ პირს, ვის მიმართაც აღსრულება აქტი. მიუხედავად ამისა, აღსრულების ღონისძიების შერჩევისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ უნდა მოხდეს აღსრულების ხარჯების დაანგარიშება და ეს ფაქტორი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღსრულების საშუალების შერჩევისას (უნდა შეირჩეს შესაძლებლობის ფარგლებში ყველაზე უფრო ნაკლები ხარჯის მომტანი მეთოდი). ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს შემდგომში შეცვალოს ხარჯების ოდენობა, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მხოლოდ ახალი ადმინისტრაციული აქტით.

მუხლი 166. ადმინისტრაციული წარმოება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებით

1. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მიმართ არ გამოიყენება ამ კოდექსის 95-ე და 98-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

2. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს, ან სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოიყენოს ბეპირად.

3. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოიყენოს წერილობით, აღსრულების უზრუნველყოფის ზომის განხორციელებიდან 3 დღის ვადაში, ამ კოდექსის IV თავის შესაბამისად.

1. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ ადმინისტრაციული აქტი უნდა გამოიყენოს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება არ ადგენს აღსასრულებელი ადმინისტრაციული აქტისაგან დამოუკიდებელ უფლება-მოვალეობების წრეს მხარეთათვის, მეორადა და გამომდინარეობს ძირითადი ადმინისტრაციული აქტისაგან. სწორედ ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის უფლებები საკმაოდ შემღუღლია. კერძოდ, არ გამოიყენება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ისეთი პრინციპები, როგორცაა დაინტერესებული მხარის წარმოებაში მონაწილეობა და მის მიერ ადმინისტრაციული აქტის გამოცემასთან დაკავშირებით საკუთარი ამრის გამოთქმის უფლება. ეს მნიშვნელოვნად აჩქარებს აღსრულებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას.

2. კანონმა განსაზღვრა, რომ გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს, ან სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება გამოიყენოს ბეპირად. მაგალითად; როდესაც ქალაქის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება იმ ქუჩაზე, რომელზეც მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები ავტოტრანსპორტის მოძრაობის გადაკეტვის შესახებ. იმ მძღოლის მიმართ, რომელიც არ ემორჩილება ამ აქტს და ცდილობს აღნიშნულ ქუჩაზე მოძრაობას, რითაც საფრთხეს უქმნის როგორც საკუთარ, ისე იქ მომუშავე მშენებელთა სიცოცხლეს, შეიძლება საგზაო პოლიციელის მიერ ბეპირად იქნეს გამოტანილი გადაწყვეტილება უშუალო იძულების ღონისძიების განხორციელების შესახებ და მძღოლს ჩამოერთვას ავტომანქანა. თუმცა აღნიშნული დებულების არარსებობის პირობებშიც კი ადმინისტრაციულ ორგანოს შესაძლებლობა ექნებოდა გამოეყენებინა ბეპირი ადმინისტრაციული აქტი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

3. ასეთ შემთხვევაშიც კი ორგანო, რომელმაც ბეპირად მიიღო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, ვალდებულია აღსრულების უზრუნველ-

ყოფის ზომის გამოყენებიდან სამი დღის ვადაში ეს აქტი (გადაწყვეტილება) გამოსცეს წერილობით.

მუხლი 167. ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობით შესრულების ვადა

1. პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, უნდა მიეცეს ვადა ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობით შესრულებისათვის.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მუსტად განსაზღვროს, თუ რა ქმედების განხორციელება ევალება პირს ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისათვის.

3. პირი უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი ვალდებულება მისთვის ყველაზე ხელსაყრელი საშუალებით.

4. იმ პირის მიმართ, რომელიც დადგენილი ვადის განმავლობაში შეასრულებს აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვალდებულებას, აღსრულების უზრუნველყოფის ზომა არ გამოიყენება. პირის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამისი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში აღსრულების შესახებ გადაწყვეტილება წყვეტს მოქმედებას.

5. ამ კოდექსის 166-ე მუხლში მითითებულ გადაუდებელ შემთხვევაში ვადა შეიძლება არ განისაზღვროს.

(საქართველოს 2001 წლის კანონი №772-III – სსმ I, №6, 2001, მუხ. 8)

1-2. ძირითადად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადმინისტრაციული აქტის აღსრულება ნებაყოფლობით ხორციელდება. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია პირს განუსაზღვროს, თუ მუსტად რა ქმედების განხორციელებაა საჭირო ადმინისტრაციული აქტის შესრულებისთვის (ანუ რისი გაკეთება მოეთხოვება პირს, იმისათვის რომ ადმინისტრაციული აქტი ნებაყოფლობით შესრულებულად ჩაითვალოს), ასევე ადმინისტრაციული აქტის შესრულების ვადა, რომელიც უნდა იყოს რეალური და საკმარისი ადმინისტრაციული აქტის შესასრულებლად. როგორც წესი, ეს ორივე პირობაა თვით აღსასრულებელ ადმინისტრაციულ აქტშივეა ხოლმე განსაზღვრული, თუმცა კანონი უშვებს მათი ცალკე ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრის შესაძლებლობასაც.

3. ადმინისტრაციული აქტის შესრულება ხშირად რამდენიმე გზითა და საშუალებით შეიძლება. ამ შემთხვევაში ადმინისტრა-

ციული აქტის შესრულების კონკრეტულ სამუალებას ადმინისტრაციული ორგანო კი არ განსაზღვრავს, არამედ თვით პირი, რომელიც ნებაყოფლობით ასრულებს მას. (მაგ., თუ პირს დაევალა უკანონო ნაგებობის აღება, მას შეუძლია საკუთარი ძალებით განახორციელოს ეს ან დაიქირაოს შესაბამისი სამშენებლო ფირმა იქიდან გამომდინარე, თუ რომელი სამუალებაა მისთვის ხელსაყრელი და ნაკლებ დანახარჯებთან დაკავშირებული).

4. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ შეიძლება გამოცემულ იქნეს ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობითი შესრულების ვადის გასვლამდეც, მაგრამ ამ შემთხვევაში მასში უნდა მიეთითოს, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ნებაყოფლობით აღსრულების ვადის გასვლის შემდეგ. იმ პირის მიმართ, რომელიც დადგენილი ვადის განმავლობაში შეასრულებს აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებულ ვალდებულებას, აღსრულების უზრუნველყოფის ზომა არ გამოიყენება. პირის მიერ დადგენილ ვადაში შესაბამისი ვალდებულების შესრულება იწვევს აღსრულების შესახებ მოქმედების შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო არ არის, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება ძალადაქარგულად გამოაცხადოს. ის თვითონ წყვეტს ავტომატურად მოქმედებას.

5. რაც შეეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს, ან სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, სიტუაციის ექსტრემალურობიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს ენიჭება უფლება აქტი აღასრულოს შესაბამისი პირისათვის ნებაყოფლობითი აღსრულების ვადის მიცემის გარეშეც.

მუხლი 168. აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს პირი,

რომელსაც ევალება ადმინისტრაციული აქტის აღსრულება.

2. თუ პირს ამ კოდექსის 167-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ განესაზღვრა ვადა ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობით აღსრულებისათვის, აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაიღებს შესაბამისად სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო გარდა იმ შემთხვევისა, როცა გადაუდებელი აუცილებლობა გამოწვეული იყო იმ პირის ქმედებით, რომელსაც ადმინისტრაციული აქტი უნდა აღესრულებინა.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

თავისთავად ნათელია, რომ თუკი პირი ნებაყოფლობით არ შეასრულებს ადმინისტრაციულ აქტს, მას დაეკისრება აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, რადგანაც ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისათვის სპეციალური ზომებისათვის მიმართვა ამ პირის მიერ ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობით შეუსრულებლობით არის გამოწვეული. თუმცა სპეციალური კანონმდებლობით ეს პირი შეიძლება გათავისუფლდეს აღსრულების ხარჯების ანაზღაურებისაგან.

რაც შეეხება შემთხვევას, როდესაც პირს არ განესაზღვრა ვადა ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობით აღსრულებისათვის, აღსრულების ხარჯებს გაიღებს, შესაბამისად, სახელმწიფო ან თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო. თუკი პირს არ მიეცა შესაძლებლობა გონივრულ ვადაში მისთვის ხელსაყრელი საშუალებითა და საკუთარი ხარჯებით ნებაყოფლობით შეესრულებინა ადმინისტრაციულ აქტით გათვალისწინებული მოთხოვნები, მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღსრულებულ ადმინისტრაციულ აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება არ დაეკისრება.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული აქტის აღსრულება მისი ნებაყოფლობით შესრულების ვადის განსაზღვრის გარეშე გამოწვეულია თავად იმ პირის ქმედებით, რომელსაც უნდა აღესრულებინა ადმინისტრაციული აქტი. მაგალითად, როდესაც კოდექსით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევა გამოიწვია ამ პირის მიერ ადმინისტრაციული აქტის დარღვევამ.

ასეთ შემთხვევაში აღსრულების ხარჯების ანაზღაურება უნდა დაეკისროს დამრღვევ პირს.

მუხლი 169. აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობით შესრულების შესახებ პირისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლად გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის ერთ-ერთი შემდეგი საშუალება:

ა) სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების დავალება;

ბ) ჯარიმა;

გ) უშუალო იძულება.

2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ის საშუალება, რომელიც გათვალისწინებულია გადაწყვეტილებაში აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია აირჩიოს აღსრულების უზრუნველყოფის მხოლოდ ის საშუალება, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული აქტის ყველაზე სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით შესრულებას და ზიანს არ მიიყენებს საზოგადოებას და შესაბამის პირს.

4. აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენება უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისთანავე.

1-2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობითი შესრულების შესახებ პირისათვის მიცემული ვადის გასვლის შემდეგ თვითონ მიიღოს ზომები ადმინისტრაციული აქტის აღსასრულებლად. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია გამოიყენოს შემდეგი აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებები:

ა) სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების დავალება;

ბ) ჯარიმა;

გ) უშუალო იძულება.

ამ სამუქალებებს დაწვრილებით შემდეგ მუხლებში განვიხილავთ. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უზრუნველყოფის ამ სამ სამუქალებათიგან ერთ-ერთი, სხვა რაიმე დამატებითი სამუქალებით ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია. ასევე, კონკრეტული გადაწყვეტილების აღსრულებისას, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს მხოლოდ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებაში მითითებული სამუქალება.

3. ისევე როგორც ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას, აღსრულების ღონისძიების შერჩევისასაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა იხელმძღვანელოს პროპორციულობის პრინციპით და აირჩიოს აღსრულების ის სამუქალება, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციული აქტის ყველაზე სწრაფად და ნაკლები დანახარჯებით შესრულებას და ნაკლებ ზიანს მიაყენებს საზოგადოებას და იმ პირს, რომლის მიმართაც უნდა გატარდეს აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებები.

4. თუ ადმინისტრაციული აქტი აღსრულდა, ბუნებრივია, აღსრულების სამუქალების გამოყენების აუცილებლობა აღარ არსებობს და ყოველგვარი დამატებითი გადაწყვეტილების მიღების გარეშე მისი გამოყენება უნდა შეწყდეს.

მუხლი 170. სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების დავალება

1. თუ შესაძლებელია სხვა პირის მიერ ადმინისტრაციული აქტის აღსრულება, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილი წესის მიხედვით სხვა პირს დაავალოს აღსრულება.

2. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს აინაზღაურებს შესაბამისი ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. ადმინისტრაციული აქტის აღსრულების სხვა პირისათვის დავალება აქტის იძულებითი აღსრულების ყველაზე მარტივი

ფორმაა. მისი გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული აქტი არ ატარებს მისი აღრესატი-სათვის პერსონალურ ხასიათს და არ შეიცავს რაიმე მოთხოვნის აქტში მოხსენიებული პირის მიერ პერსონალურად შესრულების შესაძლებლობას. მაგალითად, ასეთი ხასიათისაა ყველა ამკრძალავი ადმინისტრაციული აქტი. იმ შემთხვევაში, როდესაც პირი, რომელსაც დაევალა ადმინისტრაციული აქტის აღსრულება, არ აღასრულებს ამ აქტს, ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია ამ აქტის აღსრულება დააევალოს სხვა პირს. ეს, როგორც წესი, უნდა მოხდეს ადმინისტრაციულ ორგანოსა და ამ პირს შორის ხელშეკრულების დადებით, რომელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ გარიგებას. მაგალითად, თუ ადმინისტრაციული აქტი ითვალისწინებს, რომ ბარ „ბათითაქუარის“ მეპატრონე ვალდებულია კვირაში ორჯერ დაასუფთაოს ბარის მიმდებარე ტერიტორია და იგი არ აღასრულებს ამ აქტს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ამ სამუშაოს შესრულება დააევალოს მეგობრებს. აქტის აღსრულების დავალება შესამე პირისათვის შესაძლებელია მხოლოდ შესამე პირის თანხმობის შემთხვევაში. პირის იძულება, რომ მან სხვის ნაცვლად აღასრულოს ადმინისტრაციული აქტი დაუშვებელია. ეს შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც შეუძლებელია ადმინისტრაციული აქტის სხვაგვარად აღსრულება და ადმინისტრაციული აქტის დროულად აღსრულებლობა საფრთხეს უქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშროებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს, ან სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა. ასეთ შემთხვევაში პირს, რომელმაც აღასრულა ადმინისტრაციული აქტი, აუნაზღაურდება მის მიერ აქტის იძულებით აღსრულების გამო მიყენებული ზიანი.

2. პირს, რომელსაც დაევალება ადმინისტრაციული აქტის აღსრულება, ამისათვის გაწეულ ხარჯებს (გასამრჯელოს ჩათვლით) აუნაზღაურებს ადმინისტრაციული ორგანო. შემდგომში ეს თანხა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ანაზღაურებულ იქნება ადმინისტრაციული აქტის აღრესატი საგან, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 171. აღსრულების უზრუნველყოფა ჯარიმით

1. ჯარიმა, როგორც აღსრულების სამოქალაქოსამართლებრივი საშუალება, გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული აქტის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი პირის მიერ ნების გამოვლენით.

2. ჯარიმა, როგორც აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება, შეიძლება აგრეთვე გამოიყენებულ იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ არსებობს სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული მოქმედების დავალების შესაძლებლობა.

3. ჯარიმის თანხის ოდენობა უნდა იყოს განსაზღვრული გადაწყვეტილებით აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. ჯარიმის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს საერთო თანხით ან თანხით ადმინისტრაციული აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ანდა ადმინისტრაციული აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის.

4. ჯარიმის საერთო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს ფიზიკური პირისათვის და 5000 ლარს იურიდიული პირისათვის.

5. ჯარიმის თანხა ადმინისტრაციული აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის ან ადმინისტრაციული აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის არ შეიძლება აღემატებოდეს 50 ლარს ფიზიკური პირისათვის და 200 ლარს იურიდიული პირისათვის.

6. ჯარიმის თანხის მინიმალური ოდენობაა 5 ლარი.

7. ჯარიმის თანხა ჩაირიცხება შესაბამისად სახელმწიფო ან ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტში.

ჯარიმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული აქტის აღსრულება შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი პირის მიერ ნების გამოვლენით, ანუ ადმინისტრაციული აქტის აღსრულება გულისხმობს პირის მიერ რაიმე მოქმედებისგან თავის შეკავებას ან რაიმე ისეთი მოქმედების შესრულებას, რაც მხოლოდ ამ კონკრეტული პირის მიერ ნების გამოხატვითაა შესაძლებელი. მაგალითად, როდესაც ადმინისტრაციული აქტი აღგენს, რომ საკოლმეურნეო ბაზრის დირექტორი ვალდებულია

თვეში ერთხელ გამოცხადდეს სანიტარიულ ინსპექციაში და წარადგინოს ინფორმაცია ბაზარში სანიტარიული მდგომარეობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ პირის დაჯარიმება, ისევე როგორც უშუალო იძულება, დაუშვებელია იმ შემთხვევებში, როდესაც ადმინისტრაციული აქტის აღსრულება არ არის მხოლოდ ამ პირის ნებაზე დამოკიდებული. მაგალითად, პირს არ შეიძლება დაეკისროს ჯარიმა იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული აქტით გათვალისწინებულია მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე ელექტროგადამცემი ხაზის ანძის დადგმა, მაგრამ მიწა დაგირავებულია ბანკში და, ამ პირსა და ბანკს შორის ხელშეკრულების თანახმად, საჭიროა ბანკის თანხმობაც. ასეთ შემთხვევაში გამოცემულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული აქტი მესამე პირის (ამ შემთხვევაში ბანკის) მიმართაც.

2. ჯარიმა როგორც აღსრულების უზრუნველყოფის საშუალება ისეთ შემთხვევებშიც შეიძლება იქნეს გამოყენებული, როდესაც არსებობს სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის აღსრულების დავალების საშუალება. მაგ., თუ პირი უარს აცხადებს მოჭრას მის ეზოში მდგომი ხე, რომელიც პრობლემებს უქმნის მეზობლის კანონიერ ინტერესებს, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს დააჯარიმოს ეს პირი ხის მოჭრელობისათვის მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა მესამე პირისათვის ხის მოჭრის დავალების შესაძლებლობა.

3-6. ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება გადაწყვეტილებით აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. ამავე გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს, თუ ჯარიმის რომელი სახე იქნება გამოყენებული. ჯარიმა შეიძლება იყოს სამი სახის: საერთო თანხით განსაზღვრული, ჯარიმა ადმინისტრაციული აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის და ჯარიმა ადმინისტრაციული აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის. განვიხილოთ ესენი ცალ-ცალკე.

საერთო თანხით განსაზღვრული ჯარიმა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული აქტის დარღვევა ერთჯერადი ხასიათისაა და მისი განმეორებით დარღვევა შეუძლებელია. მაგალითად, შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული აქტის თანახმად პირი ვალდებული იყო გამოცხადებულიყო გარკვეულ დღეს დანიშნული ადმინისტრაციული ორგანოს სხდომაზე,

მაგრამ ჩან ეს არ გააკეთა. ასევე იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს მიაჩნია, რომ პირის ერთჯერადი დაჯარიმება საკმარისი ფაქტორია იმისათვის, რომ მოხდეს მის მიერ ადმინისტრაციული აქტის აღსრულება. უნდა აღვნიშნოთ, რომ დაჯარიმება არ ათავისუფლებს პირს ადმინისტრაციული აქტის აღსრულების ვალდებულებისაგან გარდა იმ შემთხვევებისა. როდესაც ადმინისტრაციული აქტის მოქმედება შეწყვეტილია. ადმინისტრაციული აქტის აღსრულებლობის შემთხვევაში დასაშვებია პირის განმეორებით დაჯარიმება. საერთო თანხით განსაზღვრული ჯარიმის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ფიზიკურ პირთათვის ათას, ხოლო იურიდიულ პირთათვის — 5 000 ლარს.

ჯარიმა ადმინისტრაციული აქტის დარღვევის ყოველი დღისათვის გულისხმობს შემთხვევას, როდესაც პირს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველდღიურად იმ დღიდან, როდესაც დამთავრდა ადმინისტრაციული აქტის ნებაყოფლობით აღსრულების ვადა ადმინისტრაციული აქტის აღსრულებამდე. ასეთი ჯარიმის ოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ფიზიკურ პირთათვის 50, ხოლო იურიდიულ პირთათვის — 200 ლარს.

ჯარიმა ადმინისტრაციული აქტის დარღვევით ჩადენილი ყოველი ქმედებისათვის ძირითადად ამკრძალავი ადმინისტრაციული აქტების აღსრულებისთვისაა დამახასიათებელი. ეს გულისხმობს იმას, რომ ყოველთვის, როდესაც პირი ჩაიდენს ადმინისტრაციული აქტით აკრძალულ ქმედებას, დაეკისრება ჯარიმა. მაგალითად, როდესაც ადმინისტრაციული აქტი უკრძალავს რომელიმე შენობის მაცხოვრებლებს ფანჯრიდან ნაგვის გადაყრას, პირი დაჯარიმდება ფანჯრიდან ნაგვის გადაყრის ყოველი ფაქტისათვის. ასეთი ჯარიმის ოდენობაც ფიზიკურ პირთათვის არ უნდა აღემატებოდეს 50, ხოლო იურიდიულ პირთათვის — 200 ლარს.

ყველა სახის ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 5 ლარი. მასზე ნაკლები თანხით პირის დაჯარიმება დაუშვებელია.

7. ჯარიმის სახით მიღებული თანხა ჩაირიცხება, შესაბამისად, სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტში. ეს განისაზღვრება იმის შესაბამისად, თუ რომელი ორგანოს (სახელმწიფო, თუ ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის) აქტის

აღსრულების უზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენდა ჯარი-
მა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი ორგანოს მი-
ერ იქნა აღსრულებული ადმინისტრაციული აქტი.

მუხლი 172. უშუალო იძულება

1. თუ ამ კოდექსის 170-ე და 171-ე მუხლებში მითითებული
აღსრულების უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების მიუხე-
დავად ადმინისტრაციული აქტი არ აღსრულდა, აღსრულებაზე
პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია
ადმინისტრაციული აქტის აღსრულება უზრუნველყოს უშუალო
იძულების საშუალებით.

2. უშუალო იძულება შეიძლება აგრეთვე გამოყენებულ იქნეს
ამ კოდექსის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ
შემთხვევაში.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია გამოიყენოს
უშუალო იძულების ის საშუალება, რომელიც გათვალისწინებუ-
ლია კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებ-
არე აქტით.

თუ გემოაღნიშნული აღსრულების უზრუნველყოფის საშუა-
ლებების (სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის დავალება
და ჯარიმა) გამოყენების მიუხედავად ადმინისტრაციული აქტი
არ აღსრულდა, აღსრულებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაცი-
ული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციული აქტის აღ-
სრულება უზრუნველყოს უშუალო იძულების საშუალებით.
უშუალო იძულება ძირითადად გულისხმობს ისეთ შემთხვევებს,
როდესაც ადმინისტრაციული ორგანო ავალებს პოლიციას ად-
მინისტრაციული აქტის აღსრულებას ან თვითონ უშუალო მოქმე-
დებებით ახორციელებას მას.

2. უშუალო იძულების გამოყენება ისე, რომ არ იქნეს გა-
მოყენებული აღსრულების უზრუნველყოფის გეოაღნიშნული საშუა-
ლებები (სხვა პირისათვის ადმინისტრაციული აქტის დავალება
და ჯარიმა) შესაძლებელია ფორსმაჟორულ შემთხვევაში, რო-
დესაც საფრთხე ექმნება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უშიშ-
როებას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, ადამიანის სიცოცხლეს,
ან სხვაგვარად შეუძლებელია დანაშაულებრივი ქმედების აღ-
კვეთა, რაც მითითებულია კოდექსის 166-ე მუხლის მე-2 ნაწილში.

3. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ განმარტავს, თუ უშუალო იძულების რა საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული ადმინისტრაციული აქტის აღსრულების უზრუნველსაყოფად და მხოლოდ მიუთითებს, რომ ეს საშუალებები გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით ან კანონის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით. ამ შემლუღვის მიზანი ისაა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს არ მიეცეს უფლებამოსილება გამოიყენოს უშუალო იძულების რაიმე სხვა, კანონით გათვალისწინებული საშუალება. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული დებულება მხოლოდ ამ ეტაპზეა საჭირო, როდესაც ქვეყანაში მკვიდრდება ახალი ადმინისტრაციული სამართალი, ხოლო შემდგომში, როდესაც პრაქტიკა სრულყოფილად დაარეგულირებს მოცემულ საკითხს, აღნიშნული პუნქტის არსებობა აღარც იქნება საჭირო. ამასთან დაკავშირებით დავამატებთ, რომ ასეთი საშუალებები განსაზღვრულია “პოლიციის შესახებ” საქართველოს კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

მუხლი 173. აღსრულება სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოთა მიმართ

ამ თავის დებულებანი ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მიმართ.

კოდექსის დებულებანი ადმინისტრაციული აქტის აღსრულების შესახებ არ ვრცელდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოთა მიმართ. აღნიშნული პრინციპის არსი ისაა, რომ ამ თავით გათვალისწინებული დებულებები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავად ადმინისტრაციული ორგანოების წინააღმდეგ. ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის აქტები სხვა წესით უნდა აღსრულდეს და მათ მიმართ ამ თავით გათვალისწინებული დებულებები არ გამოიყენება, არამედ ისე, რომ, როდესაც ისინი არიან დაინტერესებული მხარეები ადმინისტრაციულ ურთიერთობაში და მათ წინააღმდეგ რომელიმე სხვა უწყება ადმინისტრაციულ აქტს გამოსცემს, დაუშვებელია ადგილობრივი ორგანოს მიმართ იძულების ზემოთ მითითებული ზომების გამოყენება.

ამასთან საკმაოდ საყაბათოა, თუ რატომ არის მუხლში მითითებული მხოლოდ ადგილობრივი მმართვეელობისა და თვითმმართველობის ორგანოები. პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული აქტი არ გამოიყენა ცენტრალური ხელისუფლების ორგანოთა წინააღმდეგ, მაგრამ პრაქტიკაში არის ასეთი აქტის გამოყენის შემთხვევებიც. მაგალითად, თბილისის მერიამ შეიძლება გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, რომლითაც შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის სამმართველოს დაევალება შეარემონტოს სამმართველოს შენობა. ამიტომ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მუხლი უნდა გაერყელდეს როგორც ადგილობრივი მმართვეელობისა და თვითმმართველობის, ისე ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებზეც.

მუხლი 174. ადმინისტრაციული აქტის აღსრულება საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, აგრეთვე პოლიციის მიერ ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებით, კანონით შეიძლება დადგენილ იქნეს ამ კოდექსისგან განსხვავებული წესი.

საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს, ვითარების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლებელია კანონით განსხვავებული წესები დადგინდეს ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისათვის. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ადმინისტრაციული აქტები, რომლებსაც შექმნილ საგანგებო თუ საომარ მდგომარეობასთან რაიმე კავშირი არა აქვთ, ასევე განსხვავებული წესით აღსრულებას ექვემდებარებიან. ასეთი ადმინისტრაციული აქტები საგანგებო მდგომარეობის დროსაც, ჩვეულებრივ, ამ კოდექსით დადგენილი წესით აღსრულდება.

მუხლი 175. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტის აღსრულების განსაკუთრებული წესი

1. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტის აღსრულების მიმართ არ გამოიყენება ამ კოდექსის 169-ე მუხლში მითითებული აღსრულების უზრუნ-

ველყოფის საშუალებანი.

2. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული აქტის აღსრულებისათვის აუცილებელია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ.

3. თუ ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ვალდებული პირი უარს აცხადებს გადაიხადოს ფულადი თანხა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, რომლის შესაბამისად უფლებამოსილი პირი მოვალეს დააკისრებს ვალდებულებას, რომ მისთვის გადასაცემი ფულადი თანხა ჩარიცხოს ადმინისტრაციული ორგანოს ანგარიშზე.

4. პირისაგან თანხის იძულებითი ამოღება, ქონებაზე ყადაღის დადება წარმოებს სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1-3. ფულადი თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული აქტის აღსრულებას თავისი სპეციფიკა გააჩნია, რაც განსაზღვრულიც არის ამ მუხლით. აღნიშნული დებულება ეხება ასევე პირისაგან ადმინისტრაციული აქტის აღსრულების ხარჯების ამოღების წესს. ფულადი თანხის გადახდევინების აღსრულებისთვის საჭიროა ადმინისტრაციულ ორგანოს ცალკე გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ. თანხის ნებაყოფლობით გადახდაზე უარის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებით დააკისროს პირს ვალდებულება ჩარიცხოს ფული ადმინისტრაციული ორგანოს ანგარიშზე.

4. რაც შეეხება პირისგან თანხის იძულებით ამოღებას, რომელიც აგრეთვე გულისხმობს ქონებაზე ყადაღის დადებას, ეს ხორციელდება სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 176. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება გასაჩივრდება ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. თუ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებით შერჩეული უზრუნველყოფის სამუალება და აღსრულების ვადა უშუალოდ გამომდინარეობს იმ ადმინისტრაციული აქტიდან, რომლის აღსასრულებლადაც იგი გამოიყა, მისი გასაჩივრება შეიძლება მხოლოდ შესაბამის ადმინისტრაციულ აქტთან ერთად.

1. უნდა აღვნიშნოთ, რომ ადმინისტრაციული აქტის ძალაში შესვლის შემდეგ, თუკი მიღებულია გადაწყვეტილება მისი აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ, აღსრულების შესახებ ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრება (როგორც ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე სასამართლოში) უნდა მოხდეს ძირითადი ადმინისტრაციული აქტისაგან დამოუკიდებლად. ასეთ შემთხვევაში შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრული აღსრულების უზრუნველყოფის სამუალება.

2. თუკი გადაწყვეტილება აღსრულების უზრუნველყოფის შესახებ და, შესაბამისად, უზრუნველყოფის სამუალება ძირითადი ადმინისტრაციული აქტითაა განსაზღვრული, ადმინისტრაციული აქტის აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გასაჩივრება დამოუკიდებლად არ შეიძლება და იგი გასაჩივრდება მხოლოდ ძირითად ადმინისტრაციულ აქტთან ერთად. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია აქტის ნაწილობრივი გასაჩივრებაც (მხოლოდ აღსრულების ნაწილში). ამ დებულების ამრიგ იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოში აქტის მთლიანად გასაჩივრებისას, თუ დაკმაყოფილება მხარის მხოლოდ აღსრულებასთან დაკავშირებული მოთხოვნა, ეს ჩაითვლება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილებად და მხარეს მაინც მოუწევს სახელმწიფო ბაჟის ნაწილობრივ გადახდა, რაც არ მოხდება იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრებული იქნება აქტის მხოლოდ აღსრულებასთან დაკავშირებული ნაწილი.

თავი XIII

ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით

ეს თავი შეიცავს ამომწურავ და დაწვრილებით (შეიძლება ითქვას, მეტისმეტად დაწვრილებითსაც) ინფორმაციას შიდაადმინისტრაციული საჩივრების შეტანისა და განხილვის პროცედურების შესახებ. ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანება მხოლოდ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტებთან დაკავშირებით, ნორმატიულ ადმინისტრაციულ აქტებზე გემდგომ ორგანოში საჩივრის შეტანას ეს კოდექსი არ ითვალისწინებს. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცედურა უნდა განვასხვავოთ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურისაგან. პირველ შემთხვევაში, საჩივარი შეიტანება ადმინისტრაციული ორგანოს გემდგომი თანამდებობის პირის ან გემდგომი ორგანოს სახელზე და, შესაბამისად, საჩივრის განხილვა ხდება მათ მიერ, ხოლო მეორე შემთხვევაში, საჩივრის – სარჩელის აღრესატს წარმოადგენს შესაბამისი სასამართლო ინსტანცია, რომელიც განიხილავს დავას. მიუხედავად ამისა, შიდაადმინისტრაციული გასაჩივრების სტადიას ბევრი საერთო აქვს სასამართლო წარმოებასთან. სწორედ ამიტომ მას კვამი-სასამართლო პროცედურასაც კი უწოდებენ.

ამ კოდექსის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაინტერესებულ მხარეს ენიჭება უფლება თავად განსაზღვროს თავისი უფლებამოსილების განხორციელების მექანიზმი, ანუ თავად გადაწყვიტოს. თუ რომელ გმას აირჩევს – გემდგომ ორგანოში გასაჩივრებასა თუ პირდაპირ სასამართლოსათვის მიმართვას. მხარემ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, მისი ამრით, კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოა უფრო ობიექტური, სწრაფი და კვალიფიციური საკითხის სწორი და სამართლიანი გადაწყვეტისათვის თუ გემდგომი ადმინისტრაციული ორგანო. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოში საქმის განხილვა, ჩვეულებრივ, უფრო ხანგრძლივი პროცესია და ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცედურისაგან განსხვავებით, ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მიგვაჩნია, რომ მიუხედავად მხარისათვის პირდაპირ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების მინიჭებისა,

ადმინისტრაციულ საჩივარს თავისი ფუნქცია მაინც საკმარისად გააჩნია.

შიდაადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ძირითადი თავისებურებები შემდეგია:

— გასაჩივრებული შეიძლება იყოს ადმინისტრაციული აქტი ან ადმინისტრაციული ორგანოს დე ფაქტო მოქმედება;

— დაინტერესებულ მხარეს გააჩნია ადმინისტრაციული საჩივრის პროცედურის გვერდის ავლით პირდაპირ სასამართლოსათვის მიმართვის უფლება;

— შიდაადმინისტრაციული საჩივრის შეტანის ეადა გაცილებით მოკლეა და შეადგენს ერთ თვეს;

— ისევე როგორც სასამართლოში სარჩელის წარდგენისას, საჩივრის შეტანა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში აჩერებს ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა);

— ჩვეულებრივ, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა ხორციელდება ზეპირი მოსმენის ჩატარების ვით;

— გადაწყვეტილება მიიღება ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ;

— ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა არ საჭიროებს რაიმე სახის სახელმწიფო ბაჟის ან მოსაყრებლის გადახდას;

— საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, გათვალისწინებულია დაინტერესებული მხარის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 177. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრების უფლება

1. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევა ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარის თქმად და იგი გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

3. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელიც არ არის დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამო-

ცემასთან, გასაჩივრდება ამ თავით დადგენილი წესით.

4. ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისაგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. საჩივრის შეტანა არ წარმოადგენს საყოველთაო უფლებას, რომლითაც ნებისმიერი მოქალაქე ნებისმიერ სამართალურთიერთობაში ისარგებლებდა. ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების უფლება აქვს არა ყველა პირს არამედ მხოლოდ დაინტერესებულ მხარეს. დაინტერესებული მხარის განმარტება კი მოცემულია ამ კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ბ” ქვეპუნქტში.

ადმინისტრაციული საჩივრის ობიექტი შეიძლება გახდეს:

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;

კანონით დადგენილ ვადებში ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ვადის დარღვევა. ასეთი დარღვევა კოდექსის მიერ განიხილება ადმინისტრაციული აქტის გამოცემაზე უარის შესახებ გადაწყვეტილებად და ექვემდებარება იგივე წესით გასაჩივრებას, რაც დადგენილია ადმინისტრაციული აქტისათვის.

ადმინისტრაციული ორგანოს პირდაპირი მოქმედება, ანუ შემთხვევა, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო (საჯარო მოსამსახურე) მოქმედებს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის გარეშე. მაგალითად, ავტომანქანის ჩამორთმევა.

ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობა იმ შემთხვევაში, როდესაც მას კანონმდებლობით ევალება გარკვეული მოქმედების განხორციელება.

4. გასაჩივრებას არ ექვემდებარება ადმინისტრაციული აქტები, რომლებიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებულ იქნა მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით. მაგალითად, თუკი ადმინისტრაციული ორგანო კანონის საწინააღმდეგოდ დაადგენს, რომ არ მისცეს დაინტერესებულ მხარეს ინფორმაცია მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით, ან არ აკმაყოფილებს აცილების შესახებ შუამდგომლობას

და ა.შ. აღნიშნული გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ საბოლოო ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისას. ასეთ შემთხვევაში საბოლოო ადმინისტრაციული აქტი გამოცხადდება ბათილად, მისი გამოცემისათვის კანონით დადგენილი პროცედურის დარღვევის გამო. მიზეზი ისაა, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციული წარმოების პროცედურასთან დაკავშირებული აქტების დამოუკიდებლად გასაჩივრება არის ის, რომ ამგვარმა საჩივარმა შეიძლება მეტისმეტად გააჭიანუროს თითოეული ადმინისტრაციული აქტის გამოცემის პროცესი და ხელი შეუშალოს საჯარო ადმინისტრაციის ნორმალურ ფუნქციონირებას.

მუხლი 178. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაში ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაში თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

3. პირს შეუძლია ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ადმინისტრაციული საჩივრის წარუდგენლად პირდაპირ მიმართოს სასამართლოს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. ეს მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ და მასზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს. იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციული აქტი გამოიცა, ან ფაქტობრივი მოქმედება განხორციელდა ადმინისტრაციული ორგანოს რომელიმე ქვედანაყოფის (სამმართველოს, დეპარტამენტის, გან-

ყოფილების და სხვ.) ან მისი ამ ორგანოს რიგითი თანამდებობის პირის მიერ საჩივარი განიხილება იმავე ორგანოში მისი ხელმძღვანელი პირის მიერ. თუკი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა ან უშუალო მოქმედება განახორციელა ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელმა (მაგ., მინისტრის ბრძანება და სხვ), მაშინ საჩივრის განხილვის უფლებამოსილება მხოლოდ შემდგომ ორგანოს გააჩნია. იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია შემდგომი ორგანო (მაგალითად, კონტროლის პალატა, ეროვნული ბანკი და სხვ.), გამოიყენება მხოლოდ სასამართლოსათვის მიმართვის პროცედურა.

არც ამ მუხლში და არც მთლიანად კოდექსში არსად არ არის მითითებული, თუ სად უნდა იქნეს შეტანილი ადმინისტრაციული საჩივარი. მიგვაჩნია, რომ ასეთ შემთხვევაში, საქართველოს პირობებში, სადაც საჩივრის ინსტიტუტი ასეთი სახით მხოლოდ დამკვიდრების პროცესშია, მისი წახალისების მიზნით უფრო ლიბერალური მიდგომა უნდა ავირჩიოთ და მივიჩნიოთ, რომ ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილად ითვლება, თუ წარედგინა ან გაეგზავნა იმ ორგანოს, რომლის აქტი ან მოქმედებაც არის გასაჩივრებული, ან იმ ორგანოს, რომელმაც უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს საჩივარი.

3. ამ მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს დაინტერესებული მხარის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებას – გააკეთოს არჩევანი შიდაადმინისტრაციულ საჩივარსა და სასამართლოსადმი მიმართვას შორის. აღნიშნული დებულება განსხვავდება ამ საკითხის დასაეღურ სამართლებრივ სისტემებში აღიარებული გადაწყვეტისაგან, სადაც შიდაადმინისტრაციული გასაჩივრება წარმოადგენს აუცილებელ საფეხურს, რომლის გარეშეც სასამართლოსადმი მიმართვა დაუშვებელია. ასეთი მიდგომის სასარგებლოდ მრავალი არგუმენტი მოაქვთ ხოლმე. ჯერ ერთი, იგი იწვევს სასამართლოების განტვირთვას, რადგანაც შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში/თანამდებობის პირთან გასაჩივრების შემდგომ სასამართლოში სარჩელების რიცხვი მნიშვნელოვნად კლებულობს. მეორეც, საჩივრის განხილვა შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას ეფექტურად განახორციელოს ქვემდგომი სტრუქტურების კონტროლი და უზრუნველყოს ადმინისტრაციული პროექტის ერთიანობა.

მიუხედავად ამისა, ქართული რეალობიდან გამომდინარე ხშირად ამყარაა, რომ სასამართლოსადმი მიმართვა უფლების დაცვის ბევრად უფრო მაღალ ხარისხს იძლევა, რის გამოც ადმინისტრაციული საჩივრის გამოყენება ხშირად აზრს კარგავს ხოლმე. როგორც წესი, ადმინისტრაციულ ორგანოებში კორუფცია პირამიდულ ხასიათს ატარებს და ხშირად სამართალდარღვევის შესახებ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოები თუ თანამდებობის პირები საქმის კურსში არიან ჩაყენებული. ასეთ შემთხვევაში სავალდებულო შიდაადმინისტრაციული გასაჩივრება ნაკლებ ეფექტს იძლევა. იგი მოქალაქისათვის დამატებით ბარიერად და დროის დაყარგვის მიზემზად შეიძლება გადაიქცეს. სწორედ ამიტომ ითქება უარი კოდექსში სავალდებულო შიდაადმინისტრაციულ გასაჩივრების ინსტიტუტზე.

მუხლი 179. ადმინისტრაციული საჩივარი

1. ადმინისტრაციული წარმოება ამ თავით დადგენილი წესის შესაბამისად დაიწყება მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემთხვევაში.

2. ადმინისტრაციული საჩივარი შედგენილი უნდა იყოს წერილობით და პასუხობდეს ამ კოდექსის მოთხოვნებს.

1. ადმინისტრაციული საჩივრის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული საჩივარი. ადმინისტრაციულ ორგანოს თავისი ინიციატივით ამ თავით გათვალისწინებული პროცედურის დაწყება არ შეუძლია.

2. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით. ზეპირად, ტელეფონით ან რაიმე სხვა ფორმით გამოთქმული საჩივარი არ გახდება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი. ადმინისტრაციული საჩივარი შედგენილი უნდა იყოს კოდექსის 181-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 180. ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრების ვადა

1. ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თუ კა-

ნონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2. ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება უნდა გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში იმ დღიდან, როდესაც შესაბამისი დაინტერესებული მხარისათვის ცნობილი გახდა ამ მოქმედებათა განხორციელების ან განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.

3. გასაჩივრების ვადა არ შეიძლება დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში.

4. ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. ეს მუხლი აწესებს ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის ვადას. ასეთი ვადაა ერთი თვე, რომელიც აითვლება ადმინისტრაციული აქტის გამოქვეყნების (იხ. მუხლები 55-58) ან ოფიციალური შეტყობინების (იხ. მუხლი 54) დღიდან. ამ კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციული აქტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას მისი შესაძლო გასაჩივრების, საჩივრის შეტანის ვადისა და იმ ორგანოს შესახებ, რომელსაც უნდა წარედგინოს ადმინისტრაციული საჩივარი. ეს კი მნიშვნელოვნად უადვილებს მოქალაქეს გასაჩივრების პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიღებას. გასაჩივრების ასეთი მოკლე ვადის დადგენა კი იმითაა განპირობებული, რომ არ შეფერხდეს საჯარო ადმინისტრირების პროცესი და სამართალწარმოების მონაწილეებისათვისაც რაც შეიძლება სწრაფად გახდეს ცნობილი ადმინისტრაციული აქტის საბოლოობა. ამ ვადის გაშვების შემდეგაც დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. სასამართლოში სარჩელის წარდგენის ვადაა 6 თვე ადმინისტრაციული აქტის გაცნობის/გამოქვეყნების დღიდან. ხოლო თუ ადმინისტრაციული აქტი ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში გასაჩივრდება – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციული აქტის გაცნობის/გამოქვეყნების დღიდან.

2. გასაჩივრების იგივე ვადაა დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების გასაჩივრებისას. ასეთ შემთხვევაში ვადა აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დაინტერესებული მხარისათ-

ვის ცნობილი ვახლება მოქმედების შესრულების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების შესახებ.

3. თუ ადმინისტრაციული აქტი კანონით დაწესებულ ვადაში არ იქნა გამოცემული, დაინტერესებულ მხარეს არ შეიძლება დაუწესდეს რაიმე შეზღუდვა აქტის გამოუკემლობის გასაპროტესტებლად. გასაჩივრების ვადა ამ შემთხვევაში შეუზღუდავია, რათა ადმინისტრაციულ ორგანოს არ მიეცეს მისით მანიპულირების შესაძლებლობა.

4. ამ მუხლის მე-4 ნაწილი უშვებს გაშვებული გასაჩივრების ვადის აღდგენის შესაძლებლობას. დაინტერესებულმა მხარემ ამისათვის განცხდებით უნდა მიმართოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის კომპეტენციასაც წარმოადგენს საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა. ვადის აღდგენა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი გაშვება მოხდა ფორსმაჟორული გარემოებებისა თუ სხვა საპატიო მიზეზის გამო. ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის ვადის აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ადმინისტრაციული აქტის ფორმით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 181. ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი

1. ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი;

ბ) ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;

დ) გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;

ე) მოთხოვნა;

ვ) გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;

ზ) ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

2. თუ ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს გადაეცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ადმინისტრაციულ საჩივარს დაერთვება მისი ასლი.

1. ეს მუხლი წარმოადგენს იმ ინფორმაციის ჩამონათვალს, რომელსაც უნდა შეიცავდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი საჩივარი. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული საჩივარი გარკვეულწილად წააგავს სასამართლოში შესატანი სარჩელის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმას. სარჩელის მსგავსად, ადმინისტრაციული საჩივარიც უნდა შეიცავდეს ფორმალურ ნიშნებს (საჩივრის შემტანის ვინაობა, გასაჩივრებული აქტის სათაური და ა. შ.), მოთხოვნას და სამოტივაციო ნაწილს — მოთხოვნის დასაბუთებას. გარდა ამისა, საჩივარში უნდა მიეთითოს თანდართული დოკუმენტების ნუსხაც. ეს მონაცემები აუცილებელია იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს საჩივრის წარდგენისა და საჩივრით გათვალისწინებული მოთხოვნის იდენტიფიცირება.

თუ საჩივარი რომელიმე ზემოთ აღნიშნულ ნიშანს არ აკმაყოფილებს, ეს ავტომატურად არ ნიშნავს იმას რომ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო/თანამდებობის პირი საჩივარს არ განიხილავს. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია საჩივრის წარმდგენს ბუსტად მიუთითოს საჩივარში არსებულ ხარვეზებზე და მისცეს ვადა ამ ხარვეზის გამოსასწორებლად. თუ საჩივრის წარმდგენი მითითებულ ხარვეზს არ გამოასწორებს, მაშინ მისი საჩივარი განუხილველად იქნება დატოვებული, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჩივრის წარდგენისა და მოთხოვნის იდენტიფიცირება ხარვეზის გამოსწორების გარეშე შესაძლებელია.

2. გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის ასლი აუცილებლად უნდა დაერთოს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუკი იგი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაცემულ იქნა დაინტერესებული მხარისათვის ან გამოქვეყნდა.

მუხლი 182. ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე ან განხილვაზე უარის თქმა

1. ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს, თუ:

ა) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ;

ბ) სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;

გ) არსებობს ამ ორგანოს ან შემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე;

დ) შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;

ე) საჩივარი შეიქმნა ქმედუნარო პირმა;

ვ) ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;

ზ) გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა ან განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე მისცეს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა. ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის მიღების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს 5 დღის ვადაში.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არ განიხილოს ადმინისტრაციული საჩივარი, თუკი არსებობს ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული გარემოებები. საჩივარი არ განიხილება, თუკი სადავო საკითხი სასამართლოში მორიგებითაა დასრულებული ან განიხილება სასამართლოში ან შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში; ანდა იგი უკვე გადაწყვეტილია შემდგომი ორგანოს ან სასამართლოს მიერ; აგრეთვე თუკი საჩივარი შეტანილია არაუფლებამოსილი/არაქმედუნარიანი პირის ან კანონით დადგენილი ვადის დარღვევით. ამ მოთხოვნის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თავიდან იქნეს აცილებული ერთი და იგივე საკითხის განხილვა და ამ საკითხზე ერთმანეთისაგან განსხვავებული გადაწყვეტილების გამოტანა, აგრეთვე არაუფლებამოსილი პირების საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობა.

2. თუ ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ საჩივარი არ არის დასაშვები, მან საჩივრის შემომტან პირს შესაბამისი

გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა მისცეს ამ საკითხზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა. გადაწყვეტილება საჩივარის დასაშვებობაზე უარის თქმის შესახებ გამოიტანება ადმინისტრაციული აქტის ფორმით, საჩივრის შეტანიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 183. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ერთი თვის ვადაში.

2. კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თუ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენისათვის აუცილებელია ადმინისტრაციული საჩივრის განსახილველად კანონმდებლობით დადგენილ ვადაზე მეტი, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიტანოს დასაბუთებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ.

3. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიიღოს ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან არა უგვიანეს 7 დღისა და ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს.

4. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვით.

ეს მუხლი აწესებს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადას და ადგენს, რომ საჩივარი განხილულ და შესაბამისი გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს ერთი თვის ვადაში. ვადა აითვლება 181-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმით შესრულებული საჩივრის შეტანის მომენტიდან.

განსაკუთრებით რთული საქმეების შემთხვევებში, ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს გააგრძელოს ზემოთ აღნიშნული

ვალა კიდევ ერთი თვით, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე. რომელშიც მითითებული იქნება მიზეზები, რომელთა გამოც ვადის გაგრძელება აუცილებელია. გადაწყვეტილება ვადის გაგრძელებაზე მიღებულ უნდა იქნეს საჩივრის შეტანიდან შვიდი დღის განმავლობაში. ანუ ადმინისტრაციული აქტი საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების თაობაზე საჩივრის განხილვის საწყის ეტაპზევე უნდა იქნეს გამოცემული. ასეთი შეზღუდვის მიზანი ისაა, რომ ადმინისტრაციული ორგანო ხშირად დაუდევრად ეკიდება საჩივარს, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე რეაგირების გარეშე ტოვებს მას და მამინ, როდესაც დადგება ვადების დარღვევის საფრთხის წინაშე, მრდის საჩივრის განხილვისათვის დაწესებულ ვადას. მეორე მხრივ, ამ წესმა შეიძლება გარყვეული სირთულეები გამოიწვიოს იმ შემთხვევებში, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო მხოლოდ საჩივრის განხილვის უკანასკნელ ეტაპებზე აღმოაჩენს დამატებით სირთულეებს, რომელთა გამოც ვადების დაცვა ვერ ხერხდება. ამის თავიდან აცილების გზით, ადმინისტრაციული ორგანო საჩივრის მიღებისთანავე უნდა წინასწარ გაეცნოს მას, დაადგინოს საქმის სირთულე და დაგეგმოს მისი განხილვის თითოეული ნაბიჯი. გადაწყვეტილება საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება საჩივრის წარმდგენ პირს.

4. დაუმეებელია საჩივრის განხილვის განუსაზღვრელი ვადით გადადება. საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილებაში ზუსტად უნდა იქნეს მითითებული, კონკრეტულად რა ვადით იქნა გადადებული განხილვა. ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს, ანუ მაქსიმალური ვადა საჩივრის განხილვისათვის შეიძლება იყოს ორი (ერთს + ერთი) თვე. თუმცა კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტით შეიძლება დადგენილ იქნეს საჩივრის განხილვის გაგრძელების სხვა ვადაც.

მუხლი 184. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისას

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული

აქტის მოქმედება შეჩერდება ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციის მომენტიდან. ამის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანო გამოსცემს ადმინისტრაციულ აქტს.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება არ შეჩერდება, თუ:

ა) გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოების ხარჯების გაზრდას;

ბ) წარმოადგენს პოლიციის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით;

გ) გამოცემულია საგანგებო ან საომარ მდგომარეობაში შესაბამისი კანონის საფუძველზე;

დ) აღსრულების გადადება გამოიწვევს მნიშვნელოვან მატერიალურ მარალს, ან მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს ან უშიშროებას.

3. გადაწყვეტილებას ამ მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელების შესახებ იღებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ან მისი შემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილში აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოსთხოვოს სასამართლოს შეჩერებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების გაგრძელება.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6. მუხ. 8)

1. ამ მუხლის მიხედვით, საჩივრის შეტანა აჩერებს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედებას. მაგალითად, ადმინისტრაციული აქტი, რომელიც ითვალისწინებს რესტორნის დახურვის, არ მოქმედების, თუკი იგი გასაჩივრებულია შემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში და რესტორნის მფლობელს უფლება აქვს გააგრძელოს საქმიანობა მანამ, სანამ შემდგომი ადმინისტრაციული ორგანო მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას. გასაჩივრებული აქტის მოქმედების შეჩერება საჩივრის შეტანისას ავტომატურად ხდება. ამ მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადებით

გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტი არ არის სავალდებულო პირობა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერებისათვის და მისი გამოცემის გარეშეც გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედება შეჩერებულია ამ კოდექსის შესაბამისად. ეს არის მხოლოდ დეკლარაციული ხასიათის გადაწყვეტილება, რომელიც ყველა დაინტერესებულ მხარეს აცნობებს, რომ აქტის მოქმედება შეჩერებულია. კარგი იქნება, თუკი კოდექსში შემდგომი ცვლილებების შეტანისას ეს წინადადება სწორედ ამგვარად ჩამოყალიბდება: “ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია დაინტერესებულ მხარეებს აცნობოს საჩივრის შეტანისა და ადმინისტრაციული აქტის მოქმედების შეჩერების შესახებ”. აღნიშნული წინადადების ამგვარი ფორმულირება თავიდან აგვაცილებდა ყოველგვარ გაუგებრობას.

2-3. გასაჩივრებული აქტის მოქმედება არ შეჩერდება ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში. თუკი ერთობლიობაში განვიხილავთ ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებს, ცხადი გახდება, რომ იმისათვის, რათა არ შეჩერდეს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის მოქმედება, ცალკე ადმინისტრაციული აქტია საჭირო. ესე იგი, ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისას, მისი მოქმედება ავტომატურად ჩერდება. ხოლო თუკი ადმინისტრაციული ორგანო ჩათვლის, რომ სახეზეა 184-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული საფუძველები, მან ცალკე აქტით უნდა გადაწყვიტოს აქტის მოქმედების გაგრძელების საკითხი. კოდექსი ამომწურავად ჩამოთვლის იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას ადმინისტრაციული აქტის მოქმედება არ შეჩერდება, მოუხედავად მისი გასაჩივრებისა. ეს გარემოებები ძირითადად დაკავშირებულია ერთი მხრივ, საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგისათვის საფრთხის, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გალების თავიდან აცილებასთან.

4-5. ამ მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში და არა შიდაადმინისტრაციული წესით. ეს შეზღუდვა განპირობებულია იმით, რომ გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული აქტის მოქმედების გაგრძელების შესახებ გემდგომმა ორგანომ უნდა მიიღოს. სასამართლოში

შესაძლებელია გასაჩივრდეს როგორც ადმინისტრაციული აქტის მოქმედების გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება, ასევე უარი მოქმედების გაგრძელების შესახებ, რადგანაც დაინტერესებულ პირს ორივე შემთხვევაში შეიძლება შეელახოს კანონიერი ინტერესი. ამასთან გასაჩივრების უფლება აქვთ არა მარტო საჩივრის წარმდგენ პირს/პირებს, არამედ ყველა დაინტერესებულ მხარეს — ყველა პირს ვის ინტერესებსაც შეეხება აქტის მოქმედების შეჩერება თუ შეჩერებაზე უარი.

მუხლი 185. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის წესი

თუ ამ თავით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიყენება ამ კოდექსის VI თავით გათვალისწინებული დებულებანი.

ეს მუხლი აკეთებს მითითებას ამ კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებულ მარტივი ადმინისტრაციული წარმოების პროცედურაზე, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა, იმ გამონაკლისებით, რაც ამ თავითაა დადგენილი. ასეთი გამონაკლისია, მაგალითად, ზეპირი მოსმენა, რომელიც არ წარმოადგენს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების ნაწილს და სპეციალურადაა გათვალისწინებული 198-ე მუხლით.

მუხლი 186. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის და გადაწყვეტის დროს გამოიყენება აგრეთვე ამ კოდექსის VII თავით დადგენილი წესი.

წინა მუხლის შესაბამისად ეს ნორმაც მითითებითი ხასიათისაა და განსაზღვრავს, რომ კოლეგიური ორგანოს მიერ საჩივრის განხილვისას გამოიყენება ადმინისტრაციული აქტის გამოსაყვამად კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული წარმოების (იხ. მე-7 თავი; მუხ.103-106) წესები.

მუხლი 187. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი თანამდებობის პირის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაში მონაწილეობის დაუშვებლობა

დაუშვებელია ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს პირმა, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებაში ან გამოცემაში.

ეს მუხლი, ამ კოდექსის 92-ე და 93-ე მუხლებთან ერთად კიდევ ერთი საშუალებაა საკითხის მიყვარბობულად გადაწყვეტის წინააღმდეგ. ამ მუხლით გათვალისწინებული წესი მოიცავს შემთხვევებს, როდესაც თანამდებობის პირი, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, მოგვიანებით დაინიშნა მემდგომ თანამდებობაზე. ასევე შეიძლება შეეხოს იმ შემთხვევებსაც, როდესაც მემდგომი თანამდებობის პირი ავალებს ქვემდგომს გადაწყვეტილების პროექტის მომზადებას (რაც ძალზე ხშირად ხდებოდა კომუნისტური მმართველობის პერიოდში). ასეთ შემთხვევაშიც საჩივარზე გადაწყვეტილების პროექტის მომზადება არ შეიძლება დაევალოს პირს, რომელმაც მოამზადა/გამოსცა გასაჩივრებული აქტი, ან განახორციელა გასაჩივრებული ქმედება.

ხშირად რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციული აქტის მომზადებასა თუ გამოცემაში “მონაწილეობის მიღებად” მიგვაჩნია, რომ მონაწილეობის მიღებად უნდა ჩაითვალოს შემთხვევა, როდესაც პირს შეეძლო მოეხდინა გავლენა გადაწყვეტილებაზე. მაგალითად, მონაწილეობის მიღებად არ ჩაითვლება, თუკი პირი ადმინისტრაციული აქტის მომზადებაში ასრულებდა კურიერის, მბეჭდავის და სხვა ისეთ ფუნქციას, რითაც ვერ შეძლებდა გადაწყვეტილებაზე გეგავლენის მოხდენას.

მუხლი 188. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ბათილად გამოცხადების უფლება

1. ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა არ აჩერებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი ადმინისტრაციულ-

ციული ორგანოს უფლებას – შეცვალოს, ძალადაკარგულად ან ბათილად გამოაცხადოს იგი ამ კოდექსით დადგენილი წესით.

2. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ბათილად გამოცხადების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია 5 დღის განმავლობაში აცნობოს ამის შესახებ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს.

1. შესაძლოა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომელმაც გამოსცა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი, გადაწყვიტოს მისი საკუთარი ინიციატივით შეცვლა ან გაუქმება (ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება). ეს მუხლი აძლევს ადმინისტრაციას ამის საშუალებას. სირთულეს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, უნდა იყოს თუ არა ასეთ შემთხვევებში აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებისას ადმინისტრაციული ორგანო შემლუღული ამ კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლების დებულებებით, კანონიერი ნდობის უფლებისა და კოდექსის სხვა დებულებებით. ამ მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება – “ამ კოდექსით დადგენილი წესით” აშკარას ხდის, რომ აღნიშნული დებულებები აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული, რამეთუ კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლები წარმოადგენენ სწორედ კანონით დადგენილ აქტის ბათილობისა და ძალადაკარგულად გამოცხადების წესს. მეორეს მხრივ, თუკი მივიჩნევდით, რომ აქტის გამომცემი ორგანოს მიერ აქტის შეცვლა ან გაუქმება საჩივრის პროცედურის ნაწილია, მაშინ მე-60 და 61-ე მუხლების გამოყენება აღარ გახდებოდა საჭირო, რამეთუ საჩივრის განმხილველი ორგანოს მიერ აქტის შეცვლისას ან გაუქმებისას მხოლოდ ზემოთ აღნიშნული მუხლებით არ არის შემლუღული. ანალოგიურად, შესაძლოა აქტის გამომცემმა ორგანომ ჩათვალოს, რომ საჩივარი მართებულია და მოინდომოს თავისი ინიციატივითვე მოახდინოს აქტის შეცვლა თუ გაუქმება. 188-ე მუხლის პირველი ნაწილი მას ფაქტობრივად ართმევს ასეთ შესაძლებლობას, რამეთუ უწესებს კოდექსით გათვალისწინებული პროცედურის გამოყენებას. მეორეს მხრივ, მართებული არც ის იქნებოდა, რომ აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება ქონოდა საჩივრის განხილვის პერიოდში აქტის შეცვლა/გაუქმება მე-60 და 61-ე მუხლების სრული იგნორირებით მოეხდინა, რამეთუ ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების

შეტანის, ისევე როგორც მისი ბათილად ან ძალადაყარგულად გამოცხადების საფუძველი შესაძლოა გახდეს არა მარტო საჩივრით განსამზღვრული მოთხოვნა და გარემოებები, არამედ რაიმე სხვა, მაგალითად, ახლად აღმოჩენილი/გამოვლენილი გარემოებები. მიგვაჩნია, რომ ყველაზე სწორი მიდგომა იქნებოდა, თუკი კანონით გადაწყდებოდა, რომ თუ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის შეცვლა ან გაუქმება მისი გამომცემი ორგანოს მიერ მოხდა ადმინისტრაციული საჩივრის ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანო არ უნდა იყოს ვალდებული გამოიყენოს მხოლოდ ამ კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებები, ხოლო თუკი ადმინისტრაციული აქტის შეცვლა ან გაუქმება გასცდა საჩივრის ფარგლებს, მაშინ აღნიშნული მუხლების გამოყენება და ადმინისტრაციული ორგანოს ამ დებულებებით შეზღუდვა სავალდებულო უნდა იყოს. ასეთი მიდგომა ასევე გაამარტივებს საჩივრის შესახებ წარმოების პროცედურას და ადმინისტრაციულ ორგანოს მისცემს შესაძლებლობას თავადვე გამოასწოროს დაშვებული შეცდომა.

2. იმ შემთხვევაში, თუკი ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციული აქტი, შეცვლის ან გააუქმებს ამ აქტს, შესაბამისად ეს ავტომატურ ზეგავლენას ახდენს საჩივრის განხილვის პროცედურაზე. აქტის ბათილად ან ძალადაყარგულად გამოცხადების შემთხვევაში ცხადია, რომ საჩივრის საგანი აღარ არსებობს და შესაბამისად — წარმოება უნდა შეწყდეს. იმის გამო, რომ არ მოხდეს გადაწყვეტილებათა მიღება უკვე გაუქმებულ ადმინისტრაციულ აქტებთან დაკავშირებით, საჩივრის განმხილველ ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში უნდა ეცნობოს აქტის გაუქმების შესახებ, რის შემდეგაც საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო შეწყვეტს ადმინისტრაციული საჩივრის შესახებ წარმოებას.

მუხლი 189. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულება

1. თუ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის დადგენილი ვადის დარღვევასთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა არ აჩერებს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს

ვალდებულებას გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემთხვევაში, ადმინისტრაციული აქტის გამოუცემლობის გამო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს.

1. ამ მუხლის თანახმად, აქტის გამოცემაზე უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ, რომლის წინააღმდეგაც შეტანილია საჩივარი აქტის გამოცემის ვადის დარღვევასთან დაკავშირებით, არ უნდა შეწყვიტოს ადმინისტრაციული წარმოება. ასეთი ორგანო უფლებამოსილია საჩივრის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი. თუმცა კანონით შესაძლოა დადგინდეს განსხვავებული წესი.

2. თუ ქვემდგომმა ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცა მოთხოვნილი ადმინისტრაციული აქტი, მემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული აქტის გამოუცემლობის შესახებ წარდგენილ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა შეწყდეს.

მუხლი 190. ადმინისტრაციული წარმოების გაგრძელება ადმინისტრაციულ- სამართლებრივი აქტის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეცვლის ან ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა უნდა გაგრძელდეს, თუ დაინტერესებული მხარე მოითხოვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადებას.

მოგიერთ შემთხვევაში, მიუხედავად ადმინისტრაციული აქტის, მისი გამოცემა ორგანოს მიერ შეცვლისა ან ძალადაკარგულად გამოცხადებისა, დაინტერესებულ მხარეს აქვს აქტის ბათილად გამოცხადების ინტერესი. როგორც ვიცი, აქტის ბათილობას გააჩნია უკუქცევითი ძალა (ბათილია მისი ძალაში შესვლის

დლიდან), რამაც ხშირად შეიძლება წარმოშვას დაინტერესებული მხარის სასარგებლოდ კომპენსაციის თუ რაიმე სხვა ვალდებულებები. ეს მუხლი სამუალებას აძლევს დაინტერესებულ მხარეს ასეთ შემთხვევებში მოითხოვოს გაგრძელდეს საჩივრის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება აქტის ბათილობის მოთხოვნით.

მუხლი 191. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა

1. ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს უფლება აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე უარი განაცხადოს ადმინისტრაციულ საჩივარზე.

2. უარი ადმინისტრაციულ საჩივარზე განცხადებული უნდა იქნეს წერილობით. ზეპირი მოსმენის დროს დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია ადმინისტრაციულ საჩივარზე უარი განაცხადოს აგრეთვე ზეპირადაც.

3. ადმინისტრაციულ საჩივარზე უარის თქმა არ აჩერებს მის განხილვას, თუ საჩივრის განუხილველობას შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების შელახვა ან მნიშვნელოვანი ზიანი.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1-2. ამ მუხლით დადგენილია საჩივრის ავტორის უფლება - წარმოების ნებისმიერ ეტაპზე უარი თქვას თავის საჩივარზე. ეს მან აუცილებლად წერილობით უნდა გააცეთოს, თუმცა კოდექსი უშვებს ზეპირ მოსმენაზე ასეთი განცხადების ზეპირად გაყეთების შესაძლებლობასაც. ეს უფლება მნიშვნელოვან გამოყენებას პოულობს იმ შემთხვევაში, როდესაც საჩივრის განხილვისას გამოიყვებება, რომ საჩივრის განმსილველმა ორგანომ შესაძლოა მიიღოს საჩივრის შემტანი პირის საწინააღმდეგო გადაწყვეტილება. ამ მუხლში, ისევე როგორც მთლიანად კოდექსში მითითებული არ არის, თუ რამდენად შეუძლია ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც აუარესებს საჩივრის წარმდგენი პირის მდგომარეობას. მაგალითად, როდესაც სამშენებლო კომპანია ასაჩივრებს არქიტექტურის დეპარტამენტს აქტს იმ მოტივით, რომ მას ათსართულიანი სახლის მშენებლობის უფლების ნაცვლად მიეცა მხოლოდ რეასართულიანი სახლის

ამენების ლიცენზია, შეუძლია თუ არა მემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს განსხვავებული ინტერპრეტაცია მისცეს კანონს და მიიჩნიოს, რომ დაუშვებელი იყო მოცემულ რეგიონში შეიღსართულიანზე მაღალი სახლის ამენება და აუქმებს ლიცენზიას.

სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების ერთერთ უმნიშვნელოვანეს დებულებას წარმოადგენს ე.წ. *reformacio in peius* პრინციპი. ამ პრინციპის შესაბამისად სასამართლოს არ გააჩნია სარჩელის საუარესოდ შებრუნების უფლება, ანუ არა აქვს უფლება მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც მომჩივანს ჩააყენებს უფრო უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის სარჩელის წარდგენამდე იმყოფებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსში ამ პრინციპის თაობაზე არაფერია მითითებული, კოდექსის მოგადი პრინციპებიდან და სულიკვეთებიდან, აგერთვე მე-60 და 61-ე მუხლებიდან შეიძლება გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ იგი ადმინისტრაციულ წარმოებაშიც გამოიყენება, თუმცა აქ იგი არ ატარებს აბსოლუტურ ხასიათს, ანუ შესაძლებელია გამონაკლისების გაკეთება. ასეთ გამონაკლისებზე ამ მუხლის მე-3 ნაწილი, აგრეთვე 193-ე მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებენ.

3. მიუხედავად საჩივრის ავტორის სურვილისა, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა არ შეჩერდება, თუ არსებობს საჩივრის განხილვის განსაკუთრებული საჯარო ინტერესი. მაგალითად, თუკი დავის განმხილველი ორგანოსათვის აშკარა გახდება, რომ ლიცენზია უკანონოდ იქნა გაკემული ქრთამის საფუძველზე გააუქმებს მას, მიუხედავად საჩივრის შემტანი პირის მხრიდან საჩივარზე უარის თქმისა. ამ მხრივ, ადმინისტრაციული წარმოება საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად განსხვავდება სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოებისაგან, სადაც სარჩელზე უარის თქმა ყველა შემთხვევაში საქმის შეწყვეტის საფუძველია.

თუკი ზემოთ მოყვანილ მაგალითს განვიხილავთ, სამშენებლო ნორმების მკირე დარღვევა, როგორცაა ერთით მეტი სართულის ამენება, არ წარმოშობს განსაკუთრებულ საჯარო ინტერესს, რომელიც უპირატესი იქნებოდა სამშენებლო კომპანიის კერძო ინტერესისა.

მუხლი 192. ადმინისტრაციული ორგანოს უფლება ცნოს ადმინისტრაციული საჩივარი

1. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს უფლება აქვს ცნოს ადმინისტრაციული საჩივარი, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

2. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს გააგრძელოს ადმინისტრაციული წარმოება მიუხედავად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრის ცნობისა.

ამ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოებს კიდევ ერთი შესაძლებლობა ეძლევათ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დამუშეული შეცდომის აღიარებისა და გამოსწორებისა — ადმინისტრაციული სარჩელის ცნობის სახით. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს ადმინისტრაციული საჩივარი ცნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს დაეთანხმოს საჩივრის წარმდგენის იმ მოთხოვნას, რომელიც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

ადმინისტრაციული სარჩელის ცნობა თავისთავად წარმოადგენს საფუძველს საჩივრის თაობაზე წარმოების შეწყვეტისათვის, თუმცა ეს არ არის სავალდებულო და ადგენს, რომ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით გააგრძელოს წარმოება, მიუხედავად საჩივრის ცნობისა. ასეთ შემთხვევებს ძირითადად ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საჩივრის განმხილველი ორგანო მიიჩნევს, რომ საჩივრის ცნობა იყო შედეგი არა აქტის გამომცემი ორგანოს მიერ შეცდომის აღიარებისა და კანონდარღვევის გამოსწორების მცდელობისა, არამედ მას საფუძველად ედო ქრთამი თუ რაიმე სხვა სახის კანონგარეშე გარიგება ადმინისტრაციულ ორგანოსა და დაინტერესებულ მხარეს შორის, ან იგი მიღებულ იქნეს მეწოლის თუ შეცდომაში შეყვანის მეშვეობით.

თუკი საჩივარზე უარის თქმისას ადმინისტრაციული წარმოება საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ შემთხვევაში — მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის არსებობისას არ უნდა

შეწყდეს, საჩივრის ცნობა არ იწვევს ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტას, თუ შემდგომი ადმინისტრაციული ორგანო მას არამართლობიერად ან არამიზანშეწონილად მიიჩნევს.

მუხლი 193. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მოცულობა

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო იხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს მასში აღნიშნული მოთხოვნის ფარგლებში, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლია გასცდეს მათ.

2. თუ შეუძლებელია გადაწყვეტილების მიღება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხოლოდ გასაჩივრებული ნაწილის მიმართ, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ორგანო ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის წერილობითი თანხმობით გადაწყვეტილებას იღებს მთლიანად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ, ხოლო ამ პირის უარის შემთხვევაში – გამოაქვს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება კანონს.

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს “*reformatio in peius*” პრინციპის შემღეუდვის შესაძლებლობას. მოგადი წესის შესაბამისად შემდგომი ადმინისტრაციული ორგანო საკითხის გადაწყვეტისას საჩივრის ფარგლებს ვერ გასცდება, მაგრამ შესაძლებელია რაიმე კანონით იქნეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების გამოტანა საჩივარში ასახული მოთხოვნის მხედველობაში მიღების გარეშე.

მაგალითად, თუკი სამშენებლო კომპანია შეიტანს საჩივარს მშენებლობის ნებართვის დანართის წინააღმდეგ, რომელიც ავალდებულებს მის შენობას ჰქონდეს დამატებითი ხანძარსაწინააღმდეგო კიბე, საჩივრის განმხილველმა ორგანომ, თუნდაც მან მიიჩნიოს, რომ არა მხოლოდ დანართი, მთლიანად ლიცენზიაც კანონსაწინააღმდეგოა, არ უნდა გასცდეს საჩივრის ავტორის მოთხოვნის ფარგლებს და არ უნდა იმსჯელოს მთლიანად აქტის

კანონიერების შესახებ. ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც პირდაპირ არის გათვალისწინებული სპეციალური კანონით, რომელიც ადმინისტრაციული მმართველობის ამა თუ იმ სფეროს არეგულირებს. ასეთ შემთხვევებშიც, თუკი დავის განმხილველი ორგანო სპეციალური კანონით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე გააუქმებს მთლიანად აქტს, მან უნდა იხელმძღვანელოს ამ კოდექსის მე-60 და 61-ე მუხლებით, რამეთუ აქტი გაუქმებულად ჩაითვლება არა საჩივრის საფუძველზე (რის შემთხვევაშიც ზემოთ აღნიშნული მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინება არ არის აუცილებელი), არამედ ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით.

2. თუკი საჩივარი შეტანილია აქტის ნაწილის ან დანართის წინააღმდეგ, რომელიც იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მის გარეშე აქტი კარგავს ამრსა და მნიშვნელობას, დავის განმხილველი ორგანო, საჩივრის შემოშტანი პირის თანხმობის შემთხვევაში იმსჯელებს მთლიანად აქტის კანონიერებაზე. თუკი საჩივრის ავტორი არ იქნება თანახმა, მაშინ ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია უარი განაცხადოს საჩივრის განხილვაზე.

მუხლი 194. დაინტერესებული მხარის მონაწილეობა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი ამრის წარდგენის შესაძლებლობა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ წერილობით აცნობოს ყველა იმ პირს, რომელიც მონაწილეობდა გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

3. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, დაინტერესებული მხარის უარი წარადგინოს საკუთარი მოსამრება, დამატებითი

ინფორმაცია ან დაესწროს ბეპირ განხილვას, არ აჩერებს ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ წარმოებას.

1. ისევე როგორც მარტივ ადმინისტრაციულ წარმოებაში, ადმინისტრაციული საჩივრის შესახებ წარმოებაში უზრუნველყოფილია მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა მიერ საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლება.

2. წარმოებაში უნდა მონაწილეობდეს ყველა ის მხარე, ვინც მონაწილეობა მიიღო გასაჩივრებული აქტის გამოცემისათვის ადმინისტრაციულ წარმოებაში. საჩივრის განმხილველი ორგანო ვალდებულია ყველა შემთხვევაში აღნიშნულ პირს წერილობით აცნობოს საჩივრის თაობაზე წარმოების დაწყების შესახებ და უზრუნველყოს მათი მონაწილეობა საკითხის გადაწყვეტაში.

3. საჩივრის განხილვაში მონაწილეობა უფლებაა და არა ვალდებულება. შესაბამისად, მხარის უარი საჩივრის თაობაზე ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობაზე არ აჩერებს საჩივრის განხილვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული და მხარის მონაწილეობის გარეშე სრულყოფილად საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია.

მუხლი 195. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომტანი ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში

1. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო რეგისტრაციიდან 5 დღის განმავლობაში უგზავნის ადმინისტრაციული საჩივრის და მასზე დართული დოკუმენტების ასლს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

2. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული საჩივრის ასლის მიღებიდან 5 დღის განმავლობაში წარუდგინოს ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ორგანოს მოყვამულ ადმინის-

ტრაციულ-სამართლებრივ აქტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ყველა მასალა და საკუთარი წერილობითი დასკვნა ადმინისტრაციული საჩივრის თაობაზე.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებიც მინიჭებული აქვს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე დაინტერესებულ მხარეს.

4. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი თანამდებობის პირით ან სხვა უფლებამოსილი პირით, ხოლო თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია კოლექტიური ორგანოს მიერ – კოლექტიური ორგანოს ხელმძღვანელი პირით.

5. გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემი ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა თანამშრომლით მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს თანხმობით.

1-2. ეს მუხლი მუსტად განსაზღვრავს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცედურულ დეტალებს, რაც უზრუნველყოფს საჩივრის განმხილველი ორგანოს მიერ გასაჩივრებული აქტის შესახებ წარმოების მასალების სრულად და სწრაფ მიღებას, აგრეთვე საკითხის დროულად გადაწყვეტას. საჩივარი 5 დღის განმავლობაში გადაეგზავნება გასაჩივრებული ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციული აქტის გამოცემ ორგანოს კი თავის მხრივ ეკისრება ვალდებულება 5 დღის განმავლობაში გაუგზავნოს ბემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული აქტის გამოცემასთან დაკავშირებული წარმოების ყველა მასალა. გარდა საქმის მასალების მიწოდებისა, გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის გამოცემ ორგანოს ეკისრება ვალდებულება იმავე ვადაში წარუდგინოს დავის განმხილველ ორგანოს საკუთარი წერილობითი მოსაზრებები საჩივრის თაობაზე.

3. ადმინისტრაციულ საჩივრის განხილვისას გასაჩივრებული

ადმინისტრაციული აქტის გამოშვებაში ორგანო სარგებლობს იგივე უფლებებით, რაც წარმოებაში მონაწილე სხვა დაინტერესებულ მხარეებს აქვთ მინიჭებული. ეს უზრუნველყოფს მხარეთა თანასწორობას და დემოკრატიულს ხდის ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცედურას.

4-5. აქტის გამოშვებაში ორგანო საჩივრის განხილვის პროცესში წარმოდგენილი უნდა იყოს იმ თანამდებობის პირით, რომელმაც უშუალოდ გამოსცა გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი, ხოლო თუ გადაწყვეტილება კოლეგიური ორგანოს მიერაა მიღებული – ამ კოლეგიური ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირით. ადმინისტრაციული ორგანო საჩივრის განმხილველი ორგანოს თანხმობის შემთხვევაში შესაძლებელია წარმოდგენილ იქნეს სხვა თანამშრომლით.

მუხლი 196. დაინტერესებულ მხარეთა მიერ დამატებითი ინფორმაციის წარდგენა

1. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირი, აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარე საკუთარ მოსაზრებას, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებულ დამატებით დოკუმენტებს წარადგენს ზეპირი სხდომის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია წერილობით აცნობოს ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეს ზეპირი სხდომის გამართვის თარიღი მის გამართვამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

ეს მუხლი აწესრიგებს საჩივრის თაობაზე ზეპირი მოსმენის მოსამზადებელ პროცედურას და ამისათვის ადგენს. დაინტერესებულ მხარეთა ვალდებულებას დროულად მიაწოდონ შესაბამისი ინფორმაცია დაეის განმხილველ ორგანოს. ისევე როგორც ამ ორგანოს ვალდებულებას – ყველა დაინტერესებულ პირს აცნობოს ზეპირი მოსმენის ჩატარების თარიღის შესახებ. თუმცა ამ მუხლის ორივე ნაწილის ინტერპრეტაცია იძლევა იმის საშუალებას, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ დაინტერესებულ მხარეს მხოლოდ ერთი დღე დაუტოვოს საკუთარი მოსაზრებების წარსადგენად, მაგრამ ამ შემთხვევაში არარეალიზებული დარჩება კოდექსის მე-13 მუხლით გათვალისწინებული ზოგადი პრინციპი.

თუ მხარეს არ მიეცემა გონივრული ვადა საკუთარი მოსაზრებების წარდგენისათვის, ეს შეიძლება ადმინისტრაციული აქტის გაუქმების საფუძველი გახდეს.

მუხლი 197. ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობა

ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე მხარეები ადმინისტრაციული საქმის მასალებს ეცნობიან ამ კოდექსის 99-ე მუხლის შესაბამისად.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სმ I, №6, მუხ. 8)

მოცემული მუხლი წარმოადგენს მითითებას ამ კოდექსის 99-ე მუხლის ნორმებზე, რომლებიც წარმოების მასალების გაცნობის წესს განსაზღვრავენ. ჩვენი ამრით, ეს მუხლი საერთოდ ბედმეტი გახდა 2001 წლის 2 მარტს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, რადგანაც 99-ე მუხლის გამოყენებით ადმინისტრაციული წარმოების მასალების გაცნობის შესაძლებლობას იძლევა 185-ე მუხლის დებულებაც, რომელიც ითვალისწინებს VI თავის გამოყენების საშუალებას.

მუხლი 198. ზეპირი მოსმენის ჩატარების წესი

1. ზეპირი მოსმენა ტარდება ამ კოდექსის VIII თავით დადგენილი წესით.

2. ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარეებს შეიძლება მოუსმინონ ერთმანეთის დაუსწრებლად, თუ ეს აუცილებელია სახელმწიფო, კომერციული ან პირად საიდუმლოს მიკუთვნებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად და თუ სხვაგვარად შეუძლებელია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა დადგენა.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნულ საკითხზე დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოაქვს ადმინისტრაციულ ორგანოს დაინტერესებული მხარის მოთხოვნის საფუძველზე.

4. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ზეპირი მოსმენის სხდომა ღიაა.

5. ზეპირი მოსმენის სხდომა ღიაა, თუ ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების

საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წინააღმდეგ.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6. მუხ. 8)

1. ეს მუხლიც გარკვეულწილად მითითებითია, რადგანაც იგი ითვალისწინებს ამ კოდექსის მე-8 თავით დადგენილი ბეპირი მოსმენის ჩატარების წესის გამოყენებას. ამ თვალსაზრისით ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით ნაწილობრივ უახლოვდება ფორმალურ ადმინისტრაციულ წარმოებას.

2-3. ბეპირ მოსმენაზე საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ყველა დაინტერესებულ მხარეს. თუკი რომელიმე მხარე მიიჩნევს, რომ მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, მას შეუძლია მოითხოვოს, მოსმენილ იქნეს დახურულ სხლომაზე მეორე მხარის მონაწილეობის გარეშე. ადმინისტრაციულმა ორგანომ მეორე მხარის გარეშე დაინტერესებული პირის მოსმენის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით, ანუ უნდა შეაფასოს ერთი მხრივ ინფორმაციის გასაიდუმლოების ინტერესი, ხოლო მეორე მხრივ, დაინტერესებული მხარის უფლებაა მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

4-5. ბეპირი მოსმენა, ისევე როგორც ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებისას, ღიაა და მას შეიძლება ნებისმიერი მსურველი დაესწროს. კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციული აქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია საჩივრის განხილვა დახურულ სხლომაზე, თუკი არსებობს რაიმე ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის საჯარო ინტერესი. თუ საჩივრებული ადმინისტრაციული აქტი, რომელიც გამოცემულ იქნა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე, საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ბეპირი მოსმენა აუცილებლად ღიად უნდა ჩატარდეს.

მუხლი 199. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვა და გადაწყვეტა ბეპირი მოსმენის გარეშე

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ბეპირი მოსმენის

გაუმართავად, თუ:

ა) არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი;

ბ) ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე თანახმაა საქმის განხილვაზე ბეპირი მოსმენის გაუმართავად.

2. ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში მიუთითოს ბეპირი მოსმენის გამართვაზე უარის თქმის საფუძველი.

ეს მუხლი ადგენს ადმინისტრაციული საჩივრის შესახებ წარმოების პროცესში ბეპირი მოსმენის გამართვაზე უარის საფუძველებს — მხრეთა თანხმობას საკითხის ბეპირი მოსმენის გარეშე გადაწყვეტას და შემთხვევას, როდესაც განიხილება ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის საკითხი. ასეთ შემთხვევაში ბეპირი მოსმენის არ გამართვა მნიშვნელოვნად ამარტივებს და აჩქარებს გადაწყვეტილების მიღების პროცედურას, რაც თავის მხრივ მხარეთა ინტერესებში შედის. ის, თუ რა საფუძველით არ ჩატარდა საქმეზე ბეპირი მოსმენა, აუცილებლად უნდა მიეთითოს საჩივართან დაკავშირებით გამოცემულ საბოლოო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში.

მუხლი 200. საქმეში მონაწილე დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი მოსაზრების წარდგენა ბეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ

თუ ბეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოსათვის ცნობილი გახდა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოების შესახებ, ამის თაობაზე უნდა ეცნობოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს და მიუცეთ მათ შესაძლებლობა წარადგინონ საკუთარი მოსაზრებანი მოცემულ საკითხზე.

მოცემული მუხლით დადგენილია საჩივრის თაობაზე წარმოების მონაწილე დაინტერესებულ მხარეთა უფლება — ეცნობოთ

საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ახალი გარემოებების შესახებ. რომელიც ადმინისტრაციული ორგანოსათვის გახდა ცნობილი გეპირი მოსმენის გამართვის შემდეგ და შესაბამისად მიეკეთ მათ ამ გარემოებებთან დაკავშირებით საკუთარი ამრის გამოთქმის უფლება.

მუხლი 201. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით

1. ადმინისტრაციულ ორგანოს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

- ა) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების შესახებ;
- ბ) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე;
- გ) ადმინისტრაციული საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2. თუ საქმეზე დამატებითი მასალების მოძიება აუცილებელია, ადმინისტრაციულ ორგანოს გამოაქვს გადაწყვეტილება საქმის განხილვის გადადების შესახებ, რაც ეცნობება მხარეებს.

3. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს კანონიერებისა და მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანო.

4. ადმინისტრაციული საჩივრის განხილველი ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია შეამოწმოს, აკმაყოფილებს თუ არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონის იმ მოთხოვნას, რომელიც ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენ პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან უპირატესობას.

1. გემდგომი ადმინისტრაციული ორგანო, განიხილავს რა დაინტერესებული მხარის საჩივარს, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს იგი, თუ არსებობს შესაბამისი კანონიერი საფუძველი; უარი განაცხადოს საჩივრის დაკმაყოფილებაზე, თუ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი კანონშესაბამისია ანდა ნაწილობრივ დააკმაყოფილოს მხარის საჩივარი, თუკი მოთხოვის მხოლოდ ნაწილია დაფუძნებული მხარის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე.

2. თუ გადაწყვეტილების მისაღებად დამატებითი მტკიცებულების მოპოვება ან მტკიცებულებათა დამატებითი გამოცვლევაა (მაგ., ექსპერტიზის დანიშვნა) საჭირო, საჩივრის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს საჩივრის განხილვის ვადის მიმდინარეობა იმდენი დღით, რაც აუცილებელია დამატებითი მტკიცებულების მოპოვების ან მტკიცებულების დამატებითი გამოცვლევისათვის. შესაბამისი მასალის /დასკვნის მიღებისთანავე საჩივრის განხილვის ვადის მიმდინარეობა განახლდება.

3. განსხვავებით სასამართლოსაგან, რომელიც ადმინისტრაციულ აქტს ამოწმებს კანონიერების თვალსაზრისით, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს ადმინისტრაციული აქტის როგორც კანონთან შესაბამისობას, ისე მიზანშეწონილობას. ანუ ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში ადმინისტრაციული აქტის გადასინჯვის უფრო ფართო კრიტერიუმებია დადგენილი.

“აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონის 49-ე მუხლი განმარტავს, თუ რა იგულისხმება მიზანშეწონილობის თვალსაზრისით ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების გადაწყვეტილებების კონტროლის ქვეშ. კერძოდ, ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს გააუქმოს ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ადმინისტრაციული აქტი, თუ იგი:

- ეწინააღმდეგება სახელმწიფო პოლიტიკას მოკემულ სფეროში;
- იწვევს სახელმწიფო რესურსების ან საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ გამოყენებას;
- სხვა ხერხით აყენებს ზიანს სახელმწიფოს ინტერესებს.

მუხლი 202. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თაობაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს და იგი უნდა აკმაყოფილებდეს ადმინისტრაციული აქტისათვის ამ კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

აღნიშნული მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული საჩივრის

განმხილველი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრის თაობაზე წარმოადგენს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ აქტს, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 203. გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტის შეცვლა, ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება. ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა

1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ბათილად ან ძალადაკარგულად გამოაცხადოს, აგრეთვე შეცვალოს გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი.

2. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია არ გამოაცხადოს ბათილად ან ძალადაკარგულად ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ მისი მომზადების ან გამოცემის დროს დაშვებული კანონის დარღვევა არსებითი არ არის.

3. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო ძალადაკარგულად ან ბათილად გამოცხადებული აქტის ნაცვლად თვითონ გამოსცემს ახალ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, თუკი ამას მოითხოვს საჩივრის წარმდგენი პირი ან ითვალისწინებს კანონი.

4. თუ აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის შეგროვება ან მტკიცებულებების დამატებითი გამოკვლევა, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დაავალოს ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ორგანოს გამოსცეს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. ასეთ გადაწყვეტილებაში არსებული მითითებები სავალდებულოა შესასრულებლად ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოსათვის.

5. ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს თვითონ გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ კანონით მისი გამოცემის უფლება აქვს მხოლოდ გასაჩივრებული აქტის გამომცემ ორგანოს ან

აუცილებელია მისი გამოცემის განსაკუთრებული საფუძველი, მათ შორის კონკურსი.

6. კოლეგიური ან სათათბირო ორგანოს გადაწყვეტილების ან საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნის საფუძველზე გამოცემულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს მხოლოდ კანონიერების თვალსაზრისით და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან (ძალადაკარგულად) გამოცხადების შემთხვევაში ავალებს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1. ეს მუხლი განსაზღვრავს იმ შესაძლო მოქმედებებს, რომლებიც უნდა განახორციელოს საჩივრის განმხილველმა ორგანომ. თუკი იგი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ადმინისტრაციული აქტი კანონსაწინააღმდეგოა, მას უფლება აქვს ბათილად გამოაცხადოს ადმინისტრაციული აქტი. ზოგიერთ შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ შესაძლოა არ გამოაცხადოს აქტი ბათილად, არამედ მისი კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შეიტანოს აქტში ცვლილება ან დამატება. მაგალითად, როდესაც რესტორნის მეპატრონე ასაჩივრებს ბრძანებას ცუდი სანიტარიული პირობების გამო რესტორნის დახურვის შესახებ. თუკი საჩივრის განმხილველი ორგანო დადგენილად მიიჩნევს აქტის გამოცემის საფუძველს (ცუდი სანიტარიული პირობები), მაგრამ ჩათვლის, რომ გამოყენებული სანქცია (რესტორნის დაკეტვა) მეტისმეტად მკაცრია მოცემულ შემთხვევისათვის, მას ენიჭება უფლება შეიტანოს აქტში ცვლილება, რომლის თანახმადაც, რესტორნის დაკეტვის ნაცვლად მის მეპატრონეს მიეცემა ვადა სანიტარიული პირობების გასაუმჯობესებლად.

2. კოდექსი ითვალისწინებს კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრინციპს, რომელიც პროცედურულ დარღვევებს შეეხება. ის ფაქტი, რომ გასაჩივრებული აქტის გამოცემა ორგანომ აქტის გამოცემის პროცესში დაარღვია კანონით გათვალისწინებული პროცედურა, მაგალითად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შემთხვევაში, არასწორად გამოაცხადა გეპირი მოსმენის ჩატარების დრო და ადგილი, ყოველთვის არ შეიძლება გახდეს აქტის ბათილობის

საფუძველი. ადმინისტრაციული აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პროცედურული დარღვევა არსებით ხასიათს ატარებს. პროცედურის არსებით დარღვევა კი, კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად ჩაითვლება კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული. ზემოაღნიშნული მაგალითის შემთხვევაში, თუკი ზეპირი მოსმენის ადგილისა და დროის არასწორად გამოცხადების გამო, დაინტერესებულმა მხარემ ვერ შეძლო საქმისათვის დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და არგუმენტების წარდგენა და ეს არგუმენტები არც სხვა მხარის მიერ ყოფილა წარმოდგენილი, ხოლო გადაწყვეტილება ადმინისტრაციულმა ორგანომ ამ გარემოებათა გათვალისწინების გარეშე გამოიტანა, მაშინ შესაძლებელია ამ ადმინისტრაციული აქტის ბათილად გამოცხადება.

3-4. მე-3 ნაწილი საჩივრის განმხილველ ორგანოს უფლებას ანიჭებს გასაჩივრებული აქტის გაუქმების შემთხვევაში თავადვე გამოსცეს ადმინისტრაციული აქტი, თუკი არსებოს ამის შესახებ საჩივრის შემომტანი პირის მოთხოვნა ან კანონით დადგენილი ვალდებულება. სხვა შემთხვევაში ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკუთარი ინიციატივით გაუქმებულის ნაცულად ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის უფლება არ გააჩნია. ახალი აქტის გამოცემა, უნდა მოხდეს ამ მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 ნაწილებით დაწესებული შეზღუდვებისა და წესის გათვალისწინებით. ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო თვითონ გამოსცემს ახალ ადმინისტრაციულ აქტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი ინფორმაციის მოძიება ან მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო არ არის. თუკი დავის განმხილველი ორგანო მიიჩნევს, რომ საკითხი საჭიროებს დამატებით შესწავლას, ამ მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო დაავალებს საჩივრის საფუძველზე გაუქმებული აქტის გამომცემ ორგანოს გამოსცეს ახალი აქტი, ზემდგომის მითითებათა გათვალისწინებით.

5. თუ ბათილად/ძალადაკარგულად გამოცხადებული ადმინისტრაციული აქტი განსაკუთრებული წესით იყო მიღებული (მაგ., კონკურსი, ტენდერი და ა.შ). მაშინ ზემდგომ ორგანოს არა აქვს უფლება თვითონ გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული აქტი გა-

უქმებულის ნაცვლად. იგი საქმის მასალებს უგზავნის ქვემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის ხელახალი გადაწყვეტისათვის.

6. კოდექსი კოლევური ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების გადასინჯვის სრულიად განსაკუთრებულ წესს ადგენს. მათი გადაწყვეტილებები შეიძლება შემოწმდეს მხოლოდ კანონიერების თვალსაზრისით, მაგრამ მათი გაუქმება შეუძლებელია მიზანშეწონილობის მოტივით. ეს იმითაა განპირობებული, რომ კოლევურ ორგანოებს განსაკუთრებული სტატუსი გააჩნიათ და მათი დისკრეციული უფლებამოსილებების შეზღუდვა ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით დაუშვებელია. ამავდროს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო კოლევური ან სათათბირო ორგანოს მიერ ან საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნაზე დაფუძნებული ადმინისტრაციული აქტის გაუქმებისას თვითონ ახალ ადმინისტრაციულ აქტს ვერ გამოსცემს და საკითხს ხელახალი განხილვისათვის უბრუნებს შესაბამისად კოლევურ თუ სათათბირო ორგანოს.

მუხლი 204. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ხარჯები

1. არ შეიძლება დაწესდეს სახელმწიფო ბაჟი ან რამე გადასახადი ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისათვის.

2. ყოველი მხარე თვითონ აანაზღაურებს მის მიერ ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით გაწეულ ადმინისტრაციული წარმოების ხარჯებს.

3. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის მიერ ადვოკატის ან სხვა წარმომადგენლისათვის გაწეულ ხარჯებს აანაზღაურებს მხოლოდ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე მხარის გადახდისუნარობის შემთხვევაში.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6. მუხ. 8)

ადმინისტრაციული საჩივრისათვის არ არის საჭირო არავითარი სახელმწიფო ბაჟისა თუ მოსაყრებლის გადახდა. ამით იგი განსხვავდება სასამართლოში ადმინისტრაციული სარჩელის

განხილვისაგან. თითოეული მხარე ვალდებულია თავად დაფაროს მის მიერ გაწეული ხარჯები. თუმცა ადმინისტრაციული ორგანო რიგ შემთხვევებში ვალდებულია მხარეს აუნაზღაუროს წარმოებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები. კერძოდ, საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, საჩივრის წარმდგენის მიერ გაწეული ხარჯები ანაზღაურდება გასაჩივრებული აქტის გამოცემაში ორგანოს მიერ. თუკი საჩივრის წარმდგენი გადახდისუნაროა.

მუხლი 205. *ამოღებულია*

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

მუხლი 206. *ამოღებულია*

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

თავი XIV

ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობა

შესავალი

სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის ყველა ქვეყნის სამართალში ერთ-ერთი ურთულესი საკითხია. ამ სირთულის მიზეზი ისაა, რომ ადვილი შესაძლებელია სახელმწიფო გაკოტრდეს. თუ მას დაეკისრება მისი კანონმდებლობის, მართლმსაჯულებისა თუ ადმინისტრაციის მიერ კერძო პირებისათვის მიყენებული ყველა ფაქტობრივი ზიანის ანაზღაურება. სათანადო სახსრების გარეშე კი სახელმწიფო მოკლებული იქნება თავისი ძირითადი საჯარო ფუნქციების განხორციელების შესაძლებლობას. მეორე მხრივ, თუკი მას არ დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა, ეს გამოიწვევს სამართლის გარეთ სახელმწიფოს დაყენებას, რაც შეიძლება საჯარო ძალმომრეობად და ტირანიად გადაიქცეს. აქ საუბარია ერთი მხრივ, სახელმწიფოს ქმედუნარიანობის შენარჩუნებაზე, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის უფლებების გარანტიების შექმნასა და სახელმწიფოს ხალხის წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპის დამკვიდრებაზე.

ამის გამო, სხვადასხვა სამართლებრივი სისტემები ცდილობდნენ მოეძებნათ სხვადასხვა საუკეთესო გზა პრობლემის გადაჭრისა, პასუხისმგებლობის ისეთი ფორმა, რომელიც მეტად თუნაკლებად დაიცავდა როგორც სახელმწიფოს, ისე ადამიანთა უფლებებს. ზოგიერთმა ქვეყანამ ამ საკითხის გადაჭრა სასამართლო პრაქტიკას მიანდო, რამაც გამოიწვია ის, რომ პრობლემის რაიმე ცალსახა გადაწყვეტის ნაცვლად მიღებულ იქნა მრავალი ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავებული სასამართლო გადაწყვეტილება.

ამის მიუხედავად, ყველა დასავლურმა სამართლებრივმა სისტემამ აღიარა ის, რომ სახელმწიფო პასუხისმგებელია მისი ორგანოების (საჯარო მოსამსახურეების) მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ამ სახის პასუხისმგებლობა გაითვალისწინა ქართულმა სამართალმაც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 1005-ე და ზოგადი ადმინის-

ტრაციული კოდექსის 207-ე მუხლების სახით.

გარდა ამისა, გერმანულ და ფრანგულ სამართლებრივ სისტემებში, ბრიტანულ-ამერიკულსაგან განსხვავებით, განვითარდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობის პრაქტიკა იმ შემთხვევებისათვის, რომელიც დაეკისრა ერთ ან რამდენიმე ადამიანს საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის. აქ საუბარია არა მარტო სახელმწიფოს/საჯარო მოხელის მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებით თუ ადმინისტრაციული აქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, არამედ, აგრეთვე ზიანის ანაზღაურება სახელმწიფოს/საჯარო მოხელის კანონიერი ქმედებისა და გადაწყვეტილებებისათვის. მაგ., ქალაქის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება შიო მღვიმელის ქუჩის ექვსი თვით დაეცვის შესახებ, ამ ქუჩაზე წყალგაყვანილობისა და საკანალიზაციო სისტემის შეცვლის მიზნით. გადაწყვეტილება კანონის ნორმების ყველა მოთხოვნის დაცვითაა მიღებული, მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მერია ვალდებული არ არის აანაზღაუროს ამ კანონიერი გადაწყვეტილებით გამოიწვეული ზიანი. ამ ქუჩაზე მდებარე ბენზოგასამართი სადგური, ბუნებრივია, ფუნქციონირებას ამ ხნის განმავლობაში ვეღარ შეძლებს, რადგანაც იგი ავტომობილებისათვის მიუდგომელი იქნება. მართალია, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემის შეცვლით ამ სადგურის მე-პატრონეცაა დაინტერესებული, მაგრამ მას ამისათვის მთელი ბიზნესის გაჩერება მოუხდა, მაშინ როდესაც ქუჩის სხვა მცხოვრებლებს მხოლოდ დისკომფორტი შეექმნათ ამ პერიოდის განმავლობაში. გერმანიაში, სახელმწიფოს პასუხისმგებლობას საზოგადოების ინტერესებისათვის რამდენიმე პირის უფლებების "შეწირვისათვის" დაინერგა პრუსიული "Allgemeines Landsrecht"-იდან, თუმცა მას შემდეგ მრავალი ცვლილება განიცადა და დაიხვეწა. სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, იმის გამო, რომ სხვადასხვა საკანონმდებლო თუ სხვა ადმინისტრაციული აქტები ხშირად ლახავდნენ ერთის ინტერესს მეორის დაუმაყოფილებლის გამო, ამჟამად გახდა, რომ პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას, თანასწორობის პრინციპის ყველა შემთხვევაზე ერთნაირად გავრცელება არ გამოდგებოდა. საჭირო იყო ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა პირთა მიმართ არათანასწორი, სხვადასხვაგვარი მოპყრობის აღიარება, მაგრამ აქ დგებოდა ზიანის ანაზღაურების

საკითხი. თუ საჯარო ინტერესების დაცვაყოფილებისათვის ერთი პირი/პირთა ჯგუფი მნიშვნელოვნად მეტად მარალდება ვიდრე საზოგადოების ყველა დანარჩენი წევრი/სოციალური ჯგუფი, ბუნებრივია, ამ პირს/ უფლება ეძლეოდა ზიანის ანაზღაურება მოეთხოვა. მაგრამ, რადგანაც ზიანის მიყენების წინაპირობა საზოგადოებისათვის სასარგებლო გადაწყვეტილებაა (რომლის სიყვითლაც ის პირიც ისარგებლებს, რომელსაც ზიანი მიაღდა), ამიტომ ზიანის ანაზღაურება სრული მოცულობით და ყველა შემთხვევაში ვერ მოხდება. აუცილებელი გახდა ზიანის ანაზღაურების საფუძვლების სხვა რაიმე კრიტერიუმის განსაზღვრა. ამისათვის, შემოტანილ იქნა ზიანის მოცულობის კრიტერიუმი, რომლითაც განისაზღვრა, რომ კომპენსაციის ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ მაშინ, როდესაც ზიანი მნიშვნელოვნად დიდია.

საქართველოს ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა აღიარა ორივე, როგორც არათანასწორი მოპყრობა, ისე მიყენებული ზიანის მოცულობის პრინციპი და გმა მისცა ისეთ მიდგომას, რომელიც მრავალ გაუმართლებელ რისკსა და ხარჯს ააცილებდა ისედაც ვალდებულებებით დატვირთულ სახელმწიფო ხაზინას, ხოლო მეორე მხრივ უზრუნველყოფდა მოქალაქის უფლებების დაცვას.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი განსაზღვრავს პასუხისმგებლობას მხოლოდ ადმინისტრაციულ აქტით და არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ პირდაპირ მოქმედების შესრულებითაც გამოწვეული ზიანისათვის. პასუხისმგებლობის ვალდებულება დგება იმის მიუხედავად, იყო ადმინისტრაციული აქტი კანონიერი, თუ უკანონო. ეს შეესაბამება ფრანგულ სამართალში გავრცელებულ შეხედულებას. იმ ფაქტმა, რომ კოდექსმა განსაზღვრა პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანისათვის, ანუ დაადგინა, რომ კომპენსაციის ვალდებულება შეიძლება წარმოშვას არა მხოლოდ ინდივიდუალურმა, არამედ-ნორმატიულმა ადმინისტრაციულმა აქტმაც. ამის მიუხედავად, მიგვაჩნია, რომ პრაქტიკაში უნდა დაინერგოს მიდგომა, რომელიც დააწესებს გარკვეულ კრიტერიუმებს ნორმატიული აქტით მიყენებული ზიანის კომპენსაციისათვის და არ დაუშვებს ასეთი სახის პასუხისმგებლობის მეტისმეტად ფართო ინტერპრეტაციას. ერთ-ერთ ასეთ კრიტერიუმს შეიძლება წარმოადგენდეს

ის. რომ ნორმატიული აქტით მიყენებული ზიანი უნდა იყოს აშკარა და პირდაპირი, ანუ გამოირიცხოს ნორმატიული აქტით მიყენებული ყველა სახის არაპირდაპირი ზიანის ანამლაურება. აღსანიშნავია, რომ ეს კოდექსი არ შედის ისეთ თეორიულად რთულ და საკამათო საკითხში, როგორც არის სახელმწიფოს პასუხისმგებლობა პარლამენტის მიერ მიღებული კანონებით მიყენებულ ზიანზე და ამ საკითხს კონსტიტუციური სამართლის დოქტრინას უტოვებს.

აქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, მიღებულია კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც. ეს პრაქტიკა მიღებულია ორივე, როგორც საერთო სამართლის, ისე civil law ქვეყნებშიც. ამის შესაბამისად, საქართველოს ზოგადმა ადმინისტრაციულმა კოდექსმა, კერძოდ კი, მისმა 207-ე მუხლმა, სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, დაადგინა პასუხისმგებლობის შემდეგი სახეები:

პასუხისმგებლობა ზიანის მომტანი ინფორმაციის გავრცელებისათვის (მუხ. 993);

პასუხისმგებლობა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამღვარი ზიანისათვის (მუხ. 999);

პასუხისმგებლობა ნაგებობიდან გამომდინარე მომეტებული საფრთხით გამოწვეული ზიანისათვის (მუხ. 1000);

პასუხისმგებლობა ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის (მუხ. 1003);

პასუხისმგებლობა შენობის ჩამოქცევით გამოწვეული ზიანისათვის (მუხ. 1004);

პასუხისმგებლობა სამედიცინო დაწესებულების მიერ მიყენებული ზიანისათვის (მუხ. 1007).

ყველა ზემოთ აღნიშნული კატეგორია, გარდა ზიანის მომტანი ინფორმაციის გავრცელებისა, ძირითადად წარმოადგენს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას. ან. უკიდურეს შემთხვევაში, ბრალის არარსებობის მტკიცების ტვირთს ზიანის მიმყენებელს აყისრებენ.

**მუხლი 207. საქართველოს სამოქალაქო
კოდექსის გამოყენება ადმინისტრაციული
ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის
ანაზღაურებისას**

თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

ამ მუხლის საფუძველი და შინაარსი ამ თავის შესავალ ნაწილში იქნა განმარტებული, ხოლო რაც შეეხება სამოქალაქო კოდექსის იმ დებულებების განმარტებას, რომელზეც ეს მუხლი მიუთითებს, იგი მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებში.

**მუხლი 208. სახელმწიფო ან ადგილობრივი
თვითმმართველობის (მმართველობის)
ორგანოს პასუხისმგებლობის
განსაკუთრებული წესი**

1. სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო.

3. თუ კერძო პირი რაიმე საქმიანობას ახორციელებს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე, ასეთი საქმიანობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო.

ეს მუხლი ასახავს ზემოაღნიშნულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც საჯარო მოხელის ქმედებით ან გადაწყვეტილებით მიყე-

ნებულ ზიანზე პასუხისმგებელია სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობა. სამოვადოებაში არსებობს იმის პრეზუმფცია, რომ საჯარო მოხელე თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას მოქმედებს სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობის სახელით. მოქალაქეები ემორჩილებიან საჯარო მოხელეთა მოთხოვნებს არა მათი პირადი ავტორიტეტის გამო, არამედ იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ სახელმწიფოს/ადგილობრივი თვითმმართველობას. სწორედ ამიტომ, თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას საჯარო მოხელის მიერ მიყენებულ ზიანზე სახელმწიფომ უნდა აგოს პასუხი. რა თქმა უნდა სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობა ვალდებული არ არის ანაზღაუროს საჯარო მოხელის მიერ მიყენებული ყველა ზიანი, არამედ მხოლოდ ის ზიანი, რომელიც დაკავშირებულია მის სამსახურებრივ მოვალეობის განხორციელებასთან. ქვემოთ განვიხილავთ თუ რა იგულისხმება სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებაში. საჯარო მოხელის მიერ მიღებული ყველა სამართლებრივი აქტით მიყენებულ ზიანზე უპირობოდ აგებს პასუხს სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობა. სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობა ასევე პასუხს აგებს საჯარო მოხელის იმ ქმედებებზე, რომელიც მან განახორციელა საკუთარი სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულების პროცესში, თუნდაც ეს ქმედებები მის უშუალო ვალდებულებებში არ შედიოდეს. მაგ., სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისას სააღსრულებო პოლიციის თანამშრომელმა კანონსაწინააღმდეგოდ მატერიალური ზიანი მიაყენა მოქალაქეს. რაც შეეხება საჯარო მოხელის მიერ მიყენებულ იმ ზიანის ანაზღაურებაზე, რომელიც დადგა საჯარო მოხელის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენებით, მაგრამ არა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების მომენტში, აქ ცალსახა პასუხი არ არსებობს. მაგ., თუ უბნის ინსპექტორი სხვა დასახლებულ პუნქტში საკუთარი თანამდებობის ბოროტად გამოყენებით შეაღწევს სხვა დასახლებულ პუნქტში მდებარე მისთვის უცნობი მოქალაქის ბინაში და გაძარცვავს მას, ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა თვით ამ პირს დაეკისრება. მაგრამ თუ იგივე უბნის ინსპექტორი მისდამი რწმუნებულ უბანში მდებარე მისთვის კარგად ნაცნობი მოქალაქის ბინაში შეაღწევს ამავე გზით, ასეთ

შემთხვევაში ზიანის ანაზღაურებაზე მოქალაქის წინაშე პასუხისმგებელი უნდა იყოს სახელმწიფო. რადგანაც მოქალაქისათვის ეს მოხელე ცალსახად აღიქმება, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი და იგი მოხელის ბინაში შეშვებისას ეჭვს ვერ შეიტანდა მისი ქმედების უკანონობაში.

სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობა ასევე პასუხისმგებელია იმ კერძო პირების მიერ მიყენებულ ზიანზე, რომლებსაც დელეგირებული/დავალებული პქონდათ საჯარო ორგანოებისაგან რაიმე უფლებამოსილების განხორციელება. თუკი ეს ზიანი ამ უფლებამოსილებების განხორციელებისას დადგა, ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც ეს კერძო პირები მოქმედებენ სახელმწიფოს სახელით და სახელმწიფოსგან მინიჭებული უფლებამოსილებების საფუძველზე.

მუხლი 209. სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოს პასუხისმგებლობა კანონიერი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გამოწვეული ზიანისთვის .

1. თუ საზოგადოებრივი აუცილებლობისათვის კანონმდებლობის შესაბამისად გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით თანასწორობის პრინციპის საწინააღმდეგოდ არსებითი ზიანი ადგება მხოლოდ რომელიმე კერძო პირს ან პირთა ჯგუფს, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანო ვალდებულია აანაზღაუროს ამ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიყენებული ზიანი.

2. ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება საჯარო და კერძო პირის ინტერესების შეფასების საფუძველზე.

1. ამ მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაყისრება და კომპენსაციის ვალდებულების წარმომომა მოხდება იმ შემთხვევებში, როდესაც პირს მიაღწა არსებითი ზიანი, საზოგადოების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად მიმართული ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებით.

კომპენსაციის მოთხოვნისათვის დაწესებული საფუძველები შემდეგია:

– უნდა არსებობდეს ინდივიდუალური ან ნორმატიული ადმინისტრაციული აქტი;

– აქტი მიმართული უნდა იყოს სამოგადოების ინტერესების დასაცმაყოფილებლად;

– ზიანი უნდა მიაღწეს პირის ჯანმრთელობას, ქონებას ან სხვა კანონით დაკულ სიყეთეს;

– ზიანი უნდა იყოს მნიშვნელოვანი;

– ზიანი გამოწვეული უნდა იყოს ინდივიდუალური/ნორმატიული აქტის მიერ.

საჯარო ხელისუფლების დამოცილებულება იმ პირისადმი, რომელსაც მიაღდა ზიანი და იმისადმი, ვის სასარგებლოდაც გამოიყა აქტი, უნდა იყოს არათანაბარი. ანუ პირისათვის/პირთა ჯგუფისათვის მიყენებული უნდა იყოს გაცილებით მნიშვნელოვანი ვიდრე სამოგადოების სხვა ჯგუფებისათვის.

ზიანის მიყენებული ადმინისტრაციული აქტი და მის საფუძველზე განხორციელებული მოქმედება შეიძლება იყოს როგორც უკანონო, ისე კანონიერი. შესაძლოა, კომპენსაციის მოთხოვნის მომენტიანათვის აქტი გაუქმებულიც იყოს.

მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, ქალაქში ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე სარემონტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის გამო გამოიყა ბრძანება ქუჩის დროებით გადაყეტვის შესახებ. ქუჩის გადაყეტვამ შეუძლებელი გახადა ქუჩაზე განლაგებულ მაღაზიებთან ყველა სახის ტრანსპორტით მისულა და შესაბამისად მაღაზიების მუშაობა რამდენიმე თვით შეწყდა. ასეთ შემთხვევაში სახეზეა საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, კერძო პირისათვის არსებითი ზიანის მიყენების ფაქტი. თუკი სახელმწიფოს სურს, რომ თავიდან აიცილოს საკომპენსაციოდ დიდი თანხების გადახდა, მან უნდა უზრუნველყოს სარემონტო სამუშაოების იმგვარად ჩატარება, რომ უზრუნველყოს მაღაზიებთან თუნდაც ფეხით მოსიარულეთათვის მისასვლელის მოწყობა. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს კომპენსაციის ვალდებულება აღარ წარმოეშობა, რადგან მიყენებული ზიანი არ არის სერიოზული. კოდექსის მიხედვით კი ზიანი ანაზღაურდება თუ იგი არსებითია. იგივე მაგალითს თუ დაეუბრუნდებით, ამ ქუჩაზე მცხოვრებ ბევრ მოქალაქეს ქუჩის დაყეტვის გამო აღარ შეუძლიათ ავტომობილის საყუთარ ავტოფარეხში დაყენება და ავტომობილებს ფასიან

აუტოსადგომებში აყენებენ. მაგრამ მათ არა აქვთ ამ ზარალი-სათვის კომპენსაციის მოთხოვის უფლება, რადგან ზარალი არსებითი არ არის.

2. 2009-ე მუხლის მე-2 ნაწილი აღგენს, რომ კომპენსაციის გამოთვლა უნდა მოხდეს საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის საფუძველზე. ეს ფორმულა, როგორც წესი, გამორიცხავს სრულ კომპენსაციას. განსაკუთრებით კი მოუღებელი მოგების სრულ ანაზღაურებას, რითაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პრინციპს – მართალია, პირის უფლებები ილახება საერთო საზოგადოებრივი კეთილდღეობისათვის, მაგრამ ამ პირმაც, როგორც საზოგადოების ერთ-ერთმა წევრმა, თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საერთო საზოგადოებრივ საქმეში. ამ შემთხვევაში მაღაზიის კერძო პირის ინტერესების დარღვევა არ ჩაითვალოს საზოგადოების ინტერესების ცალმხრივ დაკმაყოფილებად, რამეთუ ისინი თავადაც მომეტებულად ისარგებლებენ საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ მიმართ ამეამად არათანაბარი მიდგომა კომპენსირებული იქნება სამომავლო სარგებლით. მაგალითად, ქუჩის შეკეთებასთან დაკავშირებულ შემთხვევაში, მაღაზიის მეპატრონეებს შეიძლება მიეცეთ კომპენსაციის ოდენობა, რომელიც საუმარისია სარემონტო სამუშაოების დამთავრებამდე მათი ბიზნესის იმგვარად არსებობისათვის, რომ მას არ მიადგეს გამოუსწორებელი ზიანი, თუმცა კი, არ უნდა მოხდეს ხელიდან გაშვებული მოგების სრული ოდენობით ანაზღაურება.

თავი XV

ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსემასთან დაკავშირებით

შესავალი

ეს თავი ადგენს ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის გამოცემისათვის აუცილებელ პროცედურულ წესებს. მისი მიზანია ნორმატიული აქტების მიღების ხშირად არაგამჭვირვალე და დახურული პროცედურა ღია გახადოს სამოგადოებისათვისა და სხვა სახელმწიფო ორგანოებისათვის. ეს კი იმის გარანტიაა, რომ ნორმატიული აქტი დაფუძნებული იქნება საკითხის სწორ გაგებაზე და სამოგადოებას უკეთესად გაეცნობა და მიიღებს მას.

წინამდებარე თავი ითვალისწინებს მხოლოდ დასავლურ, ძირითადად კი ამერიკულ გამოცდილებას. ამერიკის ადმინისტრაციული საპროცესო კანონი ნორმატიული აქტების მიღებას უზრუნველყოფს ფორმალური და არაფორმალური წარმოების სამუალებით. ამ ორ ტიპს შორის განსხვავება ის არის, რომ ოფიციალური წარმოების პროცედურა მოითხოვს საქმის საჯარო გეპირ მოსმენას იმ დროს, როცა არაფორმალური წარმოების პროცედურის დროს გეპირი მოსმენის ჩატარების საკითხი კომპეტენტური ორგანოების დისკრეციულ უფლებას წარმოადგენს. ფორმალური წარმოება გამოიყენება მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ყველა სხვა შემთხვევაში გამოიყენება არაფორმალური წარმოება.

მიუხედავად თავისი სახელწოდებისა, არაფორმალური წარმოება მოითხოვს ზოგიერთ ფორმალური მოთხოვნების დაცვას, კერძოდ, იგი გულისხმობს ნორმატიული აქტის პროექტის გამოქვეყნების ვალდებულებას და სამოგადოებისა ან/და სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან შენიშვნებისა და მოსაზრებების მიღების შესაძლებლობას. ამიტომ აღნიშნულ პროცედურას უმჯობესია ეწოდოს ნაყლებად-ფორმალური. ამგვარი ნაყლებ-ფორმალური წარმოება საქმოდ გაერცელებულია ევროპაში არსებულ საქართვებრივ სისტემებშიც.

საქართველოს კანონმდებლობამაც დასაველური მიდგომა აირჩია. მთავარი წესი მდგომარეობს იმაში, რომ თუ კანონით, რომელსაც ემყარება ნორმატიული ადმინისტრაციული აქტი, სხვა არაფერია განსაზღვრული, მაშინ გამოიყენება ნაკლებფორმალურ მარტივი წარმოება, ე.ი. ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის პროექტი უნდა იყოს გამოქვეყნებული (მუხლი 213) და საზოგადოებას, ისევე როგორც სხვა სახელმწიფო ორგანოებს უნდა მიეცეთ საკუთარი მოსაზრებების წარდგენის საშუალება (მუხლები 214-216).

ნორმატიული სამართლებრივი აქტების განსაზღვრება მოცემულია მე-2 მუხლის პირველი ნაწილის “ე” ქვეპუნქტში და დაწვრილებითაა განსაზღვრული “ნორმატიული აქტების შესახებ”. კანონში, სადაც ჩამოთვლილია ნორმატიული აქტების სახეები. ტერმინი „ნორმატიული ადმინისტრაციული აქტი“ განმარტებულია კოდექსში. იგი მოიცავს ნორმატიული აქტების შესახებ კანონში ჩამოთვლილ ყველა ნორმატიულ აქტს გარდა კანონებისა, კონსტიტუციისა და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა. ეს ნიშნავს, რომ შიდაადმინისტრაციული სახელმძღვანელო მითითებები ასევე ექვემდებარება ამ თავით დადგენილ პროცედურებს, თუ ისინი ნორმატიული აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ.

ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების შინაარსი და ფორმა, ისევე როგორც მათი კანონთან წინააღმდეგობა და გაუქმება რეგულირდება “ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს 1997 წლის კანონით. კოდექსში ამ საკითხებთან დაკავშირებით არაფერი არ არის ნათქვამი. თუმცა აქტის გაუქმებასთან დაკავშირებით, ამ კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილში განსაზღვრული პროცედურის დაუცველად გამოცემული აქტების ზოგადი პრინციპი შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იყოს იმ ნორმატიული ადმინისტრაციული აქტების მიმართ, რომლებზეც ვრცელდება “ნორმატიული აქტების შესახებ კანონის” დებულებებიც, დაკავშირებული აქტის გაუქმებასთან. ეს ნიშნავს, რომ პროცედურის უმნიშვნელო დარღვევა, რომელიც გავლენას არ ახდენს აქტის საბოლოო შინაარსზე, არ ხდის აქტს ბათილად.

მუხლი 210. კანონმდებლობა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით

1. კანონმდებლობა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით შედგება საქართველოს კონსტიტუციის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო, აგრეთვე მათ საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტებისაგან.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას (მიღებისას) გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.

1. ეს მუხლი კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ნორმატიულ აქტებთან მიმართებაში გამოყენებულ უნდა იქნეს საკანონმდებლო აქტების გაცილებით ფართო წრე, ვიდრე მხოლოდ ეს კოდექსია. აღნიშნული უდავოდ უდაოდ სწორია, განსაკუთრებით “ნორმატიული აქტების შესახებ” კანონთან მიმართებაში, რომლის კავშირი კოდექსთან უკვე განვიხილეთ ამ თავის შესავალში.

2. მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოება უნდა იქნეს გამოყენებული ნორმატიული აქტის გამოცემისას, რათა უმრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების მონაწილეობა. ნორმატიული აქტი პირთა განუსაზღვრელ წრისადმია მიმართული, საზოგადოების ბევრი წევრი პოტენციურად შესაძლებელია მოხედეს ამ ნორმატიული აქტის მოქმედების ქვეშ და აქედან გამომდინარე, საზოგადოებას სრული უფლება აქვს იყოს ინფორმირებული ნორმატიული აქტის გამოცემის მიმდინარეობის შესახებ და მონაწილეობა მიიღოს მასში. ამავე დროს კანონით შესაძლოა დადგენილ იქნეს ნორმატიული აქტის გამოცემის სხვა პროცედურაც.

მუხლი 211. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება და-

იწყება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის უფლების მქონე ადმინისტრაციული ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილებით.

2. გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების გამო წერილობითა და წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

3. ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული აქტის გამოსაცემად შეიძლება დაიწყოს ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს განცხადების საფუძველზე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების გასაჩივრების მიმართ გამოიყენება ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

(საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)

1-2 . ეს მუხლი ადგენს, რომ კომპეტენტურმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ნორმატიული აქტის გამოცემისათვის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, რომელშიც სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს აქტის მომზადებისა და გაცემის ვადა. ეს გადაწყვეტილება ყოველთვის უნდა იყოს წერილობითი ფორმის და ადმინისტრაციულ აქტს წარმოადგენს. ამ ადმინისტრაციული აქტის დამოუკიდებლად გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული წესით.

3. ხშირად კანონები იძლევა იმის შესაძლებლობას ან ვალდებულებას, რომ შეიქმნას ნორმატიული ადმინისტრაციული აქტი. მიუხედავად ამისა, უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს ხშირად არ სურს ამის გაკეთება. ასეთ შემთხვევაში შესაძლოა კანონი მესამე მხარეს ანიჭებდეს შესაძლებლობას, მოითხოვოს აქტის გამოცემა. მნიშვნელოვანია ის აღნიშვნა, რომ ფიზიკური ან იურიდიული პირის მოთხოვნით ნორმატიული აქტის გამოცემის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოება დაიწყება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს განსაზღვრულია კანონით.

მუხლი 212. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება

1. თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტს ამზადებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც უფლებამოსილია გამოსცეს იგი.

2. საკუთარ უფლებამოსილებათა ფარგლებში ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება აქვს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება დაავალოს ქვემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ხელშეკრულების საფუძველზე.

3. სხვა ადმინისტრაციული ორგანოსათვის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების დავალების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანამდე აუცილებელია ამ უკანასკნელის წერილობითი თანხმობა.

212-ე მუხლის დებულებები შეესაბამება ნორმატიული აქტების შესახებ კანონის 33-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებს, რომლის მიხედვითაც ნორმატიული აქტის პროექტს, როგორც წესი, შეიმუშავენ ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც მისი გამოცემის უფლება გააჩნია. 212-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები განსამდგრვას რამდენიმე პროცედურულ დეტალს და ადგენს, რომ კერძო პირების მონაწილეობა აქტის პროექტის შემუშავებაში უნდა მოხდეს ხელშეკრულების საფუძველზე. იმ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რომელთა თანხმობაც საუბლებულია ნორმატიული აქტის მიღებისათვის, ასევე უნდა გასცენ თანხმობა სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან კერძო პირების ამგვარ კანონპროექტის შემუშავების შემთხვევაშიც.

მუხლი 213. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის გამოქვეყნება

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი უნდა გამოქვეყნდეს ამ კოდექსის 55-56-ე მუხლებით

გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან ერთად აუცილებლად უნდა გამოქვეყნდეს ცნობა ადმინისტრაციული წარმოების შესახებ.

3. ცნობაში ადმინისტრაციული წარმოების შესახებ აღნიშნება:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება;

ბ) ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვადა;

გ) იმ ადმინისტრაციული ორგანოს მისამართი, რომელშიც შესაძლებელია მოსაზრებების წარდგენა;

დ) მოსაზრებების წარდგენის ვადა.

4. თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი დიდი მოცულობისაა, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოაქვეყნოს მხოლოდ ცნობა ნორმატიული აქტის გამოცემასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შესახებ. ასეთ შემთხვევაში ცნობაში აღინიშნება ნორმატიული აქტის დასახელება და მისი მოკლე შინაარსი.

კოდექსის 213-ე მუხლი იძლევა გარანტიას, რომ ყველას ვისაც აინტერესებს ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის შინაარსი, პქონდეს შესაძლებლობა წინასწარ იყოს ინფორმირებული აქტის პროექტის შესახებ. ამ მიზნით ნორმატიული აქტის პროექტი წინასწარ უნდა გამოქვეყნდეს შესაბამის ოფიციალურ გაზეთში ან სხვა პერიოდულ გამოცემაში, რომელიც ვრცელდება ამ ორგანოს იურისდიქციის მთელ ტერიტორიაზე (მუხლი 56). რადგან მოქალაქეთა მხოლოდ მცირე ნაწილი კითხულობს ოფიციალურ გაზეთებს, შესაძლებელია კომპეტენტურმა ორგანომ დამატებით გამოაქვეყნოს აღნიშნული პროექტი მასმედიის ფართოდ გავრცელებული საშუალებებით. საჭიროების შემთხვევაში, იგი შეიძლება გამოცხადდეს ტელევიზიითა და რადიოთი. ნათელია, რომ კანონი არ მოითხოვს ამას, მაგრამ მოქალაქეთა ამგვარ საქმიანობაში მონაწილეობა აპრობირებულია ბევრ ქვეყანაში და ხელს უწყობს აქტის განხორციელებას. ნებაყოფლობითი დამატებითი პუბლიცაცია წარმოადგენს მართვისა და ადმინისტრაციული პოლიტიკის კარგ და აპრობირებულ პრაქტიკას. თუ ნორმატიული აქტის პროექტი დიდი მოცულობისაა,

იგი არ გამოქვეყნდება, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობაში აუცილებლად უნდა მიეთითოს ადგილი, სადაც მოქალაქეებს მისი გაცნობის საშუალება მიეცემა.

ნებისმიერ პირს უფლება აქვს წარმოადგინოს საკუთარი მოსაზრებები ნორმატიული აქტის პროექტთან დაკავშირებით. საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ადგილი და ვადა ასევე წინასწარ უნდა იქნეს გამოქვეყნებული ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცნობაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული დებულებები “ნორმატიული აქტების შესახებ” კანონში გათვალისწინებული არ არის და დამატებით მოთხოვნებს წარმოადგენს.

მუხლი 214. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის გაგზავნა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის

1. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი აუცილებლად უნდა გაეგზავნოს იმ ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომელთა უფლებამოსილებასაც განეკუთვნება ამ ნორმატიული აქტით ან მისი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით, ან თუ კანონი მოითხოვს ამ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დასკვნის წარმოდგენას ასეთი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმართ.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი აგრეთვე უნდა გაეგზავნოს საზოგადოებრივ ექსპერტს, თუ კანონი ითვალისწინებს მის მიერ დასკვნის წარმოდგენის სავალდებულოობას.

1. 214-ე მუხლი ეხება სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრივი ექსპერტების ჩართვას ნორმატიული ადმინისტრაციული აქტის მომზადებისა და მიღების პროცესში. ამ ორგანოებსა და ექსპერტებს გააჩნიათ იმის პრივილეგია, რომ ისინი უშუალოდ იქნენ ინფორმირებული ნორმატიული აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა ეცნობოს ნორმატიული

აქტის გამოცემის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე, თუკი:

– ნორმატიულ აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება შედის ამ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებაში;

– ნორმატიული აქტის გამოცემისათვის, კანონის შესაბამისად გათვალისწინებულია ამ ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის წარდგენა.

2. კოდექსში არ არის სპეციფიკურად განსაზღვრული, თუ რას წარმოადგენს საზოგადოებრივი ექსპერტი. მიგვაჩნია, რომ ესენი არიან ძირითადად ის ასოციაციები, ინსტიტუტები და საწარმოები, რომლებსაც გააჩნიათ ამ საკითხთან დაკავშირებული განსაკუთრებული ცოდნა, როგორცაა მაგალითად. მუშათა კავშირები, პროფკავშირები, გარემოს დაცვის ასოციაციები, უნივერსიტეტები და სხვა კვლევითი ინსტიტუტები, ასევე დიდი კომპანიები, რომელთაც წამყვანი როლი უკავიათ ეკონომიკაში. მიუხედავად იმისა, რომ 214-ე მუხლის მე-2 ნაწილი ავალდებულებს ორგანოს გაუგზავნოს პროექტი საზოგადოებრივ ექსპერტს მხოლოდ მაშინ, თუ ამის შესაძლებლობა განსაზღვრულია კანონით, საკმაოდ მიღებულია ხშირ შემთხვევებში ამის ნებაყოფლობით შესრულების პრაქტიკაც.

მუხლი 215. ადმინისტრაციული ორგანოების ან საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ დასკვნის წარმოდგენა

1. ადმინისტრაციული ორგანოები, აგრეთვე საზოგადოებრივი ექსპერტი, რომელთაც გაეგზავნათ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, ვალდებულნი არიან ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტის თაობაზე წარადგინონ საკუთარი დასკვნა კანონმდებლობით ან შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული ვადა არ შეიძლება იყოს 10 დღეზე ნაკლები.

2. სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარდგენილი დასკვნა განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული წარმოების დამთავრებამდე და მას წერილობითი პასუხი უნდა გაეცეს.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან საზოგადოებრივი ექსპერტის მიერ განსაზღვრულ ვადაში დასკვნის წარუდგენლობამ არ შეიძლება დააბრკოლოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

4. დაუშვებელია გამოიყოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს დასკვნის არსებობის გარეშე, თუ დასკვნის არსებობა სავალდებულოა კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული აქტით.

5. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, უარყოფითი დასკვნა არ წარმოადგენს დაბრკოლებას ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისათვის.

თუ სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან საზოგადოებრივი ექსპერტის მონაწილეობა ნორმატიული აქტის გამოცემისას კანონმდებლობით სავალდებულოა, ნორმატიული აქტის გამოცემა ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მისცეს მათ დასკვნების წარდგენის საშუალება და ამისათვის მათ ვადაც განესაზღვრებათ. დასკვნის წარდგენის ვადა გონიერული უნდა იყოს რათა სხვა ადმინისტრაციულმა ორგანომ/საზოგადოებრივმა ექსპერტმა შეძლოს საკითხის სრულყოფილი შესწავლა და დასკვნის წარმოდგენა. სწორედ ამიტომ კოდექსი ადგენს, რომ ეს ვადა არ შეიძლება იყოს ათ დღეზე ნაკლები.

აქტის მომზადების პროცესის უსასრულოდ გახანგრძლივება საფრთხეს უქმნის საზოგადოების ამ პროცესში მონაწილეობას, მაგრამ ამის თავიდან აცილება შესაძლებელია. ეფექტური წინსვლის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოსათვის გადაწყვეტილებების მიღების უფლების მინიჭება მაშინაც კი, თუ სხვა ადმინისტრაციული ორგანო ან საზოგადოებრივი ექსპერტი ვერ მოახერხებს თავისი მოსაზრებების წარდგენის უზრუნველყოფას. მე-4 ნაწილის მიხედვით, ეს შეუძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კანონით სხვა ადმინისტრაციული ორგანოს/საზოგადოებრივი ექსპერტის დასკვნის გარეშე ნორმატიული აქტის გამოცემა დაუშვებელია.

უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო არ არის ვალდებული გაივივალისწინოს სხვა ადმინისტრაციული ორგანოს/საზოგადოებრივი ექსპერტის წარმოდგენილი დასკვნა. ასეთ შემთხვევაში

შეიძლება იმის საფრთხე წარმოიქმნას, რომ ნორმატიული აქტის გამოცემმა ორგანომ სერიოზულად არ აღიქვას ისინი. ეს საფრთხე მნიშვნელოვნად მცირდება მე-2 ნაწილში გათვალისწინებული დებულებით, რომლის მიხედვითაც ნორმატიული აქტის გამომცემმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განიხილოს და წერილობითი პასუხი გასცეს ყველა წარდგენილ დასკვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული დებულების დარღვევით გამოცემული ნორმატიული აქტი შესაძლოა გაუქმდეს.

მუხლი 216. საკუთარი მოსაზრების წარდგენა

1. ყველას აქვს უფლება წარადგინოს საკუთარი მოსაზრება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებით.

2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტთან დაკავშირებული ყოველი მოსაზრება უნდა განიხილოს ადმინისტრაციულმა ორგანომ. მათზე პასუხის გაცემა სავალდებულო არ არის.

3. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარდგენისას არ მიუთითოს თავისი ვინაობა.

4. ადმინისტრაციული ორგანო კერძო პირების მიერ წარდგენილ მოსაზრებებს რეგისტრაციიდან ერთი დღის განმავლობაში უგზავნის სხვა შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და საზოგადოებრივ ექსპერტს.

216-ე მუხლი აქტის პროექტთან დაკავშირებული მოსაზრებების წარდგენის საშუალებას ყველას აძლევს. ეს ნიშნავს, რომ ეს უფლება მინიჭებული აქვს არა მხოლოდ მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ, დაინტერესებულ პირებს, არამედ ყველა იურიდიულ და ფიზიკურ პირს, აგრეთვე უცხოელ მოქალაქეებს. ორგანოს მოვალეობა — განიხილოს მოსაზრებები — ისეთივეა, როგორც 215-ე მუხლის მე-2 ნაწილში, თუმცა არ არის აუცილებელი მათზე წერილობითი პასუხის გაცემა, რადგან ძალიან წინააღმდეგობრივ შემთხვევებში, შესაძლოა წარმოდგენილი იყოს იმდენად ბევრი მოსაზრება, რომ თითოეული მოქალაქისათვის პასუხების გაცემამ შეიძლება შეაფერხოს ნორმატიული აქტის გამოცემის პროცესი. მიუხედავად ამისა, ორგანომ უნდა გააყეთოს მოსაზრებათა შიდა განხილვა და ეს დოკუმენტურად დააფიქსიროს. საკუთარი მოსაზრებების წარმდგეს უფლება აქვს

არ მიუთითოს თავისი ვინაობა და ეს არ შეიძლება გახდეს ამ მოსაზრების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი.

თუ ადმინისტრაციული აქტის შემუშავებაში მონაწილეობს სხვა ადმინისტრაციული ორგანო ან/და საზოგადოებრივი ექსპერტი, ყველა წარმოდგენილი მოსაზრება მათაც გადაეგზავნებათ, რათა მათ სრულყოფილად შეძლონ საკითხის გაანალიზება და საკუთარი დასკვნის წარმოდგენა.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუხლში გათვალისწინებული დებულებები ასახულია კოდექსის 118-ე მუხლში და რადგანაც ნორმატიული აქტის გამოცემა საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით ხდება, სრულიად ბედმეტად გვეჩვენება მათი 216-ე მუხლში განმეორება.

მუხლი 217. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის ვადა

თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის ვადა განისაზღვრება გადაწყვეტილებით ნორმატიული აქტის გამოცემასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

217-ე მუხლი იძლევა იმის გარანტიას, რომ საზოგადოების მონაწილეობა აქტის გამოცემის პროცესში არ გააჭიანურებს ეფექტური გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რადგანაც ნორმატიული აქტის გამოცემის ვადა მან საწყის ეტაპზევე უნდა დაადგინოს. (იხილეთ, 215-ე მუხლის კომენტარი.) ხშირ შემთხვევაში ნორმატიული აქტის ვადა თვით კანონშია ან მის საფუძველზე. გამოცემულ კანონქვემდებარე აქტშია მითითებული. მაგ., “საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ” საქართველოს 1999 წლის კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად: “ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში “საქპატენტის” მიერ შემუშავდეს და დადგენილი წესით დამტკიცდეს ინსტრუქცია ადგილწარმოშობის დასახელებასა და გეოგრაფიულ აღნიშვნაზე “საქპატენტში” განცხადების წარდგენასთან, განხილვასთან და რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ”.

თავი XVI

გარდამავალი დებულებანი

მუხლი 218. კოდექსის ამოქმედებასათან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები

1. ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ 1999 წლის 15 ნოემბრამდე მოამზადოს შესაბამის საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების პროექტები.

2. არ შეიძლება ამ კოდექსის ამოქმედებამდე გამოცემული ან დადასტურებული აღმჭურველი ადმინისტრაციული აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება, თუ პირმა განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის რაიმე ქმედება ამ აქტის საფუძველზე, გარდა ამ კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

(საქართველოს 2001 წლის 26 ოქტომბრის კანონი №1138 – სსმ I, №33, მუხ. 134)

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო. სწორედ ამიტომ კანონმდებელმა გადაწყვიტა გამოეცხადებინა ერთგვარი „ამნისტია“ იმ ადმინისტრაციულ აქტების მიმართ, რომლებიც გამოცემულ იქნა კოდექსის ძალაში შესვლამდე და კერძო პირებს გარკვეულ უფლებას ან სარგებელს ანიჭებს. ასეთი აქტების ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება დაუშვებელია. თუმცა არსებობს რამოდენიმე გამონაკლისი:

ა) თუ ამ ადმინისტრაციული აქტის შესრულება გამოიწვევს დანაშაულს(იხ. მე-60 მუხლის კომენტარი);

ბ) თუ ამ ადმინისტრაციული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ პირდაპირ მითითებული საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ან თვით ამ ადმინისტრაციულ აქტში(იხ. 61-ე მუხლის კომენტარი);

გ) თუ დაინტერესებულმა მხარემ არ შეასრულა ადმინისტრაციული აქტით გათვალისწინებული ვალდებულება, რომლის შეუსრუ-

ლებლობაც შეიძლება გახდეს ადმინისტრაციული აქტის ძალადა-
კარგულად გამოცხადების საფუძველი;

დ) ეს ადმინისტრაციული აქტი ლახავს მესამე პირების კა-
ნონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

თავი XVII
დასკვნითი ღებულებანი

მუხლი 219. კოდექსის ამოქმედება

ეს კოდექსი ამოქმედდეს 2000 წლის 1 იანვრიდან.

**მუხლი 220. ამ კოდექსის ამოქმედებასთან
დაკავშირებით ძალადაკარგული
საკანონმდებლო აქტების ნუსხა**

ამ კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) საქართველოს 1993 წლის 24 დეკემბრის კანონი „სახელმწიფო ორგანოებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) განცხადებების, საჩივრებისა და მიმართვების განხილვის წესის შესახებ“;

ბ) ამოღებულია.

(საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 – სსმ I, №43(50), მუხ. 216)

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს 1999 წლის 9 სექტემბრის კანონი №2372 – სსმ I, №43(50), მუხ. 2161
2. (საქართველოს 2001 წლის 2 მარტის კანონი №772 – სსმ I, №6, მუხ. 8)
3. (საქართველოს 2001 წლის 26 ოქტომბრის კანონი №1138 – სსმ I, №33, მუხ. 134)

წიგნი დაკაზადონდა და დაიბეჭდა
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ოფიციალურ ბეჭდვით ორგანო
„საქართველოს კანონთა წიგნისა და საქართველოს
საკანონმდებლო მაცნის“ რედაქციაში

 99-76-01 98-36-66